9 771228 169506 06

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

პრილი

1134
2014

ნი
ლზე

ბაბა ზარაძეა
IMEDIN

ბელა რეკუჩიშვილი
ერაინისპირა ამბები

ფრიდერიკე
მეირიოკერი
ლექსები პროზად

ირმა ტაბელიძე
თეთრი ქალი

ბერიო ვარგას ლიოსა
ამყარო რომანების
გარეშე

აზიმოფ
ასიმოვსკი
როგორ გადავიღეთ
„დეკალოგი"

2014/აგვისტო
6 (226)

ჰომეროსის ილიადა

ლევან ბერძენიშვილის თარგმანი

სარჩევი

პროზა	1	მიშა ბახსოლიანი | ნადირობა ძაღლზე
	5	ჯაბა ზარქუა | IMEDIN
	11	ბელა ჩეკურიშვილი | რაინისპირა ამბები
თარგმანი	20	ლევან ბერძენიშვილი | "ილიადა" დღეს
	23	ჰომეროსი | ილიადა
	43	ფრიდერიკე მაირიოკერი | ლექსები პროზად *გერმანულიდან თარგმნა ლულუ დადიანმა*
ესე	47	ირმა ტაველიძე | თეთრი ქალი
	49	მარიო ვარგას ლიოსა | სამყარო რომანების გარეშე *თარგმნა თამარ ლომიძემ*
	58	კშიშტოფ კიშლოვსკი | როგორ გადავიღეთ „დეკალოგი" *თარგმნა თენგიზ ვერულავამ*

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, თამარ ლებანიძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი
ხალხური

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან

© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიშა ბახსოლიანი

ნადირობა ძაღლზე

უფულოდ ვეყარეთ. გიო იდგა და ამბობდა, დილით ისეთი იდეა გავაძრე ყველა გავმდიდრდებითო.

- მთავარია "ზადნი" არ მივცეთ, - დააყოლა ბოლოს.

სად იყო მისაცემი.

მიდი, დაიწყე - გავამხნევეთ ბიჭებმა და გოგოც იყო ერთი, მაშინ ხმა არ ამოუღია ოლონდ, ამთქნარებდა.

ამან კიდევ პლაკატი გააძრო ჯიბიდან. პლაკატი რა, ფურცელი. ზედ მუქი პუდელი ეხატა. ქვემოთ წარწერა: დაიკარგა პუდელი. მპოვნელი დაუჩუქრდება 100 ლარით. იქვე ტელეფონის ნომერი. 599 15 47 .. და მეორე ნომერიც. ეგ იყო სულ, მეტი არაფერი. ექვსნი ვიყავით, კაცზე 15 ლარი გამოდიოდა, იქაც თუმანი გზის ფული და სიგარეტი. ჰუჰ. ეგრევე ავდექით და კარებისკენ გავინიეთ. ამან კიდევ შიგ ხომ არ გაქვთ სად მიდიხართ, ბაზარს ახლა ვიწყებთო. რაღა იყო საბაზრო, მაგრამ ყოფილა თურმე. ფირმის ბაზარი იყო. "ტოესტ" ფირმის შექმნის ბაზარი. ფირმის, რომლიც დაკარგულ ძაღლებს მოუძებნიდა პატრონებს და კატებსაც და "მამენტ" და ვინმეს რამე სხვაც თუ გაექცეოდა, არც მაშინ დაიხევდა უკან და სად იყო დასახევი, დავსხედით და ეგრევე შევქმენით. მერე მაღაზიიდან ექვსი ბოთლი არაყი ამოვიტანეთ და როგორც გვიყვარდა, სათითაოდ გავინაწილეთ, ადგილებზე მივეწყვეთ და ჩუმად, ყლუპყლუპით დავლიეთ. ორ საათში ყველას ეძინა. მარტო მე და გიო ვიდექით აივანზე, ზიარ სიგარეტს დატოვებით ვაბოლებდით და სიბნელეზე დაწეებულ, ალაგ-ალაგ განათებულ კორპუსებს ვუყურებდით.

- იცი რამდენი ძაღლი ცხოვრობს ამ ქალაქში? - იკითხა გიომ და ბინოკი კორპუსებისკენ წკიპურტით გაისროლა.

- ყველანი ძაღლები ვცხოვრობთ. - ჩავილაპარაკე ჩემთვის და აივანზე მიყუდებულმა ჩავიძინე. მესიზმრა თითქოს შერლოკ ჰოლმსთან ერთად ჭაობის ზედაპირზე მშვიდად მივსეირნობდი. შორს, პატარა კუნძულზე კი თეთრად განათებული იესო იდგა და ხელით რაღაცას გვანიშნებდა. საიდანღაც ძაღლის ყმუილი ისმოდა, უფრო საიდანღაც კაცის სიმღერა, თუ რაღაც მსგავსი... ბოხი ხმა იყო, ვისაც ყელში ბუასილგაჩენილი მასტების ღიღინი ევასება, გაუსწორდებოდა. მე კი საშინლად შემაწუხა და ჰოლმსს ბამბა ვთხოვე ყურებში ჩასატენად, მაგრამ ჰოლმსმა რატომღაც ელარჯიანი თეფში ამოიღო ჯიბიდან და მომაწოდა.

- გასინჯე, გემრიელია, - მითხრა და თან ისე გამიცინა, თავი კოლგეიტის რეკლამის გადაღებაზე მეგონა.

- რა დროს ელარჯია? - ვკითხე გაკვირვებულმა და ცოტა ნაწყენმაც.

- ელარჯი კი არა გეტყალიაა. როგორ ვერ იცანი? სპეციალურად შენთვის მოვამზადე, - გაკვირვებული და ცოტა ნაწყენი ჩანდა ჰოლმსიც.

- მაპატიე ჰოლმს, გადავიღალე, თან მგონი ფეხი დამისველდა, ალბათ ქალამანს ძირი გაუხვრიტეს.

- ამათგან მეტს რას უნდა ელოდე, - ჩაიქნია ხელი ჰოლმსმა და მეორე ხელით თეფში ხელახლა მომაწოდა.

გამოვართვი. ჩანგალი არ აღმოგვაჩნდა, ამიტომ ხელით ვჭამდი. გემრიელი იყო. ფეხიც თითქოს გამითბა. იესო უფრო ახლოდან მოჩანდა. ხელით ისევ რაღაცას გვანიშნებდა, მეორე ხელი კვართის ჯიბეში ჰქონდა ჩაყოფილი.

- კვართს ჯიბეები ჰქონდა? - მკითხა ჰოლმსმა მხრები ავიჩეჩე.

- დაიკიდე, - დამამშვიდა ჰოლმსმა, - ხანდახან ყველას გვავიწყდება რაღაცები.

ისედაც მეკიდა. თითქმის მისულები ვიყავით, იესოს ნათელი უკვე ისე გვანათებდა, რომ ერთმანეთის სახეებს კარგად ვარჩევდით და ერთმანეთის ტანსაცმელსაც და ჰოლმსს რატომღაც კილტი ეცვა და ყვითელი ვარსკვლავებით განყობილი მწვანე სვიტერი. მე კი - ლურჯი სპორტული, წარწერით პუმა და ნაცრისფერი მაისური, წარწერით Haze Days და ალბათ ქალამნებზეც მქონდა წარწერა, მაგრამ არ ჩანდა და ვფიქრობდი, რა შეძლება მწერებოდა ფეხებზე. უცბად ძაღლის ყმუილი ძალიან ახლოს გაისმა, მერე ვიგრძენით როგორ გადაგვახტა თავზე უზარმაზარი პუდელი და სანამ თავზე დასხმულ მყრალ ნვეთებს ვიწმენდით, ის კუნძულზე ავარდა და იესო შეჭამა. შუქი ჩაქრა. ჩამობნელდა.

- ახლა რა ვქნათ? - ვკითხე ჰოლმსს, მაგრამ არავინ მიპასუხა.

- ჰოლმს! ჰოლმს! - ვღრიალებდი და ვღრიალებდი და ვღრიალებდი და ვიღაცამ მხარზე ხელი დამადო და შემანჯღრია.

- რა გჭირს ბლინ, რა გაკივლებს? - მკითხა გიომ. დილა იყო, აივანთან უსაქმური ან, პირიქით, საქმიანი მეზობლები შეკრებილიყვნენ და გაკვირვებულები მიყურებდნენ.

- ქრისტე შეჭამეს, - ვუთხარი ჩუმად.

- ააა, - დაამთქნარა გიომ, - მაგისთვის მაღვიძებ. აივნის რიკული ააფუმფფულა და ისევ მიიძინა.

ოთახში გავედი. ყველანი უფუოლდ ისხდნენ. ხმაჩაწეულ ტელევიზორს უყურებდნენ და ფირმის სახელზე ფიქრობდნენ.

- რა ვარიანტები გაქვთ და მარკერი ხომ არ გაქვთ? - ერთდროულად ვიკითხე.

- მარკერი ტელევიზორზე დევს და ვარიანტებია ჯეკა, ძაღლსერჩი, ომარას ძაღლი, წითელი ძაღლი, წითელი ნახევარძაღლი, ძაღლ 22, ძაღლატამა, მისტერ ძაღლი, ალიბაბა და 40 მამაძაღლი, 1001 ძაღლი, თეთრყურა შავი ძაღლი, ლესი, ძაღლი გამოძახებით, ხელმარჯვე ძაღლი, მრავალძაღლიერი, ქარავანი მიდის, აისვენტურა, ცხელი ძაღლი.

- ეგ უკვე არის.

- სად?

- სერიალში.

- დაიკიდე მაშინ. კიდევ არის ვარიანტები, გავაგრძელო? - მკითხა გოგომ, რომელიც ბიჭს გავდა, ოღონდ აღარ ამთქნარებდა.

- გააგრძელე, - დავეთანხმე და ტელევიზორზე ჩამოთვლილი ვარიანტების დაწერა დავიწყე.

- ძაღლყურძენა, ძაღლაურა, ...

- მგონი საკმარისია, - შევაჩერე მარი.

ტელევიზორზე 20 ვარიანტი ეწერა, აქედან ჯერ 15 წავშალე, მერე 2 მივაყოლე და ბოლოს ყველაზე კარგები დავტოვე: ძაღლ 22, წითელი ნახევარძაღლი და ძაღლსერჩი. ლიჩნად მე მინდოდა ძაღლსერჩი აგვერჩია, მაგრამ კენჭისყრაზე ძაღლ 22-მა გაიმარჯვა და გიო გავაღვიძეთ.

- სახელი არის, ახლა რას ვშვებით? - ვკითხე და თვალი ჩავუკარი. იასნი იყო უნდა დაგველია, მაგრამ გიომ სლოგანის მოფიქრებაც მოინდომა და მანდ დაგვენძრა. ყველას ეზარებოდა უბენზინოდ მუშაობა.

ბოლოს ორი კაცი გაფუჭებული გიტარების ჩასაბარებლად გავუშვით დინამოზე და სასმელის ამოტანა დავავალეთ, დანარჩენები კი სლოგანს ჩავუჯექით. ბევრი ვუჯექით თუ ცოტა ვუჯექით, დავიღალეთ და გავიარ-გამოვიარეთ.

- ძაღლ 22, ეძიე ცხოველი შენი, - თქვა მარიმ.

- ძაღლ 22, თქვენი ძაღლი ჩვენს ხელშია, - თქვა გიომ და დავცინეთ და დაიძინა ისევ.

- ძაღლ 22, ძაღლით ან ძაღლზე, - თქვა გაგამ.

- ძაღლ 22, 100 ლარად პინგვინსაც მოგიყვანთ, - ვთქვი მე.

მარიმ მოიგო. ბიჭებმა არაყი ამოიტანეს, დავლიეთ. აივანზე აღარ გავსულვარ, მარის მივუწევეი გვერდით, გასაშლელ მწვანე ლოგინზე. რობოკოპივით ინვა, ელემენტ გამოცლილი რობოკოპივით. მიკვირდა აქამდე როგორ ვერ ვხვდებოდი, რომ მომწონდა. გადავწყვიტე დავლაპარაკებოდი, მგარამ მისი გაღვიძების ლოდინში თვითონ ჩამეძინა.

მესიზმრა ჰოლმსთან ერთად ფოთის "კოლხეთისა" და რუსთავის "ოლიმპის" თამაშს ვუყურებდი. ჰოლმსმა ჯიბიდან ჭიქა, თერმოსი, ჩაის ფერი, შაქარი და მრგვალი ბუბლიკები ამოიღო.

- რა დროს ესაა, ჰოლმს, - ვკითხე გაკვირვებულმა და ცოტა ნაწყენმა.

- გამომართვი, ცოტა კონიაკს ჩაგიმატებ და გაგისწორდება, მე ვეღარ ვსვამ, კუჭი მტკივა.

- აბა კონიაკს რაღას დაათრევ? - ავყვირდი გაბრაზებული, ნერვები მეშლებოდა წინა ღამე რომ მახსენდებოდა.

- ნუ ჯიჯღინებ დალიე, მეც დამწყდა გული იესზზე, მაგრამ რაც არის არის, ვეღარაფერს უშველი. იმ ძაღლს კიდევ ვიპოვი და ცხვარივით გავატყავებ. გუშინაც მთელი ღამე ვსდეე, მაგრამ ვერაფრით დავიჭირე. არადა, შორიდან მოკვლაც არ მინდა. ცოცხლად უნდა დავიჭირო - დამპირდა ჰოლმსი.

კონიაკს ვსვამდი. ჩაი და ბულკები დავიკიდე. "ოლიმპმა" პენალტი გაიტანა. ისიც დავიკიდე. მერე სტადიონზე ვიღაც შიშველი მასტი შემოვარდა, მსაჯს პანჩური ამოარტყა და ყველა მისდევდა. ისიც დავიკიდე.

- მგონი ვიცი სადაც უნდა ვეძებო, - მითხრა ჰოლმსმა.

- სად? - ვკითხე და ფეხსაცმელებზე დავიხედე, ჩინურად მეწერა რაღაც, მეხატა უფრო.

- ქალია, ზოოპორნოს იღებს. დისკი ვიყიდე ღღეს. ნახე ყდაზე რა ახატია.

ის იყო. უზარმაზარი პუდელი, ქალისთვის პირში ჩაედო და კამერისკენ გამომწვევად იყურებოდა, ტოესტ თესლურად. ნერვები ბოლომდე მომეშალა, კონიაკის ბოთლი მსაჯს ვესროლე და სანამ ადგომას მოვიფიქრებდი, დამიჭირეს. ნახევარ საათში კამერაში ვიჯექი, გვერდით ის მასტი მედგა, მსაჯს რომ პანჩური ამოარტყა და მეუბნებოდა, მარკერი მიშოვე და აქედან 15 წუთში გავალთო. ვუშოვე. ჯიბიდან ამოვიღე და მივაწოდე. კედელზე რაღაც სმაილი დახატა, ცოტა ხანს თვალებში უყურა, მერე კი იქ, სადაც შეიძლება სმაილს შუბლი ქონდეს თითი დაუკაკუნა და უთხრა:

- დაგენძრა ბრატ, - შუბლში შუბლი ჩაარტყა და კიდევ ჩაარტყა და კიდევ და კიდევ და გაანგრია კედელი და გავიდა გარეთ და გავედი მეც. დილა იყო, პახმელია მტანჯავდა.

- დღეს რას ვშვებით? - ვკითხე მარის, რომელიც შუბლზე თითით ნაზად მიკაკუნებდა და ისე დობრად მიყურებდა, ვიცოდი სადმე გაგზავნას მიპირებდა.

- დღეს ვრეგისტრირდებით და რეკლამას ვიფიქრებთ, მაგრამ რადგანაც ფული არ გვაქვს, სატელევიზიო რეკლამას ვერ გავქაჩავთ, ამიტომ რამე იაფფასიანი პრინტები გვჭირდება, რასაც აქვე კომპიუტერიდან ამოგბეჭდავთ და მერე იმავე ბოძებზე გავაკრავთ, სადაც ხალხი დაკარგული ცხოველების ფოტოებს აკრავს.

- მერე?

- მერე ვინმე იპოვის ჩვენს პრინტებს და დაგვირეკავს, ჩვენ კიდევ წავალთ და მოვძებნით იმ ძაღლებსა და კატებს და მაჩვებსა და თუთიყუშებს და ვიშოვით ფულს.

- მერე?

- მერე სატელევიზიო რეკლამის ფულს შევაგროვებთ და შეძლება „ბიზნესკურიერშიც" მიგვინვინო და ცოტა ხანში იმდენი ზარი შემოგვივა, რომ თვითონ ვეღარ გავწვდებით და ჩინელებს დავიქირავებთ. ოღონდ დაიმახსოვრე კორეელებისა და ვიეტნამელების ნდობა არ შეიძლება. ისინი ძაღლებს ჭამენ.

- მერე?

- მერე იმდენ ფულს ვიშოვნით, რომ ამ სორიდან ავიბარგებით და სადმე ნორმალურ ადგილზე გადავიტანთ ოფისს, იქ გალიებიც გვექნება, რომ დაჭერილი ცხოველები მანამდე ვიყოლიოთ, სანამ პატრონები არ მოაკითხავენ და ვისაც პატრონი არ მოაკითხავს, იმათ გავასუქებთ და ახალ პატრონებს მივყიდით.

- მერე?

- მერე გავმდიდრდებით და ერთმანეთს დავცხებთ. შენ და გიო ცალკე წახვალთ და საკუთარ "ძაღლ 22"-ს გააკეთებთ. მე გიჩივლებთ, რადგან ეგ ჩემი მოფიქრებული სახელია და იძულებული გახდებით სხვა სახელი მოიფიქროთ.

- მერე?

- თქვენ სმის გარდა არაფრის აზრზე არ ხართ, მთელ ფულს არაყში გაუშვებთ ან მოსაწევში, ან წამალში და გაკოტრდებით. ჩემთან მოხვალთ, მაგრამ მე უკვე მაგრად მეკიდებით და ახლოს აღარ გაგიკარებთ. თუ შეშინებას დამიპირებთ, ჩემი ჩინელი ბრუსლი და შანხაის ლომები და მანდარინები და კიდევ ვიღაცები მიგაჩმორებენ და ისევ ამ სახლში დაბრუნდებით. გიო უფრო ადრე მოკვდება, იმიტომ რომ სუსტი ნერვები აქვს, შენ ცოტას იფართხალებ და დაიკიდებ, მაგრამ რამდენჯერაც სადმე ძაღლს დაინახავ, იმდენჯერ გაგახსენდები და ბოლოს შეიძლება თავიც მოიკლა.

- მერე?

- რაღა მერე, კასანდრა კი არ ვარ, მეტი რაღა გითხრა.

- კარგი, დაიკიდე, წამო პრინტი მოვიფიქროთ. ესენი ეტყობა გაღვიძებას არ აპირებენ.

- მე მღვიძავს, - თქვა დათომ.

- მეც, - თქვა გაგამ.

- მეც, - თქვა ზაზამ.

- მე მძინავს, - დაიძახა გიომ.

და მართლა ეძინა.

ხალიჩაზე დავსხედით. ბევრი ვიფიქრეთ. ძალიან ბევრი, მაგრამ ბოლოს ისევ მარიმ გვიშველა. გიოს ის განცხადება მოატანინა, რითაც მთელი ეს ბაზარი დაიწყო, ზედ "ძაღლ 22", ეძიე ცხოველი შენი, რამდენიმე ნომერი და მისამართი მიანერა და პლაკატიც მზად იყო. გადავამრავლეთ და ყველგან გავაკარით. ყველგან, პოლიტიკოსების სახეებზე, თავისუფლება ცოტნეზეც, მისტერ მასტერზეც, კუნფუს პლაკატებზეც, კინოს აფიშებზეც, მაღაზიების ვიტრინებზეც, მშენებარე სახლების ხის ღობეებზე, ყვითელ ავტობუსებზე, თუმცა იქიდან მალევე ჩამოხიეს, ხიდის მოაჯირებზეც, საგზაო ნიშნებზეც, გივის ოთახის კარებზეც და კიდევ ბევრი ოთახის კარებზეც, მერე ფურცლები გამოგველია და სმა დავიწყეთ.

- კარგი დღე იყო, - მოდი ჩვენ საქმეს გაუმარჯოს თქვა გიომ და არაყი მოყლუპა. ყელი ისე ქონდა გამომხმარი, არც დაჯღანული, პირიქით, თითქოს ცხელ შოკოლადს სვამდა, კატასავით კრუტუნებდა და ტუჩებს ილოკავდა.

- გაუმარჯოს, - ვთქვით ჩვენც, ერთმანეთს ბოთლები მივუჭახუნეთ და დავლიეთ.

როდესაც ყველა ბოთლი დაიცალა, გიო აივნზე გავიდა და გამოგვძახა:

- ხვალ ტელეფონები არ გათიშოთ, ყურადღებით იყავით, გული მიგრძნობს ვინმე აუცილებლად დარეკავს. ვინც პირველი გაიღვიძებს, დანარჩენები გაგვაღვიძოს.

ცოტა ხანში მეც გავყევი:

- გიო, რაღაც მინდა გკითხო, გღვიძავს?

- ისეთ პონტში, მითხრა გიომ და თვალები გაახილა.

- როგორ ფიქრობ, ხვალ რომას ორიანი წამოვა?

- კი და ტოტენჰემისაც ევერტონთან. პროსტა არსენალი მეეჭვება, სამივე მეკარე დამტვრეული ყავს, კარებში ალბათ დენილსონს დააყენებს ვენგერი.

ოთახში დავბრუნდი. მარის ისევ ეძინა. შიგადაშიგ ხვრინავდა. თავი ცუდად ედო. ბალიში გავუსწორე. ისე წყნარად ვიქცეოდი, გული ამიჩუყდა. ცოტა ხანს ახალ ზელანდიაზე ვფიქრობდი. ჯერ კიდევ ორი წლის წინ ძალიან მინდოდა ველინგტონთან ახლოს, რომელიმე პატარა სოფელში დასახლება და კურდღლების ან ცხვრების ფერმის გაკეთება. მერე გამიარა, არადა არ იყო ძალიან ცუდი აზრი. უფრო უაზროო თემებზეც მიფიქრია. გამთენიისას ჩამეძინა.

ჰოლმსი დაფნის ბუჩქში იდგა. თვალები და დურბინდი ერთსართულიანი, ფანჯრებგანათებული და დიდგალავნიანი სახლისთვის მიეშვირა.

- სახლშია, სახლშია ეს ბოზი, - ბუტბუტებდა თავისთვის და კბილებს აღრჭიალებდა.

- კარგი რა ჰოლმს, ობრაზს კარგავ, - ვუთხარი გაკვირვებულმა და ოდნავ ნაწყენმა.

- იდი ნახუი, ბიჭო, იჯექი მანდ და შენი ხმა არ გავიგონო, - ჩაიბუზღუნა აშკარად ძალიან ნაწყენმა. უცბად სახლისკენ მიმავალი ძაღლი შეამჩნია და დამიძახა:

- მოდი ერთი შეხედე, მგონი ეს უნდა იყოს.

შევხედე. ძაღლი ორ ფეხზე იდგა და გალავნის კარებზე აკაკუნებდა.

- ჰოლმს, მგონი გეშლება, კაცია ვიღაც.

- კარგად დააკვირდი.

დავაკვირდი. ისევ ორ ფეხზე იდგა. არსენალის ფორმა ეცვა, ზურგზე ალმუნია ეწერა.

- კარგი რა, ჰოლმს, ხაიაზე ხარ, - გავბრაზდი მეც, რას ერჩი ალმუნიას.

- ალმუნიას დედას მოვტყნავ, - გადმოიღო შაშხანა, ტრანკვილიზატორებით გატენა და ესროლა. დაწვა კაცი კარებთან, ფეხსაწმენდზე. იმსიმძიმე იყო ძლივს გამოვათრიეთ.

ერთი საათი ეძინა, მერე თვალები გაახილა, მერე ისევ დახუჭა. ველოდეთ, აღარ გაახილა.

- ნახე ხომ არ მოკვდა! - მითხრა ჰოლმსმა.

პულსი გავუსინჯე, არ ქონდა, არც საფულე, არც პირადობა. ლუდის სახსნელი და ტოტალიზატორის ბილეთი ედო უკანა ჯიბეში.

- ეტყობა გული გაუსკდა, - დავუსვი დიაგნოზი და სიტყვის დამთავრებაც ვერ მოვასწარი, სახლისკენ გაქცეულ ჰოლმსს გავეკიდე. ქალი კარებთან გამოსულიყო და აქეთ-იქით იყურებოდა. ეტყობოდა, ახალი ნაბანავები იყო, პირსახოცში ასტერიქსივით იყო შეფუთული. ძაღლიც იქვე იყო.

- რა გნებავთ? - იკითხა ქალმა?

- ავტოგრაფი, - უპასუხა ჰოლმსმა და ჯიბიდან დისკი ამოიღო.

- მარკერი გაქვთ თუ გამოვიტანო? - შეწუხდა ქალი.

მივეცი.

სანამ ქალი ხელის მოწერას იხსენებდა, ჰოლმსმა ჯიბიდან მაყუჩიანი პისტოლეტი ამოიღო და ძაღლს შვიდჯერ ესროლა. შვიდივე ტყვია მოარტყა, ძაღლმა დაწკმუტუნებაც ვერ მოასწრო. ამასობაში ქალმა დისკი დაგვიბრუნა და დაფნის ბუჩქებისკენ წავედით. ჰოლმსი მთელი გზა ელოდებოდა, როდის დაიწყებდა ქალი კივილს, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა.

- იცოდე რომ მე სხვანაირად მინდოდა, - მითხრა ჰოლმსმა და მარცხნივ გაუხვია. მე ბუჩქებში დაყრილი ნივთების აგროვება დავიწყე. მერე რატომღაც დურბინდიდან სახლს გავხედე და დავინახე, რომ ქალი ძაღლს ეფერებოდა. ძაღლი კი კუდს აქიცინებდა და დარნმუნებული ვარ, ნაბოზვრულად იცინოდა.

დილით არავის დაურეკავს. პირველი ზარი ერთი თვის მერე შემოვიდა. ვიღაც გოგომ გვთხოვა, ჩემი სტაფი დაიკარგა და მომიძებნეთო. შევპირდით, მაგრამ საძებნელად არ ნავსულვართ. სტაფი უუტკი ცხოველია. თან ერთი კბენა და ექვსი თვე ვერ დალევ. აი, ვინმე პუდელის მოძებნას თუ გვთხოვს, სხვა საქმეა, სპანიელიც შეიძლება, ჩიხუახუაც.

ჰო, ჰოლმსს რაც შეეხება, აღარ მინახავს, არადა სულ მინდა იმ ძაღლის ამბავი ვუამბო. ვინმეს თუ დაგესიზმრებათ უთხარით, რომ პალიასტომის შავი პუდელი ცოცხალია.

ჯაბა ზარქუა

IMEDIN

* * *

რა სამწუხაროა, რომ მე არავინ მომცემს ნობელის პრემიას და სიკვდილის მერეც არავის ვემახსოვრები, არადა ვიმსახურებ. რატომ ვიმსახურებ? ამაზე ოდნავ მოგვიანებით.

მე ნოე ვარ. ეს სახელი რომ არ მრქმეოდა, ალბათ ფსევდონიმად მაინც ავირჩევდი იმიტომ, რომ შემეფერება. ნოე იყო კაცობრიობის უკანასკნელი იმედი. მეც უკანასკნელი იმედი ვარ.

კარგა ხანია ვიცი, რომ ინფიცირებული ვარ, თუმცა ყურადღება არასდროს მიმიქცევია - ვსვამდი, ვჭამდი, ვყლაპავდი, ვიკეთებდი და ა.შ. ერთ დღესაც, 47 წლის ვარ და ექიმი მეუბნება შემდეგს:

„სამწუხაროდ, დაზიანება არის მძიმე და ჰქვია ცალსახად - ციროზი".

რა გაეწყობა. ახლა აღარ ვსვამ და აღარ ვჭამ და აღარ ვიკეთებ და აღარ ვყალაპავ, თუმცა დაზიანება შეუქცევადია მაინც და ნელა თუ სწრაფად - პროგრესირებს. ოდესმე აუცილებლად დადგება დრო, როცა ექიმი მეტყვის შემდეგს:

„მიმართეთ ტრანსპლანტოლოგიის ცენტრს და დადექით აღრიცხვაზე. ჩვენი შესაძლებლობები ამოინურა ისევე, როგორც თქვენი ღვიძლის - საჭიროა გადანერგვა".

ტრანსპლანტაცია კი ძალიან ძვირი ღირს.

ჩემი ამბავი ყველამ გაიგო. მოდიან და მამშვიდებენ, ზოგი რას მირჩევს და ზოგი რას. ერთ-ერთ ექიმბაშთან მივედი. საზიზღარ ოთახში იჯდა, უგემოვნოდ ჰქონდა გაფორმებული. ქარიზმა საერთოდ არ გააჩნდა, წესიერად ვერ ლაპარაკობდა, სუნი ასდიოდა და მსუქანი იყო.

მისი მოცემული წამალი არ დამილევია, თუმცა ამ კაცის მადლიერი ვარ უზომოდ. რატომ?

ზემოთ ვთქვი, რომ ნოესი არ იყოს, მეც უკანასკნელი იმედი ვართქო. ჰო, ასეა - მე ვარ ნამდვილი უკანასკნელი იმედით მოვაჭრე! არანაირი ექიმბაში, შარლატანი და ა.შ. პირდაპირ და კონკრეტულად - უკანასკნელი იმედით მოვაჭრე. დიახ, მე გამოვიგონე გენიალური პრეპარატი IMEDIN, რომელიც უკვე რეგისტრირებულია და შეგიძლიათ აფთიაქშიც შეიძინოთ. ის კი არადა, ხალათიანი ექიმებიც კი ნიშნავენ.

გაინტერესებთ რისგან მზადდება? საიდუმლოა, თუმცა განა რა აზრი აქვს საიდუმლოებების შენახვას მაშინ, როდესაც უცხო მხარეში ხარ, ტრანსპლანტოლოგიის ცენტრში წევხარ და ელი ხვალინდელ დღეს, როცა უნდა ჩაგიტარდეს ურთულესი ოპერაცია, საიდანაც შეიძლება ვერც გამოძვრე ან გამოძვრე და ერთ კვირაში დაიღუპო. მართალია - არანაირი აზრი არ აქვს საიდუმლოს შენახვას, როცა სიკვდილის წინ უკანასკნელ ჩანაწერს აკეთებ.

* * *

მიუხედავად კაცობრიობის პროგრესისა, ერთი რამ მაინც არ იცვლება და ეს ერთი რამე არის ყვე-



ლაზე ძვირადღირებული პროდუქტი, რომელიც იყო, არის და იქნება ყველაზე ძვირადღირებული. იცით რა არის ეს? უკანასკნელი იმედი. ნებისმიერი ადამიანი მზადაა უკანასკნელ იმედში უკანასკნელი თეთრებიც კი გაიმეტოს. და თუ შენ შეფუთავ ამ „უკანასკნელ იმედს", მისცემ ხელშესახებ ფორმას, მოახდენ ამ აბსტრაქტული ცნების მატერიალიზაციას, მეტიც - დააკრავ იარლიყს, რომელზეც ლათინური ასოებით ეწერება IMEDIN - წარმატება გარანტირებულია. მარტივია თითქოს, პრიმიტიულიც კი - თუმცა ეფექტური, ფაქტია.

მთავარია რამდენიმე წესის გათვალისწინება, რომლებიც ჩამოვწერე და მინდა უკანასკნელი იმედით მოვაჭრეთა ათ მცნებასავით დავამკვიდრო, როგორც წარმატებისა და ცხონების უეჭველი ფორმულა:

ა) ნუ იქნები სულსწრაფი.

ბ) ნუ იქნები ხარბი.

გ) ნუ გარისკავ.

მართალია ათი არაა, მაგრამ რაცაა ეგაა.

სულსწრაფობა ღუპავს ჩვენს ბიზნესს. უამრავი კონკურენტი ჩამომცილებია გზიდან ამის გამო - შედეგი უნდათ აქ და ახლა, არადა მოთმინება აუცილებელია ჩვენს საქმეში. პოპულარობის მოხვეჭას დრო უნდა. დრო და გარკვეული ხრიკები, რომლებზეც ასევე ვისაუბრებთ.

სიხარეე უფრო მეტს ღუპავს, ვიდრე სულსწრაფობა. სხვების არ ვიცი და მე კონკრეტული მიზანი დავისახე, რომლისთვისაც კონკრეტულ დროში უნდა მიმეღწია: 100 000$! პარალელურად ვასრულებდი ექიმის ყველა რეკომენდაციას, რომ ჩემს დაავადებას მიზნის მისაღწევად დრო მოეცა. დამწყებ სახალხო მკურნალებაც ვურჩევდი იგივეს. საერთოდ, კარგია როცა საქმეს იწყებ კონკრეტული და ცხადი მიზნისთვის და არა უმიზნოდ.

რაც შეეხება რისკს, ამ პუნქტზე ქვემოთ მოგახსენებთ დეტალურად, რადგან ჯერ კიდევ ვერ გადამიწყვეტია გავამხელო თუ არა პრეპარატის სიიდუმლო ინგრედიენტები და წერის პროცესში თუ მივიღე გადაწყვეტილება, აუცილებლად გავამხელ. ზოგადად კი გეტყვით, რომ რისკს მოერიდეთ და გახსოვდეთ, რომ პროდუქტი, რომელსაც ყიდით არის „უკანასკნელი იმედი" და არა ახალი ღვიძლი, სიმსივნის წამალი და ა.შ. ნუ გეგონებათ, რომ ეს შეგიძლიათ და რასაც სინამდვილეში ჰყიდით, იმას დაჯერდით, საკმარისია თქვენთვისაც და თქვენი პაციენტებისთვისაც. შესაბამისად, ნუ ეცდებით დაუდგენელი ნივთიერებების გამოყენებას, რადგან ამით შეიძლება ავნოთ პაციენტს. ეს კი თქვენს ინტერესში არ შედის, რადგან მკვდარი პაციენტი = მკვდარ იმედებს.

* * *

როგორი შეპყრობილი ვიყავი იდეით, ღმერთო! მახსოვს ბინა გავყიდე ჩემი საქმისთვის და მომცრო ბინაში გადავედი, გარეუბანში ისიც. მორჩენილი ფულით კი პრესტიჟული ტელეარხების პრესტიჟულ გადაცემებში სიუჟეტების შეკვეთას არ დავეერიდე. ამაზე ცოტათი შევჩერდეთ.

ტელევიზიის პრესტიჟი იქ მთავრდება, სადაც ჩნდება ფული. არ დაიჯეროთ, რომ რომელიმე ტელევიზია თქვენს გარეკლამებაზე უარს იტყვის. თუ ეს ასე ხდება, ესე იგი საკმარის თანხას არ სთავაზობთ.

- გამარჯობა. მინდა, რომ ჩემი საქმიანობით დაინტერესდეთ. თქვენი გადაცემის ერთგული მაყურებელი ვარ. - არანაირი ნაცნობობა და ნეპოტიზმი. იმეილი მიგწერე თავიდან პროდუსერს, დაეინტერესე, შეხვედრაზე დავითანხმე და ერთ-ერთ კაფეში, სადაც სულ 21.60 ლარი გადავიხადე (ორი ესპრესო ჩემთვის, ერთი ლატე მისთვის + მომსახურების საფასური) გავუზე საუბარი. ინტელექტუალი ახალგაზრდა მამაკაცი ჩანდა, თუმცა აბა ამას რა მნიშვნელობა აქვს?!

- გავეცანი თქვენს საქმიანობას. იცით, როგორც ალბათ შეატყობდით, ჩვენი გადაცემა არის ერთგვარი ხარისხის გარანტი. ჩვენთან გასულ ნებისმიერ სიუჟეტზე ვაგებთ პასუხს მაყურებლების წინაშე და არ გვინდა, რომ მცირედი უზუსტობაც კი გაგვეპაროს და ხარისხი გაგვიფუჭდეს.

- რაში უნდა გაგეპაროთ უზუსტობა ჩემს შემთხვევაში?

- იცით, თქვენი საქმიანობა, რბილად რომ ვთქვათ, არატრადიციული მედიცინაა, რომელიც სერიოზულად არ შეიძლ...

- მოკლედ: ვაჩვენებთ სამ პაციენტს, რომელიც კმაყოფილია პრეპარატის; ერთ ექიმს, რომელიც ნიშნავს პრეპარატს; მე, როგორც პრეპარატის გამომგონებელს და ახალი სამკურნალო ალგორითმის შემმუშავებელს და აფთიაქარს, რომელიც ყიდის პრეპარატს და გეტყვით ციფრებს თუ რამდენი იყიდება. ამ ყველაფერში მე გადავიხდი 15 000$-ს.

- როგორ გეკადრებათ... - მითხრა მცირე პაუზის შემდეგ. ცოტათი დაბნეული იყო საუბრის ასე რადიკალური მოტრიალებით. მე კი ვიცოდი, რომ მიდებ-მოდება საქმეს გააფუჭებდა და თუ რამე მინდოდა, პირდაპირ უნდა მეთქვა.

- გასაგებია. ჩემი ბოლო შემოთავაზებაა 20 000$ 10-12 წუთიანი სიუჟეტისთვის. მგონი არაფერი სათაკილო და გასაოცარი ამაში არ არის - ბიზნესი ბიზნესია. რაც შეეხება ტრადიციულ და არატრადიციულ მედიცინას და ა.შ., გთხოვთ იმაში ნუ ერევით, რაშიც ვერ ერკვევით.

ამის მერე ცოტაც ვისაუბრეთ და 20 000$-ზე დავიყოლიე. ეს იყო პირველი დიდი გამარჯვება, რადგან „კვირა" გახლდათ ყველაზე სანდო, რესპექტაბელური და შემეცნებითი გადაცემა ტელეეთერში, რომელსაც ჰქონდა ძალიან დიდი რეიტინგი და ამ გადაცემაში 10-წუთიანი სიუჟეტი ნამდვილად დიდ ბენეფიტებს მომიტანდა. ასეც მოხდა - შემდეგ კვირაში ყვითელმა გაზეთებმა დამბეჭდეს, იმის მერე ყვითელმა გადაცემებმა მიმიწვიეს და პაციენტებმაც იმატეს.

მეტსაც გეტყვით, ის სკეპტიკოსი პროდუსერი ბიჭი, რომელიც არატრადიციულ მედიცინაზე მებჟუტურებოდა რაღაცეებს, შემდეგ ჩემი პაციენტიც გახდა. არაფერი განსაკუთრებული არ სჭირდა, უბრალოდ პანიკირი იყო დიდი ალბათობით. პაციენტებზე ცოტა მოგვიანებით გეტყვით ორიოდ სიტყვას.

არ დაგენანოთ ტელევიზიაში ფულის დახარჯვა და კარგი სიუჟეტის შეკეთა კარგ გადაცემაში, რადგან ამაზეა დამოკიდებული თქვენი ბიზნესის წარმატება. დიდი მნიშვნელობა აქვს დებიუტს. ცუდი დებიუტი ცუდი განვითარების მომასწავებელია.

შეიძლება ვინმეს სიგიჟედ გეჩვენებათ რომ გავყიდე ბინა და შევუკვეთე სიუჟეტი, მაგრამ ეს სულაც არ იყო სიგიჟე - ეს იყო მგონი ყველაზე სწორი და ფუნდამენტური გადაწყვეტილება, ჩემს საქმეში რაც მიმიღია და ერთი წუთით არ ვნანობ. ან კი რა მაქვს სანანებელი, როცა ეგ ფული ძალიან მალევე უკან დამიბრუნდა.

* * *

წარმოიდგინეთ ორი სიტუაცია:

1 - შედიხართ ექიმთან, რომელიც გინიშნავთ წამალს შემდეგი სქემით - პირველი ორი კვირის მანძილზე 50 მგ/კგ-ზე დღეში, შემდგომი ერთი კვირის მანძილზე 30 მგ/კგ-ზე, შემდეგ 20 მგ/კგ-ზე და შემდეგი ორი თვის მანძილზე 10 მგ/კგ-ზე შემანარჩუნებელი დოზა. პრეპარატი უნდა მიიღოთ ცხიმინან საკვებთან ერთად, დღეში ორჯერ - დილით და საღამოს. სასურველია მიღებას შორის შუალედი იყოს 11 საათი. უნდა დაიყოლოთ უხვად წყალი. პრეპარატი გიჯდებათ თვეში 300$ დაახლოებით.

2 - ექიმი გინიშნავთ პრეპარატს და გეუბნებათ, რომ ერთი კაფსულა უნდა დალიოთ დღის ნებისმიერ მონაკვეთში. მკურნალობა უნდა გააგრძელოთ სადღაც ასე ორი ან სამი თვის მანძილზე. პრეპარატი გიჯდებათ თვეში 30$.

რომელ ექიმთან უფრო მშვიდად იგრძნობდით თავს? ცხადია პირველთან.

ასეა - სქემებში დევს ნდობის გასაღები. თუ გინდა პაციენტის ნდობა მოიპოვო, აუცილებლად უნდა გამოიმუშაო ინდივიდუალურად მისთვის მკურნალობის სქემა, რომელიც რაც უფრო ჩახლართული და რთული იქნება, მით უფრო მოეწონება პაციენტს, რადგან შეექმნება შთაბეჭდილება, რომ სერიოზულ საქმეს აკეთებს. იდეაში ხომ თითქოს მნიშვნელობა არ აქვს ნახევარ ლიტრ წყალს ერთბაშად დალევს თუ დღეში სამჯერ მზარდი დოზებით? ნურას უკაცრავად - გადამწყვეტი მნიშვნელობა ამას აქვს სწორედ. როდესაც პაციენტი მოდიოდა ჩემთან, სახეზე ეტყობოდა, რომ სადღაც გულის სიღრმეში სინდისი ქენჯნიდა და შეიძლება რეხეკენოდა კიდეც. ამას უცბად ვამჩნევდი და ისეთ სქემებსა და ალგორითმებს ვახვევდი თავს, რომ ბედნიერი მიდიოდა - „ჰეი, ლამარაააა, არ ყოფილა ექიმბაში, არااااა!!!". მარტივი წესია, რომელსაც სამწუხაროდ ბევრი არ იცავს. იქაა დალუპული შენი ბიზნესი, როდესაც პაციენტს რაღაც კაფსულას მიუგდებ და ეტყვი როცა უნდა მაშინ დალიოს, ერთხელ ისიც და საკმარისი იქნება და დაუჯდება 5$. მსგავსი არასერიოზული მიდგომით ბევრი პოტენციური სახალხო მკურნალი „დაღუპულა". რატომ აკეთებენ ამას? იმიტომ, რომ ეზარებათ ფანტაზიორობა. მე კი არ მეზარებოდა, რადგან მკაფიო მიზანი მქონდა, რომლისკენაც მივდიოდი და ირგვლივ ვერაფერს ვამჩნევდი. თან ისიცაა, რომ ცხოვრებაშიც პედანტი ვარ და დიდი ძალისხმევა არ დამჭირვებია ამ ამბებისთვის. ერთი სიამოვნება იყო ჩემთვის, როდესაც გადმოვიღებდი სატიტულო ფურცელს, სადაც ჩემი საკონტაქტო ნომერი და სახელი და გვარი იყო მითითებული, ფონად კი "IMEDIN" ლოგო გახლდათ დატანილი და ვხაზავდი ზედ ათასგვარ სქემას.

- გავეცანი შენს ანალიზებს და ვფიქრობ, რომ შენ ამ კონკრეტული სქემით გჭირდება პრეპარატი იმიტომ, რომ... - და აქ ნწყებოდა ზღაპრები კონკრეტული ადამიანის კონკრეტული იმუნოლოგიური თავისებურებების შესახებ, ანალიზების ცრუ ინტერპრეტაცია და ა.შ.

ჩემი მონოლოგების დროს კი შიგადაშიგ პაციენტს შევაპარებდი თვალს, რომელიც თავს მიქნევდა, ფურცელს ჩაკირკიტებდა, სქემას ეცნობოდა და თვალში იმედის ნაპრწყალი უკიაფებდა. ენით აუწერელი თვითკმაყოფილების განცდა მეუფლებოდა ამ დროს.

* * *

ალბათ არ გაგიკვირდებათ თუ გეტყვით, რომ წარმატების ლომის წილი დამოკიდებულია ადამიანის ქარიზმაზე და პიროვნულ ნიშან-თვისებებზე. ეს არამარტო უკანასკნელი იმედით მოვაჭრეებს გვეხება, არამედ ზოგადად ადამიანებს. სამნუხაროდ თუ საბედნიერად, სამყარო ისეა მოწყობილი, რომ ძალიან უნდა გაუმართლოს სტივენ ჰოკინგს ვინმემ ყური უგდოს. პრინციპში, ასეთი მხოლოდ სტივენი იყო, მეორე მსგავსი არ მეგულება, არადა ღმერთმა უწყის რამდენი ეტლზე მიჯაჭვული ფიქრობს სამყაროს მოწყობაზე.

ძალიან გამიმართლა, რომ ბედმა ლამაზად ლაპარაკისა და მჭევრმეტყველების უნარი მარგუნა. ამით კომპენსირდებოდა ის ფიზიკური ნაკლები, რაც გამაჩნდა. პრინციპში, საეჭვოდ სიმპათიური და სტანდარტულად ლამაზი ექიმი, არც ქალი და არც კაცი, ნდობას არ ინვევს პაციენტებში, რადგან სტერეოტიპი მეტყველებს შემდეგს - ლამაზი არ უნდა იყოს ჭკვიანი, მახინჯი უფრო ჭკვიანი იქნება. ხალხს კი მკურნალად ცხადია ჭკვიანი უნდა და არა ლამაზი და საამოდ საცქერი. მადლობა ღმერთს, რომ სილამაზე ჩემთვის არ მოუნიჭებია.

პაციენტს სიამოვნებს, როდესაც უღეჭავ მისი დაავადების შესახებ ცნობებს და აცნობ დაავადების მექანიზმს მისთვის გასაგებ ენაზე. რა მნიშვნელობა აქვს მართალს ეუბნები თუ ტყუილს, სწორ ინტერპრეტაციას აკეთებ თუ არასწორს, აბსოლუტურად არანაირ! მთავარია გაიგოს. მთავარია მესიჯი იყოს მკაფიო და დასამახსოვრებელი. ასე მაგალითად: „შენი ღვიძლის 1/10 რომ დატოვო, ის იფუნქციონირებს სრულფასოვნად. მთავარია ეს 1/10-იც არ განადგურდეს და ჩვენ ამას ვიზამთ". ან კი ასე: „კიბო არის უჯრედების უკონტროლო გამრავლება. ჩვენ მოვახერხებთ იმას, რომ ყველა თქვენს უჯრედს ეცოდინება როდის და რატომ უნდა გამრავლდეს. როცა იმუნიტეტი იძინებს, მაშინ უჯრედებს ეს ავიწყდებათ და იწყებენ უკონტროლო გამრავლებას, რაც შემდეგ გვანადგურებს" და ა.შ. უამრავი მსგავსი შაბლონი მქონდა მოფიქრებული, რათა პაციენტების ტკივილში სამუდამოდ ჩამბეჭდა ის ინფორმაცია, რაც მჭირდებოდა.

არასდროს დამავინყდება ის ექიმბაში, რომელთანაც დიაგნოზის გაგების შემდეგ მივედი - საშინლად მეტყველებდა, ენა ებორკებოდა, უცნაური აქცენტი ჰქონდა. სულ რომ გვნიოსი ყოფილიყო, მის ერთ სიტყვასაც არ მოვისმენდი. მის მოწოდებულ წამალსაც კი არ მივიღებდი, ისეთი ანტიპათიით განმაწყობდა.

საოცარი შეგრძნებაა, როდესაც მომაკვდავი პაციენტის სახეზე ღიმილს და მადლიერების შეგრძნებას ამჩნევ. უფრო საოცარი კი პაციენტის თანმხლების სახეზე ათამაშებული თავდაჯერებული ღიმილია, რომელიც თითქოს ამბობს „აი, ხომ გეუბნებოდი, რომ არ მომყვებოდი - მაგარი კაცია!".

* * *

რამდენ ვინმეს არ შევხვედრივარ, რამდენი საინტერესო ადამიანი არ მოსულა ჩემთან - ღმერთმა იცის რამდენი მათგანია დღეს ცოცხალი.

ყველაზე ხშირად მაინც მღვდლები მსტუმრობდნენ. მღვდლები და დეპუტატებიც, პრინციპში. ეს ორი ერთ ქვაბში იხარშება.

შეიძლება ვინმეს გეუცნაუროთ, მაგრამ პირადი დაკვირვებით ერთ რამეს წავაწყდი - მღვდლებსა და დეპუტატებს დაახლოებით ერთი და იგივე პრობლემები ანუხებთ, რაც ჭარბ ნონასთან და მასთან დაკავშირებულ დარღვევებთანაა კავშირში - შაქრიანი დიაბეტი, არტერიული ჰიპერტენზია, ღვიძლის გაცხიმოვნება და ა.შ. პრინციპში, არაფერი უცნაური აქ არ არის. ბუნების კანონია - სხვის ზრუნვაზე გადაგებულები ჭარბ ცხიმებს ვერ აუდიან, მათი ბედისწერაა ერთგვარად.

ამ ხალხის ყველაზე მთავარი მოთხოვნა იყო შემდეგი:

- ექიმო, რამე ისეთი წამალი იყოს იქნებ, რომ დალევ და ორგანიზმი გაიწმინდოს, ორგანოები დაიცვას.

ღმერთო ჩემო, ეს ხომ IMEDIN-ია! ძალიან მიხაროდა ასეთი პაციენტების ხილვა, რადგან ვიცოდი, რომ აქ და ახლა არ მოკვდებოდნენ და ხანგრძლივად ივლიდნენ ჩემთან, ჩემგან გასულები კი მეგობრებთან სიამაყით განაცხადებდნენ: „ეჰეი! ოქრო კაცს მიგასწავლი, ხომ მიყურებ? ვსვამ, ვჭამ, არაფერს ვიკლებ და მაინც ჯანზე ვარ". რომ არ არსებობდეს ყველაფრის განმკურნავი სუპერაბი, ადამიანები მას აუცილებლად გამოიგონებდნენ. გამოვიგონე კიდეც - IMEDIN.

უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებელთა ეს სეგმენტი განსხვავდება უკანასკნელი იმედის მაძიებელთა სეგმენტისგან. ესენი ცალსახად ბრიყვები და ზარმაცები არიან. იქ კი სხვაგვარადაა საქმე.

ზის მღვდელი ანაფორით, მიყურებს თვეზის თვალებით და მეუბნება:

- იცით, შვილო ჩემო, მიწევს დალევა კვირაში რამდენჯერმე. ხომ ხვდებით, იქ მრევლი, იქ დღესასწაული და ა.შ. რთულია, რთულია ამ ქვეყანაში, სხვაგვარად არ გამოდის. არ დალევ და აწყენინებ ხალხს. რა უნდა ქნა რომ არ დალიო და არ ჭამო? მიხვალ სუფრაზე და ისე იჯდები - გეტყვი-



ან რას მოდიოდიო. არ მიხვალ საერთოდ და გეტყვიან რად არ მოხვედიო. ხომ გესმით ჩემი, ძალიან რთულია ეს ყველაფერი. იცით, მინდა რომ რაიმე ისეთი წამალი მივიღო პარალელურად, რომელიც ჯანმრთელობაზე ხელს შემავლებს და ფორმას არ დამაკარგვინებს. ხო ხვდებით არა, ორგანიზმია მაინც - ცეროზი, გეპატიტი, ამბავი... საშიშია კაცო, ვიცი რო არ შეიძლება ასეთი ცხოვრება, მაგრამ სხვანაირადაც არ გამოდის ეს დასანავი და რა ვქნა აბა?!

ცხადია, ვუხსნიდი მღვდელს, რომ ასეთი წამალი არსებობდა და მას IMEDIN ერქვა. შემდეგ ვიღებდი პაუზას ინდივიდუალური მკურნალობის სქემის მოსაძებნად, რომელიც გონებაში უკვე კარგა ხნის მოძებნილიც მქონდა, მაგრამ ეს პაუზა მაინც აუცილებელი იყო დამაჯერებლობისთვის. შემდეგ ვუნერდი ფურცელზე რეცეპტს, მიღების წესებს, მკურნალობის ხარნგრძლივობას, ერთი თვით ალკოჰოლისგან თავშეკავებასაც ვურჩევდი საკმაოდ მკაცრად იმ მიზეზით, რომ თითქოსდა 50 მგ/კგ IMEDIN-თან ალკოჰოლის ჭარბად მიღება სახიფათოა, პრეპარატის ნაკლებ დოზასთან კი შეიძლება. ისინი მისმენდნენ, შუბლს ჭმუხნიდნენ და თავს მიქნევდნენ. ერთმა პირდაპირ მითხრა კიდეც:

- მიყვარს, როცა ჩემზე ჭკვიან ადამიანებს ვემორჩილები, ვისაც საქმისა გაეგება. ისიც მიყვარს, როცა მე მემორჩილებიან.

აი ხომ გეუბნებით, ყველაფრით ერთმანეთს ჰგავდნენ ეს მღვდლები და დეპუტატები. ერთნაირი დაავადებებით, ერთნაირი მსოფლმხედველობით, ერთნაირი პრობლემებით...

ისინი იყვნენ ზარმაცები იმიტომ, რომ ცხოვრების წესის შეცვლა არც უნდოდათ და არც შეეძლოთ. ბრიყვები კი იმიტომ იყვნენ, რომ სჯეროდათ სუპერრაბების არსებობა. მაშ, ნეტარ არიან მორწმუნენი! ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

ჰო მართლა, კინაღამ დამავიწყდა ზემოთ მეთქვა - IMEDIN ცხადია საიდუმლო, მაგრამ ბუნებრივ ინგრედიენტებზე გახლდათ დამზადებული. არანაირი ქიმია! ან ასე პირდაპირ ენერა კოლოფზეც. ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, რომ განსაკუთრებით მღვდლებში სარგებლობდა დიდი პოპულარობით პრეპარატი, რადგან ისინი რატომღაც სამედიცინო პროგრესს ეჭვის თვალით უყურებდნენ და ერჩიოვნათ პირველყოფილი მეთოდებით მკურნალობის ილუზია შეექმნათ, ვიდრე რაიმე ბანალური ანტიბიოტიკი დაელიათ. კაცია და გუნებაო, მათი გადასანყვეტია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქმე საქმეზე როცა მიდგებოდა, მათი ფეხი აღარ იყო ჩემთან და ყველანი მაინც ნორმალურ ექიმებთან გადაინაცვლებდნენ ხოლმე. თუმცა როცა მედიცინა მათთან ვეღარაფერს აწყობდა, ისევ მიბრუნდებოდნენ უძღები შვილები და მე კი, ცხადია, მივუტევებდი მათ ყოველივეს და ხელგაშლილი ვხვდებოდი IMEDIN-ის გაძლიერებული, დარტყმითი დოზებით.

რომ დავუფიქრდი, რაღაცით თვითიდენტიფიკაციას ვახდენდი ამ ხალხთან - განა დეპუტატებიცა და მღვდლებიც უკანასკნელ იმედს არ ჰყიდიან სარფიანად?

* * *

სულ სხვა კასტა იყო მდიდრები და ინტელექტუალები. ეს ორი მაკვირვებდა ყველაზე მეტად, რადგან მათ ადგილას საკუთარ თავს წარმოვიდგენდი - საკმარისი თანხა რომ მქონოდა, ამ საქმეს ხომ არ მოვეკიდებოდი და პირდაპირ ვიმკურნალებდი წესიერად წესიერ კლინიკაში? მაშ ესენი რაღას ეძებდნენ? განსაკუთრებით სკეპტიკოსი ინტელექტუალებისა მიკვირდა, როგორ ენდობოდნენ ყოველგვარი ობიექტური მტკიცებულებების გარეშე რაღაც პრეპარატს, რომლის ინგრედიენტებიც არ იცოდნენ? ეს ხომ ის ხალხია, რომელიც ექიმის ნათქვამს ათასჯერ გადაამოწმებს სხვადასხვა წყაროებში, მაშ ჩემთან რაღა უნდოდათ?

ასეთი ადამიანები უკიდურესი გაჭირვების ჟამს მოდიოდნენ ჩემთან. ზემოთ ხსენებული მღვდლებისა და დეპუტატებისგან განსხვავებით, ესენი მხოლოდ მაშინ მომადგებოდნენ თავიანთი ცალყმა ღიმილით, როცა ჩემს იქით გზა არ ჰქონდათ და კლასიკური მედიცინის კარები მათთვის სამუდამოდ ჩაკეტილიყო.

სქემების წერისას და ამ ყველაფრის ახსნისას ვაკვირდებოდი მათ და ვამჩნევდი, რომ არც მისმენდნენ წესიერად, მექანიკურად მიქნევდნენ თავს და რაღაცნაირი ფლეგმა სახით მიმზერდნენ. ვხვდებოდი ამ დროს რა შინაგანი ბრძოლების გადატანა უწევდათ, რამხელა დაპირისპირება მიმდინარეობდა მათ ტვინში, როგორ რცხვენოდათ აქ ჯდომა, მაგრამ მაინც ისხდნენ. რაღაცნაირად თანავუგრძნობდი კიდეც მათ, თუმცა სხვა არაფრით დახმარება არ შემეძლო. რთული მომაკვდავი სკეპტიკოსის ყურება, რომელსაც უწევს უკანასკნელი იმედის ვაჭართან კონსულტაცია. ყოველთვის იჯდა ხოლმე მათ გვერდით ან დედა ან და ან მეუღლე, რომელიც იცრეშლებოდა და ამხნევებდა მათ, ისინიც უგერგილოდ და უემოციოდ მხნევდებოდნენ - წესის გულისთვის. ვხვდებოდი რომ ეს ყველაფერი ერთი დიდი ფარსი იყო - ყველამ ყველაფერი ვიცოდით, თუმცა არავინ ვიმჩნევდით.

ერთხელ გასვენებაში მოვხვდი, არ მახსოვს ვისი იყო, თუმცა კი რა მნიშვნელობა აქვს. იმის თქმა მინდოდა, რომ იქ ერთ-ერთ მსგავს სკეპტიკოსს წავაწყდი.

- კიბოთი მოკვდა, კობა. - მითხრა სევდიანად.

- ვიცი, სამწუხაროა. - ვუთხარი.

- ჰო, რვა საათზე უნდედა IMEDIN-ის დალევა თურმე, რვას უკლდა თხუთმეტი წუთი, როცა გარდაცვლილა.

არაფერი მიპასუხია ამ მიღმიერი სარკაზმისთვის, ისე გამოვეცალე. თუმცა კი დამამახსოვრდა მწარედ.

* * *

მდიდრები საერთოდ მაბნევდნენ თავიდან. ადამიანი, რომელსაც თანამედროვე მედიცინის ყველა სიკეთით სარგებლობის ფუფუნება გააჩნია, რატომ სარგებლობს IMEDIN-ით? საკითხავი აი ეს არის. მერეღა ამოვხსენი ეს საიდუმლო.

- იცი ნოე, მე წავიკითხე, უკვე საკმაო ცოდნა დამიგროვდა მედიცინაში და მინდა გითხრა, რომ

ეს ყველაფერი ერთი დიდი მაფიაა! - მითხრა ერთ-ერთმა.

- რა მხრივ?

- აი ახლავე გეტყვი. გგონია კიბოს წამალი გამოგონილი არ არის? ცხადია გამოგონილია, მაგრამ ბაზარზე არ უშვებენ იმიტომ, რომ ჯერ არსებულმა პრეპარატებმა უნდა ამოიღონ დანახარჯები. ბიზნესში გამეგება რაღაც რა, დამიჯერე ასეა. - ამ ორგროშიანი ბრძნადმეტყველების შემდეგ განსაკუთრებით ამაზრზენად იღიმოდა ყოველი მათგანი, ძალიან რთული იყო ამის ატანა.

- მართალი ხართ. - უფრო რთული ამ სიტყვების თქმა იყო.

- რა თქმა უნდა. იცი, FDA, WHO, CDC და სხვა ასეთი ორგანიზაციები შეკრულები არიან და იმართებიან ერთი და იგივე სასტავისგან.

- ვისგან?

- აბა მე რა ვიცი, მკითხავი კი არ ვარ კაცო, ჰაჰა... მე იმას გეუბნები, რაც უეჭველია და ლოგიკურია, თორემ დანარჩენი ჩემი საქმე არაა.

- მართალი ხართ.

- იცი, როდესაც მე პირველად ვიყავი ექიმთან, მითხრა, რომ სამი თვის სიცოცხლე გაქვსო დარჩენილი და მას მერე იმასთან არ მივსულვარ. კი გავიდა ერთი წელი და ცოცხალი ვარ. ინტერნეტში ბევრი ვეძებე და ბოლოს მოგაგენი. მადლობა ღმერთს.

- გაიხარეთ.

- პირიქით, გაიხარე, ნოე. შენ რომ არა, ვინ იცის ახლა სად ვიქნებოდი. ოხ ეს არამზადები ისე, როგორ გვაბოლებენ, ა? როგორ მეზიზღებიან, ოხ, როგორ მეზიზღებიან6! მაგათი შემყურე ახლა მიწის ქვეშ ვიდებოდი!

ეგ იყო და ეგ. პატარა კაცებს აქვთ სწრაფვა ყველაფრის ცოდნისკენ. ისინი ჰაერივით საჭირონებენ განცდას, რომ დანარჩენ მსოფლიოზე ჭკვიანები არიან. მათ სურთ, რომ ყველა სფეროში ერკვეოდნენ, რასაც ხელს მოჰკიდებენ, არადა იგივე უშუბლოები არიან, როგორიც იყვნენ ფულის შოვნამდე. მათ რატომღაც ყოველთვის უნდათ იმის დამტკიცება, რომ ბიზნესის გარდა ცხოვრებისეულ საკითხებშიც გაეგებათ და თავიანთი ორიგინალური მოსაზრებებიც გააჩნიათ ამა თუ იმ საკითხზე. არაფერია იმაზე მომაბეზრებელი, ვიდრე ამ „ორიგინალური აზრების" მოსმენა კვირაში რამდენჯერმე.

იცით რა, ახლა რომ ვიხსნებ ყველაფერს ერთად, ვრწმუნდები რომ IMEDIN მართლა უნიკალური პროდუქტია. ეს ისაა, რაც ყველას სჭირდებოდა და არ ჰქონდათ. საერთოდ, მორმწუნე ადამიანებს აქვთ მიდრეკილება აბსტრაქციის მატერიალიზაციისკენ. აი მაგალითად, რომ ჰკითხო უმრავლესობა მათგანს, გეტყვიან რომ სული არამატერიალური, მატერიის მიღმა კონდიციაა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ასევე უმრავლესობა მათგანს სჯერა სულების გამოცხადებისა თუ ვიდეოფირებზე დაფიქსირების. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ითხოვენ გულის სიღრმეში აბსტრაქტული ცნებების მატერიალურ განსხეულებას მეტი თავდაჯერებულობისთვის და უპირატესობის განცდისთვის. სწორედ აქ გავარტყი მეც - მოვახდინე უკანასკნელი იმედის, ერთი მიმზიდველი აბსტრაქტული ცნების მატერიალიზაცია, შეფუთვა, კომერციალიზაცია და დანარჩენი თავად აეწყო. IMEDIN ყველას სჭირდება.

* * *

უკვე მერამდენედ შემოდის ოთახში თურქი ექთანი და მაფრთხილებს, რომ ძალიანაც ნუ გადავილი თავს და მიჯობს მოვემზადო, რამდენიმე საათში საოპერაციოში შემიყვანენ.

„კარგი, კარგი" ვუქნევ თავს და ვიხმობ ჩემთან: „შეიძლება ეს ფურცელი გააგზავნოთ კონკრეტულ მისამართზე? წერილია". ექთანი მპირდება რომ ყველაფერს გაარკვევს და პასუხს უახლოეს წუთებში შემატყობინებს.

სანამ ის შემოვა, მე ამ ბოლო წინადადებებს ვწერ. ვფიქრობ, ვის უნდა გავუგზავნო ეს ყველაფერი ან საერთოდ რატომ უნდა გავუგზავნო..."

* * *

ზაზა ნოეს ერთ-ერთი პაციენტი იყო. უკანასკნელ დოზას იღებდა პრეპარატისას და ცდილობდა ნოესთან დაკავშირებას, რასაც ვერა და ვერ ახერხებდა. უკვე ნერვიულობას იწყებდა - მხოლოდ ნოეს შეეძლო მისთვის საჭირო სქემით პრეპარატის გამოწერა, სხვა ექიმი ვერ დაეხმარებოდა. ნოე კი არ ჩანდა. სამაგიეროდ დღითი-დღე უფრო საჩინო ხდებოდა მისი ქოლანგიოკარცინომა.

როდესაც ზაზამ წერილი მიიღო, ძალიან გაუკვირდა და როცა შეიტყო პირველივე გვერდებიდან, რომ ეს ნოეს ნაწერი იყო - მთლად გადაირია და ერთი ამოსუნთქვითი ჩაიკითხა ბოლომდე, ეგონა, რომ ბოლოში მაინც ეწერებოდა მკურნალობის გაგრძელების მორიგი ტაქტიკა, ეგონა რომ ნოეს პაციენტი გახსენებოდა და ეს უსტარი გამოეგზავნა, რომლის ბოლოშიც ან შუაში ან სადმე აუცილებლად იქნებოდა მომდევნო ნაბიჯების ინტრუქცია.

„...ზაზა, გადავწყვიტე შენთან გამომეგზავნა ეს ნაწერი. შენ გამახსენდი პირველად. შენ იქნები პირველი, ვინც გაიგებს რისგან მზადდება IMEDIN.

IMEDIN დამზადებულია ნატურალური ხავსისგან.

დამზადების წესი: ვიღებთ მდინარის სიპ ქვაზე მოდებულ ხავსს, ვურევთ წყალში, ვაფასოვებთ და ვყიდით.

პატივისცემით, შენი უკანასკნელი იმედის ვაჭარი, ნოე".

ზაზამ ბოლო სიტყვები ძალიან ბევრჯერ გადაიკითხა. შემდეგ წამოდგა სავარძლიდან და გაიარ-გამოიარა. ნაწერი მაგიდაზე დადო. მალევე აიღო და თავიდან ბოლომდე ისევ გადაავლო თვალი.

კედლის საათმა რვაჯერ დარეკა. ზაზას გაახსენდა, რომ პრეპარატის მიღება უნევდა. იქვე ედო, მაგიდაზე. აიღო, კაფსულას მზის შუქზე გახედა და გადაყლაპა. ბოლო იყო.

ზაზამ მუცელში ტკივილი იგრძნო. ისევ აიღო ფურცლები, ბოლო სიტყვები კიდევ ერთხელ გადაიკითხა და უახლოესი მდინარისკენ გაეშურა.

07.07.2014

ბელა ჩეკურიშვილი

რაინისპირა ამბები



აზერბაიჯანელი ბებო და ფრთები

როცა თბილისის გერმანიის საკონსულოში ტყვიაგაუმტარი შუშის იქიდან ვიზადარტყმულ პასპორტს გადმოგაწვდიან, აუცილებლად დააყოლებენ, რომ ეს ბეჭედი საკმარისი მაინც არ არის ევროკავშირის ქვეყნებში შესასვლელად და რომ შეიძლება დამატებითი საბუთებიც მოგვთხოვონ საბაჟოზე.

"დამატებითი საბუთები" ჩემთვის არასდროს მოუთხოვიათ, თუმცა კი მუდამ წვრილად მეკითხებიან, "აღთქმული ქვეყნის" კარიბჭესთან ვისი წყალობით აღმოვჩნდი, რა მიზნები მამოძრავებს და რამდენ ხანს ვაპირებ იქ დარჩენას. ეს, დაახლოებით, საზვერეების გავლას ჰგავს, სადაც უნდა შემოწმდეს, რამდენად წმინდა გულით ვაპირებ დემოკრატიის სამოთხეში გადაბიჯებას, გამჟღვანდეს ჩემი სულის იდუმალი მხარეები, აინონოს ჩადენილი და ჩასადენი ქმედებების მართებულობა, გამოირიცხოს ყოველგვარი ეჭვი და მომენიჭოს ფრთები.

მიუნხენის საბაჟოზე იმ რიგში ვდგავარ, რომე-

ლიც არაევროპული ქვეყნების მოქალაქეებისათვის არის განკუთვნილი. რიგი არც ისე გრძელია. მაისია. ანათუს მზე და სტამბოლის აეროპორტში 6-საათიანი ლოდინის მიუხედავად, ულრუბლო განწყობაზე ვარ, რადგან მიუხხენში ჩასვლა ძალიან მიხარია მთელი რიგი მიზეზების გამო...

რიგი სწრაფად მიიწევს წინ. აი, ჩემ წინ ორიოდე კაციღა დარჩა, გული ვლიღინებს "ბათუმს ქალქალთას, ბათუმს თვალწრმტაცს" და ცოტა ხნის შემდეგ ვხვდები, რომ რაღაც დიდხანს ვლიღინებ, ამ სიმღერის ტექსტი ნაგლეჯებად მახსოვს და წესით, მთლიანის გახსენება არ უნდა დამჭირდეს, რიგმა ისე უნდა მომიწიოს. ვიხედები მარჯვნივ, მარცხნივ, მერე წინ და აშკარად რაღაც ნაცნობი ინტონაციით ნათქვამი სიტყვები მესმის: საბაჟოს მომწვანეშუშებიან კაბინას მისდგომია თავშლიანი ბებო და ჩანთაში იჩეჩება, თან რაღაც სიტყვებს იმეორებს. კი ვერ ვარკვევ, რას ამბობს, მაგრამ აშკარად ძალიან ნაცნობი ინტონაციაა და ყურებს ვცქვეტ, სმენას ვძაბავ, რომ გავერკვე. ვაჰ, ვერ ვიგებ, მაგრამ მეცნობა, ზოგი სიტყვა რუსულს ჰგავს და ზოგი კიდევ თბილისში გაგონილ რაღაც ენას. ახლა ბებოს ვაკვირდები და თითქოს სადღაც მინახავს, სადღაც კი არა, თბილისში ალბათ, რა ვიცი, ქუჩაში, ათი ათასჯერ, გამოვლაპარაკებივარ კიდეც, მწვანილიც მიყიდია, წიწაკაც, ისპანახიც, ვაჰ, აზერბაიჯანელი ბებოა რა, თავსაფრიანი, ჭრელკაბიანი, ბაჯი, რუსულ-აზერბაიჯანულად ბუტბუტებს და ჩანთაში იჩეჩება და იჩეჩება. მებაჟე მოთმინებას კარგავს და უკვე ხმამაღლა ჩხუბობს, ბებო ბუტბუტს უმატებს და ჩეჩვას, მებაჟე - ხმას და რიგი კისრებს იგრძელებს.

საბაჟოზე რიგი არათუ უნდა დაიცვა, მთითებულ ხაზსაც არ უნდა გადააბიჯო, მშვიდად უნდა იდგე და ვეტყობოდეს, რომ მოწესრიგებულ, უსაფრთხო, დემოკრატიულ ქვეყანაში შედიხარ, აბა, მაშ, ფრთები რომ გინდა?

მაგრამ ხანდახან რაღაცები მაინც გვავიწყდება, ხომ ადამიანები ვართ, ცოდვილები, აკი ცოდვასა შინა გვშვა დედამან ჩვენმან, ჰოდა, მეც უნებურად ვარღვევ რიგს, ვაბიჯებ მოლოდინის ხაზს და ვუახლოვდები მწვანე შუშნარს გერმანულ-რუსულ ენაზე ხმამაღალი შეძახილებით. რუსულად მივმართავ ბებოს, რა გჭირს-მეთქი, მებაჟეს გერმანულად ვეუბნები, იქნებ დაგეხმაროთ-მეთქი, რუსული ვიცი-მეთქი, ქართველი ვარ-მეთქი, აზერბაიჯანელებს ვიცნობ-მეთქი და ბოლოს, რა პრობლემა აქვს ამ ბებოს-მეთქი?

მებაჟე წყნარდება და მეუბნება, რომ ბებომ უნდა წარმოადგინოს მოწვევა, რის საფუძველზეც მას ბაქოში თუ თბილისში (ეს უკვე აღარ ვიცი) პასპორტში ვიზა ჩაურტყეს. კარგით, გავარკვევ-მეთქი, ვპირდები და ახლა ბებოს ვეკითხები:

- მწვევა ვინ გამოგიგზავნა, აქ რატომ ჩამოხვედი?

ენაზე მადგას სიტყვა "ბაჯი", გული მიჩუდება და თან, რაღაცნაირად, მშობლიური ტალღა მივლის, ლამისაა, გულშიც ჩავიხუტო, ეს დაბნეული, დამფრთხალ-შეშინებული მოხუცი ქალი, რაღაცით ჩემს ბებოსაც რომ მაგონებს.

- შვილებმა, - მპასუხობს ბებო იმ რუსულით, მწვანილის ყიდვისას რომ მესმის ხოლმე, - ჩემმა შვილებმა.

- აქ ცხოვრობენ? - ვაგრძელებ გამოკითხვას.

- ცხოვრობენ, მუშაობენ, შვილიც და რძალიც.

- მერე, სად გაქვს ის მოწვევა, წამოიღე თან?

- არ ვიცი, - ამბობს ბებო და ჩანთას აყირავებს პირდაპირ შუშებიან კაბინასთან.

ჩანთაში ქაღალდის მსგავსი არაფერია.

ბებოს ხელში "პლაშისმაგვარი" რაღაც უჭირავს.

- მოიცა, იქნებ ამ "პლაშის" ჯიბეში ჩაიდე? მოვძებნოთ.

ვართმევ ხელიდან და მის ჯიბეებში ურცხვად ვიქექები. უშედეგოდ, შიდა ჯიბეებსაც ვნახულობ, მერე ძირს ვაგდებ და ახლა ჩანთის შიდა ჯიბეების აღმოჩენას ვცდილობ, ხომ შეიძლება ის ორად თუ ოთხად დაკეცილი ბედნავი ქაღალდი სადმე შიდა ჯიბეში ჩაიდო და აღარ ახსოვს? მერე თავს ვწევ და ვეკითხები:

- სხვა ჯიბე არ გაქვს? მაგ კაბაზე ჯიბე არ გაქვს? -ახლა უბეზე ვანიშნებ, - იქნებ მანდ ჩაიდე ფულთან ერთად? - ვიცი, რომ ბაჯები ფულს უბეშიც ინახავენ.

ამ დროს არათუ მებაჟე, რიგი კარგავს უკვე მოთმინებას, იშმუშნებიან, ალბათ შიშიც იპყრობთ, ეს თავსაფრიანი მოხუცი ემანდ ტერორისტი არ აღმოჩნდეს, რაღაც იგი იქქეებ-იჩეჩება და ის შავთმიანი ქალიც გერმანულად კი ლაპარაკობს, მაგრამ აშკარად აღმოსავლელია და მის ჩანთაში საეჭვოდ აფათურებს ხელებს.

რომ წარმოიდგინოთ თევზის ხერხემალი, აქეთ-იქით გამოზრდილი ფხებით, ასეთ ფორმას იღებს რიგი - ზოგის ტანი მარჯვნივ იხრება, ზოგის - მარცხნივ, კარგად რომ დაინახონ რა ხდება წინ, მომწვანო შუშიან კაბინასთან, რომელიც ღრბუბლებში ამაღლებულა, როგორც ოცნება კაცისა, იმ ღრუღლებიდან გადმოგვყურებს მებაჟე, ხოლო სარკმელი ზუსტად ჩემი თვალების დონეზეა, ნუ, მაღალი ადამიანებისთვის - ტუჩების დონეზე, რათა ხმა დაუბრკოლებლად შესრიალდეს და მებაჟის ამაღლებულ ყურს მისწვდეს, როცა პასპორტს გადაანდო, რადგან მან ფრთები უნდა გადმოგაწოდოს. ანდა, შეიძლება არც გადმოგაწოდოს, თუკი შენი სულისა და გულის სიწმინდეს არ დაუდასტურებ რომელიმე დამატებითი საბუთით.

აი, აზერბაიჯანელი ბებო დგას და ვერ ადასტურებს, ჰოდა, სად არის, აბა, ფრთები? არ არის! არ არის და ბებო მიუხხენში ვერ შეფრინდება.

ბებოს სახე ოფლით ეცვარება და მეც უკვე ხვითქში ვცურავ, უკვე ვიცი, რომ ძებნას აზრი არ აქვს და აქეთ-იქით ვიხედები საშველად. ვიხედები და უცებ სახე მინათდება: საბაჟოს შემინული კედელი აქვს, რომელიც მას აეროპორტის მოსაცდელ დარბაზთან ჰყოფს, ხოლო ამ მოსაცდელი დარბაზის მხრიდან შუშის კედელს მოსდგომია ახალგაზრდა ქალი და კაცი და ხელებს იქნევენ. არც მინდა დაფიქრება, ეს ქალი და კაცი ვინ არიან, სახეები

ისეთი ნაცნობია, თითქოს გუშინაც ვნახე, თითქოს ბევრი გვილაპარაკია კიდეც. ვხედავ, ამ ბებოს შვილები არიან აშკარად, არ ვიცი რამდენი ხანია, გვიყურებენ, არ ვიცი, დამინახეს თუ არა, როგორ გავჩჩრიკე და გადავქექე მათი დედა, მაგრამ ისე მიხარია მათი დანახვა, ახლა სირცხვილის დრო აღარ არის, ვუქნევ ხელებს, ვახედებ ბებოს იქით და მერე მებაჟეს ვეუბნები გაბრწყინებული სახით:

- აი, მარჯვენივ, შუშის იქით მისი შვილები დგანან, შეხედეთ, მათ გამოუგზავნეს მოწვევა, აი, აი, ნახეთ, გვესალმებიან!

მებაჟე იღიმება, ნამდვილად იღიმება, მეც ვუღიმი, ფართოდ, ქართულად ვუღიმი, კეკლუცადაც კი, და ვისმენ : რომ ბებომ აქ უნდა მოიცადოს, ვიდრე არ გაარკვევენ ვინ არის და რა უნდა, ხოლო მე მივაწოდო პასპორტი და ავუხსნა, სად მივდივარ, რამდენი დღით, რა მიზეზით, თუკი მინდა, რომ ფრთები მივიღო...

- კი, მაგრამ ბებო ვერცერთ ენაზე ვერ ლაპარაკობს, მისი შვილები კი გარეთ დგანან, თქვენც ხომ ხედავთ? - ვცდილობ, მებაჟეს გონება გავუნათო და როგორმე ბებო გარეთ გავიყვანო, იქ, სადაც მის შვილებს ვერ გაუგიათ, სადღაც კუთხეში, პირდაპირ იატაკზე რატომ დაჯდა მათი დედა.

მებაჟე მიმეორებს, რომ რიგს ვაბრკოლებ, ჩემი ჟურნალისტობა კი საკმარისია, რომ ფრთები მომცეს და ახლა სწრაფად დავტოვო საბაჟო, რადგან ხალხს ჩვენი სპექტაკლი უკვე მობეზრდა და მოთმინების ფიალა აევსო.

მე ვდგავარ ფრთებით, ღია, დემოკრატიულ, მოწესრიგებულ, ბედნიერ ქვეყანაში, გარეთ მელოდებიან ჩემი მეგობრები, ვისთან ერთადაც ამ ფრთებით ბავარიის მიწას უნდა შემოვუფრინო, ავივსო მზითა და ლუდით, მაგრამ რაღაც სულ აღარ მიხარია გარეთ გასვლა, ვხედები, რომ მე იმ ბებოს შვილიშვილი უფრო ვარ, მისი სამყაროს ნაწილი, მისი ბედის გამზიარებელი, ვიდრე იმ ჩემი ღაღი და ბედნიერი მეგობრების და, ქალიშვილი, ცოლი, დედა, და რომ ერთ დღესაც შეიძლება, იმ ბებოსავით მიმსვან კუთხეში, იატაკზე და მიბრძანონ, დაველოდო, ვიდრე ჩემი ქვეყნის სტატუსიდან გამომდინარე გაარკვევდნენ, მეკუთვნის თუ არა ფრთები თავისუფალ ევროპულ სივრცეში შესასვლელად.

ჰერცოგინიას მორალი

ფილმი "ფრანგული კოცნა" გახსოვთ? ჰოლივუდის ფილმია, მეგ რაიანი თამაშობს, საფრანგეთში საქმეზე ჩასული საქმრო ახალ გოგოს რომ გაიცნობს და ცოლად მოყვანას რომ უპირებს და ეს რომ აწეწავს და ჩააკითხავს...

მოკლედ, გახსოვთ თუ არა, მნიშვნელობა არ აქვს, იქ ერთი ასეთი პასაჟია: მეგ რაიანს ის თავიანი ყოფილი საქმრო უხსნის, ის გოგო ისე მიყვარს, შემიძლია მოვფსა, როცა ჩემ უკან დგასო... მეგ რაიანს ამაზე თავზარი ეცემა და სასტუმროში ვიღაც უცნობ მამაკაცს ეკითხება: შეგიძლიათ მოფსათ, როცა უკან ვინმე გიდგათო?

ახლა არ გვინდა მორალისტობა, მით უფრო ისეთ საკითხში, შეყვარებული წყვილის ერთად მოფსმა-არმოფსმას რომ ეხება. მე თავად მეგ რაიანის შეკითხვაზე ვფიქრობ, რომელიც ისე რეალურად ამომიდგა უცებ გვერდით, აი, კოვბოის დასტვენილზე მისი ერთგული ცხენი რომ ჩნდება კადრში. ღამის ხმამაღალ შევლაღადე სამყაროს....

არავითარი ეროტიკა, ან რამე პირადული, ყველაფერი უნივერსიტეტის ტუალეტში დაინწყო და ეს ერეკ დასრულდა.

უნის ტუალეტები ყველგან ერთნაირია, საქართველოშიც, ევროპაშიც, კამჩატკაზეც: გრძელი რიგით, დერეფანში რომ აქვს კუდი გამოჭრილებული და კაბინების კართა ჯახა-ჯუხით. შესვენებებზე რიგი უთავ-უკუდოა, ჭალაში მწოლი გველეშაპივით, მაგრამ ლექციების დროს გველეშაპი ორად არის მოკეცილი და მდინარის გაღმაც გადიხარ...

იმ დღესაც ლექციის დრო იყო, გველეშაპს პირში ედო კუდი და თვლემდა და მეც პირდაპირ შევფრინდი მდინარის ჭალებში. სიხარულს რომ ახლავს, იმ ენერგიით დავირბინე კაბინები. ცხრა მარჯვნივ, ცხრა - მარცხნივ. ყველა დაკეტილი, ანუ, დაკავებული აღმოჩნდა. შემოვტრიალდი გასასვლელისკენ და რომელიღაც კაბინიდან გამოყო კიდეც თავი ახალგაზრდა მამაკაცმა. ლურჯი კომბინეზონით, ხელთათმანებინან ხელში ჯაგრისით და ქიმიური საწმენდი საშუალებით. მომესალმა, ძალიან გულითადად გამიღიმა და მითხრა, აი, აქ შეგიძლია შეხვიდე, უკვე სუფთააო და თვითონ ვვერდითა კაბინის კარი გამოაღო, ბუნებრივია, ახლა იქაური უნიტაზის გასაპრიალებლად.

მე შევედი ჩემს კაბინაში, კარი მივხურე, მერე ისევ გავაღე, რამდენჯერმე დავტრიალდი და უკან გამოვედი.

ახალგაზრდა კაციც მეზობელი კაბინიდან გამოვიდა და ჩემ მოპირდაპირედ, იმ წუთას გათავისუფლებულ კაბინაში შესვლა დაეპირა, რომ წინ ავესვეტე. კაცმა ყურადღებით შემომხედა და კვლავ გამიღიმა. მისი ღიმილის საპასუხოდ, ჩემმა გერმანულმა დაკარგა პირისა და რიცხვის კატეგორიები და გადავიდა ინფინიტივებზე. მაგრამ ამ გაურკვეველი ინფინიტივებით მაინც შევეცადე მეთქვა, სანამ თქვენ აქ ხართ, მე იქ შესვლა არ შემიძლიამეთქი...

მან, რასაკვირველია, ვერ გაიგო რა მინდოდა, მაგრამ თავი მოვალედ ჩათვალა, ეპასუხა. რაც მითხრა, დაახლოებით იმას ნიშნავდა, რომ ჩემი კაბინა უკვე სუფთა იყო, ძალიან სუფთა. მე შევეცადე, ჩემი ინფინიტივებისთვის დამემატებინა სიტყვა "მოფსმა", თუმც ინფინიტივში, მაგრამ მაინც. თან მოვიხადე ქუდი და მოვიხსენი შარფი, ძალიან მცხელოდა უკვე.

სანიტარული მუშაკი კიდევ უფრო დაიბნა და გადაწყვიტა, ხელებით აეხსნა - აი, ამ ჯაგრისით და აი, ამ ხსნარით დავამუშვე იქ უნიტაზიო.

ამასობაში ჩემი გონებიდან ჩაიწრტა და სადღაც გაუჩინარდა ის ინფინიტივებიანი ზმნებიც და დარჩა ერთადერთი - მოფსმა, რომელსაც ჩავებღაუჭე დაღუპული ნავიდან გადარჩენილი ფიცარივით და შევეცადე, ამ ფიცრით მაინც მომეხერხებინა გა-

ცურვა, რომ ჯაგრისიანი მამაკაცის ტკინანმდე მიმეღინა. ჩემი ინფინიტივური ზმნის საპასუხოდ მამაკაცმა ჯაგრისი ცოტა ზემოთ ასნია, ალბათ კარგად რომ დამენახა, რით წმენდს ხოლმე უნიტაზებს და როგორ პრიალებენ ისინი, აი, სწორედ ამ ჯაგრისის წყალობით, მაგრამ ამით მიაღწია იმას, რომ მის გონებამდე მისასვლელის ერთადერთი ფიცარიც დავკარგე და საერთოდ დავმუნჯდი.

შევყურებ სახეში და ვასავსავებ კაშნეიან-ქუდიან ხელებს, რაც ნიშნავს, რომ კაშნეს და ქუდს ჰაერში ვიქნევ.

და ვდგავართ ასე: ის - შემართული ჯაგრისით, მე - აფრიალებული კაშნეთი...

ამასობაში ტუალეტის კარს ჯახაჯუხი გაუდის, კაბინების კარებს - თხლაშთახლაში და დაუსრულებლად ისმის უნიტაზებში ხმაშეწყობილი ჩხრიალი ჯერ შარდის, შემდეგ წყლის ბაკიდან - წყლის.

შემოდიან და გადიან გოგოები, გულითადად ამბობენ გამარჯობას და ისე გვილიმიან, თითქოს იქ, ქალების ტუალეტში, ჯაგრისიან-ქიმიურ სპრეიანი მამაკაცი კი არ დგას, არამედ საბავშვო ბაღის ლოყებლაჟღაღა აღსაზრდელები ხილის კალათებით ხელში და მღერიან: "შემოდგომა მოვიდა წითელ-ყვითელ ფერებით"...

აბა, მაშ, როგორ ეტყოდა ჭერცოგინია ელისს, აქედან რა მორალი გამომდინარეობსო? გამარჯობა თქვი და თუ გინდა, თავზეც დამაფსი?

სათვალე და სათვალეები

თბილისში რომ სათვალის ყიდვა დაგჭირდეს, რამდენიმე არჩევანია: "რონიკო" და "საფილო", - სადაც ვიცი, რომ არ უნდა წავიდე და თამარ მეფის გამზირი, - სადაც ყველანაირები დადიან, მათ შორის - სათვალის მძებნელებიც...

სათვალე კი ხშირად ტყდება, თანაც, მოულოდნელად. ეს გამოცდილება ღრმა ბავშვობიდან მაქვს, მწარე და მოუშუშებელი. იდაყვის ყოველ გაკკრაზე ჩემი სათვალე სკოლის დერეფანში რომ მიფრინავდა, ბოლოს რეზინით მიბამდნენ უკან, მაგრამ მერე წაქცევები დავიწყე, თანაც პირდაპირ სათვალეზე დაცემით და შეეშინდათ, ჯობია ისევ გაუფრინდესო, და აღარ მიბამდნენ...

ასეთი იყო ბავშვობა, "შურიკობა" და დაცინვა. მძულდნენ კლასელები, მძულდა ის ბედნავსი ფილმი, მძულდა სათვალე და ყველა სათვალიანიც...

მაგრამ ახლა ისევ "რონიკოზე" და თამარ მეფეზე შემოვბრუნდები, ანუ როგორც ჩემი მეგობარი მარიკა ზვიადაძე იტყოდა: "და აი, დადგა 1917 წელი" - ვალაგებ ჩემოდანს შორეულ ევროპაში გასამგზავრებლად! და პირველი, რაც მახსენდება, სწორედ ისაა, რომ სათვალეები იმტვრევა. თანაც ხშირად და თანაც მოულოდნელად. მახსენდება და მიუხედავად იმისა, რომ "რონიკო" უფრო ახლოსაა ჩემს სახლთან, მაინც თამარ მეფის გამზრისკენ მიდივარ. რატომღაც მგონია, რომ იქ ყველა ოპტიკა თანაბარ პირობებშია, თანაბარი კვალიფიკაციით, პრეისკურანტით და ფასებით და არც არასდროს ვცდილვარ, გადამემომწმებინა, ისე შევდიოდი ხან რომელში და ხან რომელში. ამჯერად "ჯაბადარში" შევედი.

მარიკა ზვიადაძემ ისიც იცის, რას ნიშნავს ბელა ჩეკურიშვილთან ერთად საყიდლებზე წასვლა, რამდენი მუხლჩაუხრელი საათი და დაღვრილი ოფლი ახლავს ამ პროცესს, რამდენს ვირჩევ და ბოლოს მაინც არ ვყიდულობ. მაგრამ ამჯერად მარტო ვიყავი და უცებ ისეთი სიამაყე ვიგრძენი, ისე ათიოდე მოსინჯვაზე რომ სასურველ საათალეს მივაგენი და შეკვეთაც რომ იქვე მივეცი. არა, ხანდახან მაინც რა მარჯვე ვარ-მეთქი, ვიქებდი თავს გულში და ვეფლურტულებოდი თეთრხალათიან გამყიდველს ხმამაღლა.

მომადეს შუბლზე სახაზავი, დამიდგინეს თვალებს შორის მანძილი, ჩაიწერეს სათვალის ნომერი, ამარჩევინეს ფასის მიხედვით ხელსაყრელი მინები და დამიბარეს მეორე დღისთვის. მესამე დღეს კვირაა და მეოთხე დღეს უკვე მივფრინავ.

სათვალე ცისფერი ჩარჩოთი, ჯინსებს უხდება განსაკუთრებით. თან თუ ლურჯი შარფიც გაქვთ, პალტოსაც თუ შეუხამებთ, რა ვიცი, ბედნიერებისთვის რაღაა საჭირო?

უკვე ბონში ჩამისულმა აღმოვაჩინე, რომ ის ჩემი ჯინსებს შეხამებული სათვალე რაღაცნაირად მოღრეცილად მაზის, არა, ჩარჩო კი არ არის მოღეცილი, თვალები მაქვს მოღრეცილი შიგნიდან, უფრო ზუსტად კი, თვალები სადღაც არის, სათვალის მინები - სადღაც, ანდა, კიდევ უფრო ზუსტად, სათვალეს ფოკუსი არ აქვს და გინდა ცხვირის კეხს ზემოთ ანიე და გინდაც კეხს ქვემოთ!

შევაგინე ჯერ სათვალეს (კი, გინება მეხერხება) მერე "ჯაბადარს", მერე ჩემს ჭკუას, მერე ჩემს ბედს, მერე სრულიად საქართველოს და ბოლოს ჩავაგდე უჯრაში და ამოვიღე მეორე, ძველი, ისფერი, მერე რა, რო ისფერი არაფერი მაქვს, მერე რა, რო დიდი მაქვს, მერე რა, რომ მაბერებს და სკოლის მასწავლებელს მამსგავსებს, რა, მასწავლებლობა ცუდია? ანდა, არ მიმუშავია სკოლაში თუ რა?

დავუბრუნდი ისფერ სათვალეს და დავმორჩილდი ჩემს ბედსა! მაგრამ მამის ანდერძივით არც ის მავიწყდებოდა, რომ სათვალე ტყდება, თანაც ხშირად და თანაც მოულოდნელად. ამიტომ ბონში გავიკითხე, აქ-მეთქი, ოპტიკა, რამე, რონიკო, საფილო, თამარ მეფის გამზირი, როგორ გაქვთ-მეთქი...

მეგობარმა მითხრა, რომ დავიგიწყო ყველა ოპტიკა და წავიდე "ფილმანთან", რომ აქ ფილმანია ჩემი დედაც, მამაც, მარჩენალიც და არქიფო სეთურიც. დავუჯერე, მაგრამ ორი თვე ისე გავიდა და მესამე დაიწყო, ვერა და ვერ მივაღწიე "ფილმანამდე".

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბუნებაში ყველაფერი კანონზომიერია, ზამთარს ცვლის გაზაფხული, შავ თმას (ქერასაც) ჭაღარა, გამხდრები ხშირად სუქდებიან და ა.შ. მოკლედ, "ფილმანი" იქ შემომეფეთა, სადაც საჭირო იყო. კერძოდ, ორი კვირის ნინ, ზიგბურგში ჩასულს მეგობარმა მითხრა, თვალები მეწვის ბოლო დროსო რაღაცო და სათვა-

ლე უნდა შევიძინო ალბათო... ამ დროს ქუჩაში ვართ, მე საშობაო ზიზილ-პიპილოებს ვუყურებ და თამუნა ქიმენჯს მკრავს და მიმართულებას მაძლევს. საით? ფილმანისკენ! ვაჰ - აღმიმხდა, - მიწა!

ყველა ოპტიკა ერთნაირია, გინდა ფილმანისა, გინდაც - არქიფოსი... კედლებზე სათვალეები და სარკეები. ჩვენი ყურადღების მომქცევი არავინ იყო, აი, სულაც რომ ექვს-ექვსი ერთად ჩამოგვეკოსებინა ამ მამაპაპურ-ქართულ ცხვირებზე! ჰოდა, ჩვენც ვისინჯეთ და ვისინჯეთ და ვისინჯეთ და უცებ, ჰოი, ღმერთებო: სათვალე დევს და მიცინის. არა, არაფერიც არ მეჩვენება - მიცინის! მერე ხმაც ამოიდგა და ამოიმღერა: გოგო, სულ 25 ევრო ვღირვარ, ჯანიც გავარდეს 25 ევროს, არ გიღირვარო?

- ვაჰ! - აღმომხდა კიდევ ერთხელ - ჯანიც გავარდეს!

ბიჭმა, ახალგაზრდამ, აი, სუ ვარსკვლავები რო უციმციმებდა თვალებში, რამდენი ხანია, გამოკვლევაზე არ ყოფილხართო?

- ნუ, ერთი წელია-მეთქი.

იმას ხომ არ ვიტყვი, თბილისში სახაზავს მადებენ წარბებს შორის და სულ ეგ არის ჩემი გამოკვლევა.

- ჰოოოო, მაშინ წამობრძანდით, აგერ აპარატებთანო. ასაკიც მკითხა, ისე, ვითომ სასხვათაშორისოდ, რა.

წავყევი. აპარატსა და აპარატს შორის მანძილი კი არ იყო ბევრი, მაგრამ მოძრაობა იყო მკვეთრი: ხან რომელში შემაყოფინა ნიკაპ-ცხვირ-თვალი, ხან რომელში და მათვლეკინა ვაშლები და მატლები.

- იციო-მეთქი, ეს გამოკველვა თუ უფასო არ არის, სტუდენტი ვარ და არ მინდა მაშინ, ჯერ არ ვმუშაობ-მეთქი.

პირდაპირ ხომ არ ვეტყვი, რომ სული კბილით მიჭირავს.

- არა, არაო, უფასოა, მიდი, დათვალე მატლები, დათვალეო.

კაი, ვთვალე.

მერე უცებ დაინტერესდა ჩემი წარმოშობით. თან ასაკიც ხო მკითხა და მთლად სტუდენტურიც არ მაქვს, აშკარად.

- საქართველოდან-მეთქი.

- აჰ, ეგ სამხრეთ რუსეთიო, არაო?

- არამც და არამც, რუსეთის სამხრეთით-მეთქი!

- და ქალაქები იალტა, ყირიმი, - დაიწყო ჩამოთვლა.

- ოლოლო შენ, თბილისი-მეთქი.

- ვაჰ, უნდა საღამოს დავგუგლოო, - ცოტა დაირცხვინა, მაგრამ თვალები ისევ უციმციმებს და თვითონაც რაღაცნაირად ციმციმაა.

მოკლედ, დავთვალე ყველა ვაშლი და მატლი, ცხვარი და ცხენიც მივათვალე, ყოველი შემთხვევისთვის, და საქმე მიდგა სათვალეზე. უჭირავს ხელში ჩემი იისფერი სათვალე, აი, რო არ მიხდება და რო მაბერებს ის, თორემ ჯაბადარისა უჯრედან არც ამომიღია ერთხელ მეტად, უჭირავს და ამბობს, გენაცვალეო, თქვენი სათვალის ნომერია +3,5, არამცდაარამც +2 და თქვენ არა მხოლოდ კითხვისას უნდა ატაროთ სათვალე, არამედ ტელევიზორის ყურებისასაც, ქალაქშიც და ა.შ. ნუ, სააბაზანოში მოიხსენიო.

მე ვპასუხობ: - გენაცვალე, ეს ჩემი სათვალის ნომერი კი არის წარბებშუა სახაზავის მიდებით დადგენილი, მაგრამ +2-თაც კარგად ვხედავ ჯერ და სად მიმერეკები, შე ოჯახაშენებულო?!

- ქალბატონო - მომიგო მან, - თქვენი თვალი არის მარჯვნიდან მარცხნივ ამდენი და ამდენი, ზევიდან ქვევით ამდენი და ამდენი, მარცხნიდან მარჯვნივ კიდევ ამდენი და ჯამური კოეფიციენტი +3,5 -ს შეადგენს და უნდა ეს მოირგოთო.

- შვილო-მეთქი, - გადავედი "შვილოზე", - ახლა შენ როგორ ფიქრობ, მე მთელი დღეები აქ რას ვაკეთებ, რომ გადმოვხვეწილვარ ამ დასაკარგავში, ეზოვარ და ვკითხულობ, დედა გენაცვალოს და თუკი ამ ჩემი იისფერი +2-იანი სათვალითი წაკითხვა შემიძლია, მერე რა რო მაბერებს, ბიჭოს, როდის გთხოვე ცოლად მოყვანა, 3, 5-ზე რა ნამუსით მახტუნებ-მეთქი!

ყმაწვილი კაცი ("სავსე სიცოცხლით, სავსე ბუნების მშვენებით, გზნებით", - როგორც ილია იტყოდა ქალზე) ჯერ ხომ სკამზე გადაწვა, მერე ფეხები აბაბაკუნა და ახარხარებულმა ჰაერში იქნია ხელები. მერე თამფასს მიუბრუნდა: - ეს ქალბატონი გამორჩეული პიროვნებაააო, - სრული სერიოზულობით აუხსნა. თამუნამ შეაგება: იციო, პოეტიაო. ყმაწვილი კაცი (კიდევ ერთხელ გავიმეორებ ილიას სიტყვებს: სავსე სიცოცხლით, სავსე ბუნების მშვენებით, გზნებით) ისე აციმციმდა, ელექტრონში ჩართულივით, სულ ნაპერწკლებად იქცა და ქვითარი გამოწერა: 165 ევრო. ჰო. აი, ახლა უკვე 165 ევროს გავარდა ჯანი.

მე მაგ სათვალეს მაინც არ გავიკეთებ-მეთქი. დავტოვე ჩემი სეფესიტყვა ფილმანში და ამაყად გამოვაბიჯე! უხ. აი, ეგრე!

ამის შემდეგ დგება ისევ 1917 წელი.

გავდივარ ერთ დღეს სახლიდან და მომდის მესიჯი, ანუ ჯიბე ბზუის. ამოვიღე ტელეფონი, მეორე ჯიბიდან - სათვალე (იისფერი. ფილმანისა ჯერ არ გამომიტანია) და მინდა წავიკითხო ვინ და რა მომწერა, მიმდის სული, ვიწვი ცნობისმოყვარეობით და სიახლის წყურვილით, მაგრამ ვერ ვკითხულობ, აი, რაღაც ხდება რა, სათვალეს ვიკეთებ და ვერ ვიკეთებ, ცხვირიდან მძვრება რა, და საერთოდაც, მომძვრა რა...

ამ ყველაფერს მხოლოდ იმასღა დავამატებ, რომ ყუნწნი დარჩა ქუდში...

ნინო და ნინო და ჰომო მოგზაურუსები

- ჩემი მეგობრის ქალიშვილი ჩამოდის ტურინიდან, - ლეპტოპიდან თავს ვწევ და ნინუცას მეილის შინაარს ხმამაღლა ვთარგმნი.

- დიდი ხანია, რაც ტურინში ცხოვრობს? - მეკითხება ჩემი გერმანელი მეგობარი.

-არა, სექტემბერში ჩავიდა, ერაზმუსის პროგ-

რამას აკეთებს.

"აკეთებს" ის ზმნაა, რითაც გერმანულად ყველაფერს იტყვი, მთავარია, ის სიტყვა იცოდე, რასაც ეს კეთება უნდა მიუსადაგო.

დღეს მე ჩემი გიმნასტიკაკა გავაკეთე - ესე იგი, ვივარჯიშე; რა გააკეთე, სეირნობა? - ანუ, ისეირნე? უნივერსიტეტში კომპარატივიზმს ვაკეთებ - ესე იგი, კომპარატივიზმს ვსწავლობ და ა.შ.

- როგორ არის მარგო?

- შვებულებაში წავიდა.

- რა გამოთქმაა ეგ, ბელა, რას ხლართავ ენას, თქვი მარტივად - მარგო შვებულებას აკეთებს, - მიხსნის ჩემი გერმანელი მეგობარი.

- ქართულად თუ იფიქრებ, სწორი გერმანულით ვერასოდეს ილაპარაკებ - მირჩევს ლელიკო. კაფეში ბუფეტს მივყვებით და სინებს ყველისა და ძეხვის ასორტით ვავსებთ.

ლელიკო ქართულად აღარ ფიქრობს, ამიტომ მისი ქართული სულ უფრო ემსგავსება ჩემი პარიკმახერი გარიკას მეტყველებას ლაღიძის ქუჩის სალონიდან. განსხვავება მხოლოდ ენათა ჯგუფებშია, თორემ აღრევის პრინციპი არ იცვლება - გონება თვითონ ახარისხებს სიტყვებსა და გამოთქმებს მარტივ და რთულ კომბინაციებად და საჭიროების შემთხვევაში ხან მეხსიერების პირველადი შრიდან ამოაქვს ისინი, ხანაც - მეორეული. მე კი, ცოტა არ იყოს, შიში მიპყრობს, ამ ოთხ წელინადში ("იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელინადი, რა ოთხი წელინადია"?) შესაძლოა ისე დავნაგვიანდე, უფრო სწორად, ჩემი ენა ისე დატილიანდეს, თბილისში ჩასულმა მასწავლებლადაც ვეღარ შევძლო მუშაობა, რითაც აქამდე თავს ვირჩენდი.

მაგრამ ევროპაში ხანგრძლივად ყოფნა მხოლოდ მეტყველებას არ გვიცვლის, ის, შეიძლება ითქვას, სხვადასხვა ნიჭებსაც გვიღვიძებს. აი, ისეთებს, აქამდე რომ არ გამოვლენილა, არავის აღმოუჩენია და არც არავინ ცდილა, ჩასწვდომოდა. ევროპული სივრცე კი ისეთ ელექსირად იღვრება ჩვენს მგრძნობიარე და სათუთქართულ ფსიქიკაში (ვისაც წინაპარებისგან ადგილზე დგომა არათუ ანდერძად გადმოგვეცა, მოგვესაჯა კიდეც), რომ ახალ ფენომენად გვაყალიბებს, რასაც, სოციოლოგები თუ კარგად შეისწავლიან, შესაძლოა "ჰომო მოგზაურუსი" ენოდოს და მისი საუკეთესო ეგზემპლარები ევროპაში სასწავლო-საგრანტო პროგრამებით ჩასული ქართველები ვიქნებით. და თუკი ვინმე მოიცლის და გამოითვლის, სტატისტიკა იმასაც აჩვენებს, რომ რაც უფრო მოკლეა და იოლად დათვლადი ჩვენი ევროპული დრო, მით უფრო მაღალია ჰომო მოგზაურუსის მოძრაობის ამპლიტუდა, რომელიც გათვლილია იმაზე, რომ მოასწროს, რაც შეიძლება მეტ ქვეყანა-ქალაქ-სოფელში წავიდეს, მეტ გზას და გზაჯვარედინს უსწოროს თვალი, მეტ საზღვარს გადააბიჯოს, მეტ ისტორიულ ობიექტს გადაუღოს ფოტო, მერე სასწრაფოდ ატვირთოს ფეისბუქზე, მტერსა და მოყვარეს თვალი მოსჭრას და საკუთარ თავსაც კი აჯობოს ეიფელის კოშკის წინ ჰაერში ამხტარმა.

ნინუცა ტურნინში ათი თვით ჩავიდა. ეს ნიშნავს, რომ ყოველი შაბათ-კვირა დაგეგმილი აქვს, არდადეგების დღეების გრაფიკი - წვრილად განერილი, ახლო და შორმანძილზე მდებარე ობიექტებად დაყოფილი, დახარისხებული და დაჯავშნილი.

- ბერლინისთვის რამდენი დღე ავიღო? ორი? სამი? სულ ერთი კვირა მაქვს გერმანიისთვის, მიუნხენიც უნდა ვნახო და ჰამბურგიც... და საათებში დათვლილ თარიღებს მისახელებს - დილის რვის ნახევარზე თუ ბერლინში ვიქნები, ესე იგი, ეს დღე ჩემია და არ დამეკარგება...

- ნუცი, ბერლინს რო დღეში როგორ ნახავ, ცოტა მეტი დრო აიღე.

- მეტი არ მაქვს, ჰა, სამი იყოს...

-კარგი, მაშინ ეგ დრო ორ მუზეუმს და ერთ სანსუსის ეყოფა... მაგრამ მიუხხენში ერთი დღით ჩასვლას აზრი მაინც არ აქვს, მხოლოდ ცენტრში დადგები და გაიხედ-გამოიხედავ.

- მერე, მარიენპლაცზე დადგომა უაზრობაა? - ცოცხალი თავით არ თმობს მიუნხენს...

- შვილო, კიდევ ჩამოხვალ ამ გერმანიაში, რამ გაგამწარა?! - ვცდილობ, შევუთქახო.

- აბა, როდისღა ჩამოვალ? მაისის დღეები შვედეთისთვის მინდა. საქართველოში რომ ჩავალ, როდისღა ჩამოვალ უკან, ბელა?!

და წარმოვიდგენ, რომ ამ პატარა ნინუცამ საქართველოში დაბრუნების შემდეგ ჯერ სამსახური უნდა იშოვოს, მერე ის ხელფასი წლობით აგროვოს, მერე ვიზის მოლებაზე იჩალიჩოს...

ნუცი, ჩამდი, ყველაფერს მოვასწრებთ, მიუნხენზე გამოიარე, ერთი დღე არც გინდა, რამდენიმე საათის შუალედით აიღე ბილეთი, აეროპორტიდან მეტრო პირდაპირ მარიენპლაცზე ამოდის, სამი საათი სულ გეყოფა გასახედ-გამოსახედად - ვწერ და იქვე ახალ გეგმას ვთავაზობ - ბერლინიდან რაინის მხარეში წავიდეთ ღამის მატარებლით, ერთ დღეს ამაშიც დავზოგავთ...

მარტია. მეც არდადეგები მაქვს, მეც სასწავლო პროგრამით ვარ ჩამოსული, მეც ჰომო მოგზაურუსი ვარ, არდადეგების დღეები ჩემთვისაც ძვირფასია, მერე რა, რომ ჩემს მარაგში ოთხი წელია. ოთხი წელი გერმანიის მოსავლელადაც კი ცოტაა, არათუ ევროპის, დასაკარგი დრო სად არის?

და ვიდრე ნინუცა ჩამოსულა, იენაში ვურეკავ თამუნას და მატარებლის ბილეთს ვყიდულობ ონლაინ.

- იენაში რომ ჩამოხვალ, ჩემს ქმარს ვეტყვი და დრეზდენში წავიდეთ მანქანით, ნაუმბურგში კი შენ და ნინო მატარებლით წადით, - გამინერა თამუნამ აღმოსავლეთ გერმანიის გრაფიკი.

ნინოც ერაზმუსის პროგრამის მრეცლია, ოღონდ უკვე საკალეგი სტიპენდიით, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, როცა მის მარაგშიც მხოლოდ ათი თვეა, ხოლო ცნობიერში - ჩანჩქერად მომსკდარი ჰომო მოგზაურუსის ნიჭი.

-ესე იგი, როდის ჩამოხვალ იენაში? - აზუსტებს ნინო - პარასკევს? მე ხუთშაბათს ვბრუნდები ფრანკფურტიდან, ანუ, პარასკევს აქ დაგხვდები.

-შენა, ბონიდან იენამდე ვაიმარზე უნდა გამოვიარო და ვაიმარში რომ დამხვდე? დილით ადრე

ჩამოვდვარ, 11.17-ზე და ვაიმარსაც მოვასწრებდით, ნამყოფი ხარ შენ უკვე?

-კი, ვიყავი, მაგრამ რამდენიმე საათით, ძველი ქუზენი რა, გავივლ-გამოვივლით, იქვე ბაღია, შეკვალთ, ფოტოებს გადავიღებთ და ნამოვალთ... მუზეუმში შესვლა თუ არ გინდა, მაშინ მოვასწრებთ - იცინის ნინო და ვაიმარიდან ნაუმბურგში წამსვლელი მატარებლების გრაფიკს უყურებს - ესე იგი, ორი საათით ვაიმარი და მერე ნაუმბურგი, არა? და ნაუმბურგში იმ მონასტრის გარდა არის კიდევ სხვა რამე სანახავი?

- რაც უნდა იყოს, ჩვენ მონასტერი და უტას სკულპტურა გვაინტერესებს და წუთებში გათვლილ გრაფიკს ვადგენთ, უკანაც ხომ უნდა დავბრუნდეთ იენაში?..

წყვილად სიარული მარტო ხეტიალს კი სჯობს, მაგრამ აი, ფოტოს გადაღებისას ძალიან საცოდავი ხარ მაინც - ერთსა და იმავე კადრში ჯერ შენ დგები, მერე შენი მეწყვილე მოგზაურუსი, მერე ისევ შენ, მერე ისევ ის. გადაღებისას რა უჭირს, აი, სახლში დაბრუნებული რომ ამ შენს კამერას კომპიუტერის ეკრანზე წამოცლი, ხვდები, ასე ცალ-ცალად დაწალიკებული ფოტოები რა გულსაკლავი სანახავია... ჰოდა, მთელი სიამოვნება გიცამტვერდება რა, პირდაპირ შხამად გექცევა...

მინდა, აქვე აღვნიშნო, რომ ჰომო მოგზაურუსი არა მხოლოდ ნანახი ადგილებით ტკბება, ამ ადგილების სოციალურ ქსელებში გამოფენა- გამომზეურებით... ჰომო მოგზაურუსს ფოტომოისტერის სახელზეც აქვს პრეტენზია, თანაც უბრალო კი არა, გროსმაისტერის. აბა, რისთვის ხარჯავს ამდენ დროს და ძალისხმევას ეფექტურ რაკურსზე, ჰაერში დაჭერილ ნახტომზე, წყალზე ათამაშებულ ზმის სხივებზე? ხოლო ვინც ეძება, პოულობს, აკაკუნებს, ულებენ, უკვალოდ არაფერი იკარგება, მათ შორის, არც ფოტომაძიებლობის მძაფრი სურვილი... მაშ, სხვას რას უნდა მივაწერო, თუ არა უნივერსუმის პასუხს ჩვენს მწვავე სურვილზე - არ გვქონოდა კენტი ფოტოები? ააშენა ღმერთმა ნადი! - როგორც ნიკო ლორთქიფანიძე იტყოდა, ჩვენ, ჰომო მოგზაურუსებს, რომელიღაც, მესამე სამყაროდან მოდებულებს ცივილიზებული თუ ნაკლებადცივილიზებული ქვეყნების კუთხეებში, დაგვეხმარა დროულად და უშურველად: გამოგვიგზავნა სელფი!

- გოგო, აგერ იქ რა არის, რა ლივლივებს? - ნაუმბურგის სადგურის ბაქნიდანვე ვამჩნევთ რაღაც გუმბათებს და აპარატებს ვიმარჯვებთ: ქალაქში შესვლა, გალავანი, ვუახლოვდებით ხეებს, გუმბათები უკვე კარგად ჩანს, ეს რა გალავანია? გაჩერდი აქ, სარკე თან გაქვს? მოიცა, თმაც გაიშალე, ეგ შარფი მე მათხოვე, ამ პალტოს საყელო უშნოდ ჩანს, ეხლა, ცოტა უნდა ჩავიმუხლოთ, მე ტელეფონს ზემოთ ავნევ, ოღონდ შენ პირდაპირ იყურე, კისერი არ წაიგრძელო, ვაიმე, თვალები დამიელამდა მასე, იქნებ ახლა შენ დაიჭირო, გოგოოოო, ეკლესია სულ გადავფარეთ ამ ჩვენი გაწყნილი თმებიით! არ გინდა ასეთი დაძაბული ყურება, მარჯვენა მხრიდან ლოყა უშნოდ მიჩანს გამობერილი, მოდი ადგილები გავცვალოთ, კაი, ერთხელაც, ნუუუ, გადასარევია, რამ შეგვაქნა მაინც ასე ლამაზები?

ნინოს ქერა თმა აქვს, შეხედავ და მაისის ვარდივით მშვენიერია, ნუ, მე გასაგებია, ჯერ კიდევ თბილისურად ვივარცხნები და საკუთარი თავით მოგვრილ კმაყოფილებას შეედრება განა რამე? და ჩვენც ვარხევთ დალალებს, ვუცვლით ერთმანეთს ადგილს ხან მარჯვნიდან და ხანაც მარცხნიდან, ხან უტა გვაზის მხარზე, ხან მისი მაკგრაფი ეკეჰარდი, შუა საუკუნეების ჰუმანიზმის ფერადი სკულპტურები, გვახსენდება უმბერტო ეკო, მისი სურვილი, ისაუზმოს უტა ნაუმბურგელთან ერთად და კისკისით ვაყრუებთ მონასტრის კედლებს. აი, ძალიან, ძალიან გვიხარია, პირველ რიგში, საკუთარი თავები, აქ რომ ვართ, ჩამოვაღწიეთ საიდანღაც, ქვეყნის ისეთი ნაწილიდან, არც რომ უტას გაეგონა მისი არსებობა და არც რომ მაისენის საგრაფო თუ სამთავრო იცოდნენ ათას იმ რაღაცა წელს ის ქვეყანაში, ჩვენ რომ მაისენამდე გამოგვივლია. ვიცინით, ვიცინით, და უცებ ვამჩნევთ, რომ ჩვენ წინ დგას გოგონა, მოწითალო-სტაფილოსფერ მოსასხამში, ცისფერთვალა, თავსაბურავიანი და იცინის, იცინის, იცინის... ხელოვნების ისტორიკოსები მას "მოცინარ პოლონელს" ეძახიან, პოლონეთის მეფის ბოლესლავ პირველის ქალიშვილია, რეგლინდისი, იმ მეისენის მაკგრაფის შვილის, ჰერმანის ცოლი, აგერ, უკან რომ გვიდგას ახლა, იმ უტას რძალი გამოდის? ვახ, დედამთილო!

ამ ყველაფერს მონასტრის გზამკვლევში ვკითხულობთ და მერე მუზეუმის მაღაზიაში გავრბივართ, სასხრაფოდ ფოტოების, სუვენირების, ბლოკნოტების საყიდლად, უტათი, რეგლინდისით, ეეკეჰარდით, ჰერმანით... სუვენირები ჰომო მოგზაურუსის თანამდევი,

ერთ-ერთი საათუთი თემაა. აი, გარდა იმისა, რომ წახვედი, ხელი დაადე, ფეხი დაადგი, თვალი გაუსწორე, ჰაერში ახტი, ფოტო გადაიღე, სელფი გააკეთე, მერე სოციალურ ქსელში დააჩიკენენ, შენი ბედნიერება ვერ იქნება სრულყოფილი, თუ იმ ქალაქის თუ ადგილის სახსოვრად სუვენირს არ წამოიღებ. სუვენირია ყველაფერი - გზადაგზა ნაყიდი ფოტოები, ქალაქის რუკები, ამ ქალაქამდე მისასვლელი მატარებლის და თვითმფრინავის ბილეთები, მაცივარზე მისაკრავი კოშკი, ხიდი, ციხესიმაგრე, გერმი, ამ კოშიკიან-ხიდიან-ციხესიმაგრიან-გერბიანი ჭიქა, კედელზე დასაკიდი თეფში, საფერფლე (მამა რომ გახდები და შვილებს დაუტოვებ, ანდა, პირიქით, მამას რო ჩაუტან), კედლის პანო, შარფი, ჩანთა, ხელჩანთის სარკე...

"მაცივრის კარები უკვე შევავსე და ახლა მეორე მხარეზე გადავედი" - სიამაყით აქვეყნებს მთაშენკა თავისი მაცივრის ფოტოს სოციალურ ქსელში.

- გაანებე ამ კიჩებს თავი, როგორ არ გერევა გული, რენესანსის ხელოვნებაზე მელაპარაკები, პოეტი ხარ, მეცნიერი გინდა გახდე! - ჯავრობს ჩემი გერმანელი მეგობარი, რომელთან ერთადაც ფლორენციაში ვმოგზაურობ და ბოლოს განაჩენივით მიცხადებს: შენი არ მესმის.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘ

- შენ უფლება გაქვს, არ გესმოდეს ჩემი, - უკვე ძალიან ვბრაზობ მეც და თავაზიანობას სადღაც, კარადის თავზე ვისვრი.

სიხარულსაც აღარ მაცლიან რა, განა კიდევ წავალ ამ ფლორენციაში? ან იენაში როდისღა მოვხვდები? ამდენი ქალაქებია სანახავი, ამდენი ქვეყნები, ფლორენციაში ხო არ ვირბენ ყოველ კვირას, ანდა ლუქსემბურგში? ევროპელებს ეს არ ესმით, აი, უკან რო ჩავალ საქართველოში და ჩემს მაცივარს შევხედავ, სხვადასხვა კოშკებ-ხიდებიან-გერბებიანს, ნაუმბურგიც გამახსენდება, იენაც და ბრუჟიც, ჰოდა, გავიბადრები, გავიჯგიმები, წავიტრაბახებ, წავიოცნებებ, წავისევდიანებ, მაცალეთ, რა, შემარგეთ ჩემი ოთხი წელინადი, აქ, ევროპაში, წავალ მერე და განა კიდევ ჩამოვალ, უნდა დავჯდე და დისერტაცია ვწერო, თან თოთხმეტგან ვიმუშაო, როგორმე გათბობის ფული რომ მქონდეს ზამთარში და ბათუმში წასასვლელი - ზაფხულში...

-ესენი ჩვენსას მაინც ვერ გაიგებენ - მეუბნება ნინო უკვე დრეზდენში, სადაც დომინოს ქვებივით დაწყობილ რაფაელის მადონას დეტალებს ვატრიალებთ ხელში.

-დრეზდენში იყავი? ერთი დღით? - ტელეფონში მესმის, როგორ უწქარდება სუნთქვა ჩემს გერმანელ მეგობარს - ერთ დღეში ნახე დრეზდენი? კი მაგრამ, რა ნახე?

-ყველაფერი მოვასწარით, ყველაფერი, - აღტაცებული ვჭყლოპინებ - ცვინგერის სასახლის ყველა დარბაზი, ფაიფურიც ვნახეთ, მხატვრობაც, ტექნიკური მუზეუმიც, ქალაქშიც გავიარ-გამოვიარეთ.

-და გინდა მითხრა, რომ ეს იყო დრეზდენის ნახვა? ტურისტული, კიჩური ადგილების მოვლა გგონია დრეზდენი?

- ცვინგერის სასახლის ნახვა ცოტაა? - არ მესმის, რას მედავება, ნამდვილად არ მესმის და წყენა მერევა.

-კარგი, ახლა რას აპირებ, ბერლინში როდის ჩამოხვალ?

-ხვალ დილით იენას მოვივლით და საღამოს მატარებლით ნამოვალ.

-იენა? - სუნთქვის აჩქარება კი არა, ვგრძნობ, როგორ ცახცახებს სავარძელი მისი ემოციის ქვეშ - ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ იენას ერთად ვნახავდით?

-უკვე აქ ვარ და რა ვქნა, არ გავიდე ქალაქში? ნაუმბურგში კი არ ცხოვრობენ ჩემი მეგობრები, იენაში ცხოვრობენ - და აღტაცებულ, ფოტოებგადაღებულ, სუვენირებით ჩანთაგამოტენილ ჰომო მოგზაურუსს ისეთი შეგრძნება მიჩნდება, თითქოს ნითლად მოღუღლუდე მაისის ბლისთვის მატლი შემეყოლებინოს და გადმოფურთხებას ვერ ვახერხებდე, არადა, ყელთან დგას და კუჭში არ გადადის.

-როგორ არა, გადი ქალაქში და ნახე, მაგრამ ძლიან მიკვირს შენგან, პოეტისგან მეტ სიფაქიზეს ველოდი, არა ასეთ ზედაპირულობას, - განაჩენი უკვე ნლებით აღარ არის შემოსაზღვრული, სამუდამო პატიმრობასავით ყლერს.

-შენ არ გესმის, რომ მე დროებით ვარ აქ ! - უკანასკნელად ვცდილობ გაბრძოლებას.

- მესმის, ამიტომაც გელოდები ბერლინში, მაგრამ იცოდე, რომ შენ მე სიხარული წამართვი! ის, რაც მე მინდოდა, რომ შენთვის ჩემს ქვეყანაში მეჩვენებინა, შენ ის ტურისტულად, კიჩურად ნახე!

ბალს შეყოლებული მატლი ყელიდან უკან ამოჭყვა საყლაპავს და პირდაპირ კბილებში ამოერჭუნდა.

ჭეშმარიტი რელიგია

როცა ერთდროულად რამდენიმე ჩანთა მიჭირავს, ერთი აუცილებელად სადმე მრჩება. არა, ჩანთებს კი არ ვსაყვედურობ, რა მათი ბრალია, თავს ვიმართლებ, თორემ ერთჩანთიანსაც ბევრჯერ დამრჩენია, თან სად აღარ: კაფეში, სამსახურში, უნივერსიტეტში, სტუმრად, გაჩერებაზე... რავიცი, ფეხზე რომ ნამივფრინდები და გარეთ გამოვიჭრები, ხელების ქნევაზეღა ვხვდები, რომ რაღაც მაკლია...

ამასწინათ მატარებელში ზურგჩანთა დამრჩა, ჩავედი ვაგონიდან და ლეპტოპის ჩანთა ჩავიტანე მხოლოდ, ფოსტალიონივით მხარიღლივ გადაკიდებული. კიდევ კარგი, მატარებლის დაძვრამდე მემსუბუქა ზურგი.

რამდენიმე დღის წინ კი, ბერლინისკენ მიმავალს, ჩემოდან-ლეპტოპიან-ხელჩანთიანს, სადგურის სკამზე დამრჩა ხელჩანთა...

დასაცინი არაფერია, იმ ჩანთაში იდო ყველაფერი ის, რასაც ჩემი სახელი და გვარი გულისხმობს: სახლის გასაღები,საბანკო პლასტიკური ბარათი, დაზღვევის ბარათი, ბიბლიოთეკის ბარათი, სტუდენტის მოწმობა, პასპორტი... ამ ყველაფერის გარეშე მე ვარ უბინაო, უფულო, უსტატუსო, უსახელოუგვარო, შესაბამისად, საეჭვო, თავიდან მოსაცილებელი, განსადევნი, გასანადგურებელი...

ბონის რამდენიმე ბაქნიან, ძალიან მოხერხებულ, პატარა და კოხტა სადგურზე, აი, რომ არც დაიბნევი და არც არაფერი აგერევა, ჩამოდგა რეგიონული მატარებელი, რომელიც კიოლნამდე მიმიყვანდა, იქიდან კი "იცეში" დადავჯდებოდი და... ექვსი საათი ის დროა, ნიგნის კითხვით რომ დაიღლები და გამოძინებასაც რომ მოახერხებ. და მეც სწორედ ამ კუთვნილ ექვს საათზე ვოცნებობდი, კიოლნიდან ბერლინამდე, ჩემს დაშაქრულ, ვანილიან ექვს საათზე, გაბრიელ დანუნციოს რომანზე რომ ჩამომეძინებოდა ტკბილად, წითელქუდას ბებიასავით სათვალით ცხვირზე...

მატარებელში ამ ქვეყანაში, უმეტეს შემთხვევაში, პუნქტუალურად დადიან. თუ იგვიანებენ, აუცილებლად გაგაფრთხილებენ. ამჯერად არავითარი გაფრთხილება არ გამოუცხადებიათ, ვიჯექი სკამზე მშვიდად, კდემამოსილად, ვუმზერდი აზიური გარეგნობის, იისფერშარვლიან და სტაფილოსფერბოტასებიან მსუქან ქალს, რომელსაც ახლდა მრუმე ფერებში ჩაცმული, გაცრეცილსახიანი ქალიშვილი, ზურგჩანთით და გაუზერებლად ლაპარაკობდნენ რომელიღაც უხერხემლო ენაზე. რასაკვირველია, ამას ხმამაღლა არ ვიტყვი, ეთნიკურ დისკრიმინაციას დამწამებენ, მხოლოდ გულში ვფიქრობ: აი, თომას მანმა რომ რუსულ ენას "უბრტილო" უწოდა, ნეტავ ეს აზი-

ური ენები თუ მოუსმენია? ყური რომ მიუგდო, იფიქრებ, სულ რამდენიმე ბგერას წარმოთქვამენო...

ასე თომას მანსა და ჩინურ ენაზე ფიქრში წამოვდექი სკამიდან, ზურგჩანთა ზურგზე მეკიდა და სიმძიმესაც ვგრძნობდი, ჩემოდანიც იქვე მქონდა და სახელური ამოვუწიე გასაგორებლად. გავნარნარდი ბაქანზე. საჩქარო არაფერია, რიგი დაიცავი, ნუ იქავ ჯუბ, ასვლას ყოველთვის მოასწრებ, თავისუფალი დასაჯდომი ადგილებიც მუდამ არის, - ნარნარი ხმითვე ვუმეორებდი საკუთარ თავს და მივგორავდი. ჯერ ისევ დილა იყო, 11 -ს რომ გადასცდება წუთები.

გერმანულ ნესრიგში საკუთარი თავი მიყვარს, აი, პირდაპირ ვტკებები, რა კდემამოსილი გავხდი, რა მშვიდი, როგორ დავნარნარებ, თან რაც მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებიდან უქუსლოზე გადავედი, ხომ საერთოდ, ვსრიალებ პირდაპირ, ვლივლივებ...

ვაგონში შევედი, სავარძელიც მოვძებნე, ჩემოდანი დავდგი, ზურგჩანთა მოვიხსენი და ვგრძნობ, რაღაც მაკლია. ნუ, მე ისევ ისეთი კდემამოსილი ვარ, აკი არც ავჩქარებულვარ, არც შესასვლელში მიჭიდვია, არც ჩემოდანი მიმირტყამს ვინმესთვის ფეხებში.

მაგრამ მაინც შფოთი მიპყრობს, და ეს შფოთი სულ უფრო ძლიერდება, ვიდრე არ ვხვდები, რომ ჩანთა, ჩემი მწვანე, "ესპრიტში" ფასდაკლებაზე ნაყიდი ხელჩანთა, ბანქანზე დამრჩა, სკამზე.

რომ დაიბნე, ჯერ უნდა შეგეშინდეს. მე ვერც დაბნევა მოვასწარი, ვერც შეშინება. მატარებელი ჯერ ისევ იდგა. ზურგჩანთა ცალ მხარზე გადავიკიდე, ჩემოდანს ხელი ნამოვავლე და ყოველგვარი კდემამოსილების გარეშე ჩავახრიგინე უკან, ბაქანზე. ხრიგინ-ხრიგინით გავირბინე მატარებლის გასწვრივ, მახსოვდა, რომ მატარებლის კუდში ასვლა არ მინდოდა და ჩემი ჩემოდნიანად ცოტა წინა ვაგონებისკენ წავნარნარდი. ახლა იმ გზას უკან მივხრიგინებ და თან სკამებზე ჩანთებს ვუყურებ. არსად არ ჩანს და ვგრძნობ, როგორ მიციდდება ხელები.

"ჩანთა, ჩანთა!" - გავიძახი გერმანულად და ნაბიჯთან ერთად ხმასაც სულ უფრო ვუწევ.

ბოლოს მაკდონალდსის ფერებს ვხედავ და მახსენდება, რომ სნორედ შესასვლელთან ვიჯექი და ის აზიური წარმოშობის ქალიც მაკდონალდსის ჰამბურგერს ჭამდა.

არ ვიცი, რამდენი წუთი გავიდა, ოთხი? ხუთი? ხუთნახევარი? და ჩემი მწვანე ხელჩანთა, როგორც მოწესრიგებული, უსაფრთხო, დაცული ქვეყნის სიმბოლო, ხელუხლებელი იდო სკამზე.

ამასობაში რეგიონული ექსპრესის კარი დაიკეტა. ჩანთა ხომ ვიპოვე, ახლა მატარებელში შეღწევა უნდა მეცადა, წინა ვაგონები ვიღას ახსოვდა, ან ევროპული კდემამოსილება? ქართულად მივასკდი და ღილაკს რამდენჯერმე მივარტყი ხელი, თბილისში ლიფტებზე რომ გვაქვს გაჩვეული, ისე. ბედად, ღილაკი გაყვითლდა და კარი გაიღო. ავახრიგინე ჩემოდანი, დავახეთქე ძირს და ტაშიც გაისმა. როგორც ჩანს, მგზავრები მთელ ამ ჩემს მოძრაობას თვალს ადევნებდნენ, სავარაუდოდ, "ჩანთა- ჩანთას" დასაშვებზე მაღალი ხმით გავკიოდი და ვინც ამ დროს ბაქნის მხარეს იჯდა, თანაგრძნობით (უფრო მეტად კი, ცნობისმოყვარეობით) ელოდა, რით დამთავრდებოდა ეს ჩემი ალიაქოთი. როგორც ნესი, მსგავს ამბებში ხომ უცხოელები არიან შემჩნეულები? - ქაოტური აღმოსავლელები, ხმაურიანი, უნესრიგო, არასაიმედო...

მაგრამ ამჯერად კეთილგანწყობამ სძლია ქაოტურობისადმი გერმანელთა თანდაყოლილ შიშს, შევედი ვაგონში და დამიკრეს ტაში! მე სახალხოდ გადავიწერე პირჯვარი და დავჯექი.

აი, აქედან იწყება ჩემი ისტორიაც. დავჯექი ორი კისკისა გოგოს წინ. გამიღიმეს და აჭყლოპინდნენ. ნუ, მეც სიცილით ვიმართლე თავი, მოვიხადე ქუდი, დავინიავე კაშნეთი, ჩანთაში ავაფათურე ხელი, მოვსინჯე საფულე-სათვალე, გავუღიმე შემოქმედს და აქეთ-იქით გავიხედ-გამოვიხედე. გვერდით მჯდომმა ქალმა დამშვიდება მაცალა და მკითხა:

- აი, პირჯვარი რომ გადაიწერე, რა კონფესიის ხარო? გეტყობა, მორწმუნე ხარო...

- ორთოდოქსი ქრისტიანი-მეთქი, - მხოლოდ ქრისტიანობის აღნიშვნა არაფერს ნიშნავს, თუ კონფესიაც არ მიუთითე.

და ქალმა ამოიღო ბიბლია.

გინდა ვისაუბროთ ჭეშმარიტ ღმერთზეო?

ამ დროს ჩემ წინ გაჩნდა კადრი - როგორ ყოფს ვანო ინანტბელიძე თელავური მარნის ქვევრიდან თავს, ზემოთ სწევს მაგთის ქსელში ჩართულ "ნოკიას" ტელეფონს და გაკვირვებულ-გაღიმებული ამბობს: "აქაცა რეკამს!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ბერძენიშვილი

"ილიადა" დღეს

„არა დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა მიემთხვიე მაქებელსა უმიროსს".
ალექსანდრე მაკედონელი
(დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით)

თანამედროვე მსოფლიო კარგად იცნობს მხატვრული ლიტერატურის ე.წ. „კანონს" ანუ იმ დიადი წიგნების ჩამონათვალს, რომელთაც გადამწყვეტი და წარუშლელი გავლენა მოუხდენიათ დასავლურ კულტურაზე. ხანდახან ამ ჩამონათვალში მუსიკისა და სახვითი ხელოვნების ნიმუშებიც შეაქვთ და ამგვარად გაგებული დასავლური კანონი „ხელოვნების მნვერვალებისგან შემდგარ სულიერების ქედად" (უაკ მარიტენი) გაიაზრება. ამგვარ სიებს ადგენენ მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, გამომცემლობები და მკითხველები. საკუთარი ნუსხები აქვთ შექმნილი სახელგანთქმულ უნივერსიტეტებს; ცნობილია, მაგალითად, ჰარვარდის კლასიკა, იელის სტუდიები, დასავლური კულტურისადმი პრინსტონის უნივერსიტეტის ინტერდისციპლინარული მიდგომა, სტენფორდის უნივერსიტეტის სტრუქტურირებული ლიბერალური განათლება და ა.შ. ხშირად ეს „ლიტერატურული კანონი" უკავშირდება „თავისუფალ ხელოვნებათა" (ლათინური Artes liberales, ინგლისური Liberal Arts) კონცეფციას, რომელიც ანტიკურობიდან იღებს სათავეს. დღეს ეს ტერმინი აღნიშნავს ზოგად ცოდნას და უპირისპირდება სპეციალიზაციის პროფესიულ თუ ტექნიკურ კურიკულუმებს. „თავისუფალი ხელოვნებების" თანამედროვე კომპენდიუმი მოიცავს ლიტერატურას, ენებს, ფილოსოფიას, ისტორიას, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებას. შუა საუკუნეებში Artes Liberales მოიცავდა ტრივიუმს (გრამატიკა, ლოგიკა, რიტორიკა) და კვადრივიუმს (არითმეტიკა, გეომეტრია, მუსიკა, ასტრონომია).

როგორც უნდა აიგოს „თავისუფალ ხელოვნებათა" კონცეფციაზე დაყრდნობილი „ლიტერატურის კანონი", ვინც უნდა ჩამოწეროს დიად ნაწარმოებთა და ავტორთა სია, რომელ კულტურასაც უნდა ეკუთვნოდეს ამ სიის ინიციატორი, რომელ ენაზეც უნდა წერდეს და რომელ კონტინენტზეც უნდა მოღვაწეობდეს, რომელ უნივერსიტეტშიც უნდა შეუდგნენ მხატვრული ლიტერატურის შესწავლას, მაინც ვერავინ ვერ აუვლის გვერდს პირველ ევროპელ ავტორს, მსოფლიო პროფესიული ლიტერატურის ფუძემდებელს და გენიალურ პოეტს, ჰომეროსს. იგი ამგვარ სიაში, როგორც წესი, პირველია: ერთ-ერთი პირველი ავტორი, რომელიც განათლებულმა ადამიანმა უნდა წაიკითხოს, სწორედ ჰომეროსია და პირველი წასაკითხი წიგნებიც ჰომეროსის პოემები, „ილიადა" და „ოდისეა".

ერთი შეხედვით, სრულიად გასაგებია, რომ გა-

ნათლებულ ადამიანს ჰომეროსი წაკითხული უნდა ჰქონდეს, მაგრამ მაინც საკითხავია — რატომ არის გასაგები? ლიტერატურის ისტორია რომ ჰომეროსის გარეშე არ არსებობს, ამაზე არავინ არ დაობს, ძველი ბერძნული განათლება რომ სწორედ ჰომეროსის შესწავლას გულისხმობდა, არც ესაა საკამათო, მაგრამ დღეს რატომაა ჰომეროსი წასაკითხი, რატომაა იგი თანამედროვე ზოგადი განათლების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი? რას აძლევს თანამედროვე ადამიანს ძალიან დიდი ხნის წინ, ოცდარვა საუკუნის წინ დაწერილი თუნდაც გენიალური პოემები? და თუ ჰომეროსი არ იცის, რა ფერი, რა სიღრმე, რა სიზუსტე, რა სითბო, რა მიზანდასახულობა მოაკლდება მის მრავალფეროვან ცხოვრებას, მის ღრმა ინტერესებს, მის ზუსტ პროფესიონალიზმს, მის თბილ გრძნობებს, მისწრაფებებს, იმედებს და უიმედობას? თუ „ილიადა" და „ოდისეა" არ გაუგია, სხვა წიგნს ვერ წაიკითხავს, სპექტაკლს ვერ დაესწრება, კინოს ვერ უყურებს, ინტერნეტში ვერ შევა თუ მანქანას ვერ წაიყვანს?! წაიკითხავს. დაესწრება. უყურებს. შევა. წაიყვანს. აბა, რას ვერ იზამს? რას იძლევა ასეთს ჰომეროსი? — იქნებ, პასუხი ისაა, რომ უკეთესად წაიკითხავს, უფრო ხშირად დაესწრება, უფრო აზრიანად შევა, უფრო სწორი გზით წაიყვანს?

„ილიადის" პირველი სიტყვაა „რისხვა" („რისხვაზე, ქალღმერთო, პელევსის ძის, აქილევსის, საბედისწერო რისხვაზე მიმღერე"). ეს რისხვა აქილევსისაა. აქილევსი განრისხდა მისთვის ბრისეისის მოტაცების გამო, მაგრამ ბერძენთა მთავარი გმირის განრისხებაში იგულისხმება მთელი საბერძნეთის რისხვაც მშვენიერი ჰელენეს მოტაცების გამო: ასე იწყება პოემა ომის მეათე წელს და ასე მიანიშნებს ეს დასაწყისი ტროის ომის დასაწყისსაც. შესაბამისად, ჰომეროსის დროს, როგორც ფენომენს, საწყისის და დასასრულის გაორება შეუძლია: ომის მეათე წელი ამავე დროს ომის დასაწყისია, ხოლო პოემის დასასრული ტროის ომის დასასრულიცაა. „ილიადის" უკანასკნელი სიტყვაა „ცხენთამხედნელი", ეპითეტი, რომლითაც მთავარი ტროელი გმირი, ჰექტორია მოხსენიებული („ასე მოუარეს ცხენთამხედნელი ჰექტორის საფლავს"). ასე მთავრდება „ილიადა", ჰექტორის სიკვდილით, რომელშიც, როგორც ტრაგიკულ მეტაფორაში, იგულისხმება ტროის საბოლოო დაცემა და განადგურება. პოემის პირველ სტრიქონში ბერძენი აქილევსია, უკანასკნელში — ტროელი ჰექტორი. აქილევსი და ჰექტორი: მრისხანება და სიკვდილი, დასაწყისი და დასასრული. ომი, მგრძობა, ლაჩრობა, სამართალი, უსამართლობა, მრისხანება, დაუნდობლობა, მხედარმთავართა შეცდომები — თუკი ეს ყველაფერი დღესაც ხდება, ტროის ომი დღესაც მიმდინარეობს და ჰომეროსი დღევანდელობასაც აღწერს. ასე „სტერეოდ" წერდა ჰომეროსი საუკუნეების წინ, როდესაც მკითხველის თვალწინ ერთდროულად მიმდინარეობდა დროის ორი მდინარე ცხრანლიანი ინტერვალით. შემდეგ ასე აღარ წერდნენ საუკუნეების განმავლობაში. ასე წერა კვლავ დაიწყეს მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეებში.

ჰომეროსმა შექმნა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული გმირების ისეთი გალერეა, რომლებიც მოულოდნელი და იდუმალი ბმებით ერთიან ანსამბლს ქმნიან. პოეტი მათ ხატავს როგორც მუსიკალურ ინსტრუმენტებს, რომლებიც სხვადასხვა ხმას გამოსცემენ, მაგრამ ერთად აუღერებულნი თანახმიანობას, სიმფონიას ქმნიან. ყველა გმირმა უნდა იცოდეს საბრძოლო ხელოვნება, ყველას უნდა შეეძლოს ჭრილობის მოვლა, ყველა უნდა იყოს დაჯილდოებული მჭევრმეტყველების ნიჭით, მაგრამ თითოეული გმირი მაინც უნდა გამოირჩეოდეს ერთი რომელიმე თვისებით: ფეხმარდ აქილევსს ვაჟკაცობაში ვერავინ შეედრება, ითაკელი ოდისევსი ყველაზე ცბიერი და მოხერხებული, გერენონის მხედარი ნესტორი — ყველაზე ბრძენი, არგოსელი ჰელენე — ყველაზე მშვენიერი, ყოვლისმცოდნე კალქასი — ყველაზე უკეთესი მისანი, დასტაქარი მაქაონი — ყველაზე უკეთესი მკურნალი. გმირების ცალკეული ნიშნით, მინიმალური შტრიხით გამორჩევა ორი ათას რვაასი წლის ჰომეროსს თანამედროვე ტექნოლოგიებთან და ცალკეულ მეცნიერებებთან (მაგალითად, ფონოლოგიასთან) უცნაურად აახლოებს — ჰომეროსის ესა თუ ის პერსონაჟი შეგვიძლია აღვწეროთ, როგორც ფონემა, იგია სასრული ოდენობის ბინარულ ოპოზიციათა უნიკალური კრებული. ამავე დროს, დიდი გმირები არა მხოლოდ ერთი ნიშნით გამოირჩევიან, არამედ სხვა ნიშნთა ინტენსივობითაც; ეს ძალიან კარგად ჩანს „ილიადის", ემოციური თვალსაზრისით, ცენტრალურ ეპიზოდში, როდესაც ერომანეთს მთავარი გმირები, აქილევსი და ჰექტორი შეერკინებიან.

ლიტერატურის ისტორიაში მრავალი ორთაბრძოლის აღწერა არსებობს, მაგრამ, საერთო აღიარებით, აქილევსისა და ჰექტორის ორთაბრძოლას ვერც ერთი ვერ შეედრება. წინა ეპიზოდებში უშიშარმა ჰექტორმა შუბი სტყორცნა აქილევსს, მაგრამ ათენამ იგი პელევსის ძეს ააცილა და ისევ ჰექტორის ფეხებთან დაადგო. თავად აქილევსი სამჯერ დაეცა თავს ჰექტორს, მაგრამ აპოლონმა ჰექტორის ნაცვლად ღრმა წყვდიადი დაახვედრა. უკანასკნელ ბრძოლაში კი ტროელებმა ძლივს შეასწრეს საკუთარ ქალაქში მრისხანე აქილევსს და კარიბჭე ჩარაზეს. აქაველთა პირისპირ მხოლოდ ჰექტორი დარჩა. იგი მდუმარედ იდგა ტროის კარიბჭესთან. ამაოდ ემუდარებოდა პრიამოსი თავის ძეს, ამაოდ დაღვარა ცრემლები გმირის დედამ, ჰეკაბემ: ჰექტორი ილიონში არ შებრუნდა. სასტიკი აქილევსი კი უახლოვდებოდა. აქილევსის მრისხანეს იერმა უშიშარი ჰექტორიც კი დაფრთხო, იგი ბაიქცა და ფეხმარდი გმირი მას დაედევნა: სამჯერ შემოურბინეს გმირებმა ტროის ბალავანს. ღმერთები ამ სპექტაკლს ზემოდან დაჰყურებდნენ; ბოლოს ზეკმა გმირების ხვედრი სასწორზე შეაგდო და ჰექტორის პინა ძირს დაეშვა; აქილევსი მისდევდა ჰექტორს, როგორც მწვანი მისდევს განწირულ ირემს. აპოლონმა მიატოვა ჰექტორი, ხოლო ძმის, დეიფობოსის სახით მოვლენილმა ათენამ მზაკვრულად შეარცხვინა და

ბრძოლისკენ მოუწოდა. ჰექტორი უღმერთო ბრძოლაში დამარცხდა. ჰომეროსმა ზეთანამედროვედ „გახსნა" ამ ეპითეტის შინაარსი: „უღმერთო" ნიშნავს „ღმერთებისგან მიტოვებულს". თვით უდიდესი აქილევსიც კი ვერ დაამარცხებდა ჰექტორს, ეს უკანასკნელი რომ ყველა ღმერთს არ მიეტოვებინა. „ღმერთებიანმა" გამარჯვებულმა „უღვთოდ" არ შეისმინა მომაკვდავი მეტოქის თხოვნა, ეტლს გამოაბა ჰექტორის გვამი და აქაველთა ბანაკისკენ გააქანა — მრისხანებას ჭეშმარიტად უჭირს კეთილშობილებასთან დაწყვილება; ხოლო აქილევსის მრისხანებას აძლიერებს იმის შეგრძნებაც, რომ ჰექტორის სიკვდილმა თავად აქილევსის სიკვდილიც მოაახლოვა.

„ილიადის" ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპოზიციური თავისებურებაა „ქრონოლოგიური შეუთავსებლობის კანონი", რომელსაც შმიდ-შტელინის კანონის სახელით მოიხსენიებენ ევროპელი მეცნიერები და „ზელინსკის კანონად" მათი რუსი კოლეგები (მარკონი-პოპოვისა და ედისონლოდდიგინის პარადიგმის გაგრძელება). ქრონოლოგიური შეუთავსებლობის კანონის არსი ისაა, რომ ჰომეროსთან საუბარი ვერასოდეს ვერ უბრუნდება სანყის წერტილს. ჰომეროსი ვერ იტყოდა, „არამედ ან კვალად პირველსავე სიტყვასა მივიდეთო". ზემოთქმულიდან გამომდინარე, დროში პარალელური მოვლენები ჰომეროსთან ვერ აისახება. ჰომეროსის პოეტური ტექნიკამ იცის მხოლოდ მარტივი წრფივი განზომილება და არა რთული კვადრატული. შესაბამისად, პარალელურად მიმდინარე ამბები ან მიმდევრობით გადმოიცემა, ან ერთ-ერთი მათგანი იჩქმალება.

გარდა ამისა, ჰომეროსის პოემების გეომეტრიული სტილი ჰარმონიაშია მაშინდელ გეომეტრიულ, წრიულ-კვადრატულ ხელოვნებასთან. ჩვენ, ქართველები, ძალიან კარგად ვიცნობთ ამგვარ ხელოვნებას. ჩვენი პირველი მიახლება მსოფლიო ცოდნასთან სწორედ კვარდატში ჩასმული წრეებით, ნახევარწრეებით და ვერტიკალურ-ჰორიზონტალური ხაზებით დაიწყო. ხატოვნად რომ ვთქვათ, ჰომეროსის მწერლობა ჭაკვს ჩვენს მრგლოვან („ასომთავრულ") დამწერლობას.

რაც შეეხება „ილიადის" სტილს, ის შეიძლება დახასიათდეს, როგორც ე.წ. „ფორმულური სტილი". პოეტურ ფორმულაში იგულისხმება არა შტამპები, შაბლონების ნაკრები, არამედ მოქნილ და ცვლად გამოთქმათა სისტემა, რომელიც დაკავშირებულია სტრიქონის გარკვეულ ადგილთან, რასაც მეტრიკა განსაზღვრავს. შეიძლება ფორმულაზე ლაპარაკი მაშინაც კი, როდესაც ესა თუ ის სიტყვათშეთანხმება ტექსტში მხოლოდ ერთხელ გვხვდება, თუმცა მაინც აშკარაა, რომ ის სისტემის ნაწილია. ფორმულებია არა მხოლოდ „ფეხმარდი", „ღმერთების თანასწორი", „მრავალგონიერი", „თეთრხელება", „თვალსხივოსანი", „მიზანს აუცდენელი", „ეგიფისმპჯოობელი" და ა.შ., არამედ ასევე: „მასთან მივიდა, ახლოს დაუდგა და უთხრა", „ქვემოდან ამოხედა და უთხრა", „ასე ბრძანა" და ა.შ. გარდა საკუთრივ ფორმულებისა, გვხვდება განმეორებადი ფრაგმენტები, მაგალითად, რომელიმე გმირი სხვა გმირის სიტყვას რომ გადმოსცემს, ტექსტი შეიძლება სიტყვასიტყვით განმეორდეს.

ჰომეროსს ახასიათებს რთული ეპითეტები, რომლებიც არა სიტუაციურად, არამედ ფორმულების სისტემაში უნდა განვიხილოთ. აქილევსი „ფეხმარდია" მაშინაც, როდესაც ზის, ხოლო აქაველები „ლამაზსაბარკულიანები" არიან მაშინაც, როდესაც აღჭურვილობის გარეშე აღიწერებიან.

* * *

დაბოლოს, თარგმანის შესახებ: ჰომეროსი რამდენჯერმეა თარგმნილი ქართულ ენაზე, როგორც ფრაგმენტულად, ისე სრულად. გვაქვს „ილიადის" სრული პოეტური თარგმანი, შესრულებული რომან მიმინოშვილის მიერ; ასევე, „ოდისეის" სრული პოეტური (პანტელეიმონ ბერაძე) და პროზაული თარგმანები (ზურაბ კიკნაძე და თამაზ ჩხენკელი). სწორედ „ოდისეის" პროზაული თარგმანი უნდა მივიჩნიოთ ჰომეროსის პოეზიის საუკეთესო ქართულ ტექსტად, თუმცა ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ უკლებლივ ყველა ქართველი მთარგმნელი, რომელიც ჰომეროსს შეეჭიდა, ლიტერატურის ნამდვილი რაინდი და გმირია. ეს საქმიანობა, ეს გმირობა — ჰომეროსის თარგმნა — არასოდეს არ უნდა შეწყდეს. ამავე დროს, ჰომეროსის პოეზიის თავისებურებათა გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს „ილიადის" პროზაულ თარგმანს; გასათვალისწინებელია, რომ ისეთმა ბრწყინვალე პოეტმაც კი, როგორიც იყო ლეკონტ დე ლილი, „ილიადა" ფრანგულად პროზად თარგმნა.

ჰომეროსის მთარგმნელმა უნდა დაუჯეროს მეცხრამეტე საუკუნის კარგ ინგლისელ პოეტსა და შესანიშნავ კრიტიკოსს, მეთიუ არნოლდს: „ჰომეროსის მთარგმნელმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინოს მისი ავტორის ოთხი თავისებურება: (1) იგი უაღრესად სწრაფია; (2) იგი უაღრესად უბრალო და პირდაპირია, როგორც აზრის ეკოლუციაში, ისე მის გამოხატვაში, ანუ როგორც სინტაქსში, ისე ლექსიკაში; (3) იგი უაღრესად უბრალო და პირდაპირია საკუთარი აზრების შენივთებაში, ანუ მასალასა და იდეებში და, საბოლოოდ, (4) იგი უაღრესად კეთილშობილია". სწორედ ამიტომ მიმაჩნია ჩვენი დროის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხატვრულ ამოცანად ჰომეროსის თარგმნა უბრალო, სოკრატესი არ იყოს, „ხელში პირველად მოხვედრილი" სიტყვებით, არა ზეაწეულ, არამედ უბრალო, ყოფით პოეტურ რეგისტრში, პათეტიკის გარეშე, მაგრამ ვნების ანუ პათოსის თანხლებით. რაც შეეხება „ზე აწევას", ტექსტი ამას თავადაც მოახერხებს და „აქილევი", რომელიც სასიკვდილოდ ვერ გაიმეტა ჰომეროსმა და „ილიადაში" ცოცხლად დატოვა, ისევ დააღწევს თავს მკვდართა საუფლოს, ისევ აღდგება და დაიბადება ქართულ ენაში. და ეს ისევე უტყუარია, როგორც ის, რომ ოცდამეერთე საუკუნეშიც ყოველ დილას ახალშობილი ეოსი ვარდისფერ თითებს გამოაჩენს.

ჰომეროსი

ილიადა

ძველი ბერძნული ენიდან თარგმნა და განმარტებები დაურთო
ლევან ბერძენიშვილმა

პირველი სიმღერა

ჭირი, რისხვა

რისხვაზე[1], ქალღმერთო[2], პელევსის[3] ძის, აქილევსის, იმ საბედისწერო რისხვაზე მიმღერე, რომელმაც აქაველებს[4] ათასი ჭირი მოუტანა, მრავალი მძლავრი გმირის სული ჰადესში ჩადენა[5], სხეული კი საჯიჯგნად მიუგდო ძაღლებსა და ფრინველებს. ასე აღსრულდა ზევსის ნება[6] მას შემდეგ, რაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ხალხთა ბელადი, ატრევსის ძე[7] და ღვთაებრივი აქილევსი. რომელმა ღმერთმა გადაამტერა ეს ორი გმირი? — ლეტოსა და ზევსის ძემ[8]; სწორედ მან, მეფეზე განრისხებულმა, შავი ჭირი მოუვლინა მხედრობას და გაწყდა ხალხი, რადგან ქურუმი ქრისესი შეურაცხყო ატრევსის ძემ; ქრისესი ხომ მანამდე მივიდა აქაველთა სწრაფ ხომალდებთან ქალიშვილის გამოსახსნელად უზარმაზარი გამოსასყიდით, ხელთ ეპყრა მიზანს აუცდენელი აპოლონის გვირგვინი და ოქროს კვერთხი; ევედრებოდა ყველა აქაველს, განსაკუთრებით კი ატრევსის ორ ძეს[9], ხალხთა მხედართმთავრებს: „ატრევსის ძეებო და სხვა ლამაზსაბარკულიანო აქაველებო, დაე, ოლიმპოსზე[10] დასახლებულმა ღმერთებმა დაგაქცევინონ პრიამოსის ქალაქი[11] და ბედნიერად დაგაბრუნონ შინ; ჩემი საყვარელი ბავშვი კი გამოუშვით და გამოსასყიდი მიიღეთ, პატივი ეცით ზევსის ძეს, მიზანს აუცდენელ აპოლონს.”

მაშინ ყველა აქაველმა მოწონების ყიჟინა დასცა, პატივი ვცეთ ქურუმს და ბრწყინვალე გამოსასყიდი მივიღოთო, მაგრამ ატრევსის ძის, აგამემნონის, გული ვერ მოიგო ქურუმმა, უხეშად მოიცილა და მკაცრი სიტყვაც მიაყოლა: „არ გადამეყარო, ბერიკაცო, ფართომუცლიან ხომალდებთან, არც ახლა დაყოვნდე და არც შემდგომში დაბრუნდე, თორემ ღმერთის კვერთხი და გვირგვინი



ვერ გიშველის! ქალიშვილს არ მოგცემ, ჩემს სახლში, არგოსში[12], სამშობლოს მოშორებული, დაბერდება იგი ქსლის მბეჭველად და ჩემი სარეცლის გამზიარებლად. ახლა კი წადი, არ გამაბრაზო და ცოცხალმა გამასწარი!"

ასე თქვა, შედრკა მოხუცი და დაემორჩილა სიტყვას: ჩუმად გაუყვა მოგრიალი ზღვის ქვიშიან ნაპირს. კარგად რომ გასცდა იქაურობას, შეევედრა მეუფე აპოლონს, რომელიც მშვენიერთმიანმა ლეტომ შვა: „მისმინე, ვერცხლის მშვილდიანო, რომელიც გარს უვლი ქრისესა[13] და წმინდა კილას[14] და მძლავრად მეფობ ტენედოსში[15]; სმინთევსო[16], თუკი ოდესმე შენი ტაძარი გამიმშვენიერებია, ან თუკი ოდესმე ხარისა და თხის მსუქანი ბარკლები დამიწვავს შენთვის, ეს სურვილი ამისრულე: აზღვევინე დანაელებს ჩემი ცრემლები შენი ისრებით."

ასე თქვა მავედრებელმა, მას უსმინა სხივოსანმა აპოლონმა, ოლიმპოსის მწვერვალებიდან სწრაფად დაეშვა განრისხებული, მშვილდი ჰქონდა და ორმხრივ დახურული კაპარჭი; ხმას გამოსცემდა ისრები მრისხანე ღმერთის ზურგზე და მოდიოდა იგი ღამესავით პირქუში იერით. ჩამოჯდა ხომალდებთან და გაუშვა ისარი: საშინელი ხმა გამოსცა ვერცხლის მშვილდმა: ჯერ ჯორები და მკვირცხლი ძაღლები განაყვიტა, ბოლოს კი ბასრი ისარი ხალხსაც მიაწვდინა: მთელი დღეები მრავალ კოცონზე იწვოდა გვამები.

ცხრა დღეს მუსრავდა მხედრობას ღმერთის ისრები, მეათე დღეს კი კრებაზე მოუხმო ხალხს აქილევსმა: ეს მას თეორხელება ქალღმერთმა ჰერამ[17] უკარნახა — გული უკვდებოდა, დანაელების[18] ამოწყვეტას რომ უმზერდა; როდესაც ხალხმა თავი მოიყარა, წამოდგა ფეხმარდი აქილევსი და ბრძანა: „ატრევსის ძეო, როგორც ვხედავ, უკან უნდა გავცეროთ და შინ დავბრუნდეთ, სიკვდილს რომ გავექცეთ, რადგან ომი და შავი ჭირი ერთად დაერია აქაველებს. მოდი, ვკითხოთ მისანს, ქურუმს ან სიზმრის ამხსნელს, — სიზმარიც ხომ ზევსისგანაა; დაე, გვითხრას, რაზეა განრისხებული სხივოსანი აპოლონი, აღთქმა დავურღვიეთ, ასი ხარის შენირვას არ დავპირდით, თუ ცხვრებისა და ნარჩევი თხების ოხშივარს ელის, რომ ჭირი აგვაცილოს თავიდან?"

ეს თქვა და დაჯდა; მაშინ წამოდგა კალქას თესტორის ძე, ფრინველთმისანი უპირველესი, რომელმაც იცოდა, რაც იყო, რაც არის და რაც იქნება; თავისი მისნობის ნიჭით, რომლითაც სხივოსანმა აპოლონმა დააჯილდოვა, მან ჩაიყვანა აქაველები ხომალდებით ილიონში[19]. კეთილი ნებით ილაპარაკა და ასე მიმართა მათ: „ო, აქილევს, ზეკესის რჩეულო, ითხოვ, აგიხსნა შორსმიმნვდომი[20] მეუფე აპოლონის რისხვა; ამას აგიხსნი, მაგრამ შენც დამეთანხმე და შემომფიცე, რომ სიტყვებითაც დამიცავ და ხელებითაც. ვიცი, რომ განვარისხებ კაცს, რომელიც ყველა არგოსელზე მბრძანებლობს და რომელსაც ემორჩილებიან აქაველები. მეტად მძლავრია მეფე, როდესაც განურისხდება ქვეშევრდომ კაცს. მან შეიძლება ნყენა გადაყლაპოს დღეს, მაგრამ არ დაივიწყებს და სანამ შურს არ იძიებს, გულში ექნება. ახლა კი მითხარი, დამიცავ თუ არა?"

მიუგო ფეხმარდმა აქილევსმა: „გაბედე და თქვი მისნობა, რაც კი იცი: ვფიცავ ზევსის საყვარელ აპოლონს, რომელზეც ლოცულობ შენ, კალქას, და დანაელებს მისნობას უმფლავნებ, სანამ ცოცხალი ვარ და თვალში სინათლე მიდგას, ღრმამუცლიან ხომალდებთან დანაელთაგან ვერავინ აღმართავს მძიმე ხელს შენზე, თუნდაც იყოს აგამემნონი, რომელიც ახლა აქაველთაგან უპირველესად მიიჩნევა. მაშინ გათამამდა და ბრძანა უზადო მისანმა: „აღთქმის დარღვევისთვის ან ასი ხარის გამო კი არ არის განრისხებული ღმერთი, არამედ ქურუმის გამო, რომელიც შეურაცხყო აგამემნონმა, როდესაც არც ასული მისცა და არც გამოსასყიდი გამოაროვა; მის გამო დაგვატეხა თავს ჭირი მიზანს აუცდენელმა და კიდევ დაგვატეხს: დანაელებს საშინელი ჭირი არ ასცდებამ, სანამ საყვარელ მამას გამოსასყიდის გარეშე არ დავუბრუნებთ თვალმოელვარე ასულს და წმინდა ას ხარს არ შევწირავთ ქრისეში: მხოლოდ მაშინ შევძლებთ მის დაწყნარებას," — ეს ბრძანა და დაჯდა, უმალვე წამოდგა ატრევსის გმირი ძე, დიდ სივრცეთა მბრძანებელი, აღელვებული აგამემნონი — სასტიკი მრისხანებით აღევსო ჩაშვებული გული, თვალებში კი ცეცხლი აენთო. ავად შეავლო თვალი კალქასს და ასე ბრძანა: „მარად ცუდის მისანო, კარგი არასდროს გითქვამს ჩემთვის! აშკარად გიხარია, მუდამ უბედურებას რომ წინასწარმეტყველებ, კარგი სიტყვა კი არც გითქვამს და არც აგისრულებია. ახლაც დანაელებში მისნობ და ამბობ, თითქოს იმიტომ მოგვახვია თავს ეს უბედურება მიზანს აუცდენელმა, რომ ქალიშვილი ქრისეისისთვის დიდი გამოსასყიდის მიღება არ ვისურვე, რადგან მომინდა, სახლში მყოლოდა იგი: კანონიერ მეუღლეს, კლიტემნესტრასაც[21] კი ვამჯობინებდი მას, არაფრით ჩამოუვარდებოდა არც აღნაგობით, არც სიმაღლით, არც გონებით და არც საქმით; თუმცა ახლა მსურს, დავაბრუნო, რაკი ასე ყოფილა საჭირო: ოღონდ კი დაადარჩეს ხალხი და არ ამოწყდეს; მაგრამ თქვენ ახლავე უნდა მომიმზადოთ სანაცვლო ჯილდო, რათა მარტო არ დავრჩე უსაჩუქროდ არგოსელთა შორის; ეს არ შეიძლება: ხომ ხედავთ ყველანი, სხვაგან მიდის ჩემი საბოძვარი."

მას მიუგო ფეხმარდმა ღვთაებრივმა აქილევსმა: „ატრევსის ძეო სახელგანთქმულო, სიხარბით ყველასგან გამორჩეულო, როგორ მოგცემენ ჯილდოს დიდსულოვანი აქაველები? ნუთუ არ ვიცით, რომ საერთო განძი არსად არ გვიდევს? რაც ქალაქების დაქცევით მოგვიპოვებია, ის გავიყავით, ხოლო ხალხისთვის მიცემულის წართმევა უკადრისია! მაგრამ ახლა შენი ნადავლი ღმერთს დაუთმე, შემდეგ კი სამგზის, ოთხგზის აგინაზღა-

ურებთ, როგორც კი ზევსი კეთილგალავნიან ტროას დაგვაქცევინებს."

მიუგო მბრძანებელმა აგამემნონმა: „რაგინდ კარგიც უნდა იყო, ღვთისდარო აქილევსო, მე ვერ მომატყუებ გონებამახვილობით, ვერც გამაცურებ და ვერც დამარწმუნებ. გინდა, რომ თავად ფლობდე ჯილდოს, ხოლო მე არაფერი მქონდეს და ასე ვიჯდე; თანაც მიბრძანებ, რომ ქალიშვილი დავაბრუნო? მაგრამ, დაე, დიდსულოვანმა აქაველებმა მომცენ გულისთვის საამო ჯილდო, რომელიც პირველის თანაბარი ღირსებისა იქნება, ხოლო თუ არ მომცემენ, მე თვითონ მოვიტაცებ ან შენს ჯილდოს, ან აიასისას[22], ან ოდისევსისას[23], თვითონ წავართმევ და ვაი იმას, ვისაც მივადგები! თუმცა ამაზე შემდეგაც შეგვიძლია ვისაუბროთ. ახლა კი შავი ხომალდი წმინდა ზღვაში ჩავუშვათ, მძლავრი მენიჩბეები შევარჩიოთ, ჰეკატომბე[24] ავიყვანოთ გემზე, ასევე დავსვათ გემზე თავად ღაწვმშვენიერი ქრისეისი; ერთ-ერთი მრჩეველი კაცი დავუყენოთ მეთაურად: ან აიასი, ან იდომენეევსი[25], ან ღვთაებრივი ოდისევსი, ან შენ, პელევსის ძეო, კაცთაგან უსასტიკესო, რომ მსხვერპლშეწირვა აღუთქვა შორსმიმწვდომს და დაუცხრო რისხვა."

მას წარბშეკვრით შეხედა და უპასუხა ფეხმარდმა აქილევსმა: „ო, უტიფრობით შემოსილო, გაუმაძღარო! რომელი აქაველი უნდა ერწმუნოს შენს სიტყვას გულიანად? ვინ წამოგყვება სალაშქროდ ან მტერთან ვაჟკაცურად საომრად? მე ხომ შუბოსან ტროელთა გამო არ მოვსულვარ აქ საბრძოლველად, ჩემთვის ხომ არაფერი დაუშავებიათ?! ჩემგან არასდროს წაუსხამთ არც ხარები და არც ცხენები, კაცთა აღმზრდელ ნაყოფიერ ფთიაში მოსავალი არასოდეს გაუჩანაგებიათ, რადგან ჩვენ შორის მრავალი რამაა — ჩრდილოვანი მთები და ხმაურიანი ზღვა. არა, შენ მოგყევით, ურცხვო, შენ რომ გაგეხარა, ტროელთაგან შელახული მენელაოსისა და საკუთარი ღირსება რომ დაგეცვა, ძაღლთაპირო! შენ ეს არ გადარდებს და ფეხებზე გკიდია. და ახლა მემუქრები, რომ წამართმევ ჯილდოს, რომლისთვისაც ამდენი გავიხარჯე და რომელიც აქაველთა შვილებმა მომცეს. შენი თანასწორი ჯილდო მე არასდროს მხვდებოდა, როცა აქაველები ტროელთა კარგად დასახლებულ ციხე-ქალაქებს იღებდნენ. თუმცა სასტიკი ბრძოლის დიდი წილი ჩემს ხელებზე მოდიოდა, მაგრამ როგორც კი ნადავლის გაყოფაზე მიდგებოდა საქმე, შენ ბევრად დიდი ჯილდო გერგებოდა, მე კი მცირეს, მაგრამ ძვირფასს ვჯერდებოდი და ისე მივდიოდი ხომალდებთან, თუმცა კი ბრძოლაში ვითანგებოდი. ახლა ფთიაში მივდივარ, ბევრად უკეთესია შინ დაბრუნება მოხრილკიჩოიანი ხომალდებით, არ მსურს აქ, პატიცვაყრილმა, შენი განძი და სიმდიდრე ვამრავლო!"

მაშინ მას მიუგო კაცთა მეუფე აგამემნონმა: „გაიქეცი, თუ გული ამას გეუბნება! მე არ შეგევედრები, რომ ჩემთან დარჩე: ჩემთან არიან სხვები, ვინც პატივს მცემს, განსაკუთრებით კი ბრძენი ზევსი. ყველაზე საძულველი ხარ ჩემთვის ზევსის აღზრდილ[26] მეფეთა შორის. შენ მუდამ მხოლოდ შეხლა-შემოხლა, ბრძოლა და ომი გიზიდავს. დიდი ვაჟკაცი თუ ხარ, ეს ნიჭი ხომ ღმერთმა გაჩუქა! სახლში წადი შენი ხომალდებით და შენი მეგობრებით, იმბრძანებლე მირმიდონელებზე![27] შენ მე არ მადარდებ, შენი რისხვაც არაფრად მიმაჩნია! პირიქით გემუქრები: რადგან ჩემგან მიჰყავს ქრისეისი სხივოსან აპოლონს, მას ჩემი ხომალდითა და ჩემივე მეგობრებით უკან დავაბრუნებ, მაგრამ მე თვითონ მოვალ შენს კარავში და ლამაზოსანვნიან ბრისეისს, შენს ჯილდოს, წამოვიყვან, რათა კარგად გაიგო, რამდენად უფრო მძლავრი ვარ შენზე და სხვა ვინმეც მოერიდება, თავი ჩემ სწორად გამოაცხადოს და გამიტოლდეს.

ასე ბრძანა. დამწუხრდა აქილევსი და თმიან მკერდში ორად გაყოფილი გული აუღელდა: ან უნდა ეშიშვლა ბასრი ხმალი თეძოს გვერდიდან, გაეფანტა ხალხი და მოეკლა ატრეევსის ძე, ან დაეცხრო რისხვა და მოეთოკა სული; როდესაც ეს ფიქრი ბობოქრობდა გულის სიღრმეში და ქარქაშიდან იღებდა თავის დიდ ხმალს, ჩამოფრინდა ათენა[28] ზეციდან. თეთრხელება ქალღმერთმა ჰერამ გამოაგზავნა იგი, რადგან ერთნაირად უყვარდა და ზრუნავდა ორივე ვაჟკაცზე. უკან დაუდგა და ოქროსფერ თმებში ჩაავლო ხელი პელევსის ძეს — მხოლოდ მას გამოეცხადა, სხვა ვერავინ ხედავდა მას. გაოგნდა აქილევსი, შემობრუნდა და მაშინვე იცნო ათენა პალასი[29]: საშინლად უელავდა თვალები. მას მიუბრუნდა და მიმართა ფრთოსანი სიტყვით: „რისთვის მოსულხარ, ეგიდისმპყრობელი[30] ზევსის ასულო? იმისთვის ხომ არ, რომ გეხილა ატრეევსის ძე აგამემნონის ამპარტავნება?! მაგრამ ერთს გეტყვი და, მგონი, ეს მალე ასრულდება — ეს თავხედობა მას მალე თავს დააკარგვინებს".

მას მიუგო თვალსხივოსანმა ქალღმერთმა ათენამ: „ზეციდან მოვედი, რომ დაგარწმუნო და დავაცხრო შენი მრისხანება; გამომაგზავნა თეთრხელება ქალღმერთმა ჰერამ, რადგან ერთნაირად უყვარხართ და ზრუნავს ორივე თქვენგანზე. დაიცხრე შუელი, ხმალს ხელი უშვი, ლანძღე სიტყვებით, რაც ენაზე მოგდგება. გეუბნები და ეს მალე აგისრულდება: სამგზის მეტ საჩუქარს მოგიძღვნიან მისი ამ თავხედობის გამო, ოღონდ ახლა დამშვიდდი და დაგვიჯერე."

მიუგო ფეხმარდმა აქილევსმა: „აუცილებელია, ქალღმერთო, ორივე თქვენგანის სიტყვას დავემორჩილო! თუმცა რისხვას ვერ ვიოკებ, მორჩილება უფრო სასარგებლო იქნება: ვინც ემორჩილება ღმერთებს, მას ყურს უგდებენ ისინიც." ბრძანა და ვერცხლის ვადას ჩაავლო მძიმე ხელი, ქარქაშში ჩააგო დიდი ხმალი, დაემორჩილა ათენას ნათქვამს, ის კი ოლიმპოსზე, ეგიდისმპყრობელი ზევსის სასახლეში გაეშურა და შეუერთდა

ღმერთების გუნდს.

პელევსის ძმ კი კიდევ ერთხელ სასტიკი სიტყვებით მიმართა ატრევსის ძეს და არ დაიცხრო რისხვა: „ღვინით გალეშილო, ძაღლის სიფათიანო და ირმის გულიანო! შენ ხომ ერთხელაც არ აგისხამს აბჯარი ხალხის წინ საბრძოლველად, არც დაზვერვაში წასვლა გაგიბედავს აქაველ ვაჟკაცებთან ერთად: ეს ხომ სიკვდილად მიგაჩნდა! ბევრად გირჩევნია, აქაველთა ვრცელ ბანაკში ჯილდო წაართვა იმ კაცს, რომელიც შენ წინააღმდეგ ხმას ამოიღებს. ხალხის მძარცველი მეფე ხარ, რაკი არარაობებზე მეფობ; ასე რომ არ იყოს, ეს შენი უკანასკნელი თავხედობა იქნებოდა. შენ გეუბნები და დიდი ფიცით გეფიცები, ამ კვერთხს გეფიცები, რომელიც ფოთლებსა და ტოტებს ვეღარ გამოისხამს, მას შემდეგ რაც მთებში დატოვა თავისი ძირი, ხელახლა ვეღარ გამწვანდება, რადგან სპილენძის ცულმა მოასხიპა ფოთოლი და კანი; ახლაც ხელთ უპყრიათ იგი აქაველთა შვილებს — ზევსისგან მომდინარე ადათების მცველებს. დაე ეს იყოს თქვენთვის უდიდესი ფიცი! ჭეშმარიტად მოვა ის დღე, როდესაც აქილევსს ერთად მოადგებიან აქაველთა შვილები; იმ დღეს შენ, გამწარებული, ვერაფრით დაეხმარები მათ და უამრავ მათგანს მზეს დაუბნელებს კაცთამომწყვეტი ჰექტორი[31]. შენ კი გული გაგისკდება და მწარედ ინანებ, რომ აქაველთაგან საუკეთესო შეურაცხჰყავი."

ეს თქვა პელევსის ძმ და მიწაზე დააგდო კვერთხი, ოქროს ლურსმნებით მოჭედილი, თავად კი დაბრძანდა. მეორე მხარეს ატრიდი მძვინვარებდა. უმალ ტკბილმოუბარი ნესტორი წამოი-

მართა, პილოსელთა მჭექარე ორატორი[32], რომლის ენიდან მოედინებოდა თაფლზე უტკბესი სიტყვა. მის სიცოცხლეში უკვე წავიდა მოკვდავ კაცთა ორი თაობა, რომელიც დაიბადა და მასთან ერთად ცხოვრობდა ღმერთის შეწირულ პილოსში და ახლა მესამე თაობაზე მეფობდა. კეთილი განზრახვით მიმართა შეკრებილთ და ბრძანა: „ოჰ, დიდი მწუხარება მოდის აქაველთა მიწაზე! რას გაიხარებენ პრიამოსი და პრიამოსის შვილები! სხვა ტროელებსაც ხომ სიხარულით აევსებათ სული, როდესაც გაიგებენ თქვენ ორის დაპირისპირების ამბავს, რომლებიც პირველები ხართ დანაელთა შორის საბჭოსა და ბრძოლაშიც. ყური დამიგდეთ, ორივენი ხომ ჩემზე უმცროსები ხართ, დიდი ხნის წინ თქვენზე უკეთეს ვაჟკაცებთანაც მქონია საქმე და ყოველთის მოუსმენიათ ჩემთვის. მეტი არც მინახავს და ვეღარც ვნახავ ისეთ ვაჟკაცებს, როგორებიც იყვნენ პეირითოოოსი[33] და ხალხთა მწყემსი დრიასი[34], კაინევსი[35], ექსადიოსი[36] და ღვთისდარი პოლიფემოსი[37] ან ეგეკვსის[38] უკვდავთა მსგავსი ძე თესევსი[39]. უმძლავრესი იყვნენ მათ შორის, ვინც კი დედამიწაზე აღზრდილა. უმძლავრესნი იყვნენ და უმძლავრესებს ებრძოდნენ, მთიელ კენტავრებს ეკვეთნენ და სასტიკად ამოწყვიტეს. მათთან ვმეგობრობდი მეც პილოსიდან, შორეული მინდან, ჩასული, რადგან მათ თავად მომიხმეს და მეც ვიბრძოდი ჩემდათავად, იმათ კი დღეს მიწაზე მცხოვრებთაგან ვინ შეებრძოლებოდა?! ისინიც ისმენდნენ ჩემს რჩევას და იჯერებდნენ ნათქვამს. თქვენც უნდა დამიჯეროთ, ასე აჯობებს. შენ ძალიან მძლავრი ხარ, მაგრამ ნუ წაართმევ ქალს, რომელიც ჯილდოდ მისცეს აქაველთა შვილებმა. შენც, პელევსის ძეო, ნუ ეწინააღმდეგები მეფეს, რადგან არა ხარ ზეესის მიერ დიდებამინიჭებული, კეერთხისმპყრობელი მეფის თანასწორი. შენ უფრო დიდი ვაჟკაცი ხარ, შენ ქალღმერთმა დედამ გშობა, მაგრამ აგამემნონი უფრო მძლავრია და უთვალავ ხალხზე მბრძანებლობს. ატრევსის ძეო, დაიოკე რისხვა, მე ვევედრები აქილევსსაც, დაივიწყოს წყენა, ის ხომ აქაველთათვის ზღუდედ აღიმართა ამ ბოროტ ომში."

მიუგო მძლავრმა აგამემნონმა: „დიახ, ეს ყველაფერი, მოხუცო, სწორად ბრძანე, მაგრამ ამ კაცს სურს, ყველაზე მაღლა დადგეს, უნდა, ყველას მართავდეს და ყველაზე მეფობდეს, უნდა რომ ყველაზე მბრძანებლობდეს, მაგრამ მე არ ვფიქრობ დამორჩილებას. ნუთუ ის ამბავი, დიდ მეომრად რომ შექმნეს იგი მარადიულმა ღმერთებმა, ნებას აძლევს, შეურაცხმყოს?!"

მას შეაწყვეტინა და ბრძანა ღვთაებრივმა აქილევსმა: „სამართლიანად მიწოდებდნენ ლაჩარსა და არარაობას, თუ დავეთანხმებოდი ყველაფერს, რასაც კი იტყოდი. სხვებს მოსთხოვე ეგ, მე კი ნუ მიბრძანებ: არ მგონია, რომ დაგემორჩილო! სხვა რამეს გეტყვი და შენ გულში ჩაიდე: ხმლით ხელში არ ვიომებ ქალის გულისთვის არც შენთან და არც სხვასთან; წამართვით, რაც გიჩუქნიათ! სხვას, რაც კი არის ჩემს სწრაფ შავ ხომალდებზე, ხელსაც ვერ ახლებ და ვერ წაიღებ, ჩემი ნების სანინააღმდეგოდ; ან მოდი და სცადე, ამათმაც რომ იცოდნენ: უმალ შავი სისხლი დაიღვრება ჩემს შუბზე." ასე იომა ამ ორმა სიტყვებით ერთმანეთთან; წამოდგნენ ორივენი და დაასრულეს ხომალდებთან აქაველთა კრება: პელევსის ძე თავისი კარვისაკენ და კეთილად ნაგები ხომალდებისკენ გაეშურა მენოიტიოსის ძესთან და მეგობრებთან ერთად. ატრევსის ძემ კი სწრაფი ხომალდი ჩაუშვა ზღვაში, ოცი მენიჩბე შეურჩია და ჰეკატომბე გაუმზადა ღმერთს, ლამაზღაწვიანი ქრისეისი აიყვანა გემზე; ხოლო მეთაურად დასვა გონებაუხვი ოდისევსი. ავიდნენ თუ არა გემზე, გასცურეს სველ გზაზე. ხალხს კი ატრევსის ძემ განმცმენდა უბრძანა. განიწმინდნენ და ნაბანი წყალი ზღვას გაატანეს, შესწირეს აპოლონს ნარჩევი ხარებისა და თხების ჰეკატომბე უნაყოფო ზღვის ქვიშიან ნაპირზე — დამწვარი ცხიმის სურნელი დაკლაკნილი კვამლით ზეცაში ადიოდა. ამას შვრებოდნენ ჯარში; აგამემნონმა კი არც რისხვა დაიოკა და არც აქილევსისადმი მუქარა დაივიწყა, უთხრა ტალთიბიოსსა[40] და ევრიბატესს[41], რომლებიც იყვნენ მაცნეები და სწრაფი მსახურები: „მიდით პელევსის ძე აქილევსის კარავში, ხელი ჩასჭიდეთ და წამოიყვანეთ ლამაზღაწვიანი ბრისეისი; ხოლო თუ არ მოგცემთ, თვითონ მივადგები მეტი ხალხით, მოვტაცებ და ეს მისთვის უარესი იქნება," — ეს უთხრა და გაუშვა, მიაყოლა მრისხანე სიტყვა; ის ორიც უხალისოდ გაუყვა უნაყოფო ზღვის ქვიშიან სანაპიროს და მიადგა მირმიდონელთა კარვებსა და ხომალდებს. აქილევსი იპოვეს კარავთან და შავ ხომალდთან ჩამომჯდარი; ამ ორის დანახვა არ გახარებია. ორნი, შეშინებულნი და დარცხვენილნი, მეფესთან დადგნენ, ვერც სიტყვა დაძრეს და ვერც შეკითხვა დასვეს; ის კი მიუხვდა და უთხრა: „გაიხარეთ, ზეესის შიკრიკებო და კაცთა მაცნეებო, ახლოს მოდით: თქვენ არ ხართ დამნაშავენი, მხოლოდ აგამემნონია, რომელმაც გამოგაგზავნათ ქალწული ბრისეისის წასაყვანად. ზეესის შობილო პატროკლოს[42], გამოიყვანე ქალიშვილი და მიეცი იმ ორს, წაიყვანონ; თავადვე იყვნენ მოწმეები ნეტარი ღმერთებისა და მოკვდავი ადამიანების წინაშე და ამ სასტიკი მეფის წინაშე, ოდესმე კიდევ დადგება ჩემი საჭიროება, რომ სამარცხვინო დაღუპვას გადავარჩინო დანარჩენები. ის ახლა დამღუპველი ფიქრით მძვინვარებს, ვერ იხედება ვერც წინ, ვერც უკან, რომ აქაველებმა შეძლონ უსაფრთხოდ ხომალდებთან ბრძოლა."

ასე თქვა და პატროკლოსი დაემორჩილა ძვირფას მეგობარს, გამოიყვანა კარვიდან ლამაზღაწვიანი ბრისეისი და გადასცა წასაყვანად; ისინიც იმავწამს წავიდნენ აქაველთა ხომალდებთან და უხალისოდ წაჰყვა მათ ქალი, ხოლო აცრემლებული აქილევსი მაშინვე გაეცალა მეგობრებს და ჩა-

მოჯდა ჭაღარა ზღვის ქვიშის ნაპირზე და მზერა მიიაყრო უსასრულო სიღრმეს. ხელები გაიწვიდნა და საყვარელ დედას[43] შეევედრა გულწრფელად: „როცა გამაჩინე ამ ხანმოკლე სიცოცხლისათვის[44], ოლიმპოსელ მაღლიიმძყუხარე ზევსს პატივიც უნდა მოეცა, მაგრამ ახლა სულ არ მცემს პატივს: ატრევსის ძემ, მძლავრმა აგამემნონმა შეურაცხმყო, წამართვა ჯილდო და მიისაკუთრა."

ასე თქვა ცრემლის მფრქვეველმა, მას უსმინა მბრძანებელმა დედამ, იჯდა ზღვის სიღრმეში მოხუც მამასთან: უმალვე ამოიჭრა ნისლივით ჭაღარა ზღვიდან და წინ დაუჯდა ცრემლის მფრქვეველ შვილს, ხელი გადაუსვა, სახელით მიმართა და სიტყვა უთხრა: „რად ტირი, შვილო? რა დარდი მოდის შენი გულიდან? მითხარი, ნუ დამიმალავ, რომ ორივემ ვიცოდეთ."

მძიმედ ამოოხრა და მიუგო ფეხმარდმა აქილევსმა: „იცი შენ! რა უნდა გითხრა, როცა ყველაფერი იცი?! ნავედით ეეტიონის წმინდა ქალაქ თებეში[45], იგი დავამხეთ და იქიდან მთელი ნადავლი ჩამოვიტანეთ: ეს ყველაფერი ერთმანეთში გაიყვეს აქაველთა შვილებმა, ატრევსის ძისთვის კი არჩიეს ქრისესის ღამაზღაჭვნაინი ასული. მიზანს აუცდენელი აპოლონის ქურუმი ქრისესი მოვიდა სპილენძშემოსილ აქაველთა სწრაფ ხომალდებთან ქალიშვილის გამოსახსნელად უზარმაზარი გამოსასყიდით, ხელთ ეპყრა მიზანს აუცდენელი აპოლონის გვირგვინი და ოქროს კვერთხი; ევედრებოდა ყველა აქაველს, განსაკუთრებით კი ატრევსის ორ ძეს, ხალხთა მხედართმთავრებს. მაშინ ყველა აქაველმა მოწონების ყიჟინა დასცა, პატივი ვცეთ ქურუმს და ბრწყინვალე გამოსასყიდი მივიღოთო, მაგრამ ატრევსის ძე აგამემნონის გული ვერ მოიგო ქურუმმა, უხეშად მოიცილა და მკაცრი სიტყვაც მიაყოლა. გამწარებული მოხუცი უკან გაბრუნდა, მის ვედრებას კი უსმინა აპოლონმა, რადგან იგი ძვირფასი იყო მისთვის და არგოსელებს ავი ისარი სტყორცნა: ხალხი წყდებოდა მიყოლებით, ხოლო ღმერთის ისრები აქაველთა ვრცელ ბანაკს სრულად მისწვდა, მაშინ მისანმა, რომელიც კარგად ხედავდა, გვამცნო შორს მიმწვდომი ღმერთის წინასწარმეტყველება. მაშინ მე პირველმა ვურჩიე, ღმერთის გული მოგვეგო, მაგრამ ატრევსის ძე რისხვამ შეიპყრო, უმალ წამოიჭრა, მუქარის სიტყვები წარმოთქვა, რაც ახლა აღასრულა კიდევაც. სწრაფი ხომალდებით თვალმოელვარე აქაველებმა ქალი ქრისეში გააგზავნეს და უკვდავს საჩუქრები მიართვეს. ახლა კი ჩემი კარვიდან ახალი ქალი ნაიყვანეს ჩამოსულმა შიკრიკებმა, ბრისევსის ასული, რომელიც აქაველთა შვილებმა საჩუქრად მომართვეს. თუ რამე ძალა გაქვს, დაიცავი შენი სახელოვანი შვილი! წადი ოლიმპოსზე და ზევსს შეევედრე, თუკი ოდესმე მისი გული მოგიგია სიტყვით ან საქმით. ხშირად მსმენია, მამისეულ სახლში თავს როგორ იქებდი, როცა ამბობდი, რომ კრონოსის შავღრუბლიანი ძე უკვდავთაგან მხოლოდ შენ იხსენი სამარცხვინო დალუპვისგან, როდესაც მისი შებოჭვა სურდათ სხვა ოლიმპოსელებს — ჰერას, პოსეიდონსა[46] და პალას ათენას; მაშინ შენ მიხვედი, ქალღმერთო, და იხსენი ბორკილთაგან, უმალ მოუხმე დიდ ოლიმპოსზე ასხელას[47], რომელსაც ღმერთები ბრიარეუსს ეძახიან და ადამიანები — აიგაინოს, იგი ძალით მამამისსაც კი აღემატება. იგი დაჯდა კრონიონთან[48] დიდებით ამაყი, ნეტარი ღმერთები შეშინდნენ და ვეღარ შეკრეს ზეკვი. ახლა ეს შეახსენე, გვერდით დაუჯექ, მუხლზე მოხვიე ხელი, რომ ისურვოს ტროელების დახმარება, ხოლო გემების კიჩოებთან და ზღვასთან მიჭყლეტილი აქაველების ამოხოცვა, რათა კარგად დატკბნენ თავიანთი მეფით და ატრევსის ძეც, ვრცლად-მმართველი და მძლავრი აგამემნონიც მიხვდეს, რა ბრმა ბრძანდებოდა, როდესაც აქაველთაგან საუკეთესო კაცს არ აფასებდა."

შემდეგ მას უპასუხა თეტისმა, ცრემლის მფრქვეველმა: „შვილო ჩემო, რისთვის გაგზარდე უბედობისთვის შობილი? ღმერთმა გამყოფოს შენს ხომალდებთან ცრემლებისა და მწუხარების გარეშე, ისედაც ხანმოკლეა შენი სიცოცხლე და სულ ცოტაა უკვე დარჩენილი. ახლა კი სწრაფადაც კვდები და ყველაზე უიღბლოც ხარ. უბედურ დღეზე გაგაჩინე მშობლიურ სახლში! ამ სიტყვის სათქმელად ელვისმტყორცნელ ზევსთან მივალ თოვლიან ოლიმპოსზე, იქნებ დავარწმუნო. შენ კი დარჩი სწრაფმავალ გემებთან, აქაველებზე რისხვა არ დაიოკო, ხოლო ომს მთლიანად გამოეთიშე; ზევსი ოკეანოსთან[49], უზადო ეთიოპელებთან[50] წავიდა ბუნით ნადიმზე და მას გაჰყვა ყველა ღმერთი. მეთორმეტე დღეს კვლავ დაბრუნდება ოლიმპოსზე და მაშინ მივალ მის სპილენძით ნაგებ სასახლეში, მუხლებზე მოვეხვევი და მგონი, დავარწმუნებ."

ეს თქვა და წავიდა, შვილი კი დარჩა, გული უწუხდა იმ ღამაზსარტყლიან ქალზე ფიქრით, რომელიც, საკუთარი ნების სანინააღმდეგოდ, წაიყვანეს; ამ დროს ოდისევსი ქრისეში ჩავიდა და ჩაიტანა წმინდა ჰეკატომბე. შევიდნენ ძალიან ღრმა ნავსადგურში, აფრები ჩამოუშვეს და დაანყვეს შავ ხომალდზე, ანძა ბუდეში ჩასვეს, ბაგრებით დაუშვეს სასწრაფოდ, ნიჩბებს დაანწნენ და გემი ნავსაყუდელთან მიაცურეს. შემდეგ ღუზა ჩაუშვეს, ხომალდი თოკებით დაამაგრეს, თავადაც ჩავიდნენ ზღვის კლდოვან ნაპირზე, ჰეკატომბე ჩაუყვანეს მიზანს აუცდენელ აპოლონს, ბოლოს კი ქრისესისიც ჩამოვიდა ზღვაზე მცურავი გემიდან. მაშინ იგი საკურთხეველისკენ წაიყვანა გონებაუხვმა ოდისევსმა, საყვარელ მამას მიუყვანა და ასე მიმართა: „ო, ქრისეს, მე გამომგზავნა ხალხთა ბელადმა აგამემნონმა, შენ ქალიშვილი ჩამოგიყვანე, სხივოსანს კი — წმინდა ჰეკატომბე დანაელთა სახელით, რათა გული მოვუგოთ უფალს, რომელმაც ახლა არგოსელებს დამღუპველი უბედურება მოუვლინა."

ეს თქვა და ხელში ჩააბარა, მანაც სიხარულით მიიღო საყვარელი შვილი; აქავეულებმა კი წმინდა ჰეკატომბე სწრაფად, წესისამებრ, განალაგეს კეთილნაგებ საკურთხეველთან, ხელი დაიბანეს ნაკურთხი წყლით და შემდეგ სამსხვერპლო ქერის მარცვლები აიღეს. ბოლოს ქრისესმა ხელები გაშალა და ხმამაღლა შეჰღაღადა: „მისმინე, ვერცხლის მშვილდიანო, რომელიც გარს უვლი ქრისეს, წმინდა კილას და მძლავრად მეფობ ტენედოსში, შენ ადრე ისმინე ჩემი ვედრება, პატივი დამდე და სასტიკად დასაჯე აქავეული ხალხი; კიდევ შემისრულე სურვილი: ახლა დანაელებს აიცილე სამარცხვინო დაღუპვა."

ეს თქვა მავედრებელმა და უსმინა სხივოსანმა აპოლონმა. მას შემდეგ, რაც ილოცეს, ქერის მარცვლები დააყარეს, ჯერ თავები გადაუწიეს ხარებს, ყელი გამოღადრეს და გაატყავეს, ბარკლები მოაჭრეს, ორ წყება ქონში შეახვიეს და ზემოდან უმი ხორცი დააწყვეს. შეშაზე წვავდა მათ მოხუცი, ზედ მჩქეფარე ღვინოს ასხამდა, მის გვერდით კი ყმაწვილებს ხუთკბილა ჩანგლები ეჭირათ ხელში; როდესაც ბარკლები შეინვა და შიგნეულობა გასინჯეს, დარჩენილი ხორცის ნაჭრები შამფურებზე წამოაცვეს, ოსტატურად შეწვეს და შამფურებიდან ჩამოყარეს; როგორც კი მორჩნენ საქმეს და მოამზადეს სადილი, დასხდნენ სანადიმოდ და ამ საერთო ნადიმზე არავის დასწყვეტია გული. როცა კი სმით და ჭამით გული იჯერეს, ყმაწვილებმა ღვინის და წყლით გასაზავებელი ჭურჭელი გაავსეს სასმელით, გაუნაწილეს ყველას და საზედაშედ შეუფუვეს თასები. მთელი დღე სიმღერით გულს ულობდნენ ღმერთს, მშვენიერ პეანს[51] უმღეროდნენ აქაველი ყმაწვილები და განადიდებდნენ შორს მიმწვდომს; ისიც ისმენდა და ილხენდა სულით.

როდესაც მზე ჩაესვენა და წყვდიადი ჩამოწვა, ისინი წამოწვნენ ხომალდის კიჩოსთან; როდესაც გამოჩნდა ადრიანი ვარდისფერთითებიანი ეოსი[52], მაშინვე გასცურეს აქაველთა ფართო ბანაკისაკენ; მათ ზურგის ქარი დაადევნა შორს მიმწვდომმა აპოლონმა; ანძა აღმაროეს და თეთრი აფრები გაშალეს, ქარმა გაბერა შუა აფრა, ხოლო მუქი ტალღები კიჩოსთან ახმაურდა, ვემი დაიძრა, ტალღები გააპო და გზა გაიკვლია; როგორც კი ჩავიდნენ აქაველთა ფართო ბანაკში, შავი ხომალდი ხმელეთზე აათრიეს ქვიშიან ნაპირზე მაღლა, დიდი საყრდენები დაუყენეს, თავად კი განაწილდნენ კარვებსა და ხომალდებში.

ამასობაში სწრაფმავალ ხომალდებთან მრისხანებდა ზევსის შობილი ძე პელევსისა, ფეხმარდი აქილევსი, აღარც ვაჟკაცთა დიდებით შემამკობელ კრებებს ესწრებოდა, არც ომში მონაწილეობდა, უქმობისგან გული უკვდებოდა, ყიყინნა და ომი ენატრებოდა.

დადგა მეთორმეტე დილაც და ოლიმპოსზე დაბრუნდნენ მარადმყოფი ღმერთები, ყველანი ერთად; ზევსი მოუძღოდა მათ. თეტისს არ დავიწყებია შვილის თხოვნა, ამიტომ ამოვიდა ზღვის ტალღიდან და უთენია მიადგა დიად ზეცასა და ოლიმპოსს. იპოვა კრონოსის შორსმხედველი ძე, რომელიც სხვათაგან ცალკე იჯდა მრავალთხემიანი ოლიმპოსის უმაღლეს მწვერვალზე; წინ დაუჯდა, მუხლზე მარცხენა ხელი მოხვია, მარჯვენათი კი ნიკაპს შეეხო და ვედრებით უთხრა მეუფე ზევსს, კრონოსის ძეს: „ზევსო მამაო, თუკი ოდესმე უკედავთა შორის გამოგდგომივარ საქმით ან სიტყვით, შემისრულე ეს თხოვნა — პატივი დასდე ჩემს შვილს, რომელსაც ყველა ვაჟკაცზე ხანმოკლე სიცოცხელე შეხვდა! ახლახან იგი კაცთა ბელადმა, აგამემნონმა, შეურაცხყო, წაართვა ჯილდო და თავად დაეუფლა. შური იძიე, ბრძენო ზევსო, ოლიმპოსელო! გააძლიერე ტროელები, სანამ აქაველები პატივს არ სცემენ ჩემს შვილს და ღირსებით არ განადიდებენ."

ასე თქვა და მას არაფერი უთხრა ღრუბელთშემკრებმა ზევსმა, არამედ დიდხანს იჯდა მდუმარედ. თეტისს კი კვლავ მოხვეული ჰქონდა ხელი მუხლზე და მეორეჯერაც მიმართა: „შეუმცდარი დაპირება მომეცი, თავი დამიკარი ან უარი მითხარი, შენ ხომ არაფრის შიში არა გაქვს; მითხარი, კარგად რომ გავიგო, რამდენად ულირსი ვარ ყველა ღმერთს შორის!"

დიდად დადარდიანდა ღრუბელთშემკრები ზევსი და უპასუხა: „აშკარად დამლუპველი საქმეა, რადგან ჰერას გადამიმტერებ, სალანძღვაი სიტყვებით განმარისხებს! ისედაც უკვდავი ღმერთების წინაშე მუდამ მეჩხუბება და ამბობს, თითქოს ბრძოლაში ტროელებს ვეხმარებოდე; მაგრამ შენ ახლა ისევ წადი, არ შეგამჩნიოს ჰერამ, დანარჩენი ჩემი საზრუნაოა და მე აღვასრულებ. მოდი, მე თავს დაგიკრავ, რათა ბოლომდე დარწმუნდე; უკვდავთა შორის ხომ ჩემგან ეს დასტურის უდიდეს ნიშნად მიიჩნევა, რადგან ვერც დაირღვევა, ვერც გაცუდდება და ვერც შეუსრულებელი დარჩება სიტყვა, რომელსაც თავს დავუკრავ." და მუქი წარბები დახარა კრონოსის ძემ თანხმობის ნიშნად, ღვთაებრივი კულულები შეირხა უკდავი უფლის თავზე და შეირყა დიდი ოლიმპოსი.

ამ ორმა ბჭობა დაამთავრა და გაიყარა: ქალი ღრმა ზღვისკენ გაიჭრა ბრწყინვალე ოლიმპოსიდან, ზევსმა კი საკუთარ სასახლეს მიაშურა. საკარძლებიდან ყველა ღმერთი წამოუდგა მამას, ვერც ერთმა ვერ გაბედა დამჯდარი დახვედროდა, წამოიშალა ყველა. ასე მივიდა და დაბრძანდა თავის ტახტზე; მაგრამ ჰერას არ გამოჰპარვია მისი და თეტისის, ზღვის მოხუცის ვერცხლისფეხება ასულის, თათბირი. იმავნაბს დამცინავად მიმართა ზევსს, კრონოსის ძეს: „რომელ ღმერთს ეთათბირებოდი, ცბიერო? მუდამ გიყვარს ჩემგან ზუმრად განსაჯო დაფარული ამბები, შენს განზრახვაზე ჩემთვის საკუთარი ნებით სიტყვაც არ გითქვამს არასოდეს."

მას საპასუხოდ უთხრა ადამიანთა და ღმერთ-

თა მამამ: „ჰერა, იმედი ნუ გაქვს, რომ გეცოდინება ჩემი ყველა სიტყვა; მძიმე იქნებოდა შენთვის, თუმცა მეუღლე ხარ; რისი ცოდნაც შეიძლება, ვერც რომელიმე ღმერთს და ვერც რომელიმე ადამიანს ეცოდინება შენზე ადრე; მაგრამ თუ მსურს, ღმერთების გარეშე ჩავიფიქრო რამე, არც მკითხო და არც სცადო, გაიგო."

მის საპასუხოდ ბრძანა ხარისთვალა დედოფალმა ჰერამ: „კრონოსის უსაშინელესო შვილო, რა სიტყვას მეუბნები? ადრე ხომ არც მიკითხავს და არც გამომიძიებია, ხომ მშვიდად წყვეტ, რასაც ისურვებ. ახლა საშინლად მეშინია, არ დაგიყოლიოს ზღვის მოხუცის ქალიშვილმა, ვერცხლისფეხება თეტისმა. უთენია ხომ დაგიჯდა და მუხლზე მოგხვია ხელი! ასე მგონია, თავი დაუკარი, რომ პატივს მიაგებ აქილევსს და მრავალ ვაჟკაცს დალუპავ აქაველთა ხომალდებთან."

მას საპასუხოდ უთხრა ღრუბელთშემკრებმა ზევსმა: „უცნაურო, მუდამ ეჭვიანობ, მე კი არ გემალები. და მაინც ვერაფერს გახდები, მხოლოდ ჩემს გულს დაშორდები, ეს კი შენთვის უარესი იქნება. თუ ისეა საქმე, როგორც შენ ამბობ, ალბათ, ასე მომწონს მე. მდუმარედ დაჯექი, ერწმუნე ჩემს ნათქვამს, ვერ გიშველის, რაც კი ღმერთებია ოლიმპოსზე, აქ რომ დადიან, თუკი შენზე მსახვრალი ხელი აღვმართე."

ასე თქვა და შეშინდა ხარისთვალა დედოფალი ჰერა; უსიტყვოდ დაჯდა გულით დამორჩილებული. დამწუხრდნენ ზევსის სასახლეში ზეციური ღმერთები, მათ შორის პირველმა თავისი ხელოვნებით სახელგანთქმულმა ჰეფესტოსმა[53] ამოიღო ხმა — საყვარელ დედას, თეთრხელება ჰერას ასიამოვნა: „დამლუპველი საქმე იქნება და აუტანელი, თუკი თქვენ ორნი, მოკედავთა გამო, წაეკიდებით ერთმანეთს და ღმერთებში განხეთქილებას შემოიტანთ. ბრწყინვალე ნადიმში სიხარული არ იქნება, თუკი უარესი ამბები გაიმარჯვებს. დედას კი ვურჩევ, თუმცა ისედაც ბრძენია იგი, საყვარელ მამას, ზევსს ასიამოვნოს, რათა არ განრისხდეს მამა და არ ჩაგვიშალოს ქეიფი. თუ მოისურვებს ელვისმტყორცნელი ოლიმპოსელი, ყველას ამოგვყრის სავარძლებიდან, ის ხომ ყველას აღემატება ძალით! შენაც მიმართე მას ალერსინი სიტყვით, უმალ მოწყალე შეიქნება ჩვენდამი ოლიმპოსელი."

ასე თქვა, წამოდგა და ორმაგი თასი საყვარელ დედას მიართვა და უთხრა: „მოითმინე, დედაჩემო, და აიტანე ეს წყენა, ძვირფასი ხარ ჩემთვის და არ მინდა, ჩემი თვალებით ვიხილო, რომ იტანჯები, რადგან არ შემიძლია, დაგიცვა; ძნელია, დაუპირისპირდე ოლიმპოსელს. აქამდე ერთხელ უკვე ვცადე შენი დაცვა, ფეხში ჩამავლო ხელი და ზეციური სამყოფლიდან მომისროლა, მთელი დღე მივფრინავდი და როდესაც მზე ჩაესვენა, ლემნოსზე[54] დავეცი, სული ძლივსღა მქონდა შერჩენილი. იქ სინტიელმა ხალხმა[55] უმალ მომიარა დაცემულს."

ასე თქვა, გაიღიმა თეთრხელება ქალღმერთმა ჰერამ და გამოართვა ზევსს ხელიდან თასი; შემდეგ სხვა ღმერთებსაც, მარცხნიდან მარჯვნივ, ჩამოუსხა ტკბილი ნექტარი გასაზავებელი ჭურჭლიდან. გაუთავებელი ხარხარი აუტყდათ ნეტარ ღმერთებს, როცა დაინახეს, როგორ აწრიალდა სასახლეში ჰეფესტოსი.

ასე, მთელი დღე, მზის ჩასვლამდე, ქეიფობდნენ, სულს არაფერი აკლდა საერთო ნადიმზე, ბრწყინვალე ფორმინქსს[56] აჟღერებდა აპოლონი და მუზები საამურ ხმას აყოლებდნენ.

როგორც კი ჩაქრა ბრწყინვალე ნათელი მზისა, მოსასვენებლად მიაშურა თითოეულმა საუთარ სავანეს, სადაც ყველას ორივე ფეხით კოჭლმა, სახელგანთქმულმა ჰეფესტოსმა სახლი აუგო გამომგონებლური ხელოვნებით. ზევსი, მეხთამტყორცნელი ოლიმპოსელი, მიადგა საწოლს სადაც მოისვენებდა მუდამ, როდესაც ტკბილი ძილი ეწვეოდა; იქ ავიდა და გვერდით მიუწვა ოქროსტახტიან ჰერას.

მეორე სიმღერა

სიზმარი. ბეოტია ანუ ხომალდთა კატალოგი

ღმერთებსა და ეტლის მფლობელ ვაჟკაცებს ეძინათ მთელი ღამე, ზევსს კი არ ჰქონდა ტკბილი ძილი, გული იმაზე ზრუნვით ჰქონდა სავსე, თუ როგორ უნდა მიეგო პატივი აქილევსისთვის და მრავალი დაეღუპა აქაველთა ხომალდებთან. და ეს გეგმა მოეჩვენა საუკეთესოდ: გაეგზავნა ატრევსის ძე აგამემნონისთვის საბედისწერო სიზმარი; ამოიღო ხმა და ფრთოსანი სიტყვით მიმართა: „სწრაფად წადი, საბედისწერო სიზმარო[57], აქაველთა ხომალდებთან, მიდი ატრევსის ძის, აგამემნონის კარავში და ყველაფერი ზუსტად ისე უთხარი, როგორც მე გიბრძანებ. დაარწმუნე, აბჯარი აასხმევინოს გრძელთმიან აქაველებს უსწრაფესად, რადგან ახლა შეუძლია აიღოს ტროელთა ფართოქუჩებიანი ქალაქი: ოლიმპოსზე სასახლეთა მქონე უკვდავებს შორის დავა შეწყდა, რადგან ყველას შეევედრა და დაითანხმა ჰერამ, ტროელებს დალუპვა მოუმზადდათ."

ასე ბრძანა და სიზმარი წავიდა, როგორც კი სიტყვა ისმინა. უმალ მიადგა აქაველთა სწრაფმავალ ხომალდებს, მივიდა ატრევსის ძე აგამემნონთან; ნახა, რომ მას კარავში ეძინა და მასზე დაღვრილი იყო უკვთავთაგან მოვლენილი ძილი. თავთან დაუდგა და მიემსგავსა ნესტორს[58], ნელეფსის ძეს, რომელსაც უფროსთაგან განსაკუთრებით სცემდა პატივს აგამემნონი: მისი სახე მიიღო და ბრძანა ღვთის მიერ მოვლენილმა სიზმარმა: „გძინავს, მამაკი ცხენთამხედნელი ატრევსის ძეო. არ შეიძლება მთელი ღამე ეძინოს საბჭოს წევრ კაცს, რომელსაც ხალხი აბარია და ამდენი საზრუნავი აქვს. ახლა კი სწრაფად მისმინე: ზევსის მაცნე ვარ

შენთან, რომელიც შორიდან ზრუნავს შენზე და გწყალობს. გიბრძანებს, აბჯარი აასხმევინონ გრძელთმიან აქაველებს უსწრაფესად, რადგან ახლა შეგიძლია აიღო ტროელთა ფართოქუჩებიანი ქალაქი: ოლიმპოსზე სასახლეთა მქონე უკვდავებს შორის დავა შეწყდა, რადგან ყველას შეევედრა და დაითანხმა ჰერამ, ტროელებს დაღუპვა მოუმზადდათ ზევსისაგან, შენ ეს გულში შეინახე და არ დაივიწყო, დაიმახსოვრე, როდესაც სულის დამატკბობელი ძილი მიგატოვებს."

ასე თქვა, წავიდა და იგი დატოვა გულში იმ ფიქრით, რომელსაც ასრულება არ ეწერა — მას ხომ ეგონა, რომ იმავე დღეს აიღებდა პრიამოსის ქალაქს. უგუნურმა არც კი იცოდა, თუ რა ჩაიფიქრა ზევსმა, რომელმაც კვლავ გადაწყვიტა, ტკივილი და კვნესა მოეტანა ტროელებისა და დანაულებისათვის და დაუნდობელ ბრძოლებში ჩაერთო ისინი. შემდეგ გაიღვიძა, ღვთაებრივი ხმა კი ყურში კიდევ ჟღერდა. სანოლიდან წამოდგა და დაჯდა, რბილი ქიტონი[59] ჩაიცვა, ლამაზი და ახალი, ზემოდან კი დიდი მოსასხამი მოიხურა, მაგარი ფეხები შეიმოსა ლამაზი სანდლებით, მხრებზე კი გადაიკიდა ვერცხლით მოჭედილი ხმალი, აიღო მამისეული მარად უხრწნელი კვერთხი და კვერთხით ხელში დაიძრა სპილენძის სამოსში გამონყობილ აქაველთა ხომალდებისკენ.

ქალღმერთი ეოსი ამოვიდა დიად ოლიმპოსზე, სინათლის დადგომა ამცნო ზევსსა და სხვა უკვდავებს; აგამემნონმა კი უბრძანა ომახიან მაცნეებს, კრებაზე მოეხმოთ გრძელთმიანი აქაველებისთვის. ამცნეს მაცნეებმა და უმალ შეიკრიბა ხალხი.

თავდაპირველად უხმო დიდგულოვან მოხუცთა საბჭოს, პილოსს შობილი მეფის, ნესტორის გემთან. საბჭოზე მოხმობილთ კეთილგონიერი რჩევა მისცა: „მისმინეთ, მეგობრებო! ძილში ღვთისგან მოვლენილი სიზმარი მეწვია ღვთაებრივ ღამით: ღვთაებრივ ნესტორს მიუგავდა იერი, სიმაღლე და აღნაგობა; თავთან დამიდგა და ასეთი სიტყვა მითხრა: „გძინავს, მამაცი ცხენთამხედველი ატრეესის ძეო. არ შეიძლება მთელი ღამე ეძინოს საბჭოს წევრ კაცს, რომელსაც ხალხი აბარია და ამდენი საზრუნავი აქვს. ახლა კი სწრაფად მისმინე: ზევსის მაცნე ვარ შენთან, რომელიც შორიდან ზრუნავს შენზე და გწყალობს. გიბრძანებს, აბჯარი აასხმევინონ გრძელთმიანი აქაველებს უსწრაფესად, რადგან ახლა შეგიძლია აიღო ტროელთა ფართოქუჩებიანი ქალაქი: ოლიმპოსზე სასახლეთა მქონე უკვდავებს შორის დავა შეწყდა, რადგან ყველას შეევედრა და დაითანხმა ჰერამ, ტროელებს დაღუპვა მოუმზადდათ ზევსისაგან, შენ ეს გულში შეინახე და არ დაივიწყო, დაიმახსოვრე, როდესაც სულის დამატკბობელი ძილი მიგატოვებს," — ეს მითხრა და გაფრინდა, მე კი ტკბილი ძილიდან გამოვფხიზლდი. მოდით, ვთქვათ, როგორ აისხან აბჯარი აქაველთა შვილებმა: ჯერ მე სიტყვებით გამოვცდი, როგორც წესია და მრავალნიჩბიანი ხომალდებით გაქცევას ვუბრძანებ; თქვენ კი ყოველი მხრიდან სიტყვებით მოაბრუნეთ.

ეს თქვა და დაჯდა, მათგან კი წამოდგა ნესტორი, რომელიც იყო ქვიშიანი პილოსის მეფე; კეთილი განზრახვით ილაპარაკა და ეს ბრძანა: „შეგობრებო, არგიველთა მეთაურებო და მბრძანებლებო, აქაველთაგან ვინმე სხვას რომ მოეთხრო სიზმარი, სიცრუედ ჩავთვლიდით და უმალ უარვყოფდით. ახლა კი ნახა იმან, ვისაც თავი აქაველთაგან უმძლავრესად მიაჩნია. მოდით, ვთქვათ, როგორ აისხან აბჯარი აქაველებმა."

ეს თქვა და პირველი გამოვიდა საბჭოდან, სხვებიც წამოდგნენ, ერწმუნენ ხალხთა მწყემსს კვერთხის მპყრობელი მეფეები, ხალხი კი შაშს თამაშობდა. როგორც ფუტკართა მჭიდრო გუნდი გამოქვაბულიდან გამოდის ახალ-ახალი და მტევნისებურად დააცხრება გაზაფხულის ყვავილებს, ზოგი აქ მოფრინდება გუნდად და ზოგიც — იქ, ასე ხომალდებიდან და კარვებიდან მთელ ვრცელ სანაპიროზე გუნდ-გუნდად მოდიოდა კრებისკენ, მათ შორის ზევსის შიკრიკი, ღვთაებრივი ხმა[60] დადიოდა, აღაგზნებდა და ისინიც თავს იყრიდნენ. ღელავდა კრება, აკენესდა მინა მსხდომარე ხალხისგან, ხმაური დადგა; ცხრა მაცნე ყვიროდა, მათ აკავებდა და არწმუნებდა, ესმინათ ზევსის აღზრდილი მეფეებისთვის. სწრაფად დასხდა ხალხი, დაწყნარდა თავის ადგილებზე და შეწყვიტა ხმაური. წამოდგა მბრძანებელი აგამემნონი, ეჭირა კვერთხი, ჰეფესტოსის შრომის ნაყოფი. ჰეფესტოსმა მისცა მეუფე ზევსს, კრონოსის ძეს, შემდეგ კი ზევსმა მისცა არგუსის მკვლელ მაცნეს, ხოლო მეუფე ჰერმესმა[61] მისცა ცხენოსან პელოფსს[62], ხოლო პელოფსმა იგი მისცა ხალხთა მწყემს ატრეესს, ატრეესმა, სიკვდილის წინ, დაუტოვა იგი ფარამრავალ თიესტეს[63], ხოლო თიესტემ აგამემნოს დაუტოვა სატარებლად, მრავალი კუნძულისა და მთელი არგოსის საბრძანებლად. ამ კვერთხს დაეყრდნო და არგიველებს სიტყვით მიმართა: „მეგობრებო, დანაელო გმირებო, არესის მსახურებო![64] დიდმა ზევსმა, კრონოსის ძემ, მძიმე უბედურება დამმართა; დაუნდობელია იგი, ჯერ დამპირდა და ნიშანი მომცა, რომ ილიონს დავაქცევდი კეთილგალავნიანს, თუკი მოვბრუნდებოდი. ახლა კი ავი მუხთლობა განიზრახა და მიბრძანებს, უსახელოდ წავიდე არგოსს, როცა უკვე ამდენი ხალხი დავლუპე. უეჭველია, ასე სურს მძლავრ ზევსს, მან მრავალი ქალაქი დააქცია და კიდევ დააქცევს, იგი ხომ უდიდესი ძალის მქონეა. სამარცხვინოა ეს მათთვის, ვინც შემდგომ მოვა, რომ სულ ამაოდ აქაველებმა, ამდენმა ხალხმა, უსარგებლო ომით ვიომეთ და კიდევ ვებრძვით ჩვენზე ნაკლებ მტერს და ამ ომს ბოლო არ უჩანს. რომ მოგვენდომებინა აქაველებს და ტროელებს სანდო ზავი დაგვედო და ერთმანეთი დაგვეთვალა, ტროელებს კი შევკრებდით, რამდენიც კი ცხოვრობს იქ, ხოლო ჩვენ, აქაველები, ათეულე-

ბად დავეწყობოდით, ხოლო ტროელთაგან თითო კაცს ავირჩევდით მერიქიფად, მრავალი ათეული დაგვრჩებოდა მერიქიფეთა გარეშე. ამდენად, როგორც გეუბნებით, აღვემატებით აქაველთა შვილები ტროელებს, რომლებიც ქალაქში ცხოვრობენ, მაგრამ მოკავშირეებად მრავალი ქალაქიდან შუბისმრხეველი კაცები ჰყავთ, ისინი კი ყველანაირად მაკავებენ და მიუხედავად ჩემი დაუოკებელი მისწრაფებისა, ხელს მიშლიან ხალხმრავალი, გამაგრებული ილიონი დავაქციო. დიდი ზევსის ცხრა წელიწადმა გაიარა, გემებზე ძელები დალპა და ბაგირები მოეშვა; ამასობაში ჩვენი ცოლები და პატარა ბავშვები სახლებში სხედან და გველიან: ჩვენ კი თავი ვერ დავადგით იმ საქმეს, რისთვისაც აქ ვართ მოსული. ახლა კი დამიჯერეთ ყველამ, რასაც გეუბნებით: გემებით გავიქცეთ სამშობლოს ძვირფასი მინისკენ! ფართოქუჩებიან ტროას ვეღარ ავიღებთ!"

ასე ბრძანა, მკერდში გული აუღელვა უმრავლესობას, რადგან მათ არ გაუგონიათ, რა ითქვა საბჭოს სხდომაზე. დაიძრა კრება, როგორც დიდი ტალღები იკაროსის ზღვისა[65], როდესაც მამა ზევსის ღრუბლებიდან დაუბერავენ ევროსი[66] და ნოტოსი[67]; ან როგორც ძეფიროსი[68] არხეკს ღრმა ყანას, როდესაც მძაფრად თავს დაეცემა და თავთავებს დაახრევინებს, ასე აღიძრა მთელი კრება: ყიჟინით მისცვივდნენ ხომალდებს, ფეხებიდან ავარდა და სვეტად დადგა მტვერი; ერთმანეთს არწმუნებდნენ, დაეპყროთ ხომალდები და ჩაეშვათ ღვთაებრივ ზღვაში; უკვე განშინდეს თხრილები[69], სახლში მიმავალთა ყიჟინა ცას მისწვდა, როცა ხომალდებს საყრდენები გამოაცალეს.

ბედისწერის სანინააღმდეგოდ არგაველების დაბრუნება მართლა მოხდებოდა, ჰერას რომ ათენასათვის ეს სიტყვა არ ეთქვა: „რა არის ეს, ეგიდისმპყრობელი ზევსის შვილო დაუღალავო?! ასე სახლში, სამშობლოს ძვირფასი მინისკენ უნდა გაიქცნენ არგაველები ზღვის ვრცელ ზურგზე, პრიამოსისა და ტროელების საამებლად უნდა დავტოვოთ არგოსელი ჰელენე, რომლისთვისაც მრავალი აქაველი დაიღუპა ტროაში საყვარელი სამშობლოდან ასე შორს? ახლავე წადი სპილენძმუმოსილ აქაველ ხალხთან, შენი ალერსიანი სიტყვით დააკავე თითოეული კაცი, არ ჩაუშვან ზღვაში ორივე ბოლოში მოხრილი ხომალდები."

ასე თქვა, ერწმუნა მას თვალსხივოსანი ქალღმერთი ათენა, გაეშურა ოლიმპოსის მწვერვალებიდან და უმალ მიადგა აქაველთა სწრაფმავალ ხომალდებს. იქ იპოვა ოდისევსი, სიბრძნით ზევსის თანასწორი, რომელიც იდგა. ხელით არ ეხებოდა კეთილგემბანიან შავ ხომალდს, გულსა და სულში დავანებული ჰქონდა მწუხარება. ახლოს დაუდგა მას და უთხრა თვალსხივოსანმა ათენამ: „ლაერტეს ძეო, ზევსის შობილო, გამომგონებელო ოდისევსო, ასე სახლში, სამშობლოს ძვირფასი მინისკენ უნდა გაიქცნენ მრავალნიჩბიანი ხომალდებით, პრიამოსისა და ტროელების საამებლად უნდა დავტოვოთ არგოსელი ჰელენე, რომლისთვისაც მრავალი აქაველი დაიღუპა ტროაში საყვარელი სამშობლოდან ასე შორს?

ახლავე წადი აქაველ ხალხთან, ნუ აჩქარდებიან, შენი ალერსიანი სიტყვით დააკავე თითოეული კაცი, არ ჩაუშვან ზღვაში ორივე ბოლოში მოხრილი ხომალდები."

ასე თქვა და მან შეიცნო ქალღმერთის მჟღერი ხმა; გაიქცა, მოსასხამი დაადგო, რომელიც აიღო ითაკელმა მაცნე ევრიბატესმა, რომელიც მას ახლდა. თავად კი პირდაპირ მივიდა ატრევსის ძე აგამემნონთან, გამოართვა მამისეული მარად უხრწნელი კვერთხი და კვერთხით ხელში დაიძრა სპილენძშემოსილ აქაველთა ხომალდებისკენ.

როგორც კი შეხვდებოდა მეფე ან რომელიმე გამოჩენილი კაცი, კეთილი სიტყვებით არწმუნებდა, დარჩენილიყო: „შეგობარო, შიში არ შეგფერის, ვიღაც ლაჩარი ხომ არ ხარ! ახლა დაჯექი და სხვა ხალხიც დააწყნარე. ცხადად ხომ არც იცი, რა აქვს განზრახული ატრევსის ძეს. ახლა გვცდიდა, მალე კი დასჯის აქაველთა შვილებს. საბჭოზე ყველას არც გაგვიგონია, რა ილაპარაკა. განრისხებულმა, შეიძლება, უბედურება დაატეხოს თავს აქაველთა შვილებს. დიდ გულზეა ზეკისის აღზრდილი მეფე, პატივი აქვთ ზეკისისაგან, უყვარს იგი ბრძენ ზეკსს."

თუკი ხალხიდან ვინმე მოღრიალეს წააწყდებოდა, კვერთხს დასცემდა და სიტყვით მიმართავდა: „შეგობარო, ნუ გაინძრევი და უსმინე სხვების ნათქვამს, ვინც შენზე ძლიერები არიან, შენ კი ომის უმეცარი და უძლური ხარ, არც ბრძოლაში ხარ სათვალავში და არც — საბჭოში. ყველანი ვერც ვიმეფებთ აქ აქაველები, კარგი არ არის მრავალთა მბრძანებლობა: ერთი მბრძანებელი იყოს, ერთი მეფე, რომელსაც მახვილგონიერი კრონოსის ძემ მისცა კვერთხი და კანონები, რომ მათზე იმეფოს."

ასე მბრძანებლობდა და დაიმორჩილა მხედრობა: ისინი კრების ადგილისკენ გაემართნენ ისევ გემებიდან და კარვებიდან ყიჟინით, როგორც ტალღები მოგრიალე ზღვისა, რომელიც დიდ ნაპირს ზათქით ეხეთქება და პონტოსი გუგუნებს.

ყველა დაწყნარდა და დაბრძანდა თავის ადგილზე; მხოლოდ ენაჭარტალა თერსიტესი[70] ბღაოდა; მას გულში ჰქონდა უთავბოლო და უაზრო სიტყვები, რომლებითაც, ყოველგვარი ნესრიგის გარეშე, ეკამათებოდა მეფეებს, ოღონდ კი რამენაირად არგიველები გაეცინებინა — უსამარცხვინოესი კაცი იყო იმათგან, ვინც ილიონში ჩავიდა: ფეხმრუდი იყო, ცალი ფეხით კოჭლობდა, ხოლო მოღრეცილი მხრები მკერდზე ეკვრებოდა; და მათზე ედგა წვეტიანი თავი, რომელზეც ღინღლი მეჩხრად ამოსულიყო. განსაკუთრებით მტრობდა აქილევსსა და ოდისევსს, მუდამ ამ ორის ლანძღვაში იყო; ახლა კი ხმამაღალი ყვირილით თათხავდა ღვთაებრივ აგამემნონს, ხოლო აქაველები საშინლად ბრაზობდნენ და კიცხავდნენ მას.

ის კი მაგრად ღრიალებდა და აგამემნონს ლანძღავდა სიტყვით: „ვის უწყრება, ატრევსის ძეო, რა გაკლია? სპილენძით სავსე გაქვს კარვები და მრავალი რჩეული ქალი გყავს კარვებში, რომლებსაც აქაველები უპირველესად შენ გაძლევთ, როდესაც ციხესიმაგრეს ავიღებთ ხოლმე. ან იქნებ ოქრო დაგაკლდა, რომელიც უნდა მოგიტანოს ვინმემ ილიონიდან ცხენების მხედნელ ტროელთაგან იმ შვილისთვის გამოსასყიდად, რომელიც შებორკილი მომიყვანია მე ან რომელიმე სხვა აქაველს? იქნებ ყმაწვილი ქალი გსურს, ცალკე რომ გყავდეს და სიყვარულით შეერთო? უკადრისი საქმეა, მმართველი იყო და უბედურებაში ჩაყარო აქაველთა შვილები! სულმოკლეებო, ლაჩრებო, აქაველო დიაცებო და არა ვაჟკაცებო, ახლა შინისკენ გავცუროთო ხომალდებით, ეგ კი დავტოვოთ, ტროაში ჯილდოთი დატკბეს, სანამ არ დაინახავს, ჩვენ ვეხმარებოდით თუ ვერა. მან ახლა აქილევსი, მასზე ბევრად უკეთესი ვაჟკაცი, შეურაცხყო, ჯილდო წაართვა და თავისთან ჰყავს; მაგრამ აქილევსს გულში რისხვა არ აქვს, უდარდელია იგი, თორემ ატრევსის ძისთვის ეს უკანასკნელი უსაქციელობა იქნებოდა."

ამას ამბობდა და ასე ლანძღავდა ხალხის მწყემს აგამემნონს თერსიტესი, მას სწრაფად მიეჭრა ღვთაებრივი ოდისევსი, ქვემოდან ამოხედა და სასტიკი სიტყვით გაკიცხა: „თერსიტეს, ხმამაღალა ორატორობ, მაგრამ სისულელეს როშავ! მორჩი, მარტო შენ ბედავ მეფეებთან კამათს! შენზე საძულველი მოკედავი არავინაა, ვინც კი ატრევსის ძეებთან ერთად ილიონში ჩამოსულა. მორჩი ენის ტრიალს და ჩვენი მეფეების ხსენებას, მორჩი მათს ლანძღვას და დაბრუნების ხსენებას. კარგად არ ვიცით, როგორ იქნება ეს საქმე, ბედნიერად თუ უბედურად, დავბრუნდებით შინ აქაველთა შვილები. შენ ახლა ზიხარ და ატრევსის ძე აგამემნონს, ხალხთა მწყემსს, ლანძღავ, მეტისმეტად ბევრს აძლევენ მას დანაელი გმირებიო, ამბობ და დასცინი. გეუბნები შენ და ეს სიტყვა ასრულდება: თუ კიდევ გადაგაწყდი ასეთი სისულელეების ლაპარაკში, ოდისევსის თავი არ იყოს მის მხრებზე და მე არ მერქვას ტელემაქოსის მამა, თუ არ ჩაგავლე ხელი და არ გაგხადე ძვირფასი ტანსაცმელი, მოსასხამი იქნება თუ ქიტონი, რაც სარცხვინელს გიფარავს და ატირებული არ გაგიშვი კრებიდან სწრაფმავალ ხომალდებთან, სამარცხვინოდ ნაცემ-ნაბეგვი."

ასე თქვა, ხოლო კვერთხი ზურგსა და მხრებზე ჩასცა, ის ჩაიკეცა და ხშირი ცრემლი წასცდა; სისხლისფერ ზოლად დააჩნდა ზურგზე ოქროს კვერთხის დარტყმის კვალი, დაჯდა, შეშინებულმა და ტკივილისგან გასაცოდავებულმა ცრემლი მოიწმინდა. თუმცა შეწუხებული იყვნენ, მაინც გულიანად გაეცინათ მასზე, ვიღაცამ გვერდით მყოფს გადაულაპარაკა: „მართლაც; უამრავი სიკეთე გაუკეთებია ოდისევსს როგორც საბჭოში, ისე ბრძოლის ველზე აბჯარასხმულს, მაგრამ ახლა საუკეთესო გმირობა ჩაიდინა არგიველთათვის, როცა ამ მლანძღავ-მაწყევარს ჩააკმედინა ენა. ანი ვაჟკაცური გულით ველარ გაბედავს, მოიხსენიოს მე-

ფეები სალანძღავი სიტყვებით.” ასე ამბობდა ბევრი, ხოლო ქალაქთმმუსვრელი ოდისევსი წამოდგა კეერთხით ხელში, მის გვერდით თვალსხივოსანმა ათენამ, მაცნეს მიმსგავსებულმა, ხალხს გაჩუმება უბრძანა, რომ აქაველთა შვილებს პირველ რიგებშიც და უკანასკნელებშიც გაეგონათ ნათქვამი და გულთან მიეტანათ რჩევა. მან კეთილგანწყობით მიმართა შეკრებილთ და ბრძანა: „ატრეევსის ძეო, ახლა, უფალო, აქაველებს სურვილი აქვთ მეტყველ მოკვდავთა შორის ყველაზე უფრო უსინდისოდ გამოგაცხადონ, აღარ ფიქრობენ, შეასრულონ შენთვის მოცემული პირობა, რომ აქ წამოვიდოდნენ ცხენებით მდიდარი არგოსიდან კეთილგალავნიანი ილიონის დასაქცევად და შინ დასაბრუნებლად. ახლა ხომ პატარა ბავშვებივით და ქვრივი ქალებივით ერთმანეთს შესტირიან და შინ დაბრუნება უნდათ, თუმცა კი მწარეა ასე გულგატეხილი კაცის დაბრუნება. როდესაც ვინმე, თუნდაც ერთი თვეა, მოშორებულია ცოლს, იგი გაღიზიანებულია მოლოდინით, რადგან მის მრავალნიჩბიან ხომალდს ზამთრის ქარიშხალი და ადიდებული ზღვა აკავებს; ჩვენთვის კი მეცხრე წელიწადი ასრულებს თავის წრებრუნვას და აქ ვდგავართ! ვერ გავუწყრები აქაველებს, რომ მოხრილკიჩოიან ხომალდებთან ბრაზობენ, მაგრამ მაინც სამარცხვინოა, აქ ამდენი ხნის დაყოვნების შემდეგ, შინ ხელცარიელი დაბრუნებაც. მოითმინეთ, მეგობრებო, კიდევ ცოტა, რათა გავიგოთ, კალქასმა სწორად გვიწინასწარმეტყველა თუ არა. ჩვენ ეს კარგად ვიცით, ყველანი მოწმეები ხართ, რომლებიც სიკვდილის ქალღმერთ კერებს ჯერ არ წაუყვანიხართ. თითქოს, გუშინ ან გუშინწინ იყო, აქ ვავეულთა ხომალდებმა ავლისში[71] მოიყარა თავი, რომ უბედურება მოეტანათ პრიამოსისა და ტროისათვის. წყაროს ირგვლივ, წმინდა საკურთხეველზე, უკვდავებს სრულყოფილ ჰეკატომბეს ვწირავდით ლამაზი ჭადრის ჩრდილში, იქ მოედინებოდა ელვარე წყალი. იქ გამოჩნდა დიდი ნიშანი: სისხლისფერზურგიანი, საზარელი გველეშაპი, რომელიც თავად ოლიმპოსელმა გამოუშვა დღის სინათლეზე, გამოძვრა საკურთხეველიდან და გაიჭრა ჭადრისაკენ. იქ ბეღურის ბარტყები, სულ პატარები, ყველაზე მაღალ შტოზე ფოთლებში იყვნენ შეყუჟულნი, რიცხვით რვა და მათი მშობელი დედა იყო მეცხრე; საცოდავად წიოდნენ; ყველა ჩაყლაპა; ფრენით ირგვლივ უვლიდა დედა და საყვარელ შვილებს დასტიროდა, დაიკლაკნა და მკვნესარე დედას ფრთაში დასწვდა. როდესაც ბარტყებთან ერთად თავად ბეღურაც შესანსლა, ცხადი გახადა ღმერთმა, რისთვისაც გამოაჩინა: ქვად აქცია იგი გონებამახვილი კრონოსის შვილმა. ჩვენ ვიდექით და გაოგნებული ვუყურებდით, რაც ხდებოდა. ასეთი საშინელი სასწაული გვეწვია ღმერთების ჰეკატომბეზე, კალქასმა კი მაშინვე ინინასწარმეტყველა და ბრძანა: „რამ დაგამუნჯათ, გრძელთმიანნო აქაველებო? ეს დიდი საოცრება გვაჩვენა ბრძენმა ზეესმა. ხანგრძლივია და გვიან ასრულდება, მაგრამ რაც ასრულდება, მისი დიდება არასოდეს წაიშლება. როგორც გველეშაპმა ჩაყლაპა ბეღურის რვა ბარტყი და მეცხრე დედა იყო, მათი მშობელი, ასევე ჩვენაც: ამდენივე წელი ვიბრძოლებთ და მეათე წელს ავიღებთ ფართოქუჩებიან ქალაქს. ეს ილაპარაკა მაშინ და ახლა ყველაფერი სრულდება. მაშ, დარჩით ყველანი, ლამაზსაბარკულიანო აქაველებო, სანამ არ ავიღებთ პრიამოსის დიდ ქალაქს.”

ასე თქვა, არგიველებმა დიდი ყიჟინა დასცეს, ხომალდები ირგვლივ კი აგუგუნდა აქაველთა სპასუხოდ: აქეხდნენ ღვთაებრივი ოდისევსის ნათქვამს.

მათ კი მიმართა გერენონელმა მხედარმა[72] ნესტორმა: „ღმერთო, ეს საკრებულო ბავშვებს მაგონებს, რომელთათვის უცხოა ომის მძიმე ამბები. სად მიდის ჩვენი ამდენი შეთანხმება და ფიცი? ცეცხლში უნდა გადაიყაროს რჩევები, კაცთა გეგმები, შეურეველი ღვინის ზედაშით დადებული ზავი და შეთანხმებები, რომელთაც ვენდობით? ასე ხომ მხოლოდ სიტყვებით ვიმობთ, ამდენი ხანია, აქ ვართ და ვერც ვერანაირი გამოსავლის პოვნა შეეძელით. ატრეევსის ძეო, როგორც უნინ, იქონიე ურყევი ნება და იბრძანებლე არგიველებზე უსასტიკეს ბრძოლებში, ის ერთი თუ ორი, ვისაც აქაველთაგან დაბრუნება სურს, დაე დაიღუპოს, ისინი ვერაფერს მიაღწევენ. არგოსში მანამ არ დავბრუნდებით, სანამ არ დავადგენთ, ეგიდისმპყრობელი ზეესის დაპირება ყალბია თუ არა. მე ვამბობ, რომ კრონოსის მძლავრი ძე თავის დაკვრით დაგვეთანხმება იმავე დღეს, როცა კი სწრაფმავალ ხომალდებზე ავიდნენ ტროელთათვის სიკვდილისა და დაღუპვის მომტანი არგიველები; მან ხომ მარჯვნივ დაანთო ელვა, რითაც ბედნიერი ნიშანი მოგვცა. ნურავინ ჩქარობს სახლში დაბრუნებას, სანამ რომელიმე ტროელის ცოლს არ მიუწვება და ასე არ იძიებს შურს ჰელენეს ტანჯვისა და ქვითინისათვის. თუკი ვინმეს მაინც სურს სახლში დაბრუნება, ხელი შეახოს კეთილგემბანიან შავ ხომალდს და სხვებზე ადრე ეწევეთ მას სიკვდილი და უბედურება. მაგრამ, მეფეევ, თავადაც შემოგვთავაზე რჩევა და სხვასაც მოუსმინე. უვარგისი არ იქნება სიტყვა, რომელსაც მე გეტყვი: დაყავი ხალხი ტომებად და საძმოებად[73], აგამემნონ, რომ საძმო საძმოს შეეწიოს და ტომი ტომს. ამას თუ იზამ და თუ დაგეთანხმებიან აქაველები, გაიგებ, რომელი ბელადი ან ხალხია ცუდი და რომელი — კარგი, რადგან თავისიანებისთვის იომებენ. იმასაც გაიგებ, ღმერთის ნებაა, ქალაქს რომ ვერ ანადგურებ, თუ ხალხი არ გივარგა და ომი არ ეხერხება.”

მას საპასუხოდ მიუგო მეუფეკ აგამემნონმა: „მოხუცო, საბჭოზე აქაველთა შვილებს ყველას ამარცხებ. ზეესო მამაო, ათენა და აპოლონ, აქაველთაგან ასეთი ათი მრჩეველი რომ მყოლოდა, უმალ დაეცემოდა უფალი პრიამოსის ქალაქი, ჩვენების ხელით აღებული და გაცამტვერებული, მაგ-

რამ ეგიდისმპყრობელ ზევსს, კრონოსის ძეს, ჩემთვის მხოლოდ ტკივილი მოაქვს, უაზრო ბრძოლასა და კამათში მხვევს. აქილევსსაც შევეტაკე ქალიშვილის გულისთვის მტრული სიტყვებით და მე პირველს მომერია ბრაზი. თუკი ოდესმე გავერთიანდით, მაშინ ტროას დაღუპვა არ ასცდება ერთი წამითაც. ახლა კი წადით, ისადილეთ, რათა შეუურთდეთ არესს[74]. ყველამ კარგად წამახოს შუბი და ფარი კარგად გაამზადოს, ფეხმარდ ცხენებს ბლომად მისცეს საკვები[75], ეტლი კარგად შეამოწმოს ყოველი მხრიდან და ბრძოლისთვის მოემზადოს, რადგან მთელი დღე საშინელ არესს უნდა მივუძღვნათ. სულ მცირე შესვენებაც კი არ იქნება, სანამ ღამე არ დადგება და არ გაყრის განრისხებულ ხალხს. ოფლით გაიჟღინთება კაცის ყოველმხრივ მცველი ფარის ღვედი მკერდზე, ხელი დაიღლება შუბზე, ოფლში გაიწურება გაარიალებული ეტლის მზიდველი ცხენი. თუკი ვინმეს წავაწყდები, ვისაც სურს, ბრძოლას დაემალოს და მოხრილკიჩოიან ხომალდებთან დარჩეს, ვერ გაექცევი იგი ძაღლებსა და ფრინველებს."

ასე თქვა და არგაველებმა ყიჟინა დასცეს ისეთი ხმით, როგორსაც ზღვა გამოსცემს, როდესაც ნოტოსი აღძრავს და მაღალ ნაპირთან კაბდეს შეახეთქებს, რომელსაც ტალღას არასდროს აშორებს ყოველი მხრიდან ამოვარდნილი ქარი. ნამოიშალნენ და გაეფშურნენ თავიანთი ხომალდებიკენ, კვამლი ავარდა კარვებიდან, სადილს შეუდგნენ. ყოველი მათგანი მსხვერპლს სწირავდა მარადმყოფი ღმერთებისგან ერთ-ერთს[76] და ეკედრებოდა, გადაერჩინა არესის ხელით სიკვდილისაგან. კაცთა ბელადმა აგამემნონმა ხუთი წლის მსუქანი ხარი დაუკლა კრონოსის მძლავრ ძეს, უმმო აქაველთაგან საუკეთესოებს, უპირველესად ნესტორსა და მეუფე იდომენეუსს, ასევე ოიასა და ტიდეუსის ძეს, მეექვსე კი იყო ოდისევსი, სიბრძნით ზევსის თანასწორი. თავისით მოვიდა საბრძოლო ყიჟინის დიდოსატი მენელაოსი, გულით იცოდა, მის ძმას რაც აწუხებდა. ხარს გარს შემოერტყნენ და ქერის მარცვლები აიღეს და ლოცვით ეს უთხრა მბრძანებელმა აგამემნონმა: „ზევს, უსახელოვნესო, უდიდესო, შავი ღრუბლებით მოცულო, ეთერის მცხოვრებო, არ ჩაიყვანო მზე და არ დააყენო წყვდიადი მანამ, სანამ არ დაემხობა პრიამოსის ჭვარტლით გამურული სასახლე, სანამ ცეცხლში არ დაინ‍ვება ჩამოქცეული კარიბჭე, სანამ ჰექტორის ქიტონს არ გაგლეჯს და არ დაფლეთს სპილენძი; სანამ მის ირგვლივ მრავალი მისი მეგობარი პირჩაღმა მტვერში არ ამოიგანგალება და კბილებს არ ჩაავლებს მიწას!"

ასე თქვა, მაგრამ სრულიად არ შეუსრულა კრონოსის ძემ, მსხვერპლი კი მიიღო, მაგრამ სატანჯველი კიდევ უფრო გაუზარდა. მას შემდეგ, რაც ილოცეს, ქერის მარცვლები დააყარეს, მსხვერპლს თავი გადაუწიეს, ყელი გამოლადრეს და გაატყავეს, ბარკლები მოაჭრეს, ორ წყება ქონში შეახვიეს და ზემოდან უმი ხორცი დაანყვეს. ყველაფერი შეშაზე შეწვეს, შეშად კი ფოთოლგაცლილი რტოები იხმარეს, შამფურებზე წამოცმული შიგნეულობა კი პირდაპირ ჰეფესტოსის ალზე შებრაწეს. როდესაც ბარკლები შეიწვა და შიგნეულობა გასინჯეს, დარჩენილი ხორცის ნაჭრები შამფურებზე წამოაცვეს, ოსტატურად შეწვეს და შამფურებიდან ჩამოყარეს. როგორც კი მორჩნენ საქმეს და მოამზადეს სადილი, დასხდნენ სანადიმოდ და ამ საერთო ნადიმზე არავის დასწყვეტია გული. როგორც კი სმითა და ჭამით გული იჯერეს, სიტყვა წარმოთქვა გერენონელმა მხედარმა ნესტორმა: „ატრეევსის სახელოვანო ძეო, ხალხთა ბელადო აგამემნონ! უქმად ნუ დავრჩებით აქ შეგროვილნი და მეტად ნუღარ გადავდებთ იმ საქმეს, რომელიც ღმერთმა დაგვაკისრა. ბრძანე, რომ მაცნეებმა სპილენძშემოსილ აქაველ ვაჟკაცებს ხომალდებთან შეკრებისკენ მოუხმონ, ჩვენ კი, ყველამ ერთად, აქაველთა ვრცელი ლაშქრობა დავიაროთ და უსწრაფესად აღვძრათ მძაფრი ომი."

ასე თქვა და არ უარყო ხალხთა ბელადმა აგამემნონმა. უმალ უბრძანა ომახიან მაცნეებს, ომში მოეხმოთ გრძელთმიანი აქაველები. ამცნეს მაცნეებმა და უმალ შეიკრიბა ხალხი. და ატრეევსის ძის ირგვლივ ზევსის აღზრდილი მეფეები დაიძრნენ ლაშქრის გასაწყობად და მათ შორის იყო თვალსხივოსანი ათენა ძვირფასი, უხრწნელი და უკვდავი ეგიდისმპყრობელი; ირხეოდა ეგიდის ასი ოქროს საკიდი, კარგად დაწნული, თითოეული მთელი ჰეკატომბეს ფასი. მასთან ერთად ხან იქ, ხან აქ გამოჩნდა და შემოირბინა აქაველი ვაჟკაცები, ყველას ბრძოლისკენ მოუწოდებდა, თითოეულს გულში ჩაუდო ძალა და დაუოკებელი სიმამაცე ომისა და ბრძოლისათვის. და მათთვის იმავწამს ომი უფრო ტკბილი გახდა, ვიდრე ღრმამუცლიანი ხომალდებით სამშობლოს ძვირფასი მიწისკენ გამგზავრება.

როგორც დამლუპველი ცეცხლი წვავს უზარმაზარ ტყეს მთის მწვერვალზე და შორიდან ჩანს მისი ნათება, ასევე ლაშქრის მოძრაობისას მბრწყინავი სპილენძის ანარეკლი ზეცას სწვდებოდა. როგორც გადამფრენი ფრინველების მრავალი ტომი — გარეული ბატების, წეროებისა და გრძელყელიანი გედებისა აზიის ველზე, კაისტროსის წყლებთან აქეთ-იქით დაფრინავს და თავს იწონებს ფრთებით, ხმაურით ჯდება და გუგუნებს ველზე, ასე მრავალი ტომი ხომალდებიდან და კარვებიდან სკამანდროსის[77] ველზე გაეშურა და მიწამ მათი და მათი ცხენების ნაბიჯების საშინელი ხმა გამოსცა. დადგნენ სკამანდროსის აყვავებულ ველზე ათასობით, როგორც ფოთლები და ყვავილები იცის გაზაფხულზე.

როგორც უთვალავი ბუზისაგან შემდგარი მჭიდრო გუნდი, რომელიც ჯოგის ბაგასთან დაფრინავს გაზაფხულზე, როცა საზაფხულო რძე იღვრება დოქებში, სწორედ ასევე აურაცხელი გრძელთმიანი აქაველი იდგა მინდორში ტროელთა წინააღმდეგ, მათი გაცამტვერების სურვი-

ლით აღძრული.

როგორც მწყემსები თხის ჯოგში იოლად არჩევენ თავისას და სხვისას, რომელიც შემოერევათ ხოლმე, ასევე მეთაურები ხან იქ, ხან აქ აწყვრიგენდნენ საბრძოლო რიგებს, მათ შორის იყო უფალი აგამემნონი, თვალებით და თავით ზეკეს, ელვისმბყორცნელს, მიმსგავსებული, აღნაგობით — არესსა და მკერდით — პოსეიდონს. როგორც ხარი დგას ჯოგში, ყველასგან გამორჩეული, ხარი, რომელიც კრებულიდან გამოიყოფოდა, ასეთად აქცია იმ დღეს ზეკესმა ატრეკსის ძე, გამოარჩია მრავალთაგან და აამაღლა სხვა გმირებზე.

ახლა გვამცნეთ, მუზებო, რომელთაც ოლიმპოსზე გაქვთ სასახლეები, თქვენ ხართ ქალღმერთები, რომლებიც ყველგან ხართ და რომლებმაც ყველაფერი იცით, — ჩვენ მხოლოდ მითქმა-მოთქმა გვესმის, ჩვენ არაფერი ვიცით, — გვამცნეთ, თუ ვინ არიან დანაელთა მეთაურები და მეფეები, მთელ სიმრავლეს მე ვერც ვიტყოდი და ვერც დავასახელებდი, თუნდაც ათი ენა მქონოდა და ათი პირი, რომ მქონოდა დაუცხრომელი ხმა და სპილენძის მკერდი, ოლიმპოსელ მუზებს, ეგიდისმპყრობელი ზეკესის ასულებს რომ არ შეეხსენებინათ, ილიონში ვინც ჩამოვიდა. ხომალდების მეთაურებს და ყველა ხომალდს ჩამოვთვლი.

ბეოტიელებს ხელმძღვანელობენ პენელეოსი და ლეიტოსი, არკესილაოსი, პროთოენორი და კლონიოსი, რომლებიც სახლობენ ჰირიასა და კლდოვან ავლისში, სკოლოსში, მრავალბორცვიან ეტეონოსში, თესპეიაში, გრაიასა და ვრცელ მიკალესსოში და ასევე სახლობენ ჰარმას ირგვლივ, ეილეესიონსა და ერითრაში, რომლებსაც უკავიათ ელეონი, ჰილე და პეტეონი, ოკალეა და კეთილნაგები ციხესიმაგრე მედეონი, კოპე, ეკტრესისი და მტრედებით მდიდარი თისბე, ასევე სახლობენ კორონეიასა და ნაყოფიერ ჰალიარტოსში, რომლებსაც უკავიათ პლატეა და სახლობენ გლისასში, რომლებსაც უკავიათ კეთილნაგები ციხესიმაგრე ჰიპოთებე, წმინდა ონქესტოსი, პოსეიდონის დიდებული ჭალა, ყურძნით მდიდარი არნე, მიდეია, ნისა და ღმერთს შეწირული შორეული ანთედონი, მათგან ორმოცდაათი ხომალდი ჩამოვიდა და თითოეულმა ჩამოიყვანა ას ოცი ბეოტიელი ვაჟკაცი.

მათზე, ვინც ცხოვრობს ასპლედონსა და მინიეს ორქომენოსში, ბატონობენ არესის ვაჟები ასკალაფოსი და იალმენოსი, რომლებიც შობა აძევსის ძე აქტორის სასახლეში ასტიოქემ, მოკრძალებულმა ქალიშვილმა, ზემო სართულზე ასულმა, მძლავრი არესისგან, იგი ხომ მას საიდუმლოდ დაუწვა. მათ მოჰყვა ოცდაათი ღრმამუცლიანი ხომალდი.

ფოკისელებს მეთაურობდნენ სქედიოსი და ეპისტოფოროსი, ნავბოლოსის დიდსულოვანი ძის, იფიტოსის, ვაჟები; მათ უპყრიათ კიპარისოსი და კლდოვანი პითონი, ღმერთს შეწირული კრისა, დავლისი და პანოპეა; ისინი, ვინც ცხოვრობენ ანემორეიისა და ჰიამპოლისის ირგვლივ, ისინიც, ვინც ღვთაებრივი მდინარე კეფისოსის გვერდით მკვიდრობენ და ვინც ფლობს კეფისოსის წყაროებიან ლილაიას, მათ ჩამოჰყვა ორმოცი შავი ხომალდი. მათ განალაგეს ფოკისელთა რიგები, ბეოტიელთა გვერდით, მარცხენა ფლანგზე საბრძოლველად.

ლოკრისელებს ხელმძღვანელობდა ოილეევსის ძე, სწრაფი აიას მცირე, არა იმოდენა, რამოდენაც აიას ტელამონის ძე იყო, არამედ გაცილებით ნაკლები: ტანად პატარა იყო და სელის აბჯარი ჰქონდა ასხმული, მაგრამ შუბის ფლობაში აღემატებოდა ელადის მკვიდრებსა და აქაველებს; იგი მბრძანებლობდა მათზე, ვინც ცხოვრობდა კინოსში, ოპუსსა და კალიაროსში, ბესასა და სკარფეში, საყვარელ ავგეიაში, ტარფეში, თრონიონში, მდინარე ბოაგრიოსის ირგვლივ; მას ჩამოჰყვა ორმოცი შავი ხომალდი ლოკრისელებისა, რომლებიც ცხოვრობენ წმინდა ევბეას მოპირდაპირედ.

საბრძოლო სულით აღვსილი აბანტები, რომლებიც ფლობდნენ ევბეასა და ქალკისს, ეირეტრიასა, ყურძენმრავალ ისტიოიას, ზღვისპირა კერინთოსს, დიოსის მაღალ ციხესიმაგრეს, რომელთაც ეკავათ კარისტოსი და სტირაში სახლობდნენ, მათ ხელმძღვანელობდა ელეფენორი, არესის შთამომავალი, ქალკოდონის ძე; იგი იყო დიდგულოვანი აბანტების მმართველი. მას მოჰყვნენ სწრაფი აბანტები, რომელიც მხოლოდ კეფაზე იზრდიდნენ თმას, შუბის მტყორცნელები, იფნის შუბებით მტრის მკერდზე აბჯრის შელეწვის მძაფრი მსურველები; მათთან ერთად ჩამოვიდა ორმოცი შავი ხომალდი.

და იმათ, ვინც ცხოვრობდა ათენში, კეთილად ნაგებ ციხესიმაგრეში, მხარეში დიდგულოვანი ერექთეევსისა, რომელიც ოდესღაც აღზარდა ათენამ, ზეკესის ასულმა, ხოლო შვა პურით მდიდარმა მიწამ, ათენში, თავის მდიდარ ტაძარში დაასახლა, სადაც მისი გულის მოგებას ხარებითა და თხებით ცდილობენ ათენელი ჭაბუკები წლების ჩავლის შემდეგ, მათ ხელმძღვანელობდა პეტეოსის ძე მენესთევსი. დედამინის ზურგზე არ დაბადებულა კაცი, რომელიც მას შეეჯიბრებოდა ცხენებისა და ფაროსანი ვაჟკაცების საომრად განლაგებაში. მხოლოდ ნესტორი თუ გაუბედავდა, რაკი მასზე ადრე დაბადებული იყო. იგი ჩამოვიდა ორმოცდაათი შავი ხომალდით.

აიასმა სალამინიდან ჩამოიყვანა თორმეტი ხომალდი და იქ დააყენა, სადაც ათენელთა საბრძოლო ხაზი იდგა.

ხოლო იმათ, ვინც სახლობდა არგოსსა და მაღალგალავნიან ტირინსში, ჰერმიონესა და ასინეში, რომელსაც ღრმა ყურე აქვს, ტროიძენში, ეიონსა და ვაზით მდიდარ ეპიდავროსში; ვინც სახლობს ეგინასა და მასესში აქაველთა ჭაბუკებიდან, მათ ხელმძღვანელობდნენ საბრძოლო ყიჟინის დიდოსტატი დიომედესი, სახელგანთქმული კაპანეესის საყვარელი ძე სთენელეოსი და მესამე იყო ევრიალოსი, ღვთის თანასწორი მოკვდავი, უფალ მეკისტეევსის, ტალაუსის ძის ვაჟი. ყველას ერთად

ხელმძღვანელობდა საბრძოლო ყიჟინის დიდოსტატი დიომედესი; მათთან ერთად ჩამოვიდა ოთხმოცი შავი ხომალდი.

და მათ, ვინც სახლობდა მიკენეში, კეთილად ნაგებ ციხესიმაგრეში, მდიდარ კორინთოსში, კეთილად ნაგებ კლეონეში; ვინც ცხოვრობდა ორნეიეში, საყვარელ არეთირეესა და სიკიონში, სადაც ოდესღაც ადრასტოსს უმეფია; და ვინც სახლობს ჰიპერესიაში, მაღალ გონოესასა და პელენეში, აიგიოსში და მთელი აიგიალოსისა და ვრცელი ჰელიკეს ირგვლივ, — ამათზე ასი ხომალდით ბრძანებლობდა ატრევსის ძე, მეუფე აგამემნონი: მასთან ერთად ჩამოვიდა მრავალი სახელგანთქმული და საუკეთესო ვაჟკაცი. და იგი ელვარე სპილენძის აბჯარასხმული, ამაყობდა, რომ ყველა გმირს შორის გამოირჩეოდა, რომ თავადაც საუკეთესო იყო და რომ ყველაზე მეტ ვაჟკაცსაც მოუძღოდა.

და მათ, ვინც ცხოვრობდა მთებით შემოსაზღვრულ, გამოქვაბულებიან ლაკედემონში, ფარისში, სპარტასა და მტრედებით მდიდარ მესენეში, ვინც სახლობდა ბრისეიასა და საყვარელ ავგეიაში და ფლობდნენ ამიკლესა და ზღვისპირა ჰელოსის ციხესიმაგრეს, ვინც ფლობდა ლაასს და ოიტილოსის ირგვლივ ცხოვრობდა, — მათ მოუძღოდა აგამემნონის ძმა, საბრძოლო ყიჟინის დიდოსტატი მენელაოსი სამოცი ხომალდით: ცალკე იდგნენ აბჯარასხმულნი. მათ შორის იყო თავადაც, ვაჟკაცობაში თავდაჯერებული და ყველას საბრძოლოდ აღაგზნებდა, ყველაზე მეტად სწორედ მას სურდა ზურისძიება, ჰელენეს ნაღველისა და კვნესის გამო.

მათ, ვინც სახლობდა პილოსსა და საყვარელ არენეში და თრიოსში, ალფეიოსის ხეობასა და კეთილმოწყობილ აიპპიში, კიპარისეში, აწფიგენეიაში, პტელეონსა და ელოსში, დორიონში, სადაც მუზები შეხვდნენ თამირის თრაკიელს, ოიქალიიდან ოიქალიელთა მეფე ევრიტოსისგან მომავალს და სიმღერის ნიჭი წაართვეს, რადგან ტრაბახობდა და ირწმუნებოდა, გავიმარჯვებ, თუნდაც თავად მუზები, ეგიდის მპყრობელი ზევსის ასულები, გამეჯიბრონ სიმღერაშიო. ისინი განრისხდნენ და დააბრმავეს, უმალ სიმღერის ღვთაებრივი ნიჭი წაართვეს და კითარაზე დაკვრა დაავიწყეს. მათ მოუძღოდათ გერენოსელი მხედარი ნესტორი, რომელსაც მოჰყვებოდა ოთხმოცდაათი ღრმამუცლიანი ხომალდი.

მათ, ვინც სახლობდა არკადიაში, კილენეს მაღალი მთის ქვეშ, აიპიტოსის საფლავთან, ხელ-ჩართული ბრძოლის ვაჟკაცებს, რომლებიც ფენეოსში და ფარენით მდიდარ ორქომენოსში, რიპეში, სტრატიეში და ქარიან ენისპეში, ტეგეასა და საყვარელ მანტინეაში, სტიმფელოსსა და პარასიაში სახლობენ; — მათ მეთაურობდა ანკაიოსის ძე, მეუფე აგაპენორი სამოცი ხომალდით და თითოეულმა ხომალდმა ომის მცოდნე მრავალი არკადიელი ვაჟკაცი ჩამოიყვანა. მათ თავად ხალხთა ბელადმა აგამემნონმა, ატრევსის ძემ, მისცა კეთილგემბანიანი ხომალდები, რომ გადაეკვეთათ ღვინისფერი ზღვა, რადგან არ ზრუნავდნენ საზღვაო საქმეებზე.

მათ, ვინც სახლობდა ბუპრასიონსა და ღვთაებრივ ელისში, იმ მიწაზე მცხოვრებთ, რასაც მოიცავს ჰირმინე და ზღვისპირა მირსინოსი ოლენის კლდემდე და ალესიონამდე, აი, მათ ოთხი მმართველი ჰყავდათ და თითოეულს მოჰყვებოდა ათი სწრაფმავალი ხომალდი უამრავი ეპეიელით. მათ ნაწილს მოუძღოდათ ამფიმაქოსი და თალპიოსი, ერთი კრეატოსისა და მეორე ევრიტოსის ძე, აქტორის მოდგმა; სხვებს ხელმძღვანელობდა ამარინკეევსის ძე, მძლავრი დიორესი და მეოთხეებს — ღვთისდარი პოლიქსეინოსი, აგგეიასის ძის, აგასთენეევსის ძე.

მათ კი, ვინც იყვნენ დულიქიონიდან და ექინეს წმინდა კუნძულებიდან, რომლებიც ელისის მოპირდაპირე მხარეს არიან განლაგებული ზღვაში, მათ მოუძღოდათ არესის თანასწორი მეგესი, ზეევსის საყვარელი მხედრის, ფილეევსის ვაჟი, რომელიც ოდესღაც დულიქიონზე გადასახლდა, მამაზე განრისხებული. და მასთან ერთად ჩამოვიდა ორმოცი შავი ხომალდი.

ხოლო ოდისევსი მოუძღოდა დიდსულოვან კეფალენებს, რომლებიც ცხოვრობენ ითაკასა და ფოთლოვან ნერიტოსზე, სახლობენ კროკილეიასა და ქვიან აიგილიფსზე, ძაკინთოსის მფლობელებსა და სამოსის მცხოვრებლებს, რომელთაც მიწა ჰქონდათ და კუნძულებზეც სახლობდნენ; — მათ სიბრძნით ზევსის თანასწორი ოდისევსი მოუძღოდათ. მასთან ერთად ჩამოვიდა თორმეტი წითელჭვინტიანი ხომალდი.

ეტოლიელებს მოუძღოდა ადრაიმონის ძე თოასი, რომლებიც ცხოვრობდნენ პლევრონში, ოლენოსში, პილენეში, ზღვისპირა ქალკისსა და კალდონან კალიდონში. რადგან დიდგულოვანნი ოინეევსის ვაჟები აღარ იყვნენ და აღარც თვითონ იყო, ცეცხლისფერთმიანი მელეაგროსიც მოკვდა, ახლა თოასი ხელმძღვანელობდა ეტოლიელებს. მასთან ერთად ჩამოვიდა ორმოცი შავი ხომალდი.

კრეტელებს მოუძღოდათ იდომენეევსი, სახელოვანი ზუბისმტყორცნელი, მათ, ვისაც ჰქონდათ კნოსოსი, მაღალგალავნიანი გორტისი, ლიქტოსი, მილეტოსი და თვალისმომჭრელად თეთრი ლიკასტოსი, ფესტოსი, რიტიონი, კარგად დასახლებული ქალაქები; ყველას, ვინც ცხოვრობდა ასქალაქიან კრეტაზე, მოუძღოდნენ სახელოვანი ზუბისმტყორცნელი იდომენეევსი და მერიონესი, კაცთამჭლეტ ენიალოსის თანასწორი. მათთან ერთად ჩამოვიდა ოთხმოცი შავი ხომალდი.

ტლეპოლემოსმა, ჰერაკლეს გულადმა და დიადმა ძემ, როდოსიდან დაუოკებელ როდოსელთა ცხრა ხომალდი, რომლებიც სამ ნაწილად დაყოფილი ცხოვრობენ როდოსზე, — ლინდოსში, იელიოსსა და თვალისმომჭრელად თეთრ კამეიროსში. მათ მოუძღოდათ ტლეპოლემოსი, სახელოვა-

ნი შუბისმტყორცნელი, რომელიც ასტიოქეიამ უშვა მძლავრ ჰერაკლესს; მან ეს ქალი ჩამოიყვანა ეფირედან, მდინარე სელეისის ნაპირებიდან, მას შემდეგ, რაც ზეკსის აღზრდილთა მრავალი ქალაქი გაანადგურა. ტლეპოლემოსი კეთილნაგებ სასახლეში გაიზარდა, მაგრამ შემდეგ მამამისის საყვარელი ბიძა მოკლა, უკვე მოხუცებული ლიკიმნიოსი, არესის შთამომავალი. სასწრაფოდ ააგო ხომალდები, მრავალ ხალხს მოუყარა თავი, ზღვით გასცურა და გაიქცა, რადგან შურისძიებით ემუქრებოდნენ მძლავრი ჰერაკლესის სხვა შვილები და შვილიშვილები. ბევრი იხეტიალა და მრავალი ტკივილი გადაიტანა, ბოლოს კი როდოსში ჩავიდა, სამ ტომად დასახლდა და შეიყვარა ისინი ზეკსმა, რომელიც ბბრძანებლობს ადამიანებსა და ღმერთებზე. და მათ ღვთაებრივი სიმდიდრე უბოძა კრონოსის ძემ.

ნირევსმა სიმედან ჩამოიყვანა სამი კოხტა ხომალდი; ნირევსი იყო აგლაიასა და მეუფე ქაროპოსის ძე; ნირევსი იყო ყველაზე ლამაზი კაცი, ვინც კი დანაელთაგან ტროაში ჩავიდა, პელეუსის უნაკლო ძის შემდეგ, მაგრამ სუსტი იყო და ხალხიც ცოტა ჰყავდა.

მათ, ვისაც ნისიროსი, კრაპათოსი, კასოსი და ევრიპილოსის ქალაქი კოსი და კალიდნის კუნძულები ეკავათ, წინ მოუძღოდათ ფეიდიპოსი და ანტიფოსი, ჰერაკლეს ძის, მეუფე თესალოსის ორი ვაჟი; მათ მწყობრად მოჰყვებოდა ოცდაათი ღრმამუცლიანი ხომალდი.

ახლა ყველას, ვინც კი ცხოვრობდა პელასგურ არგოსში, ვინც ალოსში, ალოპეში და ტრაქისში ცხოვრობდნენ, რომელთაც უკავიათ ფთია და ლამაზქალებიანი ჰელასი, რომელთაც ჰქვიათ მირმიდონები, ჰელენები და აქაველები, მათ და მათს ორმოცდაათ ხომალდს მეთაურობდა აქილევსი; მაგრამ მათ აღარ ადარდებდათ ომის ყიჟინა, რადგან არ იყო ის, ვინც მათ მწყობრს წინ გაუძღვებოდა, რადგან ხომალდებთან იწვა ფეხმბარდი ღვთაებრივი აქილევსი, განრისხებული ლამაზთმიანი ბრისეისის გამო, რომელიც ლირნესოსიდან წამოიყვანა, როდესაც დიდი ბრძოლით ლირნესოსი და თებეს გალავანი გააცამტვერა, დასცა მინესი და შუბით მოასპრეზე ეპისტროფოსი, — სელეპიოსის ძის, მეუფე ევენოსის ვაჟები; იგი იწვა გულგატეხილი, მაგრამ მალე კვლავ წამოდგომა ეწერა.

მათ, ვისაც ეკავა ფილაკე და ყვავილოვანი პიტასოსი — დემეტრეს სამფლობელო და იტონი, ცხვრების დედა, ზღვისპირა ანტრონა და მწვანეში ჩაფლული პტელეოსი, მათ მეთაურობდა მეომარი პროტესილაოსი, სანამ ცოცხალი იყო, მაგრამ იგი მალე მიიღო შავმა მიწამ. ფილაკეში დატოვა ღაწვებდახოკილი მეუღლე და დაუმთავრებელი სახლი: დარდანელმა კაცმა მოკლა, როდესაც აქაველთაგან სულ პირველი გადახტა გემიდან. ხელმძღვანელის გარეშე არ დარჩენილან, თუმცა ძველ წინამძღოლს ფსტტროდნენ; მათ წინამძღოლობდა არესის შთამომავალი პოდარკესი, ფილაკოსის ძის, იფიკლოსის ვაჟი, დიდსულოვანი პროტესილაოსის ღვიძლი ძმა; უმცროსი ძმა იყო. გმირი მეომარი პროტესილაოსი უფროსიც იყო და უკეთესიც; ასე რომ, ხალხს პატრონი არ აკლდა, მაგრამ ყოფილს მაინც მისტიროდა; ისინი ჩამოვიდნენ ორმოცი შავი ხომალდით.

მათ, ვინც ფერეში ცხოვრობდნენ, ბოიბეისის ტბასთან ბოიბეში, გლაფირასა და კეთილნაგებ იოლკოსში, — მათ მართავდა ადმეტოსის საყვარელი ძე თერთმეტი ხომალდით, ევმელოსი, რომელიც ადმეტოსს უშვა ქალთაგან საუკეთესო ალკესტისმა, ყველაზე ლამაზმა პელეესის ასულთაგან.

ვინც მეთონესა და თავმაკიაში ცხოვრობდნენ, ვინც ფლობდა მელიბოიას და კლდოვან ოლიძონს, ხელმძღვანელობდა ფილოქტეტესი, დიდოსტატი მშვილდოსანი შვიდი ხომალდით; და თითოეულ ხომალდზე ორმოცდაათი მშვილდოსანი ოსტატი იყო, მამაცურად მებრძოლი; მაგრამ ეს გმირი საშინელი ტკივილებით ღვთისადმი შეწირულ კუნძულ ლემნოსზე ინვა მას შემდეგ, რაც აქაველთა შვილებმა მიატოვეს წყლის დამლუპველი გველის ავი ნაკბენით განამებული. იქ იწვა და იტანჯებოდა, მაგრამ მალე გაიხსენებენ არგიველები ხომალდებთან მეუფე ფილოქტეტესს. უპატრონოდ არ იყვნენ დარჩენილი, მაგრამ ძველ პატრონს მისტიროდნენ. მედონი მეთაურობდა მათ, ოილევსის ბუში, რომელიც რენემ უშვა ოილევს ქალაქმომუსვრელს.

მათ, ვისაც ეჭირა ტრიკა და კლდოვანი ითომე, ვისაც ეპყრა ოიქალია, ოიქალიელი ევრიტოსის ქალაქი, მათ მოუძღოდა ასკლეპიოსის ორი ვაჟი, ორი ბრწყინვალე მკურნალი: პოდალეირიოსი და მაქაონი; მათ მოჰყვა ოცდაათი ღრმამუცლიანი ხომალდი.

მათ, ვისაც ეპყრა ორმენიოსი და ჰიპერეიის წყარო, ევრიპილოსი, ეკაიმონის სახელგანთქმული ძე. მას ჩამოჰყვა ორმოცი შავი ხომალდი.

მათ, ვინც ცხოვრობდა არგისასა და გირტონეში, ორთეში, ელონეში, ოლოოსონის თეთრ ქალაქში, მათ მოუძღოდა ბრძოლაში უკანდაუხეველი პოლიპოიეტესი, ძე პეირითოოსისა, რომელიც უკვდავმა ზეკსმა შვა; იგი პეირითოოსს უშვა სახელგანთქმულმა ჰიპოდამეიამ სნორედ იმ დღეს, როდესაც გმირმა დაამარცხა გრძელთმიანი კენტავრები, მან ისინი პელიონიდან გაყარა აითიკეტთან; მარტო არ იყო, მასთან ერთად იყო ლეონტევსი, არესის შთამომავალი, კაინოსის ძის, გულოვანი კორონოსის ვაჟი. მათ ორმოცი შავი ხომალდი ჩამოჰყვა.

გუნეევსი კიფოსიდან ჩამოვიდა ოცდაორი ხომალდით და ჩამოიყვანა ენიენები და ბრძოლაში უკანდაუხეველი პერაბები, რომლებიც სახლობენ ცივზამთრიან დოდონეში, საყვარელი ტიტარესოსის ხეობაში ცხოვრობდნენ, რომელიც პენეიოსისკენ მიაქანებდა ლამაზტალლოვან დინებას, მაგრამ არ ერწყმოდა ვერცხლისტალლოვან პენეი-

ოსს, არამედ ზეითუნის ზეთივით ზემოდან ადგება, რადგან საშინელი ფიცის მოწმე სტიქსის[78] შეწაკადია იგი.

მაგნესიელებს წინამძღოლობდა პროთოოსი, ტენთრედონის ძე; ისინი ცხოვრობდნენ პენეიოსისა და ფოთლოვანი პელიონის მახლობლად; მათ სრაფი პროთოოსი მოუძღოდა და მასთან ერთად ჩამოვიდა ორმოცი შავი ხომალდი.

ესენი იყვნენ დანაელთა წინამძღოლები და მბრძანებლები. შენ მითხარი, მუზავ, მეომრებითა და ცხენებით საუკეთესო ვინ იყო იმათ შორის, ვინც ატრევსის ძეს ჩამოჰყვა.

საუკეთესო ცხენები ჰყავდა ფერესის ძეს, რომლებიც ევმელოსმა ჩამოიყვანა; ისინი იყვნენ ჩიტივით სწრაფები, ერთი ფერისანი, ერთი ხნისანი და ზუსტად ერთი სიმაღლისანი; ისინი პერეიაზე აღზარდა ვერცხლისმშვილდიანმა აპოლონმა, ორივე ქაჯი იყო და არესის ძრწოლა მოჰქონდათ. ვაუკცთაგან საუკეთესო იყო აიას ტელამონის ძე, სანამ აქილევსი მრისხანებდა; რადგან იგი ბევრად უფრო ძლიერი იყო და ცხენებიც უკეთესი ჰყავდა პელევსის ბრწყინვალე ძეს; მაგრამ იგი მოხრილკიჩოიან საზღვაო ხომალდებთან იწვა განრისხებული ხალხთა მწყემს აგამემნონზე, ატრევსის ძეზე, მისი ხალხი კი ზღვის კლდოვან ნაპირთან ბადროს ტყორცნით, შუბის სროლითა და მშვილდოსნობით ერთობოდა, მათი ცხენები კი საკუთარ ეტლებთან იდგნენ, ლოტოსს ძოვდნენ და ჭაობში გაზრდილ ნიახურს ცოხნიდნენ; კარგად გაწყობილი ეტლები მეუფეთა კარვებში იდგა, ხოლო ისინი არესის საყვარელ წინამძღოლს მოისაკლისებდნენ და აქეთ-იქით დადიოდნენ მინდორზე და აღარ იბრძოდნენ.

ასე დაიძრნენ ისინი და თითქოს მთელი მიწა შთანთქა ცეცხლმა; მიწამ ყრუდ ამიოიხრა, როგორც მაშინ, როდესაც ელვისმტყორცნელი ზევსი ტიფონის[79] ირგვლივ მიწას მეხს ატეხდა არიმეში, სადაც, როგორც ამბობენ, ტიფონის სამყოფელი იყო. ასევე აქაველთა ფეხებქვეშ ამიოიხრა მიწამ, როდესაც ისინი დაიძრნენ და ძალიან სწრაფად გაიარეს მინდორი.

ტროელებთან მაცნედ მივიდა ქარისფეხება სწრაფი ირისი ეგიდისმპყრობელი ზევსისგან გაგზავნილი მძიმე უწყებით: ისინი კრებას მართავდნენ პრიამოსის კარიბჭესთან, ყველანი თავმოყრილნი, — ახალგაზრდებიც და მოხუცებიც. ახლოს დადგა და ბრძანა ფეხმარდმა ირისმა, ხმა მიამსგავსა პრიამოსის ძის, პოლიტესისას, რომელიც ტროელთა გუშაგად იჯდა თავისი სწრაფი ფეხების მოიმედე მოხუცი ასიეტესის მაღალ საფლავზე და აკვირდებოდა, ხომალდებიდან როდის დაიძვრებოდნენ აქაველები. მას მიმსგავსებულმა ბრძანა ფეხმარდმა ირისმა: „მოხუცო, ისევ გიყვარს უსასრულო სიტყვები, როგორც მშვიდობიანობის დროს, უსასტიკესი ომი კი იწყება; ძალიან ხშირად მინახავს ადამიანთა მრავალი ბრძოლა, მაგრამ არასოდეს მინახავს ასეთი და ამდენი ხალხი. ფოთლებივით და ქვიშასავით უთვალავი არიან ისინი, რომლებიც მინდორზე მოდიან ქალაქზე თავდასასხმელად. ჰექტორ, განსაკუთრებით შენ გიბრძანებ და უნდა აღასრულო: მრავლად არიან პრიამოსის ქალაქში მოკავშირენი, მიწაზე განთესილი ადამიანების ენები ერთმანეთისგან განსხვავდება; დაე, თითოეულს სათავეში ჩაუდგეს ვაუკაცი, ნიშანი მისცეს, დარაზმოს მოქალაქეები და საბრძოლველად გაიყოლიოს.“

ასე თქვა, ჰექტორი კი ჩასწვდა ქალღმერთის სიტყვას, კრება სწრაფად დაშალა და ყველამ იარაღს მიაშურა. ყველა კარიბჭე გაიღო და გამოვიდა ხალხი — ქვეითი და მხედრობა — და უზარმაზარი ხმაური დადგა.

არის ქალაქის წინ მაღალი ბორცვი, ველზეა აღმართული, ყოველი მხრიდან შეგიძლია შემოუარო, მას ხალხი ბატეიას უწოდებს, უკვდავნი კი მსუბუქნაბიჯიანი მირინეს ყორღანად მიიჩნევენ, სწორედ იქ გაიყვნენ ტროელები და მოკავშირენი.

ტროელებს მოუძღოდათ მუზარადმოელვარე დიდი ჰექტორი, პრიამოსის ძე, მასთან უამრავი საუკეთესო ვაუკაცი იდგა აბჯარასხმული, შუბებით თავდასხმისთვის მომართული.

დარდანელებს მართავდა ანქისესის მამაცი ძე ენეასი, რომელიც ანქისესს უშვა აფროდიტემ, როდესაც იდის ფერდობზე ქალღმერთი მოკვდავს დანებდა; მარტო არ იყო, მასთან ერთად იყო ანტენორის ორი ვაჟი, არქელოქოსი და აკამასი, ყველანაირი ბრძოლის უბადლო მცოდნენი.

მათ, ვინც ზელეიაში ცხოვრობდნენ, იდის ძირას, მდიდარი ტროელები, რომლებიც აისეპოსის შავ წყალს სვამდნენ, მათ სათავეში ედგათ ლიკაონის სახელოვანი ვაჟი პანდაროსი, რომელსაც თავად აპოლონმა მისცა მშვილდი.

ხოლო ვისაც ადრასტეია ეკავა და აპესოსის მხარე, პიტიეია ჰქონდა და ტერეიის მაღალი მთა, მათ მართავდნენ სელოსაბჯრიანი ადრასტოსი და ამფოინი, მეროფს პერკოტელის ორი ვაჟი, რომელიც ყველას აღემატებოდა მისნობაში და ნებას არ რთავდა შვილებს, ხალხთამმუსვრელ ომში ჩართულიყვნენ; მათ კი არ დაუჯერეს, რადგან შავი სიკვდილის ბედი ენერათ.

ხოლო ვინც პერკოტეში და პრაქტიონის ირგვლივ ცხოვრობდნენ, ვისაც ეპყრა სესტოსი და აბიდოსი და ღმერთს შეწირული არისბე, მათ მოუძღოდათ ჰირტაკოსის ძე ასიოსი, კაცთა ბელადი, ამ ასიოს ჰირტაკოსის ძემ ჩამოიყვანა ცეცხლისფერი და მაღალი ცხენები სელეისის მდინარის ნაპირებიდან.

ჰიპოთოოსმა ჩამოიყვანა შუბისმრხეველი პელასგების ტომები, რომლებიც ცხოვრობდნენ ნაყოფიერმინდვრებიან ლარისაში; მათ მოუძღოდათ ჰიპოთოოსი და პილეოსი, არესის შთამომავლები, პელასგი ლეთოსის, ტევტამოსის ძის ორი ვაჟი.

აკამასი და პეიროოსი მეთაურობდნენ თრაკიელებს, რომელთა მიწებსაც ბობოქარი ჰელესპონტი მოიცავს.

შუბოსან კიკონებს მოუძღოდა ევფემოსი, ზევსის აღზრდილი კეასის ძის, ტროიძენოსის ვაჟი.

პირაიქმესი წინ მოუძღოდა მოხრილმშვილდიან პეონებს, შორეული ამიდონიდან და ფართოდ მომდინარე აქიოსიდან, რომლის უმშვენიერესი წყალი იღვრება მიწაზე.

პაფლაგონიელებს წინ მოუძღოდა პილაიმენესი, მამაცი გული ენეტედან, გარეული ჯორების სამშობლოდან; ისინი ფლობდნენ კიტოროსსა და სესამონის ირგვლივ ცხოვრობდნენ, მდინარე პართენიოსის ირგვლივ კი სახელგანთქმულ სახლებში ცხოვრობდნენ კრომნაში, აიგიალოსსა და ერითინეში.

ჰალიძონნებს კი წინ მოუძღოდნენ ოდიოსი და ეპისტროფოსი შორეული ალიბედან, სადაც ვერცხლის საბადოებია.

მისიელებს წინ მოუძღოდნენ ქრომისი და ფრინველთმისანი ენომოსი, თუმცა ფრინველებმა ვერ იხსნეს შავი სიკვდილისაგან, არამედ დაიღუპა აიაკოსის შთამომავლის ხელით მდინარეში, როცა სხვა ბევრი ტროელიც განყვიტა აქილევსმა.

ფრიგიელებს მოუძღოდნენ ფორკისი და ევთისდარი ასკანიოსი, შორეული ასკანიიდან, ბრძოლის წყურვილი ახრჩობდათ.

მეონიელებს მოუძღოდნენ მესთლესი და ანტიფოსი, ტელამენესის ორი ძე, რომლებიც ტბის ნიმფა გიგეამ შვა და ისინი მოუძღოდნენ ტმოლოსის ძირას შობილ მეონიელებს.

ნასტესი გაუგებარ ენაზე მოსაუბრე კარიელებს მოუძღოდა, რომელთაც უპყრიათ მილეტოსი და ფთირესის ფოთლოვანი მთა, მაიანდროსის ნაკადი და მიკალეს მაღალი მწვერვალები. მათ მოუძღოდნენ ამფიმაქოსი და ნასტესი, — ნასტესი და ამფიმაქოსი, ნომიონის სახელოვანი შვილები. ქალწულივით ოქროს ატარებდა ომშიც კი, საბრალო! მაინც ვერ გაექცა დამღუპველ სიკვდილს, დაეცა აიაკოსის ფეხმარდი შთამომავლის ხელით მდინარეში, ოქრო კი მამაცმა აქილევსმა წაიღო.

ლიკიელებს მოუძღოდნენ სარპედონი და უზადო გლავკოსი შორეული ლიკიიდან და ბობოქარი ქსანთოსიდან.



განმარტებები:

1. „ილიადის" პირველი სიტყვა შემთხვევით არ არის „რისხვა" (ბერძ. mēnis). აქილეფსის რისხვა — ერთი მხრივ, არის იმ ნყენის შედეგი, რაც მას აქავლებმა მიაყენეს აგამემნონის სახით, როდესაც ბერძენთა მთავარ გმირს მონაქალი, ბრისეისი, წაართვეს, ხოლო, მეორე მხრივ, არის იმ ოდინდელი მრისხანების შეხსენება, რაც ბერძნებმა ალექსანდრე-პარისის მიერ ჰელენეს მოტაცების გამო განიცადეს. სწორედ ეს მრისხანება დაედო საფუძვლად ტროის ომს.
2. ქალღმერთო — იგულისხმება მუზა, პოეზიის მფარველი ქალღმერთი, პოეტების შთაგონების წყარო. გვიან ანტიკურობაში ეპიკური პოეზიის მუზად ითვლებოდა კალიოპე. სხვათა შორის, ამავე ქალღმერთისადმი მიმართვით იწყება „ოდისეაც" („გვიამბე, მუზავ, იმ მრავალტანჯული კაცის ამბავი..."). მუზები (ცხრანი იყვნენ) ზევსისა და მნემოსინეს („მეხსიერების") ქალიშვილებად ითვლებოდნენ; ჰესიოდე „თეოგონიაში" პირველად ჩამოთვლის მათ სახელებს: კლიო (ისტორია), ევტერპე (ელეგიური პოეზია), თალია (კომედია), მელპომენე (ტრაგედია), ტერფსიქორა (ცეკვა), ერატო (ლირიკა), პოლიჰიმნია (ჰიმნები), ურანია (ასტრონომია), კალიოპე (ეპოსი).
3. ჰელევესი — ჩრდილო ბერძნული მხარის, ფთიის მბრძანებელი, ზევს ქალღმერთ თეტისის მეუღლე, მირმიდონელთა მეთაური, აქილევესის მამა.
4. აქაველებს — აქაველები (ბერძ. Achaioi), ბერძენთა ერთ-ერთი კოლექტიური სახელი ჰომეროსის „ილიადაში" (პარალელურად გვხვდება ასევე „დანაელები", „არგიველები" ანუ „არგოსელები" და, იშვიათად, მხოლოდ თითოეთითოჯერ „პანელინები" Panellēnes და „ელინები" Hellēnes).
5. სული ჰადესში ჩადენა — აქ გადმოცემულია მითოლოგიური წარმოდგენა ადამიანზე, რომელიც „თვითონ" კედება, მაგრამ მისი სული ჰადესში ჩადის და იქ თავისი სიცოცხლით ცხოვრობს (შდრ. „ოდისეა", XI სიმღერა).
6. ზევსის ნება (Dios bulē) — უზენაესი ღვთაების გადაწყვეტილება, მიღებული გეასთან, დედამიწასთან, ერთად — გაანადგუროს თავხედი და ამაყი გმირების მოდგმა.
7. ატრევესის ძე (ატრიდი) — აგამემნონი, არგოსისა და მიკენეს მბრძანებელი, მცირე აზიის სანაპიროზე განლაგებული, უმდიდრეს ციხესიმაგრეზე, ტროაზე, აქავეელთა ლაშქრობის ხელმძღვანელი. ატრეუსი იყო მიკენის მეფე, პელოფსისა და ჰიპოდამიას ძე, აგამემნონისა და მენელაოსის მამა. აგამემნონისა და აქილევესის მტრობაზე მშვენიერი ტყვე ქალების — ქრისეისისა და ბრისეისის გამო იხ. ქვემოთ.
8. ლეტოსა და ზევსის ძე — ღმერთი აპოლონი, არტემისის ძმა, ლინოსისა და ასკლეპიოსის მამა. სინათლის, ხელოვნებისა და მისნობის ღმერთი. განაგებდა ეპიდემიებსა და მკურნალობასაც.
9. ატრევესის ძეები (ატრიდები) — ძმები, აგამემნონი და მენელაოსი.
10. ოლიმპოსი — წმინდა მთა თესალიაში, ღმერთების საცავნი.
11. პრიამოსის ქალაქი — ტროა, სადაც მეფობდა პრიამოსი, ამ ქალაქის უკანასკნელი მეფე, ლაომედონის ძე, ჰეკაბეს მეუღლე, ჰექტორის, პარისის, ჰელენოსის, კასანდრასა და კიდევ უამრავი სხვა შვილის მამა (ორმოცდაათი მარტო ვაჟი ჰყავდა სხვადასხვა მეუღლესთან).
12. არგოსი - აგამემნონის სამშობლო, საბერძნეთის უძველესი ქალაქი.
13. ქრისე — კუნძული და ნავსადგური ეგეკების ზღვაში, სადაც იყო აპოლონის ტაძარი.
14. კილა — ქალაქი მესიაში; აქ იდგა აპოლონის სახელგანთქმული ტაძარი.
15. ქრისეისი ჩამოთვლის აპოლონის სახელგანთქმულ ტაძრებს მცირე აზიაში.
16. სმინთევესი — აპოლონის ერთ-ერთი წმინდა სახელი, „თაგვი", რომელიც მიუთითებს მის უძველეს კულტზე, როდესაც მას, როგორც ეპიდემიის ბატონ-პატრონ თაგვს ან ვირთხას სცემდნენ პატივს.
17. ჰერა — უზენაესი ქალღმერთი, ზევსის მეუღლე, ოჯახის მფარველი.
18. დანაელები — ასე უწოდებდნენ ბერძნებს, რომლებიც ჰომეროსთან მოიხსენიებიან ასევე, როგორც აქაველები და არგოსელები (არგიველები).
19. ილიონი — ტროას მხარის (ტროადის) მთავარი ქალაქი, იგივე ტროა.
20. შორსმიმწვდომი — მოიასარი აპოლონის ეპითეტი.
21. კლიტემნესტრა — აგამემნონის მეუღლე, ტინდარევსისა და ლედას ასული, ეასტორის, პოლიდევკესა (პოლუქსისა) და ჰელენეს და.
22. აიასი — იგულისხმება დიდი აიასი, ანუ აიას ტელამონის ძე, განსხვავებით მცირე აიასისგან, აიას ოილევსის ძისაგან.
23. ოდისევსი — კუნძულ ითაკის მეფე, განთქმული იყო სიბრძნითა და ცბიერი გონებით.
24. ჰეკაბემბე — ასი ხარის შესაწირავი.
25. იდომენევსი — დეკალიონის ძე, მინოსის შვილიშვილი, გმირი კუნძულ კრეტიდან.
26. ზევსის აღზრდილები — გმირები, რომლებიც იყვნენ ზევსის შთამომავლები ან რომლებსაც ზევსი მფარველობდა.
27. მირმიდონელები - ფთიაში მცხოვრები ტომი, რომლებიც, გადმოცემით, ჭიანჭველებისგან მომდინარეობდნენ (ბერძ. myrmex ჭიანჭველა). ეაკოსს, აქილევესის ბაბუას, ეპიდემიამ მთელი ხალხი ამოუწყვიტა და მისი თხოვნით ზევსმა ჭიანჭველები ადამიანებად აქცია. ასე ითვლებოდნენ ჭიანჭველები ძველი ტომის წინაპრებად.
28. ათენა — სიბრძნის, ვაჟკაცობის, ციცილიზაციის, სამართლისა და სამართლიანი ომის, მათემატიკის, სტრატეგიისა და უნარ-ჩვევების ქალღმერთი, ზევსის ასული.
29. პალასი — ქალღმერთ ათენას ეპითეტი. ზღვის ღმერთის, ტრიტონის, ასული, ნიმფა პალასი ათენას ბავშვობის მეგობარი იყო, რომელიც, ერთ-ერთი ვერსიით, ქალღმერთს შემოაკვდა.
30. ეგიდისმპყრობელი — ზევსის ეპითეტი. ეგიდა ანუ ეგისი (ბერძნ. aigis, სიტყვა-სიტყვით, „ქარიშხალი") იყო წმინდა ფარი, რომელიც ყველას შიშის ზარს სცემდა. მითის ერთ-ერთი ვერსიით, ამ ფარზე ჩედუზას თავიც იყო მოთავსებული. ზოგიერთი გადმოცემით, იგი ჰეფესტოსმა დაამზადა თხა ამალთეას ტყავისაგან; ითვლებოდა, რომ ამ ფარით ზევსი საშინელ ქარიშხალს აღძრავდა. „ეგისისმპყრობელი" ან „ეგიდისმპყრობელი" — ეგიოხი (ძვ.-ბერძნ. aigiochos, სიტყვასიტყვით, „ეგისის მქონე") ზევსის ერთ-ერთი ეპითეტია.
31. ჰექტორი — ტროის მეფე პრიამოსის ძე.
32. პილოსელთა ორატორი — გმირი ნესტორი, ბრძენი მოხუცი, ქალაქ პილოსის მბრძანებელი.
33. ჰეირითოოსი — ბერძნულ მითოლოგიაში თესალიელი ლაპითების მეფე, ჰიპოდამიას მეუღლე; მის ქორწილში მოხდა ლაპითებისა და კენტავრების ცნობილი ბრძოლა; თესეევსის უახლოესი მეგობარი.
34. დრიასი — მეფე ლიკურგოსის ძე, თრაკიელი ედონების მეფე.
35. კაინევესი — ლაპითი გმირი თესალიიდან, ერთ-ერთი არგონავტი ვაჟკაცი; ტრანსგენდერი, ყოფილი კაინისი, ატრაქსის ასული.
36. ექსადიოსი — ერთ-ერთი ლაპითი გმირი.
37. პოლიფემოსი — ელატოსისა და ჰიპეას ძე, ერთ-ერთი ლაპითი გმირი, არგონავტი.
38. ეგეევსი — ათენის მეფე, „თხა-კაცი", თესეევსის მამა; მი-

სი სახელი ეწოდა ეგეკვსის (ეგეოსის) ზღვას.

39. თესეკვსი — ათენის ფუძემდებელი მეფე, ეთრას ძე ერთდროულად ორი მამისგან: ეგეკვსისა და პოსეიდონისგან.

40. ტანთალიბიოსი — აგამემნონის შიკრიკი და მეგობარი.

41. ევრიბატეკვსი — ბერძენთა შიკრიკი, ოდისეკვსის საჭურველთმტვირთველი.

42. პატროკლოსი — მენეტიოსის ძე, აქილეკვსის მეგობარი.

43. საყვარელი დედა — ზღვის ქალღმერთი თეტისი, ნერეკვსის და დორისის ასული, ერთ-ერთი ორმოცდაათ ნერეიისთაგანი.

44. ხანმოკლე სიცოცხლისთვის — ყველასათვის ცნობილი იყო, რომ აქილეკვსი ახალგაზრდა უნდა დაღუპულიყო.

45. თებე — კილიკიელთა ქალაქი მისიაში, იდის მთის აღმოსავლეთი განმტო

, პლაკოსის მთის ძირას; იქ მეფობდა ეეტიონი, ანდრომაქეს, ჰექტორის მეუღლის, მამა.

46. პოსეიდონი — ზღვის ძმა, ზღვათა მბრძანებელი.

47. ასხელები — სამი ძმა: კოტოსი, ბრიარეკვსი (იგივე აიგაიონი) და გიგესი; გოლიათები, რომლებიც შვა დედამინამ და რომლებიც ზეკვსის მხარეს იბრძოდნენ ტიტანებთან ომში.

48. კრონიონი — კრონოსის ძე, ზეკვსი. სუფიქსები -იდ („კრონიდი") და -იონ („კრონიონი") მიუთითებენ ნათესაობის დაღმავალ ხაზზე („კრონოსის ძე"). იშვიათად შვილის სახელი შეიცავს -იდ სუფიქსს, მაგრამ მიუთითებს არა მამაზე, არამედ დედაზე (მატრონიქატის გადმონაშთია). მაგალითად, აპოლონი ხშირად მოიხსენიება როგორც „ლეტოიდი" ანუ ქალღმერთ ლეტოს ძე.

49. ოკეანოსი — აქ: მდინარე, რომელიც გარს უკლია დედამინას.

50. ეთიოპები — გადმოცემით, ბედნიერი ხალხი, რომელსაც ღმერთები მფარველობდნენ. მათთან ხშირად ქეიფობდნენ ღმერთები (შდრ. „ოდისეა", I, 22, პოსეიდონი ეთიოპებთან ქეიფობს). ასევე ბედნიერი ხალხი იყო, ბერძნების წარმოდგენით, ჰიპერბორეველები, რომელთანაც არაერთგზის სტუმრობდა აპოლონი. „ოდისეაში" ასეთივე ბედნიერ ხალხად დახატული არიან ფეაკები (VI-XII სიმღერა).

51. პეანი — საგმირო სიმღერა ან ლირიკული პოემა, რომელიც ტრიუმფს ან მადლიერებას გამოხატავდა.

52. ეოსი — განთიადის ქალღმერთი, ერთ-ერთი ტიტანი, გეასა (დედამინისა) და ურანოსის (ზეკვსის) ასული, ჰელიოსისა (მზისა) და სელენეკვს (მთვარის) და.

53. ჰეფესტოსი — მჭედლობის ღმერთი, დიდოსტატი, ზეკვსისა და ჰერას ძე, ორივე ფეხით კოჭლობდა.

54. ლემნოსი — კუნძული, სადაც, გადმოცემით, ჰეფესტოსის სამჭედლო იყო.

55. სინტიელი ხალხი, სინტიელები — კუნძულ ლემნოსის ძველი (თრაკიული) მოსახლეობა. ცნობილი იყვნენ მეტალურგიითა და მეკობრეობით.

56. ფორმინესი — უძველესი ძველბერძნული სიმებიანი ინსტრუმენტი, საშუალედო ლირასა და კითარას შორის; ჰქონდა ორიდან შვიდ სიმამდე.

57. სიზმარი (ბერძ. oneiros) — ბერძნული მითოლოგიის, კერძოდ, ჰესიოდეკვს „თეოგონიის" მიხედვით, სიზმრები არიან ნიქსის (ღამის) შვილები — ჰიპნოსის (ძილის), თანატოსისა (სიკვდილისა) და გერასის (სიბერის) ძმები, დაბადებულები პართენოგენეზისის (ასექსუალური რეპროდუქციის) გზით.

58. მიემსგავსა ნესტორს — სიზმარმა მიიღო ნესტორის, ნელეკვსის ძის, სახე, რადგან ღმერთები არასოდეს ეკლინებიან ადამიანებს თავისი ნამდვილი სახით.

59. ქიტონი — ბერძნული უსახელოოში პერანგი, უპირატესად ტილოსი. ხშირ შემთხვევაში, ბერძნებს მხოლოდ ქიტონი უფარავდა ტანს.

60. ლვთაებრივი ხმა — ოსა, ჭორის ღმერთი.

61. ჰერმესი — ღმერთების მაცნე; ვაჭრების, მწყემსების, მოგზაურების, ქურდებისა და თამაშის მფარველი ღმერთი. ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ღმერთი (ოლიმპოსელთაგან მასზე უმცროსია მხოლოდ დიონისოსი).

62. პელოფსი — გმირი, მეფე ტანტალოსის ძე, ნიობეს ძმა, ზეკვსის შვილიშვილი, პელოპონესის ეპონიმი.

63. თიესტე — მიკენის მეფე, ატრეკვსის ძმა, ეგისთოსის მამა.

64. არესის მსახურები — მეომრები ანუ ადამიანები, რომელთაც თავი ომის ღმერთ არესს მიუძღვნეს.

65. იკაროსის ზღვა — ხმელთაშუა ზღვის ნაწილი კიკლადების კუნძულებსა და მცირე აზიას შორის; ადგილი, რომელშიც ჩავარდა იკაროსი, დიდი ოსტატისა და გამომგონებლის, დედალოსის ძე.

66. ევროსი — აღმოსავლეთის ქარის ღმერთი, მოჰქონდა სითბო და წვიმა, ითვლებოდა თარსად.

67. ნოტოსი — სამხრეთის ქარის ღმერთი, ითვლებოდა, რომ ავდარს მოასწავებდა და საფრთხეს უქმნიდა მოსაკალს.

68. ძეფიროსი — დასავლეთის ქარის ღმერთი, გაზაფხულის წინამორბედი.

69. გაწმინდეს თხრილები — სპეციალური თხრილები კეთდებოდა ხომალდების ნაპირზე ამოსაორეკად და შემდეგ ზღვაში ჩასაშვებად.

70. თერსიტესი — სახელი მომდინარეობს სიტყვიდან „თავხედობა".

71. ავლისი — საპორტო ქალაქი ცენტრალურ საბერძნეთში, ბეოტიაში, ევრიპოსის სრუტესთან, კუნძულ ეუბეას მოპირდაპირე მხარეს. ანტიკურობაში დამოუკიდებელ პოლისად არ რამოყალიბებულა, ეკუთვნოდა თებეს. „ილიადის" მიხედვით, აქ მოიყარა თავი ბერძნულმა ხომალდებმა ტროაში გამგზავრების წინ, მაგრამ მათი ფართო ზღვაში გასვლა შეაფერხა არტემისმა, რომელიც სჯიდა აგამემნონს მის წმინდა ჭალაში ირმის მოკვლისა და თავისი საუკეთესო მონადირეობით ბაქიაობის გამო. ბერძენთა ფლოტი გზას დაადგა მხოლოდ მას შემდეგ, რაც აგამემნონმა ქალღმერთს თავისი უფროსი ქალიშვილი, იფიგენია, შესწირა.

72. გერეენელი მხედარი — ნესტორის ეპითეტი. გერენონი ან გერენა ქალაქი იყო მესენიაში.

73. ტომები და საძმები — აქვეყლთა არმია ორგანიზებული იყო ჰომეროსის ეპოქისეული გვაროვნული წყობის მიხედვით. უკვე ჰომეროსამდეც ბერძნული ადმინისტრაციული ერთეული ფილე („ტომი") იყოფოდა ფრატრიებად („საძმოებად").

74. შეეუერთდეთ არესს — დავიწყოთ ბრძოლა.

75. ცხენებს ბლომად მისცეს საკვები — ჰომეროსის ეპოქაში ბერძნებს მხედრობა, კავალერია არ ჰყავდათ: ბელადები იბრძოდნენ ეტლებით, რომლებშიც წყვილი ცხენი იყო შებმული; დანარჩენი მეომრები კი ქვეითად იბრძოდნენ.

76. ღმერთებისგან ერთ-ერთს — ყველა ტომს თავისი მფარველი ღმერთი ჰყავდა.

77. სკამანდროსი — იგივე ქსანთოსი, მდინარის ღმერთი, ჰესიოდეკვს მიხედვით, ოკეანოსისა და ტეთოისის ძე. ტროელების მხარეს იბრძოდა ტროიის ომში. იდის მთიდან ტროიისკენ მედინი მდინარის პერსონიფიკაცია.

78. სტიქსი — მიწისქვეშეთის მდინარე; მის წყალს იფიცებენ ღმერთები, ამიტომ უწოდებს მას ჰომეროსი „საშინელი ფიცის მონშეს".

79. ტიფონი — ბერძნული მითოლოგიის უსასტიკესი ურჩხული. გაიას ანუ გეას (დედამინის) უკანასკნელი ვაჟი, რომელიც დედამინამ ტარტაროსს უშვა; იგი ცნობილი იყო როგორც „ყველა ურჩხულის მამა", ხოლო მისი მეუღლე ექიდნა ცნობილი იყო როგორც „ყველა ურჩხულის დედა".

ფრიდერიკე მაირიოკერი

ლექსები პროზად

გერმანულიდან თარგმნა ლულუ დადიანმა

ცოცხალი კლასიკოსი და თანამედროვე გერმანულენოვანი ლირიკის გამორჩეული ხმა ფრიდერიკე მაირიოკერი დაიბადა ვენაში 1924 წლის 20 დეკემბერს. საშუალო სკოლის დამთავრებისა და უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ იგი კარგა ხანს პედაგოგობდა - ვენის საშუალო სკოლებში ინგლისურ ენას ასწავლიდა. 1939 წელს მაირიოკერმა პირველად გამოაქვეყნა მცირე პროზაული ჩანახატები, შვიდი წლის შემდეგ კი მისი ლექსებიც დაიბეჭდა.

1954 წელს მაირიოკერმა გაიცნო ექსპერიმენტული ლიტერატურის წამომადგენელი ერნსტ იანდლი (1925-2000), ავსტრიელი პოეტი და მწერალი, ცნობილი ნეოავანგარდისტი, რომელსაც მალე ცოლადაც გაჰყვა. მათი ერთობლივი შემოქმედების ნაყოფია მრავალი წარმატებული რადიოპიესა, შემდგომში ოთხ ტომად გამოცემული. ერნსტ იანდლის გარდაცვალების შემდეგ მაირიოკერმა მეუღლეს და მასთან ერთად გატარებულ წლებს რამდენიმე მოგონება მიუძღვნა: "რეკვიემი ერნსტ იანდლისათვის" (2001), "და მე შევაკრთე ძვირფასი ერთი" (2005)...

ფრიდერიკე მაირიოკერის მრავალშრიანი ტექსტური კონსტრუქციები სიურრეალიზმისა და დადაიზმის ტრადიციებს ეხმიანება და ამასთანავე, ბეკეტის, ჰოლდერლინისა და ფროიდის გარკვეულ გავლენასაც განიცდის. მისი რადიოპიესების სათაურები კი მეტყველად მიგვანიშნებს მუსიკისა და მხატვრობის დიალოგზე - "გულსმარქმა პიკასოს მიხედვით" (1987), "რეპეტიციები მაქს ერნსტის მიხედვით" (1989), "შუბერტის ჩანაწერები, ანუ ექსტაზის შეურყვნელი მაგალითი" (1987)... მაირიოკერი იმითაცაა ცნობილი, რომ თავადვე აფორმებს საკუთარ ტექსტებს და მხატვართა გამოფენებშიც არაერთხელ მიუღია მონაწილეობა.

ფრიდერიკე მაირიოკერი დაჯილდოებულია ოცდაათამდე ლიტერატურული პრემიით, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი პრემიებით, როგორებიცა - ავსტრიის დიდი საელიტერატურო პრემია, ფრიდრიხ ჰიოლდერლინის, გეორგ ბიუხნერის, გეორგ თრაკლის პრემიები და ინტერნაციონალური პრემია (Premio internazionale) და სხვა.

მთარგმნელისაგან

ბრანდენბურგული კონცერტი

სრულიად შიშვლად შიშვლად შიშვლად / დასასრულიდან დასასრულამდე
მიდიხარ მიწად თან არ მიგაქვს უბრალო ძაფიც და არც წიგნაკი
ჩასანიშნი არც სათვალე და არც ფანქარი სიხალისე კოცნა თვალ-ყური
არ გაგაჩნია არც მუსიკა სიტყვა არც ზეცა და არც ღრუბელი
ყნოსავ მიწას და ჭიაღუას **სისაწყლეა საწყალობელი**
ვერ გრძნობ ნუგეშს და სიამით ტკბობას საზრდოსაგან ვერც ძილისაგან
ვერ ხედავ ყვავილს და ვერც მდელოს სილურჯეს ლურჯის
არ ელოდები გაშლილ მკლავებით ფიფქების ფრენას
როგორც სიყრმისას ო, არ ცდილობ ფაქიზად რომ დაადნეს ენას
და აღარ კეცავს ფრთებს ეპეპლაც ყრმის ხელის ზურგზე
როგორც ოდესღაც არ მომლოცაობ რძიფერ ნისლებში
ზღვის ტალღებს აღარ ააზვირთებ აგვისტოს ბინდის იალ-კიალში
აჰ და აჰ რაც ელვით აღიბეჭდა, და ა.შ. როცა სვავები
მხედრიონივით მოიწევენ ნახნავს ზეგარდმო



ჯაკომეტივით: მწუხრის ჩრდილები

გაზაფხულის
ეს სტატუეტი: ეტრუსკული
ჰერმაფროდიტის ცივ-შიშველი
ბრინჯაოს ტანი
ორ მინას შუა იისფერ ვარდის
ნაშალი ფურცლით ძლივს დაფარული
აღვიქვამ სხეულს წაგრძელებულს,
მომწვანო მენჯს და, ქალიშვილის ძუძუთა შორის

ღარს ღრმად ჩატვიფრულს - და ჭიპის ღრმულის
ნახევარმთვარეს, თავადაც მახსოვს,
როცა ექიმის მხედველი ხელი, ნეკნებშუა
მკერდის ძელის გასწვრივ მსინჯავდა ფრთხილად,
წმინდა მიდამო, გულის მღელვარე
ძგერა თითქმის მოუხელთები,
მამრული ასოს ლამის ფლობის წყურვილშიაც კი,
ფეხები უმალ ენაცვლებიან ტყუპის ნაზ კიდურს,
თავს მომუშტული ხელით ვისუდრავ,
ჰერმაფროდიტის ნორჩ თავის ქალას
მე ჩემი მჯიღით ვფარავ, რათა
გასრულდეს იქნებ, გამუდმებული
მარწუხი მნუხრის

შეპყრობილობის ასაკი

ოტო ბრაიხას

ლექსი შებღალული და დატყვევებული / კომბოსტოს თავები
ვიტრინაში გამოწყობილი / გასაშლელი მაგიდა/ პელერინა დაჭმუჭნული /
დასავლეთში სახურავებს ზეგარდმო ამწე: უზარმაზარი ჯვარცმა /
ვენებში რეზინის მილაკი / გწვავს მოგონება გაცვეთილი თავმისაყრდნობი
სავარძელი / ცაცხვის ჭრელი მერქანი, შავი გოშია აიყვანა ბავშვივით ხელში
პარკის ძელსკამზე ერთმა უცხო ენაზე მოლაპარაკე ქალმა და მუქკანიანმა შავთვალება მამაკაცმა
შერმოჭკრა ტაში / მშობლიური თუნუქის დროშა კოშკის ქიმზე ბრუნვისას გარინდებული /ტენისის ცალი
ფეხსაცმელი გადაგდებული ქუჩის კუთხეში მდგარ ნაგვის ყუთში / წიგნის ფურცლები გზასავალზე მიმო-
ფანტული ქარისაგან ატაცებული / აივნებზე ღია ცისფერი საყვავილე
ხის კოთხოები / *AGIP-ის მონსტრი* ცეცხლის ალს აფრქვევს ღია ხახიდან
იქვე რძიანას ბუჩქი სახლის გალავანს მიყრდნობილი / დღეს ისე ცხელა კოლხოზური ქანცგაწყვეტი-
ლობაა გამღვალ ასფალტზე / მოქსუტუნე
ზურგქარი / ლოცვის სტრიქონები / აფაზია / ჯონ დოულენდი / ოთახში კრაზანები ირწევიან ბუდეები
მოუწყვიათ ჩემ ქაღალდებში / გალუმპული კიბე
თვალის დახამხამებაში შემშრალა ისეთი პაპანაქებაა დღეს / ფაქიზი თეთრი ნაქსოვი საყელოს პატა-
რა ნაგლეჯი / ფაქიზი თეთრი თვალის ნაპრალით მაკვირდება წმინდანის ხატი თუნუქის ძველი ტოლჩა
სრულყოფილი თანხვედრა
ძარცვას ლატარიასა და მოუწესრიგებლობას შორის მწვანე მოკლესახელოიან მაისურზე დაბეჭდილი
ლურჯი ჰალსტუხი / საკოს გულის ჯიბიდან გამოჩრილი ყაყაჩოს ნაფლეთი / სინათლის მწვანე ვაშლი კი-
ბის საფეხურზე მომწვანო შუშის კარიდან გამონაშუქი ანარეკლი / სამი გერმანული სასტუმრო/ მღვიმე /
ხის გასასვლელით ხვდები ვარდისფერ ხეივანში, ხის გასასვლელით თვალს თეთრი კაბა და ვარდისფერი
ფანჯარა ხვდება ღამით ფარდებს მიღმა, ან იქნებ მარჯვენა თვალმა მიმტყუნა მოჩვენებითი ცდომილება
ანუ, თუ სტრიქონების წაკითხვა ჭირს მარჯვენა მხარეს, მაშინ გვერდის მარჯვენა კიდეს სტრიქონები
მხოლოდ გაჭირვებით გასარჩევი ხდება / შემდეგ
მოუხერხებლად მოკეცილ-მოკუნცხული გვერდზე ბალიშებს ვეტმასნები
ვრჩები ასე დაწოლილი / ძილისთვის უჩვეულო მდგომარეობაში
მეორე გაღვიძებამდე -
adios ანდა ahoi ამბობენ მეგობრები სანამ ჩვენ დაგვტოვებენ
თვალებს ვიფშვნეტდი ღამის სამ საათზე ადრე ჩაქრა იქითა მხარეს სინათლე

ცინგლიანი ბავშვი და ა.შ., ანცი ბავშვი, მეტისმეტად მომხვეჭელი ადამიანი, ანუ გაბმული ჩამონათვალი (“yesterday”)

ბითლზების მუსიკის ჰანგები იმ ღამით მანქანაში ღამე ოქრო ხალასი უფრო კი თვალშეუდგამი სი-
ლურჯე, თავაღერილი დაჟინებით ვუთვალთვალებ ღამეს, მე ღამეული სილურჯით ნაჯერ სევდა-კაუშანს
ვგულისხმობ და ბითლზების მუსიკით მოგვრილ ნეტარებას ბითლზების მუსიკის ჰანგები მანქანაში და
თავდავიწყება ოქროდ ჩამოქნილ ღამეში, უძირო სილურჯით ნაჯერ ღამეში ცრემლები თვალები ალმაცე-
რად ახრილი თავი შემოხედვები ჯვარედინი მე ცხოვრება მეიმედება: 5 თასმა და ტერფები ესაა ყველაფე-
რი რა მშვენივრად გალობდა ბულბული ბაღში წერს იგი (ქალი) სიკვდილის ბაღნარიდან, ბულბულების გო-

რაკიდან ჩემს თავის ქალაში ქვითინად რომ აღბეჭდილა, მდინარის ნაპირი იძვროდა, ძროხებისა და ბაყაყების მეტს ვის აბადია ამდენი დრო ამ გალობას ყურს რომ უგდებდეს, შენ ბრაზლიისკენ, "ჯოჯოხეთის გავლით", ამბობს იგი, სისხლის მაგივრად თეთრ ღვარად მოჩქეფს თითებიდან, და მომეღრიცა თავის ქალა მე მანქანაში მჯდომს ბითლზების მუსიკის ჰანგების თანხლებით ღამის დიდებულებაში ოქროსხმეულ ღამეში და ვიძირები ღამის უძირო სილურჯეში 21-ში, დილის სურნელი იგრძნობა, მრუმე და ბნელი დილაა 21-ში. მრუმე და ბნელი ცის გარემოცვაში ნარგიზთა ველის სურნელი ტრიალებს უკაცრიელი მიდამოა, დედაჩემი, ᲛᲨვენიერი ალაგია ამბობს იგი ყინულზე სრიალი, მწუხრის არნივის ამბობს დედა და ᲨლიᲚ ვარდისფერ ნარინჯისფერ მკლავებს, კარგი ეპარქია იყო წაბლისფერი თმები ჰქონდა ისე რომ სხივები იღვრებოდა მისი თმებიდან ფლუფიდებიდან და ა.შ., თუმცა იგი (ქალი) სწრაფად ამოძრავდა გასაშლელ სკამზე რბილგადაკრული ტახტზე, იძახდა ჩვენ წასვლა გვინდა იქით გვწადია და ამიერიდან იქ გვსურს ყოფნა ახალ ადგილზე, და მანქანით მიემართება და ღაწვები კი ვარდისფერი ნარიჯისფერი და ხელი განვდილი ქარში ისე მე რომ მიყვარდა: მისი სხეული გამჭვირვალეა ნათლის სხივივით ყელს არ ვგულისხმობ, და ბოლო დროის გატაცებაა ვამბობ მე, ეს რომ მართლაც ყოფილიყო ასე: ნებიერი გასეირნება, რა ანგელოზურია სახელი მე ვგულისხმობ მანქანის უკანა სავარძელზე ბითლზების მუსიკის ჰანგების ქვეშ ოქროდ ჩამოქნილ ოქრო ღამეში ოქროსხმეულ ღამეს ან კანს თილისმებს ქაღალდს დროშას ველის გასწვრივ შლილს და ციცაბო ბილიკს გზას განაკაფს, ოჰ, მე განვიცდი, აღფრთოვანებას ზეაწეულს (ნაბიჯები / მწკრივები მხარდამხარ მდგომარენი, და ა.შ.) ბილიკს, რეზედებს შემდეგ / კრიზისულად სურნელოვანი თასების შემდეგ ეპილეფსიურ შეტევათა სურათებამდე

მეგობრებისადმი

უᲩᲦᲘᲕᲐᲒ სილაᲟᲕარდეს / ურიცხᲒ მეგობარ ქალს

სავალალოა, ამბობ შენ, ეს **მიღმური ძილი** ცრემლდათხეული პირისახე
მე მეშინია სიკვდილის რადგან ჩემში უწყვეტლივ იწვევს სამყარო
უფრო და უფრო ღრმა გაოცებას
უნივერსუმი განიხვნება დღედაღამ ისევ ყოველᲟამიერ -
ოჰ, მეგობრებო! ჩასაქოლი ქვების ნაკრები ფიჭვის მომცრო ფიჩხის გროვაზე
როგორც პიუპიტრზე სურნელოვანი ნაზი თითები, იქვე გვერდით
იისფერი ატმისფერი და მეწამული სიყრმისეული მეგობრები
ანუ ფანქრები კალენდრის ფურცლები მაკრატლები
უკან კი ერიკ შმედესია ლეონკავალოს "ᲯᲐᲛᲐᲖᲐᲚᲘ" როლში
დამატყვევებელ-ტრაგიკული მუსიკის ჰანგით აღსავსე მზერით -
ო, რარიგ ვიცი ეს მტკივნეული უაზრობა სარკით მეტყველი:
ხელები საფეთქლებს მიჭდობილი შავი ბერეტი, პირი წაშლილი, ᲟᲐᲛ უგვანი, ო, ერიკ შმედესის თვალები მოქვითინე, ლეონკავალოს "ᲯᲐᲛᲐᲖᲘᲡᲗᲐᲜ"
და სარკმლის მიღმა მოკაშკაშე ზეცის ალმურით მგზნებარე ხედი, არა:
ჩაᲮჩაᲮა ღია ცისფერი გაᲮაფხულივით შუაგულ ზამთარში -
ოჰ, მეგობრებო! გარიᲟრაᲟის მინანქარი სახურავებსა და კედრის ხეებზე
ეᲮოსგარეთში, შენი წერილი იმგვარად *სუნთქავს* თითქოს აქა ხარ ამ ოთახში
ასეთია შინყოფნის ფიქრი და ჩალამბარა სინათლე - ჰოი, მეგობრებო!
ჩემი **ტიციანისეული მაგიდა** მრავალფერდაკრული, დამსხვრეული ქოთნები
ჩემ კართან, როგორ მოგორავს ცრემლი ლოყაᲖე გარგარისფერი დაკვირვება
საღამოსკენ კი ორმაგი ცისარტყელა გადაჭიმული აღმოსავლეთს და დასავლეთს შორის: წვიმისა და ცისარტყელის ნიაღიდან ამოწოვილი გაღვიძებისას, გარეთ კი წვიმა ეხლება მინებს, ადონისი, პოეტი, ცოტა არ იყოს ზედმეტად აბსტრაქტულად ვწერ მე C-ს., მაგრამ ეს გამოთქმა "ელვის ნიაღი" ჩემს კრთომას იწვევს, ორმაგი ცისარტყელის ნიაღთან სპექტრის ყველა ფერით ნასაᲮრდოები, არა მხოლოდ სისხლისფერი ნითელი: ტიციანის წითელი ფერი შემოდის და იძირება ჩემში და ბობბქრობს თვისსავ მიმოქცევაში, თეთრი ლილიები ფანჯრის ქვევიდან ამოᲮრდილან, აყვავებულან იᲭრებიან ეპიდერმისში, ხელი, რომელიც ხევს ქაღალდებს, ვნების ყვავილები ფანჯრის წინ თოვლში ან დედის პასიფლორა თოვლი სამარის ბორცვზე, შაგალს როცა ვათვალიერებ, ბუᲩქნარსა და წიგნებში ვიოლინოზე დაკვრის ხმა ისმის, თუმცა რამდენი მოგონება არსებობს კიდევ, და ა.შ..

ღია ზღვაში

და მის პატარა ძაღლზე ვიᲯეᲥი, ანუ მე, მინიერი ცხოვრებისას და ოქროსფერი სამᲮრობის ხანს ფიქრი დედის დაკრძალვაზე და მისი სანთლით გაპატიოსნება, რაც კაშკაშა მზის ბრწყინვალებამ უნდა გააფერმკრთალოს. სამარის ფარანი და მხოლოდ მცირე მანძილი იქამდე, სადაც ნათება დაშრეტილა სამარადისოდ სანუკვარი სანთელი და სანუკვარი ალაგი ეული ყოფნა აქ ქვევით მიწით და მატლებით მტვერწაყრილივით თითქოსდა მსუქან ბილწ არსებათა მიერ დაგემოვნებული წინა კვირის წასახემსებელ აბგებში, ო, ეს ადრი-

ანი გაზაფხული: თებერვლის ბოლო დღე თებერვლის ბოლო დღის წინა დღე **შუაზე მჩეხავს** ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ვყვირი **შუაზე მჩეხავს** კისრის ღრმულიდან ჭიპისკენ და უფრო ქვევით, ყელიდან თმისკენ საზარელი დანით და ლამპრები შრომანის ღერო ან სამარე. და სრული უძლურება დაიოკო სიცოცხლის წყურვილი უსასრულოდ გწადდეს სიცოცხლე რა გმინვა და რა გოდებაა, ქვეყნიერება კი მუდამ ახალია და სარკეში მთავარ გამზირზე მაღაზიის ვიტრინის ვრცელ სარკეში საკუთარი ანარეკლის ხილვისას ვფიქრობ ისეთივე ვარ, როგორც დედაჩემი ჩემს წლოვანებაში, დედასავით ოდნავ წინ ნახრილი, თუმცა კი ვცდილობ გამართული ვიყო და გავინვართო, ავნნო თავი ჩემი სხეულის ეს ნყეული რთული ნანილი კანით და თმით თვალით და ყურით და როგორ შრიალებს თავის ქალაში გულის სიღრმეში როგორ მესხმის თავბრუ თავის ქალასა და გულის სიღრმეში როგორ მწყლავს მე კისრის ღრმულიდან მენჯამდე და უფრო ქვევით, და ტერფის ცერიც, ვგრძნობ ტერფის ზურგსა და ფეხის გულს სასას და პირის ღრუს, თუმც ყოველივე ამაოა სიკვდილი დანით კვლავ მოიწევს მერჩის და თავს ვერ დავაღწევ მე ამ ურჩხულს ყვირილით ვეგებები სტუმრობას მისას, ვივსები პირთამდე ვთვრები ყინულივით ცივი წყლით / და მედუზებით სიშლეგით და მთრგუნავს დამბლა და ვცოცხლდები ისევ და ვერნყმი შენი მენჯის ძვლებსა და თვალის გუგას, ვგულისხმობ უკანასკნელ და უკანასკნელზე უფრო ადრინდელ თებერვლის დღეს მიმდინარე ფილმს ყურად...

უამისოდაც მიჭრელებს მზერას ეს მტაცებელური სინათლის სხივი ფოსოებიდან რომ შრიტავს თვალებს თებერვლის სინათლე სწორუპოვრად რომ შანთავს თვალებს, ამოაბრუნებს თვალის გუგებს მათივე ღრმული ფოსოებიდან ნეგლიიჟეს სამოსელში თუ Nachtigal-ი (ბულბული) ამოვიკითხე ნეგლიიჟეს ნაცვლად, ისევ შეცდომით ვკითხულობ Kinderthum-ს, კკითხულობ, ისევ მეშლება, გულის სიღმეში 1 მრავალთაგანი კაცი იჯდა და მელირებას იკეთებდა, მელირებული იყო დაფიფქულივით, ანუ 1 შაშვი გახუნებულ ბალახში გზის პირას მომალული კორტოხზე, და ა.შ., რომანი სავარძელი, პატარა ქუჩაბანდი მოლივლივე ფერებიანი ისიფერთვალება ძაღლის საშინელი საჩუქარი, და ა.შ., პატარა ნაბიჯები ჩემი პატარა ნაბიჯები, საწყალობლად პატარა ნაბიჯები **წინარე-მოხუცი** ქალისა, არაქისის პაკეტი პრიალებს როგორც მოლაპლაპე კვალი 1 ზღვის ზედაპირზე ანდა

ზამთრის სიმღერა

ხრისტელ ფალენშტაინს

სეზონური საცვლები მთელი ზედატანი ვიბრირებს, ცახცახებს მთელი ბალახი ჩემს მკერდში, და იზრდება ბალახი ჩემი ნიაღიდან ამოდის სხეული ბალახი რითაც სხეული უკვე ისედაც პირთამდეა დატენილი ჩალისფრად და ელვარედ: *იმპულსურად* და *დამუტტულად* და შემდეგ ამოიტყორცნება და უკან ბრუნდება საამო ზარით და მთელი სხეული ზარის და ჩელესტას ხმოვანებითაა მოცული ამიტომ შეუძლია ასე მშვენიერად იმღეროს კიდეც და იგუგუნოს, თუმც კი დედალი არწივი და ციკნები მოედინებიან და იფანტებიან / ახლა უშნოდ ვარ შეფუთული და მომცრო ოთახიც სწორად არაა შერჩეული და ა.შ. და საკუთარ თავს ვწურავ: ღამის ნესტიანი თეთრეული 3-ჯ გამოცცელილი ქანცგაწყვეტილი უმშვენიერეს წერილივით სწორედაც უმშვენიერეს წერილივით მოვიდა საღამოს ჩემთან ფანტაზიასთან თავთან და თმებთან ერთად და მე ზმანებაში *გადა-ვეშვი* მესმის შრიალი წერილის ფურცელივით შრიალებს და მე ვფხიზლდები ღრმა ხილვებიდან როცა შრიალი ზარივით რეკდა და ჩელესტას ხმოვანება ისმოდა და მთელი ღამე ნაზად შრიალებდა *საღამოს წამყვანი*, მაშინ როცა თმები, ვგულისხმობ თავს და თმას შესშრიალებდნენ შენს წერილს, ვწერ მე C.F.-ს შენი სიმღერისას ფანჯრის წინ მდგარი დათოვლილი ხის სიმღერისას - გულის გულამდე შეღნეული და აზვირთებული სხეულის ტალღა სითხიდან მწრიტავს (ანუ entwetert) - რადგან ახლა ყველაფერი ასე ანგლოფილურია! - და ა.შ., მოსკოვში მაშინ ხომ ხედავდი რა ტბა იყო და რაოდენი მისხალ-მისხალ წვეთებივით შემორჩენილი მოგონებები სახლზე ფარასა და ძაღლზე, აწენილ-აბურდული ამდენი წლის შემდეგ და ტბის დუმფარების გასწვრივ Krume Lanke-ში ბერლინთან ახლოს სადაც დროებით ვიყავი შეხიზნული, ან ზამთარში ჰაერში მოლივლივე დები წყვილები გაბზარულ ყინულზე მკვდარი ჰანს ულრიხ მინკეს ღია ცისფერი თვალები RIAS BERLIN-ი დაუჯერებელი, ან ზამთარში ბროლისებრი ათინათები ყინულზე, თოვლი პაკეტებში შეფუთული მცურავი ყინულები ქუჩაბანდებში, გზას ვიკვლევ ფართოდ გაშლილი მკლავებით მოყინულ გზასავალზე ან მკლავები გრძივად გაჭიმული რადგან ზედ უამრავი რამ ჰკიდია: თევზებით სავსე ღრმა ბადეები და ბუშტუკები გუბურებზე და პური და ბეწვი ო, ზამთრის სალონი: დე კირიკო მატისი და პიკასო: ქალების ყვითელი თმები. გრძნეულივით მნუსხავს ყურთასმენის თანამდევი ეს შრიალი დღედაღამ, და ათქვირებული ლოყების ხორცი სახელდობრ კი ათასი ქარის დაბერილი ლოყები და თითქოსდა თოვლმა შემოაღწია ჩემს პალატაში, შემდეგ, სისხამ დილის ლურჯი თაიგულები იქნებ

ირმა ტაველიძე

თეთრი ქალი

2014 წლის 13 ივლისს გარდაიცვალა ნადინ გორდიმერი - სამხრეთაფრიკელი მწერალი, აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლი აქტივისტი და ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში. მას ყველაზე ცნობილ სამხრეთაფრიკელ მწერლად ასახელებენ, თუმცა ჩრდილოეთ ნახევარსფეროს იმ ნაწილში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ის თითქმის უცნობია. ნადინ გორდიმერი იმ ძალიან კარგ მწერალთა შორისაა, რომლებსაც საქართველოში არ კითხულობენ. ქართულ ენაზე 2011 წელს გამოცემული მისი ერთადერთი წიგნი - მოთხრობების კრებული "ბეთჰოვენს 1/16 ზანგის სისხლი ჰქონდა" (გამომცემლობა "ინტელექტი", თამარ კოტრიკაძის თარგმანი) ამ მოცემულობას, ფაქტობრივად, ვერ ცვლის. მიუხედავად იმისა, რომ თავად მწერალს სწორედ მოთხრობა მიაჩნდა თანამედროვეობისთვის ყველაზე შესაფერის ლიტერატურულ ფორმად, ალბათ სჯობდა, მკითხველს ის იმ რომანით გაეცნო, რომლისთვისაც 1974 წელს ბუკერის პრემია მიენიჭა და რომელიც მის ერთ-ერთ საუკეთესო ნამუშევრად ითვლება. ვგულისხმობ რომანს "მცველი" (The Conservationist) - მის ყველაზე პოეტურ წიგნს დოკუმენტური პროზისთვის დამახასიათებელი სიზუსტით და სისადავით.

ჩვენ წაგვიკითხავს აფრიკელი მწერლები და ის მწერლები, რომლებიც აფრიკის კონტინენტზე დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ. ჩვენ წაგვიკითხავს სამხრეთაფრიკელი მწერლის, ასევე ნობელის პრემიის ლაურეატის, ჯონ მაქსველ კუტზეეს წიგნები და ის ფილმიც გვინახავს - "სირცხვილი" - ჯონ მალკოვიჩით მთავარ როლში.

ნადინ გორდიმერის აფრიკა კი ისეთიც არის, როგორადაც ჩვენს წარმოდგენაში არაერთხელ გაცოცხლებულა სხვა მწერლების წყალობით - თავისებური, უცხო არომატებითა და რწმენა-ნარმოდგენებით გაჯერებული, ისტორიის სისასტიკეებით დაღდასმული, განსაზღვრებებში ძნელად მოსაქცევი კონტინენტი, მაგრამ ამავე დროს ისეთიცაა, როგორსაც ვერასდროს წარმოვიდგენდით. ეს მწერლის თვალით დანახული, მისი მგრძნობელობით გაშუალებული სივრცეა, სადაც ლოკალური კონტექსტი ყველაფერს განსაზღვრავს. ნებისმიერი პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური მოვლენა, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ხდება, მის უახლოეს წარსულში განვითარებული მოვლენების ფონზე, სრულიად თავისებურ სახეს იძენს. სამყაროსთვის ეს ქვეყანა ერთგვარი სარკისმიღმეთია.

ნადინ გორდიმერს მსოფლიო ძალიან კარგად

იცნობს. ნახევარ საუკუნეზე მეტია, მისი მოთხრობები "ნიუ იორკერსა" და სხვა ცნობილ პერიოდულ გამოცემებში იბეჭდება, მისი თხუთმეტი რომანი და ოცამდე მოთხრობების კრებული კი მსოფლიოს მრავალ ენაზეა ნათარგმნი. სამყარო, სადაც რაღაცის მისაღწევად იბრძვიან და არ იციან, როგორ უნდა გააგრძელონ ცხოვრება, როცა დასახულ მიზანს მიაღწევენ; ქვეყანა, სადაც ფესვგადგმულმა ძალადობამ უამრავი ახალი სახით იჩინა თავი; პოლიტიკური რყევების ფონზე დანგრეული ურთიერთობები და განცდა, რომ გამუდმებით რაღაცას კარგავ; არა მგონია, ეს ყველაფერი ძალიან უცხო იყოს ქართველი მკითხველისთვის.

თუ მწერალი გულწრფელია, თუ ის თავის ქვეყანაზე წერს და ამ ქვეყანაში დრამატული მოვლენები ხდება, მაშინ პოლიტიკა თავისთავად იქცევა მისი ნაწერების ნანილად - ასე სნამდა სამხრეთაფრიკელ მწერალს, რომელსაც არც უცდია, პოლიტიკისგან დაეცვა საკუთარი წიგნები და ცხოვრება. იმასაც ამბობდა, ჩილელი ან პოლონელი რომ ვყოფილიყავი, ჩემი პოზიცია ასეთივე დარჩებოდაო. მის გულწრფელობაში ეჭვს ნამდვილად ვერ შეიტან. რადგან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას ცუდად ვიცნობთ, მხოლოდ ის ვიცით, რომ იქ ყველაფერი "სპეციფიკურია" - დემოკრატიზაციის პროცესით დაწყებული თვითცენზურის ფორმებით დამთავრებული (მწერალმა იცის, რომ მკითხველი მგრძნობიარეა ერთმნიშვნელოვნად უარყოფითთა შაკკანიანი პერსონაჟის მიმართ, ისევე, როგორც ერთმნიშვნელოვნად დადებითი თეთრკანიანი პერსონაჟის მიმართ და ამას ანგარიშს უწევს), ჩვენ, სულ სხვა სამყაროს მკითხველები, ალბათ მწერლის გულწრფელობის იმედად უნდა ვიყოთ. სწორედ ნადინ გორდიმერის მსგავს მწერალს შეიძლება შევყვეთ უშიშრად იმ ქვეყანაში, სადაც დიდი ბრძოლის ეპოქა დასრულდა, მაგრამ ყველაფერი თავის ადგილას სულაც არ დამდგარა. პირიქით, ამოყირავებულ სამყაროში ორიენტაცია უფრო რთული გახდა.

ნადინ გორდიმერი მწერლად დაბადებული ქალია - აქ მისი რწმენა ბოლომდე ემთხვევა ჩემსას და ჩემნაირი მკითხველებისას. ის, ვინც სამყაროში სიცხადის შეტანის, სამყაროს არსში ჩაწვდომის ერთადერთ გზად ხელოვნებას მოიაზრებს, შესაძლოა ვიღაცის თვალში გულუბრყვილოდ მოჩანდეს, ვიღაცისთვის კი წინამძღოლი იყოს - ხელში მოკიაფე ფარნით. იმ მწერლებად, რომლებმაც ორიენტირები განუსაზღვრეს შემოქმედებასა და ზოგადად, ცხოვრებაში, ასახელებს დოსტოევსკის, ლოურენსს, პრუსტს. იმასაც ამბობს, რომ ჰქონდა ერთგვარი "ფსიქოლოგიური დამოკიდებულება" ამ და კიდევ რამდენიმე ცნობილი მწერლის მიმართ. ყველაზე მეტ სიახლოვეს კი პრუსტთან გრძნობდა - მის ღრმა, "შემაშფოთებელ გავლენას" განიცდიდა - არა მხოლოდ შემოქმედებაში, არამედ, პირველ რიგში, სამყაროსადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით. ალბათ ამ ყველაფრის გამოცნობა მის ტექსტებზე დაკვირვებითაც იოლად მოხერხდებოდა. ფრაზა კი, რომლითაც საბოლოოდ მოიგო ჩემი გული, სულ სხვა მწერლის შესახებ თქვა ერთ ინტერვიუში, ეგრეთ წოდებულ "ქალურ" და "მამაკაცურ" ლიტერატურაზე საუბრისას - ჰენრი ჯეიმსი შეიძლებოდა ქალი ყოფილიყოო. ჰენრი ჯეიმსის კვალიც მკაფიოდ იკითხება ლირიზმითა და დახვენილი იმპლიკაციებით ბამორჩეულ მის ტექსტებში, სადაც მთავარი ხშირად რჩება უთქმელი, ინტერპრეტირების ვნებას კი ფილოსოფიურ განზომილებამდე მივყავართ.

ნადინ გორდიმერი შეიძლებოდა კაცი ყოფილიყო.

1954 წელს "ნიუ იორკერისთვის" დაწერილ ესეში "სამხრეთაფრიკული ბავშვობა" ფაქტები გააყალბა, ანუ ყველაფერს ისე არ მოყვა, როგორც სინამდვილეში იყო. ავტობიოგრაფიული ნარატივი სრულიად სხვა რამედ აქცია და თან - ბოლომდე გაცნობიერებულად. ავტობიოგრაფია ნებისმიერ შემთხვევაში ყალბდება, ვერასდროს ვერ ჰყვები ყველაზე მთავარ ამბავს - შენს ამბავს - იმიტომ, რომ ეს შეუძლებელია მაშინაც კი, როცა ნადინ გორდიმერისნაირი მთხრობელი ხარ. და რადგან მაინც ყალბდება, სჯობს, სწორედ შენ იყო გამყალბებელი.

ბოლო წლების ფოტოებიდან კაფანდარა, თხელსახიანი ქალი შემოგვყურებს. ისეთ მოხუცად ქცეულა, უფრო ფრინველებს რომ ჰგვანან, ვიდრე ადამიანებს. 90 წლის ასაკში გარდაცვალება სამყაროსეულ კანონზომიერებად აღიქმება. თითქოს გულდასაწყვეტიც არაფერია. დაგვრჩა წიგნები, ინტერვიუები, ბევრი ხმით წაკითხული მოთხრობები. მის სამმობლოში, სადაც ასე ფრთხილად არჩევენ ფერების აღმნიშვნელებს, ის იმ თეთრ ქალად დარჩება, რომელმაც ბოლომდე იბრძოლა ყველას უფლებების დასაცავად (მათ შორის იმუნოდეფიციტის სინდრომიანთა უფლებების დასაცავად), დაწერა უამრავ მტკივნეულ თემაზე, დაწერა ძალიან ზუსტად და ამაღელვებლად და სანობელე სიტყვაში განაცხადა: "იქნებ სხვა გზა, ხელოვნების გარდა, არც არსებობს ყოფიერების არსში ჩასაწვდომად? მწერლები არ აანალიზებენ იმას, რასაც აკეთებენ. გაანალიზება უფსკრულში ჩახედვა იქნებოდა კანიონის თავზე გაბმულ ბაგირზე გავლისას".

მის ერთ პატარა მოთხრობაში შავკანიანი მშობლები მშვიდად რთავენ ნებას შვილებს, რომ თეთრკანიანის მიერ შემთხვევით მოკლულის გვამს უყურონ და ის მოთქმა-გოდებაც მოისმინონ, რაც გარდაცვლილის ახლობლებისთვის ამ უბედური შემთხვევის შეტყობინებას ახლავს. მწერალი შენიშნავს, ჩვენგან, თეთრკანიანებისგან განსხვავებით, ისინი ბავშვებს არ იცავენ საშინელი ამბებისგან და მძიმე განცდებისგანო. ადამიანები ყველგან ეძებენ იმას, რაც სიკვდილის მიღებას გააადვილებს. გარდაცვალა მწერლად დაბადებული ქალი და შეგვიძლია თავი იმით ვინუგეშოთ, რომ, როგორც ერთ ლექსშია, "არყოფნა უფრო ბუნებრივია".

მარიო ვარგას ლიოსა

სამყარო რომანების გარეშე

თარგმნა თამარ ლომიძემ



ბევრჯერ მომხდარა, რომ წიგნის ბაზრობებსა და მაღაზიებში მავანი მამაკაცი მთხოვს, ავტოგრაფი ნავაწერო რომელიმე წიგნს და, როგორც ნესი, მიხსნის: "ჩემი ცოლისთვის (ქალიშვილისთვის, დისთვის, დედისთვის) მინდა. ბევრს კითხულობს და ლიტერატურა ძალიან უყვარს". მაშინვე ვეკითხები: "კი მაგრამ, თქვენ? გიყვართ კითხვა?" პასუხი თითქმის ყოველთვის ამგვარია: "რა თქმა უნდა, მიყვარს, მაგრამ, ხომ გესმით, კითხვისთვის ვერ ვიცლი". რა თქმა უნდა, მესმის, რადგან უამრავჯერ გამიგონია ამგვარი განმარტება: ამ კაცს, ისევე, როგორც მრავალ ათას სხვა კაცს, იმდენი მნიშვნელოვანი საქმე და საპასუხისმგებლო მოვალეობა აქვს, რომ არ შეუძლია, ძვირფასი დრო დაუთმოს რომანების, ლექსთა კრებულებისა ან ესეების კითხვას. გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, კითხვა - უმნიშვნელო საქმიანობაა, უბრალოდ - გართობის ხერხი. რა თქმა უნდა, ის ძალზე კეთილშობილური საქმიანობაა, რომელიც აფაქიზებს ჩვენს გრძნობებს და ხვეწს მანერებს, თუმცა, არსებითად, ეს გატაცება, რომელიც ცხოვრებას ალამაზებს, მხოლოდ მოცლილთათვისაა ხელმისაწვდომი. დრო, რომელიც შეიძლება დაეთმოს სპორტს, კინოს, ბრიჯსა და ჭადრაკს, ასევე, შეიძლება დაეთმოს წიგნების კითხვას, როდესაც გარდაუვალი ყოველდღიური საქმეები უკვე მოგვარებულია.

კითხვა სულ უფრო მეტად იქცევა ქალთა საქმიანობად. წიგნის მაღაზიებში, მწერალთა კონფერენციებზე, ლიტერატურულ საღამოებზე და თვით უნივერსიტეტთა ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზეც კაბები ბევრად ჭარბობს შარვლებს. ამას, ჩვეულებრივ, იმით ხსნიან, რომ ბურჟუაზიული კლასის წარმომადგენელი ქალბატონები მეტს კითხულობენ, რადგან ბევრი თავისუფალი დრო აქვთ; აგრეთვე - იმით, რომ ისინი, ძლიერი სქესის წარმომადგენლებისგან განსხვავებით, სათაკილოდ არ მიიჩნევენ იმას, რომ გარკვეული დრო დაუთმონ ფანტაზიებსა და ოცნებებს. უნდა ვაღიარო, რომ მძაგს თეორიები, რომლებიც ადამიანებს სქესის მიხედვით მიჯნავენ და ყოველ სქეს კოლექტიურ დადებითსა და უარყოფით თვისებებს მიაწერენ, ამიტომ არ ვეთანხმები ამგვარ განმარტებას, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ მკითხველთა რაოდენობა - რომლებიც ჯერ კიდევ საკმაოდ მრავლად არიან, თუმცა, ძირითადად, ყოველგვარ მდარე ლი-

ტერატურას კითხულობენ - ყოველწლიურად იკლებს, და რომ მათ შორის ქალები ჭარბობენ. ასე ხდება მთელს მსოფლიოში. ავტორთა და გამომცემელთა ესპანეთის საზოგადოებამ ამასწინათ გამოკვლევა ჩაატარა და შემაშფოთებელი ფაქტი დადგინა: ამ ქვეყნის მოქალაქეთა ნახევარს მთელი სიცოცხლის განმავლობაში არც ერთი წიგნი არ წაუკითხავს. აღმოჩნდა, აგრეთვე, რომ ლიტერატურის მოყვარულ ქალთა რაოდენობა ამ მკითხველი უმცირესობის საზღვრებში 6,2%-ით აღემატება მამაკაცებისას. უახლოეს წლებში ეს განსხვავება გაიზრდება. რა თქმა უნდა, კარგია, რომ ქალები კითხულობენ, მაგრამ გულისტკივილს აღმიძრავს მამაკაცთა არჩევანი და, საერთოდ, არჩევანი ყველა იმ მილიონობით ადამიანისა, რომლებმაც კითხვა იციან, მაგრამ არ კითხულობენ. ვწუხვარ არა მარტო იმის გამო, რომ ეს ადამიანები ვერ იცნობიერებენ, თუ რა სიამოვნებას აკლებენ თავიანთ თავს, არამედ იმიტომაც, რომ - ნაკლებად ჰედონისტურ თვალსაზრისს თუ დავეყრდნობით - დარწმუნებული ვარ: საზოგადოება რომანების, ლიტერატურის გარეშე, ისევე, როგორც საზოგადოება, რომელშიც ლიტერატურას სოციალური ცხოვრების განაპირას აქვს ადგილი მიჩენილი და კითხვას საძრახის ნაცარქექიობად ან სექტანტურ კულტად მიიჩნევს, განწირულია სულიერი ბარბაროსობისა და შეზღუდულობისთვის!

წინამდებარე ესეში ჩამოვაყალიბებ რამდენიმე მიზეზს, რომელთა გამო კითხვა და, კერძოდ, რომანების კითხვა, არ უნდა მივიჩნიოთ მოცლილთა ფუქსავატურ საქმიანობად; მოვიყვან რამდენიმე არგუმენტსაც, რომლებიც დაგვარწმუნებს, რომ კითხვა არა მარტო ერთ-ერთი საინტერესო საქმიანობაა, რომელიც სულიერად ამდიდრებს ადამიანს, არამედ უნიკალურ როლსაც ასრულებს თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების წარმომადგენელთა - თავისუფალ პიროვნებათა - მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებაში. ვილაპარაკებ იმაზე, რომ კითხვის ჩვევა ოჯახში ბავშვობიდანვე უნდა დაინერგოს, ყველა საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელ ნანილად და ძირითად საგნად უნდა იქცეს, თუმცა, ამჟამად, უკუპროცესი მიმდინარეობს: სკოლებში ლიტერატურას მინიმალური დრო ეთმობა ან სულაც ამოღებულია სასწავლო დისციპლინების ნუსხიდან, თითქოს ის მეორეხარისხოვანი მოვლენა იყოს.

ჩვენი ეპოქა ცოდნის ფრაგმენტაციის ეპოქაა, რომელიც წარმოიშვა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში განხორციელებული უდიდესი ნახტომის, ცალკეულ შენაკადებად და სპეციალობებად მათი დანაწევრებისა და კულტურის არსობრივი გარდაქმნის შედეგად, რაც მომავალში უფრო გაძლიერდება. რა თქმა უნდა, ფრაგმენტაცია უამრავი უპირატესობით გამოირჩევა. მაგალითად, მისი მეშვეობით შესაძლებელია უფრო გაბედული კვლევა და ექსპერიმენტირება, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ სწორედ ისაა პროგრესის ჭეშმარიტი მამოძრავებელი ძალა. მაგრამ მას ნეგატიური შედეგიც მოჰყვება- იმ კულტურული მსგავსებების გაქრობა, რომელთა წყალობით მამაკაცებსა და ქალებს შეეძლოთ თანაარსებობა, ერთმანეთთან ურთიერთობა და ერთგვარი სოლიდარულობის განცდაც. ფრაგმენტაციის შედეგად სოციალური იზოლაცია წარმოიშობა: საზოგადოება ნაწევრდება და ადამიანები იძულებულნი არიან, იცხოვრონ ტექნიკოსთა დახურულ დასახლებებში, ვიწრო პროფესიის სპეციალისტთა ინფორმაციულ გეტოებში, სადაც ენა და კულტურული კოდი წმინდა სექტორალური და ფრაგმენტული ხასიათისაა. აქ თაყვანს სცემენ დეტალებს, მიუხედავად სავალალო შედეგებისა, რომლებიც დიდი ხნის წინ აისახა ცნობილ ანდაზაში: "თუ ხეებს უყურებ, ტყეს ვერ დაინახავ". ტყის არსებობის გაცნობიერების უნარი ემყარება სულიერი ურთიერთთანაზიარების შეგრძნებას, რომელიც განამტკიცებს სოციალურ კავშირებს და ხელს უშლის საზოგადოების დაშლას სოლიფსიზმისადმი მიდრეკილ ჯგუფებად; სოლიფსიზმი კი - განურჩევლად იმისა, ერთ ადამიანს ახასიათებს თუ მთელ ხალხს - იწვევს პარანოიდულ შიშებსა და ბოდვით აზრებს, რომლებიც ამახინჯებენ რეალობას და ხშირად იწვევენ სიძულვილს, ომებსა და გენოციდს. ამასთან, მეცნიერება და ტექნიკა ჩვენს დროში უკვე აღარ წარმოადგენს ინტეგრაციის საშუალებას სწორედ თავისი ინფორმაციული სიმდიდრისა და სწრაფი განვითარების გამო, რამაც გამოიწვია ცოდნის დაშლა ფრაგმენტულ სფეროებად და ჰერმეტული ლექსიკის წარმოშობა.

ლიტერატურა, მეცნიერებისა და ტექნიკისგან განსხვავებით, იყო, არის და იქნება საერთო მნიშვნელი, რომლის წყალობით ადამიანები ეცნობიან ერომანთან და ამყარებენ დიალოგურ მიმართებებს ერომანეთთან, რაოდენ განსხვავებულიც უნდა იყოს მათი საქმიანობა და ცხოვრებისეული ზრახვები, არსებობის გეოგრაფიული ადგილი ან პირობები, და თვით მათი ჰორიზონტების განმასაზღვრელი დრო და ისტორიული მომენტები. ჩვენ, სერვანტესისა და შექსპირის, დანტეს და ტოლსტოის მკითხველთ, ერთმანეთისა გვესმის და ერთი და იმავე ჯიშის წარმომადგენლებად მივიჩნევთ თავს, ვინაიდან ამ ავტორების ქმნილებები გვასწავლიან იმას, რაც საერთოა ყველა ადამიანისთვის, იმას, რაც მუდმივად მყოფობს ჩვენში, უამრავი განმასხვავებელი ნიშან-თვისების მიუხედავად. და არაფერი უქმნის ადამიანს ისეთ ურყევ იმუნიტეტს სულელური ცრურწმენების, რასიზმის, ქსენოფობიის, ნაციონალიზმის, აგრეთვე - პოლიტიკური და რელიგიური სექტანტების პროვინციული ლაქლაქის წინააღმდეგ, როგორც მორალის ეს უჭკნობი "ოქროს კვეთა", რომელიც ყოველთვის შეიძლება განვაჭვრიტოთ დიადი ლიტერატურის პრიზმაში: სხვადასხვა წარმომავლობის მამაკაცთა და ქალთა არსობრივი თანაბრობა და მათი დისკრიმინაციის, დაქვემდებარებისა და ექსპლუატაციის ნებისმიერ მცდელობათა უსამართლობა. კარგ ლიტერატურაზე უკეთ არაფერი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ეთნიკურ და კულტურულ განსხვავებათა მაგალითზე შევიგრძნოთ მსოფლიო მემ-

კვიდრეობის სიმდიდრე, - და დავაფასოთ ლიტერატურა იმის გამო, თუ რაოდენ შთამბეჭდავად ააშკარავებს შემოქმედების მრავალფეროვნებას. რა თქმა უნდა, კარგი წიგნები გვართობს; მაგრამ, გარდა ამისა, უშუალოდ და ენერგიულად გვასწავლის იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელიც გამოგონილ ისტორიათა წყალობით ნამდვილად აღიქმება; ეს გამოცდილება გვეხმარება, გავიაზროთ, ვინ ვართ და როგორები ვართ - სააშკარაოზე გამოაქვს ჩვენი სისრულეც და ხარვეზებიც, ჩვენი ქმედებები, ოცნებები და მოლანდებები მარტოობისას და სხვებთან ურთიერთობის დროს, საზოგადოებაშიც და ცნობიერების იდუმალ სიღრმეებშიც, - იმ "წინააღმდეგობრივ ჭეშმარიტებათა მთელი ეს ურთულესი ნაზავი" (ისაია ბერლინის თქმით), რომელნიც ადამიანის არსს შეადგენს.

ეს გენერალიზებული ცოცხალი ცოდნა დღეს-დღეობით მხოლოდ რომანში გვხვდება. ლიტერატურის გარდა, არც ერთ ჰუმანიტარულ სფეროს - არც ფილოსოფიას, არც ფსიქოლოგიას, არც სოციოლოგიას, არც ისტორიას, არც ხელოვნებას - არ ძალუძს დაიცვას და შეინარჩუნოს ადამიანთა გამაერთიანებელი მსოფლგაგება და მრავალფეროვანი ენა, რომელიც გასაგებია ნებისმიერი ჩვენგანისთვის. ამ სფეროთაგან ვერც ერთმა ვერ გაუძლო ცოდნის დაშლა-დანაწევრების გამანადგურებელ ზეწოლას, ფრაგმენტაციის იერიშს, და მთლიანად მას დაექვემდებარნენ, განკერძოვდნენ, დანაწევრდნენ პაწაწინა სექტორებად, რომელთა ენა და იდეები ხელმისაწვდომი არაა ჩვეულებრივი მამაკაცებისა და ქალებისთვის. ლიტერატურას კი ყოველივე ეს არ ეხება და არც არასოდეს შეეხება (თუმცა ცალკეული კრიტიკოსები და თეორეტიკოსები ჯიუტად ცდილობენ მის გადაქცევას მეცნიერებად), ვინაიდან გამონაგონის დანიშნულება ის კი არაა, რომ შესაძლებელი გახდეს რაიმეს გამოკვლევა კონკრეტული სფეროს საზღვრებში, არამედ ის, რომ წარმოსახვის მეშვეობით გაამდიდროს ყველა ადამიანის ცხოვრება, - ცხოვრება, რომელსაც ვერ დაანაწევრებ, ვერ დააქუცმაცებ, ვერ ჩაატევ სქემასა ან ფორმულაში, თუ არ გაანადგურე. ამიტომაც ამბობდა მარსელ პრუსტი:"ჭეშმარიტი ცხოვრება, ბოლომდე მკაფიო და გაცხადებული, ესე იგი, ერთადერთი, რომლითაც შეიძლება იცხოვრო - ლიტერატურაა". ის არ აზვიადებდა ლიტერატურის მნიშვნელობას თავისი მოწოდებისადმი სიყვარულის ზეგავლენით, მოწოდებისა, რომელსაც უზადო ოსტატობით უძღვნა თავი. პრუსტს, უბრალოდ, სურდა ეთქვა, რომ ლიტერატურის წყალობით სინამდვილე უფრო გასაგები და უკეთესი ხდება - ხოლო ცხოვრების გაგება და გაუმჯობესება სხვა არაფერია, თუ არა მისი გაზიარება სხვებთან.

რომანი აახლოებს ადამიანებს, რადგან ავალდებულებს მათ, ესაუბრონ ერთმანეთს და ეზიარონ მსოფლიო მემკვიდრეობას; აგრძნობინებს საერთო წარმომავლობას, რადგან წიგნისთვის დროის საზღვრები გამქვირვალეა. ლიტერატურას წარსულში გადავყავართ და გვაერთიანებს იმათთან, ვინც ათწლეულებისა და ასწლეულების წინათაც კი ამ ტექსტების კითხვისას ტკბებოდა და ოცნებობდა, ტექსტებისა, რომლებიც ახლა ჩვენ ხელთაა და რომლებიც საშუალებას გვაძლევენ, ასევე დავტკბეთ და ვოიცხებოთ. კაცობრიობისადმი კუთვნილების (დროისა და სივრცის მიუხედავად) ეს გრძნობა - კულტურის უდიდესი მონაპოვარია და არაფერი უწყობს ხელს მის გაცოცხლებას ყოველ ახალ თაობაში ისე, როგორც ლიტერატურა.

ბორხესი ღიზიანდებოდა, როდესაც ეკითხებოდნენ: "რა საჭიროა ლიტერატურა?" ეს სულელურ შეკითხვად მიაჩნდა და ასე პასუხობდა:"არავის აინტერესებს, რა სარგებლობა მოაქვს კანარის ჩიტის გალობას ან განთიადისას ცაზე მიმოფანტული ღრუბლების ხილვას". მართლაც, თუ ეს მოვლენები, უბრალოდ, არსებობს, და მათი წყალობით ცხოვრება, თუნდაც მცირე ხნით, ნაკლებად უსახურად და სევდიანად წარმოგვიდგება, მავნებლობა ხომ არ იქნება, რომ მათ პრაქტიკული სარგებლიანობა მოვთხოვოთ? ამასთან, ჩიტის გალობისა და განთიადისგან განსხვავებით, ლექსები და რომანები უბრალოდ კი არ არსებობს, შემთხვევით ან ბუნებაში კი არ წარმოიშობა, არამედ ადამიანის ქმნილებებია და, ამიტომ, კანონზომიერად ჩნდება კითხვა, თუ როგორ და რატომ გაჩნდნენ ისინი, რა მისცეს ადამიანებს და ხელი შეუწყვეს თუ არა იმას, რომ ლიტერატურას, რომლის ღრმა ფესვები დიდი ხნის წინ დადაეხლართა, ზოგადად, დამწერლობის ისტორიას, ესოდენ დიდხანს ეარსება. ლექსები და რომანები იბადება, - თავდაპირველად როგორც მოლიცლიეკე აჩრდილები, - ადამიანის ცნობიერების იდუმალ კუნჭულებში, როგორც არაცნობიერის, შთაბეჭდილებებისა და ემოციათა ანარეკლი. სიტყვებთან უთანასწორო (ზოგჯერ) ჭიდილის დროს პოეტი, მთხრობელი მათ კონტურებს, სხეულებს, მოძრაობას, რიტმს, ჰარმონიასა და სიცოცხლეს ანიჭებს. წარმოსახვისა და მეტყველების მეშვეობით გაცოცხლებული ხელთქმნილი სინამდვილე ოდითგანვე რეალობის გვერდით არსებობდა, და მას მიმართავენ ხოლმე მამაკაცები და ქალები, - ზოგი ხშირად, ზოგი კი დროგამოშვებით, - როდესაც არ აკმაყოფილებთ ჩვეულებრივი ცხოვრება, როდესაც სმაყარონი ვერ პოულობენ იმას, რაც სურთ. რომანის არსებობა მისი დაწერის შემდეგ კი არ იწყება, ის ჭეშმარიტად იბადება მხოლოდ მაშინ, როდესაც მას სხვები აღიქვამენ და, მაშასადამე, როდესაც, კითხვის მეშვეობით, ტექსტი იქცევა საზოგადოებრივი ცხოვრების ნაწილად, ანუ - გამოცდილებად, რომელსაც ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ.

ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი უპირატესობა ენის დონეზე იჩენს თავს. ლიტერატურის გარეშე საზოგადოების თვითგაბმახტვა ნაკლები გარკვეულობით, აზრობრივი ნიუანსების ნაკლები მრავალფეროვნებით და ნაკლები მკაფიოებით ხორციელდება, ვიდრე მკითხველ სოციუმში, რომლის წარმომადგენლები ტექსტების მეშვეობით წლების განმავლობაში საგულდაგულოდ ავითარებენ და სრულყოფენ კომუნიკაციის ძირითად ინსტრუმენტს - სიტყვას. რომანების გარეშე საზოგადოე-

ბა, რომელიც ლიტერატურული ციებ-ცხელებით არაა დაავადებული, დაემსგავსება მუნჯუბისა და ენაბლუების თემს, რომელთათვისაც - ტლანქი რუდიმენტტური მეტყველების გამო - ურთიერთობა მტანჯველ პროცესს წარმოადგენს. ეს ცალკეულ ადამიანებსაც შეეხება. ადამიანმა, რომელიც არ კითხულობს, ცოტას კითხულობს, ან კითხულობს მხოლოდ მდარე ლიტერატურას, შეიძლება ბევრი ილაპარაკოს, მაგრამ ყოველთვის ცოტას იტყვის, რადგან მის განკარგულებაშია სიტყვების ოდენ უმნიშვნელო, თვითგამოხატვისთვის არასაკმარისი მარაგი. და ეს არა მარტო სიტყვიერი მარაგის უკმარისობაა; ესაა, იმავდროულად, წარმოსახვისა და გონის შეზღუდულობა, ინტელექტუალური სიღატაკე, ვინაიდან იდეები და ცნებები, რომლებიც გარემომცველი სამყაროსა და საკუთარი "მეს" აღქმაში გვეხმარება, არ არსებობს სიტყვების გარეშე, რომელთა მეშვეობითაც მათ ვცნობთ და ერთმანეთისგან განვასხვავებთ. ადამიანს შეუძლია ისწავლოს სწორად, ღრმად, დახვეწილად და ზუსტად ლაპარაკი მხოლოდ ლიტერატურის წყალობით - და მხოლოდ მისი წყალობით. ვერც ერთი სხვა სფერო და ვერც ერთი სხვა ხელოვნება ვერ შეეხაცვლება ლიტერატურას იმაში, რაც ურთიერთობის ენის ჩამოყალიბებას შეეხება.

მეცნიერულმა ნაშრომებმა და ტექნიკურმა სახელმძღვანელოებმა შეიძლება ფუნდამენტური ცოდნა მოგვანოდონ, მაგრამ მათი მეშვეობით ვერ დავეუფლებთ მეტყველებისა და აზრების მკაფიოდ გამოხატვის ხელოვნებას, - პირიქით, ხშირად ამგვარი ტექსტები ულაზათოდაა დაწერილი და ააქკარავებს ლინგვისტურ აბდაუბდას, მათი ავტორების გონებაში რომ სუფევს. ვინაიდან მათი უმრავლესობა (თუმცა, ზოგიერომმა მათგანმა ნამდვილად გამოიჩინა თავი პროფესიულ სფეროში) ლიტერატურული თვალსაზრისით, ხეპრეა, უწიგნური, და არ ძალუძს, სათანადოდ გამოიყენოს ენა თავისი იდეების გადმოსაცემად. მწყობრი მეტყველება, მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსიკა, ყოველი აზრისა ან გრძნობისთვის შესაბამისი სიტყვის მოძებნის უნარი ნიშნავს, უკეთ იაზროვნო, ასნავლო, ისნავლო, ურთიერთობა დაამყარო და, ასევე, იოცნებო. განიცადო და იგრძნო. სიტყვები ქვეშეცნეულად მონაწილეობს ყველა ცხოვრებისეულ ქმედებაში - იქაც კი, სადაც მეტყველება თითქოს სრულიადაც ზედმეტია. როდესაც ამ ქმედებათა ევოლუცია - ლიტერატურის წყალობით - აღწევდა უმაღლეს საფეხურებს, სადაც არსებითია დახვეწილობისა და ნიუანსების ცნებები, ფართოოვდებოდა ადამიანისთვის ხელმისაწვდომი ტკბობის საზღვრებიც. რაც შეეხება სიყვარულს, ლიტერატურამ ჩვენი სურვილების ტრანსფორმირების საშუალება მოგვცა და სქესობრივი აქტი შემოქმედებით აქტების რანგში აიყვანა. ლიტერატურის გარეშე არ იარსებებდა ეროტიკა. სიყვარული და სიამოვნება ძალზე უფერულნი იქნებოდნენ, განიძარცვებოდნენ ყოველგვარი სიფაქიზისა და დახვეწილობისგან, ვერ მიაღწევდნენ იმ სიმძაფრეს, რომლებითაც ტკბებიან ისინი, ვისი აღქმაც დაიხვეწა ლიტერატურული ფანტაზიების წყალობით. გაზვიადება არ იქნება, თუ ვიტყვი: მიჯნურები, რომლებიც კითხულობენ გარსილასოს, პეტრარკას, გონგორას და ბოდლერს, უფრო მძაფრად განიცდიან და ტკბებიან, ვიდრე - "საპნის ოპერების" ყურებით გამოყეყეჩებული უმეცრები. ლიტერატურის გარეშე სიყვარული და ტკბობა სამყაროში დაეცემა იმ დონემდე, რომელსაც განიცდიან ცხოველები თავიანთი ეროტიკული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისას. ისინი ელემენტარული ინსტინქტების - სექსისა და გაძღომის - ტლანქ გრძნობებს დაემსგავსება.

მასობრივი ინფორმაციის აუდიოვიზუალური საშუალებები ვერ ჩაენაცვლება ლიტერატურას ამ სფეროში: ისინი ვერ ასწავლიან ადამიანს, ძალდაუტანებლად და ოსტატურად გამოიყენოს სიტყვის უმდიდრესი შესაძლებლობები. პირიქით, ტელევიზია და კინო (რაც სავსებით ბუნებრივია) მიისწრაფვიან, უკანა პლანზე გადასწინონ სიტყვა ვიზუალური სახეების - თვითგამოხატვის ამ პირველყოფილი ენის - სასარგებლოდ და აიძულებენ, მიიღოს ზეპირმეტყველებითი ფორმა, ეს კი ყველაზე ნაკლებია, რაც კი შეიძლება მოვთხოვოთ სიტყვას ვიზუალურ რიგში, და ყველაზე უფრო შორსაა ქაღალდზე დაფიქსირებული ლიტერატურული წყაროსგან. ამიტომ მაყურებლები "ლიტერატურული" კინოლენტის ან პროგრამის ყურებისას ყოველთვის ამთქნარებენ, განურჩევლად იმისა, თუ რა ზომის ეკრანის წინ სხედან - და ამით ზრდილობიანად მივანიშნებენ, რომ სანახაობა მოსაწყენია. ამიტომაა, აგრეთვე, რომ ლიტერატურული რადიო ან ტელეგადაცემები ნაკლებპაპულარულია; რამდენადაც ვიცი, ამ წესიდან ერთადერთი გამონაკლისი გახლდათ ფრანგი ტელეწამყვანის, ბერნარ პივოს "აპოსტროფები". ეს მაიძულებს ვიფიქრო (თუმცა ბოლომდე დარწმუნებული არა ვარ), რომ მხოლოდ ლიტერატურა როდი ასრულებს საკვანძო როლს ერთიანი ცოდნის ჩამოყალიბებასა და მეტყველების ბატონობის დამყარებაში. მთავარია წიგნი, რომელთანაც განუყრელადაა შეუღლებული რომანების ბედი, - წიგნი, რომელიც საფაბრიკო (მავანთა აზრით, უკვე მორალურად მოძველებული) ნაწარმია.

ამ მავანთა შორისაა ღირსეული პიროვნება, რომელმაც უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა კომუნიკაციათა სფეროში - Microsoft-ის კომპანიის დამფუძნებელი, ბილ გეიტსი. ორიოდ თვის წინ ბატონი გეიტსი მადრიდში ჩამოვიდა და ეწვია ესპანური ენის სამეფო აკადემიას, რომელთანაც Microsoft-მა ახლახან საფუძველი ჩაუყარა ნაყოფიერ (ვიმედოვნებ) თანამშრომლობას. თავისი ვიზიტის დროს ბილ გეიტსმა დაარწმუნა აკადემიკოსები, რომ პირადად იზრუნებდა ბგერა « »-ის ბედზე. მისი თქმით, არავინ ამოიღებს შესაბამის ასონიშანს საკომპიუტერო კლავიატურებიდან, - და ამ დაპირების შედეგად შვებით ამოისუნთქა ხუთსავე კონტინენტზე მცხოვრებმა ოთხასმა მილიონმა ესპანურენოვანმა ადამიანმა, რომელთაც ვანდალური დამოკიდებულება ამ მნიშვნელოვან ბგერასთან

მართლაც რომ ბაბილონურ პრობლემებს წარმოუქმნიდა. და აი, ესპანური ენის მიმართ ამგვარი თავაზიანი დამოკიდებულების გამოვლენის შემდეგ - და, როგორც ჩემთვის ცნობილია, ჯერ კიდევ სამეფო აკადემიაში ყოფნის დროს, - ბილ გეიტსმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სიკვდილამდე აისრულებდა თავის ყველაზე სანუკვარ სურვილს. იცით, რა სურვილს? მოესპო ქაღალდი და, მაშასადამე, წიგნებიც - ანუ ის საქონელი, რომელიც, მისი აზრით, ამჟამად მობეზრებულ ინაქრონიზმად აღიქმება. ბატონმა გეიტსმა აუხსნა შეკრებილთა, რომ კომპიუტერის ეკრანებს ძალუძთ წარმატებით ჩაენაცვლონ ქაღალდს ყველა სფეროში, სადაც ის აქამდე აუცილებელი იყო, და რომ ვირტუალური "ახალი ამბები" და ვირტუალური ლიტერატურა არა მარტო ნაკლებ ადგილს იკავებს და არაფრით ამძიმებს თავის მკითხველებს, არამედ - ეკოლოგიური უპირატესობითაც გამოირჩევა, რადგან ხელს შეუწყობს ტყეების გაჩეხვის აღკვეთას - უბედურებას, რომელიც, როგორც ჩანს, მთლიანად ქაღალდის მრეწველობის სინდისზეა. პლანეტის მოსახლეობა კვლავაც გააგრძელებს კითხვას, განაცხადა მან, რა თქმა უნდა, გააგრძელებს, მაგრამ - კომპიუტერების ეკრანების მეშვეობით, დედამიწაზე კი ამ დროისათვის მეტი რაოდენობის ქლოროფილი იქნება.

ამ პრესკონფერენციას არ დავსწრებივარ და ყველაფერი გაზეთებიდან შევიტყვე. იქ რომ ვყოფილიყავი, ბატონ ბილ გეიტსს დავუსტვენდი, რადგან თავხედობა ეყო, საჯაროდ განეცხადებინა: სურს, უმუშევრად დაგვტოვოს მეც და ჩემი მრავალი კოლეგაც - მწერლები. შეიძლება თუ არა, რომ ეკრანი მთლიანად ჩაენაცვლოს წიგნს, როგორც Microsoft-ის დამფუძნებელი ამტკიცებს? დარწმუნებული არა ვარ. არა იმიტომ, რომ უარვყოფ გრანდიოზულ რევოლუციურ ნაბიჯს, რომელიც კომუნიკაციათა სფეროში გადაიდგა ახალი ტექნოლოგიების - მაგალითად, ინტერნეტის - მეშვეობით (ის ყოველდღიურად ფასდაუდებელ დახმარებას მიწევს მუშაობაში), არამედ იმის მტკიცების გამო, რომ ეკრანი ქაღალდის ტოლფასია. როდესაც საუბარია ლიტერატურის შესახებ, არსებობს ზღვარი, რომელსაც ვერ გადავაბიჯებ. უბრალოდ, ვერ შევურიგდები აზრს, რომ პრაგმატულ ღირებულებასა და ფუნქციურ სარგებლიანობას მოკლებულ ტექსტს - ისეთს, რომელიც არ უკავშირდება ინფორმაციის ძიებასა და დაუყოვნებელ საუბრებს - შეიძლება თავისი ადგილი მიეჩინოს ვირტუალურ სივრცეში; რომ ამ სივრცეში შეიძლება ჩაფიქრდე, სულიერად განმარტოვდე, ისევე დატკბე და ისეთივე კმაყოფილება განიცადო, როგორც - წიგნის კითხვისას.

შესაძლოა ეს ჩემი პირადი ნაკლია - პრაქტიკის ნაკლებობისა და, უმეტესწილად, ქაღალდზე და-



ბეჭდილი ტექსტების კითხვის შედეგი, მაგრამ (თუმცა დიდი სიამოვნებით ვმოგზაურობ ინტერნეტში ახალი ამბების ძიებისას) აზრადაც არ მომსვლია ამ ქსელის გამოყენება გონგორას ლექსების, ონეტის ან კალვინოს რომანების, ან კიდევ - ოქტავიო პასის ესეების წასაკითხად. რადგან მშვენივრად ვიცი, რომ ამგვარი კითხვის ეფექტი არასოდეს იქნება ისეთი, როგორსაც მიჩვეული ვარ. იმის წარმოდგენაც კი არ ძალმიძს, რაოდენ საზარელი და, შესაძლოა, მომაკვდინებელიც კი შეიძლება იყოს ლიტერატურისთვის წიგნების გაუქმება. რა თქმა უნდა, თვით სიტყვა "ლიტერატურა" შენარჩუნდება; მაგრამ, ალბათ, ამ სიტყვის აღსანიშნი იმდენადვე განსხვავებული იქნება დღევანდელი ლიტერატურული ტექსტებისგან, რამდენადაც მაღალი საზოგადოების ჭორებითა და "დიდი ძმის" შესახებ ყბედობით გართული ტელეგადაცემები განსხვავდება სოფოკლესა და შექსპირის ტრაგედიებისგან.

კაცობრიობის ცხოვრებაში რომანს საკვანძო ადგილი იმის გამოც უნდა მივაკუთვნოთ, რომ მის გარეშე კრიტიკულ მიდგომას სინამდვილისადმი - ისტორიული ცვლილებების მამოძრავებელ ძალას და თავისუფლების საუკეთესო მეგობარს, - გამოუსორებელი ზარალი მიადგება. მართლაც, კარგ წიგნში ყოველთვის დასმულია რადიკალური კითხვები სამყაროსა და ცხოვრების თაობაზე. ნებისმიერ დიად გამოგონილ ტექსტში (ხშირად - ავტორის ძალისხმევის გარეშე) აუცილებლად იგრძნობა მეამბოხური სულისკვეთება.

ლიტერატურა არაფრისმთქმელია თავიანთი ბედით კმაყოფილი ადამიანებისთვის. ის მეამბოხეთა სულიერი საკვებია, იმათი თავშესაფარია, ვისაც ბედი ზედმეტად, ან სულაც არ სწყალობს. ლიტერატურა ტაძარია, რომელშიც არავინ გრძნობს თავს უბედურ ან არასრულფასოვან ადამიანად. მოგზაურობა უკაცრიელ ლა-მანჩაში გაძვალტყავებულ როსინანტთან და მის უგუნურ მხედართან ერთად, ზღვების დასერვა კაპიტან აქაბთან ერთად თეთრი ვეშაპის დევნისას, დარიშხანით თავის მოწამლვა ემა ბოვარისთან ერთად ან მწერად ქცევა გრეგორ ზამზასთან ერთად - ყოველივე ეს ჩვენ მიერვე გამოგონილი მარჯვე ფანდია, რათა დავინწყოთ ცხოვრების სიავეცა და შეზღუდვებიც, რომლებიც გვაიძულებს, დღემუდამ ერთი და იგივე ადამიანები ვიყოთ, მაშინ, როდესაც მრავალ განსხვავებული პიროვნებად ყოფნას ვესწრაფვით ჩვენი სურვილებისა და ლტოლვების დასაკმაყოფილებლად.

რომანი მხოლოდ ცოტა ხნით გვაგრძნობინებს ამგვარ შვებას, მაგრამ კითხვის ჯადოსნურ მომენტებში, ცხოვრებისგან დროებითი განდგომის დროს, რის საშუალებასაც ლიტერატურული ილუზიები გვაძლევენ, - მათ კი ისტორიიდან გაეყვანართ, რათა თავი ზედროული ქვეყნის მოქალაქეებად ვიგრძნოთ და ამ გზით, უკედავებას გვაზიარებენ - სხვა ადამიანებად ვიქცევით; უფრო ძლიერ, მდიდარ, საინტერესო, ბედნიერ, გონიერ ადამიანებად, ვიდრე ვართ ყოველდღიურობის უმძიმეს ტყვეობაში, რეალურ ცხოვრებაში. ვხურავთ წიგნს, ზმანებები იფანტება, ვუბრუნდებით რეალობას და ვადარებთ ყოფით ცხოვრებას იმ საოცნებო მხარეებს, რომლებიც ეს-ესაა დავტოვეთ. როგორი იმედგაცრუება გველის! შემზარავი აღმოჩენაა - ცხოვრება, რომელიც გვეზმანა რომანის კითხვისას, უკეთესია: უფრო ლამაზი, მრავალფეროვანი, მწყობრი და სრული, ვიდრე მოსაწყენი და შეზღუდული (ჩვენივე ცნობიერების ზეგავლენით) რეალური ცხოვრება. ამ გაგებით, კარგი ლიტერატურა, ჭეშმარიტი ლიტერატურა -თუმცა ავტორები ამისკენ არ მიისწრაფვიან და ამის შესახებ არ გვაფრთხილებენ- ყოველთვის რეალობის წინააღმდეგ მიმართული გამოწვევაა: მეამბოხური, შემართებული, მშფოთვარე. ლიტერატურა საშუალებას გვაძლევს, ვიცხოვროთ სამყაროში, რომლის კანონები ეჭვევეშ აყენების რეალური ცხოვრების ურყევ, სივრცისა და დროის დამღუპველი ზეობით განპირობებულ წესებს, რომლებიც დაუსჯელად წარმომზენენ უსაზღვრო ძლევამოსილებით აღჭურვილ უამრავ მეუფეს. როგორ არ უნდა იგრძნო იმედგაცრუება მას შემდეგ, რაც ნაიკითხე "ომი და მშვიდობა" ან "დაკარგული დროის ძიებაში", შემდეგ კი დაუბრუნდი უმნიშვნელო წვრილმანებისა და შემზღუდველი აკრძალვების სამყაროს, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე ფრთებს უკვეცენ ჩვენს ოცნებებს? ალბათ, სწორედ ესაა ლიტერატურის მიერ კაცობრიობის განვითარებაში შეტანილი ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი, უფრო არსებითი, ვიდრე - კულტურული მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფა და ენის გამდიდრება: შეხსენება იმისა (როგორც წესი, უცაბედად), რომ ეს სამყარო არაჯეროვნადაა შექმნილი, რომ მასში ცრუობენ ბედნიერნი და ძლიერნი, თუმცა საპირისპიროს გვპირდებიან (მაგალითად, ხელისუფლების წარმომადგენელნი), და რომ შეიძლება ამ სამყაროს გაუმჯობესება, იმგვარად, რომ დაემსგავსოს ჩვენი წარმოსახვითა და მეტყველებით წარმოშობილ ხატებს.

დემოკრატიულ საზოგადოებას სჭირდება პრინციპული და კრიტიკულად განწყობილი მოქალაქეები, რომლებიც კრიტიკულად გაიაზრებენ რეალურ სამყაროს და ეცდებიან მის მიახლოებას იდეალთან - თუმცა ეს აუხდენელი მიზანია. და მაინც, სწორედ მიუღწეველ ოცნებასთან მიახლოების - რეალურისა და სასურველის შეუღლების - მცდელობათა წყალობით წარმოიშვა და განვითარდა ცივილიზაცია, ხოლო ადამიანმა შეძლო, დაემარცხებინა ლეგიონი დემონებისა (თუმცა, ყველა არა), უწინ მასზე რომ ბატონობდნენ. რეალობით უკმაყოფილებისთვის არ არსებობს კარგ წიგნზე უკეთესი დვრიტა. დამოუკიდებელ, საღად მოაზროვნე, სულიერად მობილიზებულ და ცოცხალი წარმოსახვით დაჯილდოებულ მოქალაქეთა აღსაზრდელად არ არსებობს უკეთესი საშუალება, ვიდრე კარგი რომანების კითხვა.

როდესაც ლიტერატურას მეამბოხურ სულისკვეთებას მივანერთ, იმის გამო, რომ მშვენიერი ფანტაზიების ზეგავლენით ადამიანები უფრო მძაფრად შეიგრძნობენ რეალობის არასრულყოფილებას, ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს (როგორც ფიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობენ ცენზურისადმი მიდრეკილი და წიგნების ქმედითი ძალის შესუსტების მსურველი ეკლესია და ხელისუფლება), რომ მხატვრულ ტექსტებს შეუძლიათ მყისიერად გამოინვიონ სოციალური ძვრები და დააჩქარონ რევოლუციები. ამგვარი საკითხების შესახებ საუბრისას სუბიექტურობის მოლიპულ ნიადაგზე გადავდივართ, სადაც სიფრთხილეა საჭირო. პოემის, დრამის ან რომანის სოციალური ან პოლიტიკური ეფექტის დადგენა შეუძლებელია, რადგან ის წმინდა ინდივიდუალური ხასიათისაა და თითქმის არასოდეს არ ვლინდება კოლექტიურად, ეს კი ნიშნავს, რომ სხვადასხვა ადამიანისთვის ის სრულიად სხვადასხვაგვარი იქნება. ამიტომ აქ ძალზე რთული, და, შეიძლება ითქვას, შეუძლებელიცაა რაიმენაირი შაბლონების გამოყენება. მეორე მხრივ, ხშირად ხდება, რომ კითხვის ამგვარი შედეგები თვალსაჩინოა კოლექტიურ გარემოში, მაგრამ თითქმის არაფერი აქვთ საერთო მათი გამომწვევი ტექსტის ესთეტიკურ თვისებებთან: მაგალითად, აშშ-ის მოქალაქეთა მიერ მონობის შემზარავი ფენომენის გაცნობიერების პროცესში, როგორც ჩანს, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ჰარიეტ ბიჩერ-სტოუს მდარე რომანმა "ბიძია ტომის ქოხი". ამგვარი შედეგები ძნელად შესამჩნევია, მაგრამ ისინი ნამდვილად არსებობენ, უბრალოდ, ნაირგვარად და არაუშუალოდ იჩენს თავს იმ მოქალაქეთა ქმედებებში, რომელთა პიროვნული ჩამოყალიბებაც რომანების ზეგავლენით მოხდა.

კარგი წიგნები თითქოს დროებით ახშობენ, მაგრამ, ფაქტობრივად, ამძაფრებენ უკმაყოფილების გრძნობას და ავითარებენ კრიტიკულსა და ნონკონფორმისტულ დამოკიდებულებას ცხოვრების მიმართ. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ლიტერატურა უიღბლობისა და მარცხისთვისაც კი ამზადებს ადამიანებს. ის, ვინც გამუდმებით უკმაყოფილოა ცხოვრებით და ებრძვის მას, ბუზს სპილოდ ნარმოიდგენს, თუმცა მშვენივრად იცის: მის წინაშე მარტოოდენ ბუზია. ასეთი ადამიანები, გარკვეულწილად, განწირულნი არიან ამაო ბრძოლებისთვის, ისევე, როგორც პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია "მარტოობის ას წელიწადში", რომელმაც მშვენივრად იცოდა, რომ ყველა ბრძოლაში დამარცხდებოდა. როგორც ჩანს, სხვა გამოსავალი არ არსებობს; მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ უფერული და ამაზრზენი გარემომცველი სამყაროთი აღშფოთებისა და უკმაყოფილების გარეშე ჩვენ, ადამიანები, ჯერ კიდევ ჴრიმიტიულ სახელმწიფოებში ვიცხოვრებდით: ისტორია ჩაიხერგებოდა, ინდივიდი არ დაიბადებოდა, არც მეცნიერება და არც ტექნიკა არ განვითარდებოდა, არავინ აღიარებდა ადამიანის უფლებებს, არავითარი თავისუფლება არ იარსებებდა სამყაროში, - ყოველივე ეს ცხოვრებისადმი (რომლის უკმარისობა და ბიწიერება აღიარებული იქნა) დაუმორჩილებლობის მრავალრიცხოვანი აქტების შედეგად მოხდა. ამ სულისკვეთებისთვის, რომლისთვისაც მიუღებელია არსებული რეალობა და ალოსსო კიხანოს (რომელიც, თუ გახსოვთ, სწორედ წიგნების კითხვის შედეგად შეიშალა) სიჯიუტით მიისწრაფვის, ხორცი შეასხას თავის ოცნებას, შეასრულოს შეუძლებელი, ლიტერატურა ფენომენალურ საწვავად იქცა.

ვცადოთ სამყაროს წარმოსახული ისტორიის რეკონსტრუირება და წარმოვიდგინოთ ცხოვრება ლიტერატურის გარეშე - კაცობრობა, რომელიც არ კითხულობს რომანებს. უწიგნურ ცივილიზაციას, მისი მინიმალური სიტყვიერი მარაგითა და იმგვარი მეტყველებით, რომელშიც სიტყვებზე უფრო ხშირად ღრენა და მაიმუნისებრი მანჭვა-გრეხა გამოიყენება, არ ექნება ლიტერატურული ნაწარმოებების წყალობით დამკვიდრებული მრავალი სიტყვა: "დონკიხოტობა", "კაფკიანური", "როკამბოლი", "ორუელისეული", "სადისტი", "მაზოხისტი" და ათეულობით სხვა. ამ სამყაროში, ეჭვსგარეშეა, მაინც იქნებიან შეშლილები, პარანოიდალური შიშებისა და დევნის მანიის მსხვერპლნი, ბორკმოქმედებებისადმი მიდრეკილი ხალხები და ორფეხა არსებები, რომელთაც სიამოვნებას ანიჭებთ ტკივილის განცდა ან სხვებისთვის ტკივილის მიყენება, მაგრამ ამ შემთხვევაში შეუსაბამო ქცევის მიღმა (რომელიც ეგრეთ წოდებულ ნორმას ეწინააღმდეგება) ვერ განვჭვრეტთ ადამიანის, პიროვნების საკვანძო ნიშან-თვისებებს, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, "ჩვენ"-ს- იმას, რისი დანახვის უნარიც ჰქონდათ მხოლოდ სერვანტესს, კაფკას, რაბლეს, დე სადსა ან ზახერ-მაზოხს. "დონ კიხოტის" გამოქვეყნებისას რომანის პირველი მკითხველები ქირდავდნენ მის ექსტრავაგანტურ მეოცნებე გმირს, ზუსტად ისევე, როგორც - რომანის პერსონაჟები. ახლა ჩვენ ვიცით, რომ მწუხარე სახის რაინდის სწრაფვა, დაენახა გოლიათები იქ, სადაც სინამდვილეში მხოლოდ წისქვილები იყო, და სურვილი, ჩაედინა მთელი ეს უგუნური ქმედებები, - სხვა არაფერია, თუ არა გულუხვობის უზენაესი ფორმა, პროტესტი სამყაროს არასრულყოფილების წინააღმდეგ და მისი შეცვლის მცდელობა. უცილობელ ფასეულობებად არ იქცეოდა თვით იდეალისა და იდეალიზმის (დადებითი მორალური ვალენტობით გამსჭვალული) ცნებები - სერვანტესისეული დამაჯერებლობითა და ძალით რომ არ ხორცშესხმულიყო რომანის პერსონაჟში. იგივე შეიძლება ითქვას კაბინან პატარა პრაგმატულ დონ კიხოტზე - ემა ბოვარიზე (ტერმინი "ბოვარიზმიც" არ იარსებებდა მის გარეშე), - რომელიც მგზნებარედ იბრძოდა უფლებისთვის, ეცხოვრა რომანებში აღწერილი, ფუფუნებითა და ვნებებით აღსავსე ცხოვრებით და რომელიც ისე დაიწვა ამ სურვილების ალში, როგორც სანთლის შუქით მიზიდული ფარვანა.

სერვანტესის ან ფლობერის ქმნილებათა მსგავსად, ყველა დიდი ლიტერატურული შემოქმედის ნაწარმოებები რეალობის ბრჭყალებიდან გვათავისუფლებენ და ფანტაზიათა სამყაროში გადაგვყავართ, მაგრამ გვაჩვენებენ, აგრეთვე, ჩვენს უცნობსა და იდუმალ თვისებებს, საშუალებას გვაძლევენ, უკეთ გამოვიკვლიოთ და გავიაზროთ ადამიანის ფარული არსი. სიტყვა "ბორხესისეული" წამიერად გვაშორებს რაციონალიზმის ბორკილებს

და ჩვენს შინაგან თვალთახედვას წარმოუდგენს ფანტასტიკურ, მწყობრსა და ელეგანტურ აზრობრივ კონსტრუქციას. ამ ლიტერატურული ციტატებითა და აღლუზიებით გაჯერებული ერთგვარი ლაბირინთის უჩვეულობა სულაც არ გვაცბუნებს, რადგან მასში ვცნობთ ჩვენს იდუმალ მიდრეკილებებსა და ფარულ ჭეშმარიტებებს, მხოლოდ ხორხელური ბორხესის ნაწარმოებებში რომ აღიჭურვნენ ფორმით. ზედსართავს "კაფკიანური" ჩვენი გონება ძალდაუტანებლად აღიქვამს, როგორც ფოტოაპარატის შუქის კაშკაშა ათინათს ერთ-ერთ ძველებურ ფოტოსურათზე, სადაც კამერას აკორდეონიანი კაცი აღუბეჭდავს; ვგრძნობთ საშიშროებას, ვიცით, რომ უმნეონი ვართ დამთრგუნველი, გამანადგურებელი მექანიზმების - ავტორიტარული რეჟიმების, ძალაუფლების ვერტიკალების, ულმობელი საეკლესიო თემების, სულისშემხუთველი ბიუროკრატიის წინაშე, რომლებმაც უახლეს ისტორიაში ადამიანებს ამდენი ტკივილი მოუტანეს. ამ მრავალტანჯული პრაღელი ებრაელის (რომელიც გერმანულ ენაზე წერდა და მუდმივ დაძაბულობაში ცხოვრობდა) მოთხრობებისა და რომანების გარეშე მკაფიოდ ვერ წარმოვიდგენდით, როგორი უმნეობისა და უძლურების გრძნობას განიცდის საზოგადოებისგან იზოლირებული ადამიანი ან დისკრიმინებული და დევნილი უმცირესობის წარმომადგენელი ყოვლისშემძლე ძალაუფლების წინაშე, რომელსაც ხელეწიფება, გაანადგუროს ის, აღგავოს პირისაგან მიწისა, ისე, რომ ჯალათებმა თავიანთი სახეებიც კი არ გამოაჩინონ.

ზედსართავი "ორუელისეული", რომელიც "კაფკიანურს" ენათესავება, XX საუკუნის დიქტატორული რეჟიმების ზეგავლენით წარმოშობილ მძიმე კაეშანსა და უკიდურესი აბსურდულობის შეგრძნებებზე მიგვანიშნებს, - ეს რეჟიმები დახვეწილი ხერხებით და ულმობლად აკონტროლებდნენ საზოგადოების წევრთა ქცევებს, ხასიათსა და ოცნებებსაც კი. თავის ყველაზე ცნობილ რომანებში "ცხოველთა ფერმა" და "1984" ჯორჯ ორუელმა შემზარავი, პირქუში საღებავებით აღწერა "დიდი ძმის" - ყოვლისშემძლე მბრძანებლის ნებისადმი დამორჩილებული კაცობრობა. დიდმა ძმამ ტერორისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტური კომბინაციის მეშვეობით გაანადგურა თავისუფლება, უშუალობა და თანასწორუფლებიანობა - თუმცა, ამ სამყაროში ზოგიერთი "სხვებზე უფრო თანასწორუფლებიანი" იყო, - და გადააქცია საზოგადოება ადამიანისმაგარი მანქანებით (რომლებიც რობოტებზე უარესად რიდი იყვნენ დაპროგრამებული) გავსებულ სკად. მოქალაქეთა არა მარტო ქცევა, არამედ ენაც განსაზღვრულია ხელისუფალთა მიერ: გაჩნდა ყოველგვარი ინდივიდუალობისა და სუბიექტური ნიუანსებისგან განწმენდილი, ბანალური, კლიშირებული გამოთქმების სისტემად ქცეული "ნიუსპიკი", - და ეს ნაბიჯი აუცილებელი იყო ინდივიდის მონური მდგომარეობის ლეგალიზებისთვის. მაგრამ განა შეიძლება, "ინდივიდები" უწოდო არსებებს, რომელთაც საკუთარი ცხოვრება არა აქვთ, ამ ფარას, რომელსაც დაბადებიდან სიკვდილამდე მართავს ორუელისეული კოშმარი? "1984"-ის აბდგილით ნინას წარმეტყველება არ ახდა: კომუნისტურმა რეჟიმმა დათმო თავისი პოზიციები სსრკ-ის ტერიტორიაზე, ისევე, როგორც ოდესღაც ჩაკვდა ფაშიზმი ევროპაში; დაინყო რეჟიმის რღვევის პროცესი ჩინეთში, კუბაზე და ჩრდილოეთ კორეაში - ამ ანაქრონიულ ქვეყნებში, მაგრამ სიტყვა "ორუელისეული" კვლავ ცოცხლობს და აქტუალობას ინარჩუნებს. ეს ხომ შეხსენებაა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამანადგურებელი პოლიტიკურ-სოციალური განსაცდელის შესახებ, რომლის ფარული მექანიზმები გამოაჟაკრავა ჯორჯ ორუელის რომანებმა და ესეებმა.

როგორ ხდება, რომ ლიტერატურული გამონაგონი და სიცრუე იდუმალი ცხოვრებისეული ძალების შემეცნების საშუალებად იქცევა? ისინი ხომ ყოველთვის არ გვანიჭებს სიამოვნებას - რომანებისა და პოემების სარკეში ზოგჯერ ურჩხულებად გამოვიყურებით. ასე ხდება, როდესაც ვკითხულობთ საზარელი სექსუალური სასაკლაოების შესახებ, რომლებიც აღწერა ღვთაებრივმა მარკიზმა; ტანჯვისა და მსხვერპლთა შესახებ, რომელთა შესახებაც საუბარია ზახერ-მაზოხის ან ბატაის წიგნებში; ზოგჯერ მსგავსი სცენები ძალზე უსიამოვნო და შემზარავიც კია; და მაინც, ყველაზე უარესი მათში არც სისხლია, არც შეურაცხყოფა, არც საშინელი ნამება და გარყვნილება; ყველაზე უარესია შეგნება იმისა, რომ ამგვარი სისასტიკე და თავაწყვეტილობა ჩვენთვის უცხო არაა და ჩვეული რამაა კაცობრიობისთვის; რომ ჩვენი სულის ყველაზე იდუმალ ნაწილში მიმალული მონსტრები ელოდებიან, როდის შეძლებენ მზის სინათლეზე გამოსვლას, ჩვენს სურვილებსა და თავისუფლებაზე გაბატონებას, გონის, საზოგადოებრივი ცხოვრების წესებისა და თვით პიროვნების განადგურებას. არა მეცნიერებამ, არამედ ლიტერატურამ დაიწყო პირველად ადამიანის სულის სიღრმეთა კვლევა და გამოავლინა მისი ლტოლვა განადგურებისა და თვითგანადგურებისკენ. ასე რომ, სამყარო ლიტერატურის გარეშე ნაწილობრივ ბრმა იქნებოდა და ვერ შეძლებდა იმ შიშისმომგვრელი სიღრმეების გაშუქებას, სადაც უნდა ვეძიოთ ცალკეულ ადამიანთა უწესეულო ქცევის მიზეზები. იმავდროულად, ეს სამყარო ძალზე უსამართლო აღმოჩნდება იმათ მიმართ, ვინც სხვებისგან განსხვავდება, - არცთუ შორეულ წარსულში კაცობრიობა ხომ დარწმუნებული იყო, რომ ცაცები, კეთროვნები და ენაბლუები დემონთა მიერ შეპყრობილნი გახლავან. უწიგნური ცივილიზაცია გააგრძელებს ამ ბრწყინვალე ტრადიციას, როგორც აგრძელებდა მას უკანასკნელ ხანებამდე ზოგიერთი ამაზონელი ტომი, სადაც, შემზარავი პერფექციონიზმის ზეგავლენით, ფიზიკური ნაკლის მქონე ჩვილებს მდინარეებში ახრჩობდნენ.

*

არაცივილიზებულსა და ბარბაროსულ, უგრძნობელსა და უწიგნურ (ყველაფერში, რაც მეტყველებას შეეხება), უმეცარსა და ფუერულ, ენებათუქონელ, კოშმარულ სამყაროს, რომლის აღწერასაც

ვცდილობ, ექნება ერთი მთავარი თვისება: ყოველისმომცველი მიდრეკილება შემგუებლობისადმი, ადამიანთა მონური დამოკიდებულება საყოველთაოდ აღიარებული მსოფლნესრიგის მიმართ. გარკვეული გაგებით, ეს სამყარო ცხოველებით იქნება დასახლებული. საზოგადოებრივი ინსტიტუტების ძალისხმევით მასში გამეფდება დრომოქმული ყოფითი წესრიგი, მუდმივი ბრძოლა თვითგადარჩენისთვის, შიში უცნობის, იდუმალის წინაშე და ფიზიკური საჭიროებების დაკმაყოფილების აუცილებლობა. არ მოიძებნება ადგილი სულიერი მოთხოვნილებებისთვის. ამგვარი არსებობის სულისშემხუთველ ერთფეროვნებას დაამძიმებს პესიმიზმის ავბედითი აჩრდილი და რწმენა, რომ ადამიანის ცხოვრება ისეთია, როგორიც უნდა იყოს, სამარადისოდ ასეთი დარჩება და არ არსებობს ძალა, რომელიც მას შეცვლის.

როდესაც ამგვარ სამყაროს წარმოვიდგენთ, ჩვეულებრივ, მაშინვე გაგვახსენდება თანამედროვეობის განაპირას მცხოვრები პრიმიტიული ველური ტომები სამხრეთ ამერიკაში, აფრიკასა და ოკეანიაში. მაგრამ სიმართლე ისაა, რომ აუდიოვიზუალური კომუნიკაციების (რომელთაც ნამდვილი რევოლუცია მოახდინეს ურთიერთობათა სფეროში) განვითარებამ პლანეტის ყველა ქალი და მამაკაცი არა მარტო მსოფლიოში მიმდინარე მოვლენათა მონმეებად აქცია, არამედ განახორციელა მონოპოლიზაციაც (და განაგრძობს ამას, სულ უფრო სწრაფი ტემპით) იმ დროისა, რომელსაც გართობას ეუთმობთ და ლიტერატურას ვართმევთ. ამგვარად, ჩვენი მომავალი შეიძლება იყოს საზოგადოება, რომელშიც უხვად იქნება კომპიუტერის პლატები, ეკრანები და დინამიკები, მაგრამ არ იქნება ნიგნები; საზოგადოება, რომელშიც წიგნები (ესე იგი, ლიტერატურა) ისევე აღიქმება, როგორც ალქიმია - ფიზიკის ეპოქაში: საინტერესო ანაქრონიზმად, რომელიც ცივილიზაციის სარდაფებში შეინახულია მხოლოდ ცალკეული ნევროტიკული უმცირესობის ძალისხმევის შედეგად. ვშიშობ, რომ ეს კიბერნეტიკული სამყარო, აყვავების, სიმდიდრის, ცხოვრების მაღალი დონისა და მეცნიერთა მიღწევების მიუხედავად, იქნება უდრტვინველი ერთობლიობა ღრმად არაცივილიზებული, სულიერებისგან განძარცული და ინტელექტუალურ ლეთარგიაში ჩაძირული რობოტებისა, რომლებსაც არც კი ემახსოვრებათ, რა არის თავისუფლება.

რა თქმა უნდა, სავსებით შესაძლებელია, რომ ამ შემზარავმა პერსპექტივამ არასოდეს შეიხსას სისხლი და ხორცი. კაცობრიობის ისტორია არ დაწერილა. არ არსებობს არავითარი ფატუმი, რომელიც ჩვენ მაგიერ წყვეტს, როგორები ვიქნებით. მხოლოდ ჩვენი ნება და შეხედულებები განაპირობებს, განხორციელდება თუ არა ეს ჯოჯოხეთური უტოპია. და თუ არ გვსურს, რომ ლიტერატურასთან ერთად გაქრეს ან დავიწყებას მიეცეს (მტვრიან სხვენზე მიგდებული უსარგებლო ნივთის მსგავსად) ფანტაზიებისა და შთამაგონებელი უკმაყოფილების ეს მაცოცხლებელი წყარო, რომელიც ფაქიზ მგრძნობიარობას გვინერგავს და გვასწავლის გასაგებად და მჭევრმეტყველურად საუბარს, აფართობს ჩვენს თავისუფლების საზღვრებს, ხოლო ცხოვრებას უფრო მრავალფეროვანს და თვალწარმტაცს ხდის, - უნდა ვიმოქმედოთ, უნდა ვიკითხოთ კარგი წიგნები, ჩავუნერგოთ კითხვის სიყვარული მომავალ თაობას, - ოჯახებსა და აუდიტორიებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ყველა საზოგადოებრივი ინსტიტუტის მეოხებით, - რათა ლიტერატურა აუცილებელ საქმიანობად გადავაქციოთ, რადგან ის ყველას და ყველაფერს მსჭვალავს და ამდიდრებს.

მადრიდი,
2000 წლის 23 თებერვალი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

კშიშტოფ კიშლოვსკი

როგორ გადავიღეთ „დეკალოგი"

თარგმნა თენგიზ ვერულავამ



პოლონელი რეჟისორი კშიშტოფ კიშლოვსი (1941-1996) საზოგადოებისთვის ყველაზე მეტად ცნობილია ტრილოგიით "სამი ფერი: ლურჯი, თეთრი, წითელი" (1993-94), რომლებიც სიმბოლურად საფრანგეთის დროშის ფერებს გამოსახავს (თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა). მისი ფილმებიდან არანაკლებ პოპულარულია „დეკალოგი" (1988) - ათი მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელიც ეფუძნება ათ მცნებას. „დეკალოგი" რეჟისორმა გადაიღო კომუნისტური პოლონეთის დასასრულის ხანაში, როდესაც ვარშავა განსაკუთრებულად ნაცრისფერი და უსახური იყო, როდესაც ფაქტობრივად „ყველგან და ყველაფერში, თითოეული პოლონელის ცხოვრებაში, არსებობდა უიმედობის განცდა, შიში, რომ უარესი ჯერ კიდევ წინაა". ამ აპოლიტიკურ, სოციალური საკითხებისგან თავისუფალ ფილმში მთავარი ყურადღება გადატანილია სიკეთისა და ბოროტების, სიმართლისა და სიცრუის უნივერსალურ თემებზე, რომლებზე დაფიქრებაც თითოეულ ადამიანს მარტო უხდება. ფილმი 1989 წელს აჩვენეს ვენეციის კინოფესტივალზე, სადაც თანამედროვე კინოს შედევრად იქნა აღიარებული. 1994 წელს კანის ფესტივალზე რეჟისორმა განაცხადა, რომ თავს ანებებდა კინოკარიერას. მაგრამ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე დაიწყო მუშაობა ახალ ტრილოგიაზე: „სამოთხე, ჯოჯოხეთი, განსაწმენდელი", დანტეს „ღვთაებრივი კომედიის" მიხედვით. კიშლოვსკის განუხორციელებელი დარჩა ეს ჩანაფიქრი. იგი 54 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა.

მთარგმნელისაგან

ᲔᲜᲐ
ᲔᲠᲘᲝᲜᲔᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ერთხელ, ქუჩაში, ჩემს თანაავტორს შევხვდი. საომარი მდგომარეობის მიუხედავად, სამუშაოს ნაკლებობას არ უჩიოდა, მაშინ პოლონეთში უამრავი პოლიტიკური პროცესი მიმდინარეობდა და როგორც იურისტი, ბევრგან იყო ჩართული. მაგრამ საომარი მდგომარეობა დამთავრდა - უფრო სწრაფად, ვიდრე ველოდით, - მშვიდ გარემოში ფიქრის შესაძლებლობა მოგვეცა. წვიმდა, სიცივეები დაიჭირა. მე ხელთათმანი დავკარგე. პესევიჩმა მოულოდნელად გაიცინადა: "უნდა გადავიღოთ "დეკალოგი" (ათი ბიბლიური მცნება). და ეს შენ უნდა გააკეთო!"

სცენარს წერდა არა პესევიჩი, არამედ მე. პესევიჩს წერაზე მეტად ლაპარაკი და ფიქრი ეხერხებოდა. ყველაფერზე ვლაპარაკობდით - ჩვენს მეგობრებზე, მეუღლეებზე, შვილებზე, თხილამურებზე. ფილმებისთვის ისტორიებს ვიგონებდით. ხშირად სწორედ კშიშტოფი იძლეოდა იდეებს; ზოგიერთის განხორციელება შეუძლებელი იყო. და რა თქმა უნდა, მეც ვენინაალმდეგებდი ხოლმე.

როგორ იქმნებოდა "დეკალოგი"? ქვეყანაში, თითოეული ჩვენგანის ყოფაში ქაოსი და სიყალბე სუფევდა. დაძაბულობა, უაზრობის და სიბნელის განცდა. ზოგჯერ საზღვარგარეთ მიწევდა მოგზაურობა და ვხედავდი, რომ არსად არ იყო სიმშვიდე, მსოფლიოსაც ასევე აკლდა სტაბილურობა. მარტო პოლიტიკა არა მაქვს მხედველობაში - ყოველდღიურ ცხოვრებაზე ვამბობ . ისეთი განცდა მიჩნდებოდა, თითქოს ადამიანებს საერთოდ არ ჰქონდათ წარმოდგენა, რისთვის ცხოვრობდნენ. მათი თავაზიანი ღიმილის უკან გულგრილობა იმალებოდა. მივხედი, რომ პესევიჩი მართალი იყო. სირთულეების მიუხედავად, "დეკალოგი" ნამდვილად უნდა გადაგვეღო.

ერთი თუ რამდენიმე ფილმი? იქნებ ათი? თითოეული - თითო ცნებაზე დაფუძნებული? სერიალი, ან კიდევ უკეთესი - ათი დამოუკიდებელი ფილმისაგან შემდგარი ციკლი. ეფიქრობდი, ასეთი დაგანყვეტა "დეკალოგის" იდეას ყველაზე მეტად შეეფერება-მეთქი. ათი მცნება - ათი ერთსაათიანი ფილმი. თავდაპირველად მხოლოდ სცენარს ვიხილავდით, ფილმის გადაღებას ჯერ კიდევ არ ვაპირებდი. იმ დროისთვის რამდენჯერმე მომიწია შემოქმედებითი გაერთიანება "ტორის" სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობის დაკავება. გაერთიანებას კშიშტოფ ზანუსი ხელმძღვანელობდა. იგი ძირითადად საზღვარგარეთ მუშაობდა, ამიტომ მხოლოდ ზოგად საკითხებს წყვეტდა. ასე რომ, ფაქტობრივად მე მიწევდა გაერთიანების ხელმძღვანელობა. ზანუსს ერთ-ერთ მთავარ საქმედ ახალგაზრდა, დამწყები რეჟისორების დახმარება მიაჩნდა. ვიცნობდი ბევრ რეჟისორს, რომელთა დებიუტი უსახსრობის გამო ვერ შედგა. ტელევიზიაში პირველი ფილმის გაკეთება ყოველთვის უფრო ადვილი იყო - სატელევიზიო ფილმი შედარებით მოკლე მეტრაჟისაა და იაფია, შესაბამისად, ფინანსური რისკებიც ნაკლებია. პრობლემა ისიც იყო, რომ ტელევიზია უპირატესობას სერიალებს, ან ერთი თემით გაერთიანებულ ციკლებს ანიჭებდა. ვფიქრობდი, რომ თუ ჩვენ შევთავაზებდით ათი ნაწილისაგან შემდგარ "დეკალოგს", ამით ათ ახალგაზრდა რეჟისორს გაეხსნებოდა გზა. ამან ტექსტებზე მუშაობის სტიმული მოგვცა. როდესაც სცენარის პირველი ვერსია უკვე მზად გვქონდა, მივხედი, რომ რამდენიმე ფილმი თავად უნდა გადამეღო. საბოლოოდ, ნათელი გახდა, რომ ათივე ფილმს მე გადავიკეთებ.

თავიდანვე გადაწყდა, რომ ეს იქნებოდა ფილმები თანამედროვეობაზე. რაღაც პერიოდში იმასაც ვფიქრობდით, აქცენტები პოლიტიკაზე გაგვეკეთებინა, მაგრამ 80-იანების შუა წლებიდან პოლიტიკა უკვე აღარ გვაინტერესებდა.

საომარი მდგომარეობის დროს მივხვდი, რომ პოლიტიკა არც ისე მნიშვნელოვანია. ცხადია, იგი გარკვეულ ლიმიტებს უწესებს ცხოვრებას და შემოფარგლავს ნებადართულობის საზღვრებს, მაგრამ უმთავრეს ადამიანურ პრობლემებს ვერ წყვეტს. რადგან ვერ პასუხობს ადამიანის არსებობის მნიშვნელოვან, ფუნდამენტურ კითხვებს. დამოუკიდებლად იმისა, კომუნისტურ ქვეყანაში ცხოვრობ თუ კაპიტალისტურში, პოლიტიკა ვერ იძლევა პასუხებს ისეთ კითხვებზე, როგორიცაა: "რა არის ცხოვრების აზრი?", "რატომ ვცხოვრობთ?", "რატომ ვიღვიძებ ყოველ დილით?"

იმ ადამიანებზე ფილმის გადაღების დროსაც, რომლებიც პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდნენ, ეს დამოკიდებულება მქონდა, პირველ რიგში, მათი შინაგანი სამყაროს გაგებას ვცდილობდი. პოლიტიკური გარემო ყოველთვის მხოლოდ ფონს წარმოადგენდა. ეს ეხება ჩემს დოკუმენტურ ფილმებს. საკუთრივ პოლიტიკაზე ფილმი არასოდეს გადამიღია. როდესაც "კინომოყვარულში" ვინმე ბიუროკრატი, მაგალითად დირექტორი, ჩემი ფილმიდან ზოგიერთ სცენას ამოჭრიდა, პირველ რიგში მისი ხასიათი მაინტერესებდა, მისი ქცევის მოტივები. ამ ამბავს ჩემი ეარშაველი ცენზორის საქმიანობასთან ვაიგიგივებდი. მსურდა გამეგო, რა იდგა ამის უკან და ფილმში ამესახა. მხოლოდ სულელური ჩვევა იყო? ჩვევა ყველა ზემოდან წამოსული შეკვეთის უსიტყვოდ შესრულებისა.. უბრალოდ კარიერიზმი? იქნებ სულ სხვა მიზეზები, რომლებიც ჩემთვის ამოუხსნელი დარჩა?

მე და პესევიჩს გვჯერიდა, რომ პოლიტიკას შეუძლია შეცვალოს მსოფლიო - მით უმეტეს, უკეთესობისკენ. და ამ სამყაროში არც არავის შეუძლია ჩასწვდეს პოლიტიკის ეშმაკობებს. გვეჩვენებოდა, რომ "დეკალოგი" შეიძლება გახდეს საყოველთაო ფილმი, პოლიტიკური რეალიებისაგან დამოუკიდებელი, ამიტომ გადავწყვიტეთ ფილმიდან პოლიტიკის გამორიცხვა.

რადგანაც პოლონეთში ცხოვრება უკვე რთული და აუტანელი გახდა, რეალობას თავი ბოლომდე მაინც ვერ ავარიდეთ. თუმცა ამ ფილმებში ვერსად შეხვდებით ყოველდღიურ უსიამოვნო რიტუალებს, რომლებიც ასოცირდება პოლიტიკურ დისპუტებთან, რიგებთან, საბარათო სისტემასთან. ვცდილობდი, მეჩვენებინა ადამიანი, რომელიც შემთხვევით რაღაც რთულ სიტუაციაში ხვდება. ხოლო სოციალური პრობლემები ყოველთვის განზე რჩებოდა - სადღაც მეორხარისხოვან ადგილას.

"დეკალოგში" შევეცადე მომეთხრო ათი ისეთი ისტორია, რომელიც შეიძლება ყველას ჩვენთაგანს გადახდეს. ეს არის ამბავი ადამიანებზე, რომლებიც ყოველდღიურ, ჩვეულებრივ ცხოვრებას ეწევიან, მაგრამ მოულოდნელად ისეთ სიტუაციაში ხვდებიან, რომ თვალი ეხილებათ. უცებ აღმოაჩენენ, რომ თურმე ერთსა და იმავე ადგილს ტკეპნიან, ღირებული და

მნიშვნელოვანი მიზნები დავინყებიათ. ჩვენ ეგოისტურები გავხდით, საკუთარ თავზე და პირად მოთხოვნებზე გვაქვს ყურადღება გამახვილებული. თითქოს ბევრს ვაკეთებთ ახლობლებისთვის, მაგრამ როდესაც დგება საღამო, აღმოჩნდება, რომ უკვე არა გვაქვს არც ძალა და არც დრო, მიეფეროთ, ვუთხრათ რაიმე გულზე მოსახვედრი. ამისთვის აღარ გვრჩება საკმარისი სასიცოცხლო ენერგია. უკვე აღარ შეგვიძლია, გამოვხატოთ საკუთარი გრძნობები. ცხოვრება კი გრძელდება.

ყოველი ადამიანის ცხოვრება იმსახურებს ყურადღებას. ყველას აქვს საკუთარი საიდუმლოებები და დრამები. ხალხი არ საუბრობს მათზე, რადგან რცხვენიათ - არ სურთ გაიახლონ ჭრილობები, ან ეშინიათ, ბრალი არ დასდონ მოძველებულ სენტიმენტალობაში. ამიტომ, ჩვენ გვინდოდა კინოკამერას თავად აერჩია თითოეული ფილმის გმირი, თითქოს შემთხვევით, როგორც ერთი მრავალთაგანი. იყო იდეა გვეჩვენებინა დიდი სტადიონი და ასი ათასი ადამიანიდან მხოლოდ ერთი გამოგვერჩია, ან კინოკამერა შეგვეჩერებინა გამვლელებზე. ბოლოს გადავწყვეტეთ, რომ "დეკალოგის" მოქმედებები გამართულიყო დიდ "მძინარე რაიონში", სადაც კორპუსებს ათასობით ერთნაირი ფანჯარა აქვს. ეს მიკრორაიონი ყველაზე ლამაზი ახალი რაიონია ვარშავაში, იგი ამიტომაც შევარჩიეთ. ფილმების გმირებს აერთიანებთ საცხოვრებელი ადგილი. ისინი ზოგჯერ შემთხვევით ხვდებიან კიდეც ერთმანეთს. მაგალითად, მეზობელი მეზობელს შაქარს სთხოვს...

ჩემი პერსონაჟები დაკავებული არიან რუტინული, ყოველდღიური საქმეებით. შევეცადე ყურადღება გამემახვილებინა იმაზე, თუ რა ხდება მათ შინაგან ცხოვრებაში. ადრე უპირველესად ვიკვლევდი გარე სამყაროს, ყოველგვარ გარე ვითარებებს: როგორ ზემოქმედებენ ისინი ადამიანებზე და თავად ადამიანები რა გავლენას ახდენენ გარე სამყაროზე. ახლა ჩემთვის უფრო საინტერესოა, თუ როგორ მოიქცევა ადამიანი სახლში დაბრუნებისას, როდესაც მიხურავს კარებს და საკუთარ თავთან მარტო რჩება.

თითოეულ ადამიანს, ჩემი აზრით, ორი სახე აქვს. ერთი - გარშემოყოფთათვის, ქუჩისათვის, სამსახურისათვის. დასავლეთში მიღებულია, რომ ეს არის ენერგიული ადამიანის სახე - ადამიანის, რომელსაც გაუმართლა, ან შესაძლოა, მომავალში გაუმართლებს. ეს არის უცხო ადამიანებისთვის განკუთვნილი სახე. ნამდვილი სახე კი სხვაგვარია.

იქნებ არსებობს წესიერი ქცევის ზუსტი დეფინიცია, თუმცა, ვფიქრობ, რომ მისი განსაზღვრა საკმაოდ რთულია. ხომ აღმოვჩენილვართ ზოგჯერ არსებითად უიმედო სიტუაციაში: როცა არსებული პრობლემის გადასაწყვეტად ერთმნიშვნელოვნად კარგი პასუხი არ არსებობს. თუ გამოსავალი ჩანს, იგი მხოლოდ ოდნავაა სხვა გამოსავალზე უკეთესი. ჩვეულებრივ, ვირჩევთ ნაკლებად ცუდ გამოსავალს. სწორედ ამით განისაზღვრება წესიერება. ადამიანი ყოველდღე დგას ამა თუ იმ არჩევანის წინაშე, თუმცა აბსოლუტურად წესიერ ყოფნას მაინც ვერ ახერხებს.

ადამიანები, რომელთა ბრალით ოდესღაც უამრავი ბოროტება იქნა ჩადენილი, ახლა ამტკიცებენ, კეთილსინდისიერად ვიქცეოდითო, ან სხვაგვარად არ შეგვეძლოო. ეს არ არის გამართლება. ვინც პოლიტიკაში ან საზოგადოებრივ საქმეებშია ჩართული, სხვაგვარი პასუხისმგებლობა ეკისრებათ. ამას ვერსად გაექცევი. თქვენ ყოველთვის გიყურებენ ადამიანები. თუ ჟურნალისტები არა, მაშინ, მეზობლები, ოჯახის წევრები, ნათესავები, ნაცნობები, უბრალოდ ქუჩაში გამვლელები. მაგრამ თავად ადამიანშიც ხომ არის ერთგვარი ბარომეტრი. ყოველ შემთხვევაში, მე ამას ნათლად ვგრძნობ. ყოველ საქმიანობაში, რომელიც მოითხოვს კომპრომისს, რთულ სიტუაციებში მე ყოველთვის ვხედავ, თუ რისი გაკეთება არ შეიძლება არავითარ შემთხვევაში, - ყოველთვის ვცდილობ, მოვუსმინო ჩემს შინაგან ხმას. მისი კარნახი არ უკავშირდება კეთილისა და ბოროტის ზუსტ გამიჯვნას.

„დეკალოგზე" მუშაობისას ჩვენ ბევრს ვფიქრობდით ამაზე. რა არის კეთილი და ბოროტი, სიმართლე და ტყუელი, პატიოსნება და უსინდისობა?

არსებობს ერთგვარი ათელის აბსოლუტური წერტილი. თუ ვსაუბრობ ღმერთზე, მაშინ უნდა ვაღიარო, რომ მირჩევნია ძველი აღთქმის ღმერთი - მკაცრი, სასტიკი, შურისმაძიებელი, რომელიც არ ღებულობს მონანიებას და კანონების მიმართ უპირობო მორჩილებას მოითხოვს. გვთავაზობს მნიშვნელოვან თავისუფლებას, მაგრამ, ამასთანავე, გვაკისრებს დიდ პასუხისმგებლობას. იმისდა მიხედვით, თუ როგორ ვიყენებთ ადამიანები ბოძებულ თავისუფლებას - ან გვაჯილდოებს, ან გვსჯის დაუნდობლად, ყოველგვარი პატიების გარეშე. ამაში არის რაღაც მარადიული, აბსოლუტური. სწორედ ეს უნდა იყოს ამოსავალი წერტილი, განსაკუთრებით ჩემნაირი ადამიანებისათვის, - სუსტებისთვის, რომლებიც ეძიებენ და ვერ კი პოულობენ პასუხებს.

ადამიანის ცნობიერებაში ცოდვის არსი ასოცირდება იმ უკანასკნელ ინსტანციასთან, რომელსაც ხშირად ღმერთს უწოდებენ. თუმცა არსებობს ცოდვის სხვა შეგრძნებაც - ცოდვა საკუთარი თავის მიმართ ჩადენილი. ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია.ძალიან ხშირად ცოდვა სისუსტის შედეგია: ძალა არ შეგვწევს ხოლმე ნინ აღვუდგეთ ცდუნებებს - ფულს, კეთილდღეობას, ქალს, გინდ კაცის ფლობის სურვილს, ძალაუფლებას.

ცოდვა ნამდვილად არსებობს და პრობლემაც ის არის - სულ მისი შიშით უნდა ვიცხოვროთ თუ არა? ეს კათოლიკური ან უფრო ფართოდ, ქრისტიანული ტრადიციიდან გამომდინარე კითხვაა. იუდაიზმში კი თავად ცოდვის ცნება ფორმულირებულია განსხვავებულად, ამიტომ გავაკეთე აქცენტი ძველი აღთქმის ღმერთზე. იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი „ინსტანცია" არ არსებობს, - იგი, როგორც ერთმა თქვა, ჩვენ უნდა გამოვიგონოთ. ამ სამყაროში შეუძლებელია არსებობდეს აბსოლუტური სამართლიანობა. სამართლიანობა არსებობს მხოლოდ ჩვენი, ადამიანური თვალსაზრისით. მაგრამ, ამავე დროს, ჩვენ უმჯობესი და არასრულყოფილნი ვართ.

თუ ვინმე განიცდის თავის არასწორ საქციელს, - მაშინ იგი აცნობიერებს, რომ შესაძლებელია სწორად მოქცეულიყო. აქედან გამომდინარე, მას აქვს ფასეულობების გარკვეული იერარქია და გაგება იმისა, თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანმა შეიძლება ჩართოს საკუთარი შიდა კომპასი. თუმცა, ხშირად, მაშინაც კი,

როცა იცის, თუ რა არის წესიერება და სიკეთე, სხვადასხვა მიზეზების გამო არ ხელეწიფება სწორი არჩევანის გაკეთება. ჩვენ არ ვართ თავისუფლები. ჩვენ მუდმივად ვიბრძვით გარკვეული თავისუფლებისათვის, ამასთან, გარეგან თავისუფლებას უკვე მიაღწია ადამიანმა - განსაკუთრებით დასავლეთში: საცხოვრებელი ადგილის, ცხოვრების პირობების, საკუთარი გარემოს თავისუფალი არჩევანი. ამავე დროს, ჩვენ - ისევე როგორც სამი და ხუთი ათასი წლის წინ - დამოკიდებული ვართ საკუთარ ვნებებზე, ფიზიოლოგიაზე, ბიოლოგიაზე და ხშირად ვდგავართ ძალიან ფარდობით ზღვარზე კარგსა, უკეთესსა და უფრო უკეთესს და ცოტა უარესს შორის. ჩვენ მუდმივად ვცდილობთ, ვიპოვოთ ოპტიმალური გადაწყვეტა. მაგრამ ჩვენ არ ვართ თავისუფალი, მაშინაც კი, როდესაც გვაქვს მსოფლიოს გარშემო მოგზაურობის შესაძლებლობა. არსებობს ისეთივე ძველი გამოთქმა, როგორც თავად სამყაროა: თავისუფლება ჩვენშია. და ეს სიმართლეა.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ბევრი - განსაკუთრებით პოლიტპატიმრები - განიცდიან საკუთარ უმწეობას და ამტკიცებენ, რომ თავისუფალნი სწორედ ციხეში იყვნენ. რა თქმა უნდა, მათ არ შეეძლოთ თანასაკნელების ან კვების მენიუს არჩევა. ნორმალურ ცხოვრებაში ჩვენ გვაქვს არჩევანის თავისუფლება - შეგვიძლია წავიდეთ ინგლისურ, იტალიურ, ჩინურ თუ ფრანგულ რესტორანში. პატიმარი კი მიირთმევს მას, რასაც დაუდებენ თეფშზე. ასევე არ არსებობს მორალური და ემოციური არჩევანის შესაძლებლობა. ყოველ შემთხვევაში, არჩევანი გაცილებით ნაკლებია - პატიმარი არ დგას იმ ყოველდღიური გამოწვევების წინაშე, რომლებსაც ჩვენ ვანყდებით. თუ ადამიანს უყვარს ან სხვებს უყვართ, მაშინ იგი მხოლოდ მოწყენილია - მისი გრძნობები არ გადიან ცხოვრების წესის გამოცდას.

პარადოქსულია, მაგრამ, რადგან ციხეში პატიმარი გაცილებით ნაკლებ გადაწყვეტილებებს იღებს, ვიდრე გისოსებს მიღმა მყოფი ადამიანი, ის უფრო თავისუფლად გრძნობს თავს. ციხის გარეთ მას შესაძლებლობა უჩნდება აირჩიოს საკვები, მაგრამ გრძნობების და ვნებების სფეროში იგი მაშინვე ხვდება დამოკიდებულების ხაფანგში. ბევრი ასე ამბობს, და მე ეს მესმის.

თავისუფლება, რომელიც ხელოვნების მოღვაწეებმა დღეს პოლონეთში მიიღეს, შეუძლებელია პრაქტიკულად გამოიყენონ. არ არის ფული კულტურისთვის, და ბევრი სხვა მნიშვნელოვანი რამისთვის. პარადოქსულია: წინათ იყო ფული თავისუფლების გარეშე, ახლა - გვაქვს თავისუფლება ფულის გარეშე. მაგრამ საქმე მხოლოდ ამაში არ გახლავთ - ფული, ბოლოს და ბოლოს, როგორმე შეიძლება იშოვოს ადამიანმა. პრობლემა კიდევ უფრო სერიოზულია. ოდესღაც პოლონეთსა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში, კულტურას - განსაკუთრებით კინოს - ჰქონდა დიდი სოციალური მნიშვნელობა. ხალხი ელოდებოდა ვაიდას და ზანუსის ახალ ფილმებს, რადგან იცო-

და, რომ კინემატოგრაფისტების ნაწილი, რამდენი ათეული წელი იყო, ოპოზიციაში იმყოფებოდა არსებულ წყობასთან. კინორეჟისორები გამოხატავდნენ საზოგადოების გარკვეული ნაწილის აზრს. ამ თვალსაზრისით, ჩვენ ვიმყოფებოდით ისეთ კომფორტულ სიტუაციაში - მსოფლიოში სხვას რომ არავის დაესიზმრებოდა. და აქ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ცენზურამ.

ახლა ჩვენ შეგვიძლია ყველაფერზე ღიად ვისაუბროთ, მაგრამ ხალხს ეს გაცილებით ნაკლებად აინტერესებს. ცენზურა თანაბრად ავალდებულებდა როგორც ხელოვანებს, ასევე მაყურებელს. თითქოს სიგნალს ელოდებოდა, მაყურებელი უშეცდომოდ პასუხობდა ყველა მინიშნებას, ყველა ქვეტექსტს და დიდი სიამოვნებით შიფრავდა მათ. ჩვენ ცსაუბრობდით ცენზურის „ზურგს უკან". მაყურებელს ბრწყინვალედ ესმოდა, რომ თუ საქმე ეხებოდა პროვინციულ თეატრს, იქ მთელი პოლონეთი იგულისხმებოდა. იმ შემთხვევაში, თუ ვყვებოდით პატარა ქალაქელი ბიჭის აუხდენელ ოცნებებზე , გასაგები იყო - ეს ოცნებები რეალურად ვერსად ვერ განხორციელდებოდა, თუნდაც დედაქალაქში. სისტემის მოუღებლობაში ერთნი ვიყავით - ავტორებიც და მაყურებლებიც. ახლა კი ყველაფერი შეიცვალა.

აი, გასართობი ამბავი მავან ცენზორზე. ერთი კრაკოველი მეგობარი მყავს - მხატვარი, გრაფიკოსი, კარიკატურისტი - ანდჟეი მლეჩკო. ინტელექტუალური და ძალიან მახვილი გონების ადამიანია. რა თქმა უნდა, მას პრობლემები ჰქონდა ცენზურასთნ. ნახატებიც კი ჩამოართვეს. ახლა, რა თქმა უნდა, ცენზურა ლიკვიდირებულია. ჰოდა, ერთხელ მლეჩკოს დასჭირდა დურგალი - კიბე გაუხდა შესაკეთებელი. გამოიძახა ხელოსანი და მოულოდნელად ის ყოფილი ცენზორი არ გამოეცხადა! შალაშინს ილება და რანდავს, მლეჩკო ეუბნება: "ეგრე არ წავა". რანდავს მეორე დღესაც. მლეჩკო უყურებს - და ისევ: "არ წავა". ბოლოს გაიქცა ის საწყალი დურგალ-ცენზორი.

პოლონეთში ცენზურას, თუნდაც მკაცრს, თავისუფლება სრულად არასოდეს შეუზღუდავს. ფილმის გადაღება მაინც ჩვენთან უფრო ადვილი იყო, ვიდრე დასავლეთში. ეკონომიკური ცენზურა, რომელსაც დასავლეთში ხანგრძლივი ტრადიცია აქვს, და რომელიც მუდმივად განიცდის სრულყოფას, ბევრად მეტ შეზღუდვებს ქმნის, ვიდრე პოლიტიკური ცენზურა. ეკონომიკურ ცენზურას ადგენენ ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ ზუსტად იციან, თუ რა უნდა მაყურებელს. პოლონეთში ეს ჯერჯერობით დილეტანტურ დონეზეა. პროდიუსერებს, დისტრიბუტორებს ყოველთვის არ შეუძლიათ გამოიცნონ მაყურებლის გემოვნება.

როდესაც ათივე სცენარი დავწერე „დეკალოგისთვის", ტელევიზიას წარვუდგინე და თანხა მივიღე, მივხვდი, რომ ფილმის გადაღებას არ ეყოფოდა. იმ დროს პოლონეთში იყო ორი პროდიუსერი - ტელევიზია და კულტურის სამინისტრო. მივედი კულტურის სამინისტროში, ვაჩვენე „დეკალოგის" რამდენიმე სცენარი და შევთავაზე ორი ფილმის ძალიან იაფად გაკეთება - იმ პირობით, რომ ერთი მათგანი იქნებოდა მეხუთე ფილმი, ხოლო მეორეს თავად აირჩევდნენ. მათ აირჩიეს მეექვსე ფილმი და მომცეს ფული. მე გავაფართოვე სცენარი. მოგვიანებით, გადაღების დროს, გავაკეთე ორი ვარიანტი - ერთი კინოსთვის და ერთი ტელევიზიისთვის. შემდეგ ყველაფერი აირია - ტელეფილმების სცენები მოხვდა კინოფილმებში და პირიქით. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მონტაჟის დროს ასეთი თამაში ერთ-ერთ ყველაზე სასიამოვნო მომენტად მახსენდება.

რა განასხვავებს კინოფილმს სატელევიზიო ფილმისაგან? არასდროს მიფიქრია, ტელემაყურებელი კინომაყურებელზე ბრიყვია-მეთქი. ტელევიზია არასახარბიელო მდგომარეობაში იმიტომ კი არაა, რომ მაყურებელია იდიოტი, არამედ იმიტომ, რომ ასე ეჩვენებათ რედაქტორებს. ამაშია პრობლემა. ყველაზე ნაკლებად ეს ინგლისურ ტელევიზიას ეხება. უფრო მეტად ალბათ - გერმანულს, ფრანგულს, პოლონურს. ინგლისურ ტელევიზიაში ძალიან ძლიერია საგანმანათლებლო ტენდენციები. კულტურა განსაკუთრებით სერიოზულადაა წარმოდგენილი ბიბისიში ან მეოთხე არხზე - შინაარსიანი რეპორტაჟები, დოკუმენტური ფილმები, რომლებიც ეძღვნება კონკრეტულ ადამიანებს და მათ ბედს. აი, ამერიკული ტელევიზია საკუთარ მაყურებელს ნამდვილად ბრიყვებად თვლის. მე ტელემაყურებელს ისევე სერიოზულად აღვიქვამ, როგორც კინომაყურებელს. ამიტომ ვერ ვხედავ განსაკუთრებულ განსხვავებას ტელე- და კინოთხრობას შორის.

ფაქტობრივად, განსხვავება ისაა, რომ სატელევიზიო ფილმს ყოველთვის მცირე ბიუჯეტი აქვს. გადაღება ყოველთვის ნაჩქარევად და მოკლე ვადებში გინევს, ამიტომ შედეგიც შესაბამისია. დადგმები ადვილად ხდება, ძირითადად ახლო კადრებით მუშაობ, რადგან შორი კადრები ბევრ და ძვირადღირებულ დეკორაციებს საჭიროებს. თითქმის წესად ჩაითვალა, რომ ტელევიზია - ახლო ხედვაა. ვფიქრობ, ეს ძირითადად დაკავშირებულია ფინანსურ მიზეზებთან. ხანდახან ტელევიზიით ვუყურებ გრანდიოზული მასშტაბის რომელიღაც ამერიკულ ფილმს. შესაძლოა იგი კინოფილმზე არანაკლებ შთაბეჭდილებას ახდენდეს. მაშ, რატომ არის ტელევიზიით ყურება შეუძლებელი? მაგალითად, "მოქალაქე კეინი", რომელიც მოითხოვს კონცენტრაციის სხვაგვარ უნარს, როგორ შეიძლება მისი ტელევიზიით ნახვა?

ტელე- და კინომაყურებელს შორის ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ კინომაყურებელი ფილმს უყურებს სხვა ადამიანებთან ერთად, სახლში კი უფრო ხშირად მარტოა. კინოში დაძაბულობა წარმოიქმნება ეკრანსა და მთელ დარბაზს შორის, და არა ეკრანსა და ინდივიდუალურ მაყურებელს შორის. ეს უზარმაზარი განსხვავებაა. ამიტომ მე ვერ დავეთანხმები აზრს, რომ კინო - მხოლოდ მექანიკური სათამაშოა.

თეორიულად ფილმში ყოველთვის 24 კადრია წამში. მაგრამ დიდ კინოთეატრში - საუკეთესო პირობებში, ფართო ეკრანზე, შესანიშნავი ხმით, როდესაც დარბაზში ზის ათასი მაყურებელი - იქმნება რაღაცნაირი დაძაბულობა, წარმოიშვება გარკვეული ტემპერატურა. ეს უკვე სხვა ფილმია, და არა ის, რომელსაც გარეუბნის მცირე კინოთეატრში აჩვენებენ, სადაც მხოლოდ ოთხი ადამიანია მაყურებელი, რომელთაგან ერთი დროგამოშვებით ხვრინავს. ამ თვალსაზრისით, ფილმი საცალო საქონელია, ხოლო ყოველი სეანსი, მიუხედავად ერთი და იმავე ფილმისა -

უნიკალური მოვლენაა.

ზოგადად, ამაშია ტელე- და კინოფილმებს შორის მთავარი განსხვავება. თუმცა, რა თქმა უნდა, არსებობს სატელევიზიო ფილმის სპეციფიკური სტილი - ტელევიზიამ მაყურებელი უკვე შეაჩვია გარკვეულ მეთოდებს. მე არ ვგულისხმობ იდეოტიზმს, ღმერთმა დამიფაროს. მაგალითად, ყოველ საღამოს ან კვირაში ერთხელ ტელევიზიის მეშვეობით ჩვენთან სტუმრად შემოდის ერთი და იგივე ხალხი - ეს არის სერიალის სტილი. ხალხი ამ რიტუალს ეჩვევა, მოსწონთ, ისევე, როგორც ოჯახური ვიზიტები ან საკვირაო სადილი მეგობრებთან ერთად. რა თქმა უნდა, გმირები უნდა იზიდავდეთ. ამერიკელები ამას ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ.

სერიალმა უნდა დააკმაყოფილოს მეგობრებთან ან კარგ ნაცნობებთან შეხვედრის საჭიროება. "დეკალოგი" არ არის სერიალი, იგი ათი დამოუკიდებელი ფილმია. თუმცა მათში ზოგჯერ ნაცნობი გმირები გამოჩნდებიან, პერსონაჟები სხვა ფილმებიდან. მათ ამოსაცნობად და მათ შორის კავშირის გასაგებად აუცილებელია კონცენტრაციის უნარი და გამახვილებული ყურადღება. თუ ასეთ ფილმებს კვირაში მხოლოდ ერთხელ უყურებთ, ეს თითქმის შეუძლებელია. ამიტომ ყოველთვის ვითხოვდი „დეკალოგის" ცალკეული ფილმები ეჩვენებინათ მინიმუმ კვირაში ორჯერ მაინც, რომ დამაინახებს ჰქონოდათ ამგვარი კავშირების შემჩნევის შესაძლებლობა. ცხადია, ეს ნიშნავს, რომ მე დავუშვი გარკვეული სტილისტური შეცდომა, მაგრამ დღესაც ზუსტად იმავენაირად მოვიქცეოდი: მნიშვნელოვანად მიმაჩნდა, რომ თითოეული ეს ფილმი დამოუკიდებელი ნაწარმოები ყოფილიყო.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ტრადიციაზე და სტილზე, აუცილებელია აღვნიშნოთ კიდევ ერთი რამ: კინოთეატრში, რანაირიც არ უნდა იყოს იგი, ადამიანი ყოველთვის უფრო კონცენტრირებულია: მან გადაიხადა ბილეთის საფასური, გასწია გარკვეული ძალისხმევა - გამოვიდა სახლიდან, ჩაჯდა ავტობუსში, შეესალმა ნვიმის გამო ქოლგაც თან წამოიღო, ჩქარობდა, არ დაგვიანებოდა რომ მოესწრო. ბოლოს, იგი ჯდება დარბაზში, სკამზე, და დახარჯული ფულით და ძალისხმევით ცდილობს, ნახოს და განიცადოს. ეს არის მთავარი. მას შეუძლია, გმირებს შორის უფრო რთული კავშირები აღმოაჩინოს, თვალი მიადევნოს სიუჟეტს, შეაფასოს ფილმის დეტალები და ასე შემდეგ. ტელევიზიაში ყველაფერი სხვაგვარადაა. მაყურებელი საკუთარ ბინაშია და ცხოვრობს იმით, რაც გარშემო ხდება: თოხლო კვერცხს მიირთმევს, ჩაიდანში წყალს ადუღებს, ტელეფონზე რეკავს. შესაბამისად, ტელევიზია მოითხოვს შედარებით ნელი ტემპით თხრობას და მრავალჯერ გამეორებას. აუცილებელია, რომ ადამიანი, რომელიც ერთი წუთით გავიდა აბაზანაში ან სამზარეულოში, - არ „ამოვარდეს" ფილმის მსვლელობიდან. „დეკალოგში" მე ეს არ გამითვალისწინებია - რაც ჩემი კიდევ ერთი შეცდომაა. თუმცა, დღეს რომ თავიდან გადამეღო "დეკალოგი", მაინც იმავეს გავიმეორებდი.

თითქმის ყველა ფილმი გადაღებულია სხვადასხვა ოპერატორების მიერ. ეს იყო ჩემი იდეა, და მე ძალიან ვამაყობ ამით. მეჩვენებოდა, რომ თითოეული ამბავი მოითხოვდა თხრობის საკუთარ სტილს. იდეა იყო განსაკუთრებული! ოპერატორებს, რომლებთანაც მე ნინათაც მიმუშავია, ვაძლევედი არჩევანის შესაძლებლობას. მათთვის, ვისთანაც პირველად მიწევდა მუშაობა, ვუჩვევდი ფილმებს, რომლებიც მიმაჩნდა შესაფერისად და საინტერესოდ, რათა უფრო სრულად წარმოეჩინათ საკუთარი შესაძლებლობები, შემოქმედებითობა, ნიჭი, ინტელექტი.

ეს იყო ძალიან საინტერესო გამოცდილება. „დეკალოგის" თითქმის ყველა ნაწილი გადაღებულია სხვადასხვა ოპერატორების მიერ - მხოლოდ ერთი მუშაობდა ორ ფილმზე. ყველაზე ხანდაზმული ოპერატორი სამოც წელზე მეტი ასაკისა იყო, ხოლო ყველაზე ახალგაზრდა, კინოსკოლის ახალკურსდამთავრებული, დაახლოებით ოცდაერვა წლის. ისინი იყვნენ სხვადასხვა თაობის წარმომადგენელნი, სრულიად განსხვავებული გამოცდილებით და პროფესიასთან განსხვავებული დამოკიდებულებით. და ამავე დროს, მიუხედავად ასეთი განსხვავებებისა, ეს ფილმები, საოპერატორო სამუშაოს თვალსაზრისით, სახობრივად მსგავსია. თუმცა ერთი იღებდა ხელის კამერით, მეორე შტატივით; ერთი იყენებდა ერთ განათებას, ხოლო მეორე - სრულიად განსხვავებულს. ვფიქრობ, ფილმების მსგავსება საერთო სულის არსებობის, სცენარის თავისებური ხასიათის მტკიცებულებაა. და თუ ოპერატორი ჭკვიანი და ნიჭიერია, ამ სულს აუცილებლად მიაგნებს, მიუხედავად იმისა, რა საშუალებებს გამოიყენებს ამისათვის. და ამა თუ იმ სახით, იქნება ეს კამერის სხვადასხვაგვარი შემორუნება თუ განათების სხვადასხვა ფორმები - ეს სული ფილმში აუცილებლად შეაღწევს.

„დეკალოგში" პირველად მივეცი ოპერატორებს ასეთი თავისუფლება: ყველას შეეძლო ემუშავა ისე, როგორც მას მიაჩნდა საჭიროდ, - თუნდაც იმიტომ, რომ მე უბრალოდ უკვე არ გამაჩნდა საკმარისი ძალები. თუმცა იმედს ვამყარებდი იმ ენერგიაზე, რომელსაც ქმნის თავისუფალი ქმედება. ნუ შეზღუდავ ადამიანს და გაჩნდება ენერგია: შემოუსაზღვრავი ქმედებით და უამრავი შესაძლებლობების თავისუფალი არჩევანით იგი შეეცდება, იპოვოს საუკეთესო ვარიანტი. მეც სწორედ ასე მოვიქეცი. თითოეული თავად წყვეტდა, სად და როგორ უნდა დაეყენებინა და გამოეყენებინა კამერა. რა თქმა უნდა, შემიძლო დავთანხმებინოდი ან არა, მაგრამ საბოლოოდ თითქმის ყველა იდეა მივიღე - ანუ ძირითადი საოპერატორო, სტრუქტურული, სარეჟისორო გადაწყვეტილებები. და მაინც - ფილმები ერთი ხელით გადაღებულს ჰგვანან. საინტერესოა...

ფილმზე მუშაობისას პირველად მომიწია ამდენ მსახიობთან მუშაობა. ბევრს ადრე საერთოდ არ ვიცნობდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს არ იყო მნიშვნელოვანი, რადგან ისინი არ იყვნენ ჩემი მსახიობები. ზოგჯერ გეჩვენება, რომ მსახიობი შეუდარებელია, მაგრამ მუშაობის დროს აღმოჩნდება, რომ იგი სხვა ტალღაზეა მომართული. თანამშრომლობა ერთგვარი ინფორმაციის გაზიარებაცაა. მსახიობს სთხოვ, ითამაშოს ასე ან ისე, იგი თამაშობს, მაგრამ აქედან შეიძლება არც არაფერი გამოვიდეს. ამავე დროს, მე გავიცანი მსახიობები, რომელთაც ადრე არ ვიცნობდი, მაგრამ რომლებიც, როგორც გაირკვა, ძალიან მჭირდებოდა. აქ იყვნენ როგორც ძველი თაობის გამოცდილი მსახიობები, ასევე ახალგაზრდები, რო-

მელთათვის „დეკალოგი" სადებიუტო ნამუშევარი გახლდათ.

ორგანიზაციული ან მსახიობებთან დაკავშირებული მიზეზების გამო „დეკალოგის" ცალკეულ ნაწილებზე მუშაობა ხშირად ერთდროულად მიმდინარეობდა, რაც წინდაწინ გამონვლილვით იგეგმებოდა. მაგალითად, როდესაც ცნობილი იყო, რომ რომელიღაც სახლში ვიღებდით დერეფანს, რომელიც განმეორდებოდა სამ ფილმში, მოვიდოდა სამი სხვადასხვა ოპერატორი, რიგრიგობით გაანათებდნენ და გადავიღებდით სამ სხვადასხვა სცენას. ეს ბევრად მოსახერხებელია, ვიდრე ერთი და იმავე ობიექტის სამჯერ დაქირავება, სამივეჯერ ყველაფრის დაშლა და ისევ თავიდან აწყობა.

ოპერატორმა წინასწარ იცოდა, თუ რომელ დღეს უნდა მოსულიყო, რადგან განსაზღვრულ ინტერიერში მისი ფილმის ნაწილი, სცენის ნაწილი უნდა გადაგველო. ზოგჯერ ვწყვეტდით კიდეც გადაღებებს. მაგალითად, როდესაც მეხუთე ფილმის ნახევარი დავამთავრეთ, სამი თვე შევისვენეთ, რადგან ოპერატორი სლავეკი (სლავომირ იძიკი) რომელიღაც სხვა ფილმში იყო დაკავებული. ამ დროის განმავლობაში, ჩვენ გადავიღეთ ორი სხვა ფილმი ამავე ციკლიდან, და მხოლოდ ამის შემდეგ დავუბრუნდით მეხუთე ფილმს. ძალიან ხშირად ვმუშაობ ასე. ცხადია, დასავლეთში ამის გაკეთება რთულია, რადგან საქმე ეხება ვიღაცის კონკრეტულ თანხებს. როდესაც ფული სახელმნიფოსია, როგორც პოლონეთში იყო, ყველაფერი გაცილებით ადვილია. მაგრამ მე ახლაც ვცდილობ, ისე გადავიღო, როგორც თავად მიმაჩნია სწორად და "დეკალოგი" ამის კლასიკური მაგალითია. ყოველთვის მქონდა მანევრირების საშუალება. როდესაც მონტაჟზე მუშაობა არ გამომდიოდა, თავიდან ვიღებდი საჭირო სცენას ან საერთოდ ვცვლიდი.

ფაქტობრივად, ყოველთვის ვაკეთებ გარკვეული სახის სასინჯ გადაღებებს. რაღაც მომენტში უკვე გადაღებული სცენებიდან ვიწყებ ფილმის მონტაჟს. ყოველთვის ასე ვაკეთებდი, ამიტომ მიძნელდება, ზუსტად ვთქვა, თუ როგორ გამოიყურება მზა სურათი.

გადაღება 11 თვის განმავლობაში გრძელდებოდა. კვირას ან საღამოობით მე მაინც ვახერხებდი ბერლინში რომელიღაც სემინარზე მისვლას.

ხშირად ვცივდები და გრიპითაც ხშირად ვხდები ავად, მაგრამ არასოდეს ვავადმყოფობ გადაღებების პერიოდში. არ ვიცი, როგორ ხდება ასე. შესაძლოა, ამ დროს ვხარჯავ ადრე დაგროვილ ენერგიას. თუ თქვენ რაიმე ნამდვილად გჭირდებათ, თუ თქვენ ნამდვილად გსურთ რაღაც - ყოველთვის მიაღწევთ სანადეჯლს. ფილმზე მუშაობის პროცესში მე მიცავს ჩემი საკუთარი ენერგია, პლუს, როგორც "დეკალოგის" შემთხვევაში, ცნობისმოყვარეობა: რა მოხდება, როდესაც ხვალ ახალი ოპერატორი მოვა და სხვა უცნობი მსახიობები შემოგვემატებიან? როგორ ჩათავდება დღე? ზეგ რა იქნება?

მონტაჟის დასრულებამდე სულ მახსოვდა, თუ რამდენი კადრი მქონდა თითოეულ ფილმში, რამდენი დუბლი - ეს არ წარმოადგენდა რთულ პრობლემას.

„დეკალოგში" არის პერსონაჟი, რომელიც თითქმის ყველა ფილმშია. თვითონაც არ ვიცი, ვინ არის. ვიღაცაა, რომელიც გვაკვირდება, თვალს ადევნებს ჩვენს ცხოვრებას. იგი გვიახლოვდება, ყურადღებით გვიცქერს, ხან შორიდან გვითვალთვალებს. რასაც ხედავს, ძლიერ არ მოსწონს. მეშვიდე ფილმში აღარ ჩანს - ძალიან ცუდად გადავიღე და ამოვჭერი. ის არც მეათე ფილმშია - მომეჩვენა, რომ როდესაც გმირები ხუმრობენ თირკმლით ვაჭრობის შესახებ, ასეთი ადამიანის გამოჩენა არც ღირს. მაგრამ, ვფიქრობ, რომ არ ვიყავი მართალი.

სცენარის თავდაპირველ ვარიანტში ეს ადამიანი არ იყო. ვიტეკ ზალეევსკი, გაერთიანების ლიტერატურული ხელმძღვანელი, უჭკვიანესი კაცი, რომელსაც ყოველთვის ვენდობი, მუდმივად მიმეორებდა:

- რაღაც აკლია, პან კშიშტოფ.

- მაგრამ რა, პან ვიტეკ?

- არ ვიცი, მაგრამ ამ სცენარებში რაღაც აშკარად არ არის საკმარისი.

ამ თემას ჩვენ ხშირად ვუბრუნდებოდით, და ერთ დღეს მან მიამბო ასეთი ამბავი.

მწერალმა ვილჰელმ მაქსმა რომელიღაც ფილმის ნახვის შემდეგ თქვა:

- ძალიან მომეწონა. განსაკუთრებით სცენა სასფლაოზე და კაცი შავებში.

- მაპატიეთ, მაგრამ იქ არ იყო არანაირი კაცი შავებში, - შეეპასუხა რეჟისორი.

- როგორ თუ არ იყო? იგი იდგა კადრში მარცხნივ. მსხვილი ხედით - შავი ფრაკი, თეთრი პერანგი, შავი ჰალსტუხი. შემდეგ გადავიდა კადრის მარჯვენა მხარეს და გაუჩინარდა.

- ასეთი ადამიანი არც ყოფილა - გაიმეორა რეჟისორმა.

- არა, იყო. მე იგი ვნახე. და ფილმიდან ყველაზე მეტად ის მომეწონა, - თქვა მაქსმა და ათი დღის შემდეგ გარდაიცვალა.

როდესაც ვიტეკ ზალეევსკიმ ეს ამბავი მომიყვა, მივხედი, თუ რა აკლდა "დეკალოგს": ასეთი ადამიანი შავებში, ვისაც ყველა ვერ ხედავს, და რომლის არსებობის შესახებ, სავარაუდოდ, თავად რეჟისორმაც არა იცის რა. იგი არანაირად არ მონანილეობს ფილმის სიუჟეტში, იგი მხოლოდ ნიშანია, ან გაფრთხილებაა ყველასთვის.

და მე შემოვიყვანე ფიგურა, რომელსაც ერთნი ეძახიან ანგელოზს, მეორენი - მაგალითად, ტაქსის მძღოლები, რომლებსაც მსახიობი გადაღებაზე მოჰყავდათ, - ეშმაკს. სცენარში იგი უბრალოდ მოხსენებული იყო, როგორც "ახალგაზრდა კაცი".

პოლონეთში „დეკალოგი" გაცილებით უარესად მიიღეს, ვიდრე საზღვარგარეთ, მაგრამ ფაქტია, რომ ფილმი ბევრმა ნახა. სპეციალურმა ორგანიზაციებმა ე.წ. პოპულარობის რეიტინგი პროცენტულად გამოითვალეს. „დეკალოგის" პირველი ფილმის რეიტინგული მაჩვენებელი იყო 52%, მეათე ფილმის - 64%, ანუ, შეიძლება ითქვას, რომ დაახლოებით 15-მა მილიონმა ადამიანმა ნახა. ეს საკმაოდ დიდი რიცხვია. კრიტიკას არ ვუჩივი - საკმაოდ კორექტული იყო. ცოტა წამკბინეს - წელს ქვემოთ დარტყმები თითქმის არ ყოფილა.

"ინოსტრანნაია ლიტერატურა"
10-11, 1998

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუჭირე მხარი არილს

ძვირფასო მეგობრებო,

გთხოვთ ყურადღებით წაიკითხოთ ეს მცირე განცხადება

"არილის" ბეჭდური გამოცემა კვლავ საფრთხის ქვეშაა. ჟურნალის სტამბის ხარჯები ისევ მოსაძიებელია. გარდა ამისა, გვაქვს წინა რამდენიმე ნომრის დავალიანებაც (მარტივად რომ ვთქვათ, სტამბის ვალი). ერთხელ უკვე ვისარგებლეთ თქვენი მეგობრული დახმარებით, როდესაც 3–4 დღეში შევაგროვეთ არილის სტამბის ხარჯებისთვის აუცილებელი თანხა. არ გვინდა სულ ასე გაგრძელდეს. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ ამისთვის და იმედი გვაქვს, მომავალი წლისთვის ყველა საკითხს მოვაგვარებთ, მანამდე კი წლის ბოლომდე კიდევ 5 ნომერი გვაქვს გამოსაცემი და ამ ნომრების ბეჭდვისთვის საჭირო თანხები კი ისევ არა ჩანს (შეგახსენებთ, კულტურის სამინისტრომ წლის ბოლომდე დააფინანსა „არილის" გამოცემის საპონორარო ხარჯები, თუმცა ხელშეკრულების მიხედვით, ბეჭდვის ხარჯები „არილმა" ან თანადამფინანსებელმა ორგანიზაციამ უნდა გაიღოს).

მოგმართავთ ყველას, ვისაც შეგიძლიათ გადაწყვეტილებების მიღება, მოგმართავთ ბანკებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სხვადასხვა კომპანიებს, ყველას, ვისაც შეგიძლიათ თუნდაც ერთთვიანი რეკლამა ჩადოთ არილში და ამით დაეხმაროთ ჩვენს ჟურნალს. შეგახსენებთ, მთელი თვის ბეჭდური ხარჯები დაახლოებით 2000 ლარია.

დაეხმარეთ არილს, დაულინკეთ ეს წერილი წარმატებულ ბიზნესმენებს, კომპანიებს, ორგანიზაციებს, რომლებთანაც შეხება გაქვთ და რომლებისთვისაც ძვირფასია თანამედროვე ქართული თუ მსოფლიო მწერლობა, ხელოვნება, ახალი იდეები, ქვეყნის მომავალი. მიანვდინეთ ხმა ყველა ქველმოქმედ ბიზნესმენსა და მეწარმეს, რათა არ შეჩერდეს ძლივს გამოცოცხლებული ლიტერატურული პროცესი და ავტორებმა არ დაკარგონ მკითხველთან მისასვლელი საუკეთესო საშუალება ჟურნალ „არილის" სახით.

პატივისცემით,
"არილის" რედაქცია

გთხოვთ, მოგვწერეთ ელექტრონულ ფოსტაზე: kharbedia@yahoo.com

შემოწირვის მსურველებისთვის ვუთითებთ ჩვენს ანგარიშს:
საბანკო კოდი – TBCBGE22
ააიპ ლიტერატურულ–საზოგადოებრივი ასოციაცია „არილი"
ანგარიშის ნომერი – GE79TB7696236060100001
დანიშნულებაში გთხოვთ მიუთითოთ, „შემოწირულობა" და შემომწირველი პირის ვინაობა ან ორგანიზაციის დასახელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ შეიძლება ყოფილიყო თქვენი ჩეკლამა

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

ი. 34/48